

ნიკა ასვანუა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

I გამოცემა



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

ავტორი ნიკა ასვანუა

რეცენზენტები

ნინო ხარატი

თეა სამჭკუაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

ნანა დუმბაძე

ყდის/წიგნის დიზაინი

ირაკლი უშვერიძე

რედაქტორები: გიორგი მირიანაშვილი, ეკა კაველიძე

**წიგნი იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
საგამომცემლო პროექტის ფარგლებში.**

© ნ, ასვანუა, 2023 წელი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-???

ავტორისაგან

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის შესწავლა/ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის მიზანია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს მიღებული თეორიული ცოდნის შეფასებასა და განმტკიცებაში, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობის ანალიზისა და არსებული პრაქტიკის შეთავაზებაში. ამასთან, სახელმძღვანელო დაეხმარება დაინტერესებულ პირს პრაქტიკის შესწავლა – განზოგადების საფუძველზე კონკრეტული შემთხვევების პრაქტიკულ სამართლებრივ გადაწყვეტაში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ნაშრომი გახდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის შესწავლის სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის, რომელიც დაეხმარება მათ წარმოშობილი სამართლებრივი საკითხების სწორად გააზრებასა და გადაწყვეტაში. პროფესორ – მასწავლებლებს კი ხელს შეუწყობს თეორიული მასალის სტუდენტებისათვის პრაქტიკული სახით მიწოდებასა და მათი ცოდნის შეფასებაში.

სარჩევი

| | |
|---|----|
| წმესავალი | 6 |
| თავი 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების თეორიული საფუძვლები..... | 10 |
| 1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსი და მნიშვნელობა ავტომატიზირებული დამუშავების პროცესში | 10 |
| 1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზაციული მექანიზმები | 13 |
| 1.3. პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები | 16 |
| 1.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკური მექანიზმები..... | 30 |
| თავი 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ტექნიკური პრობლემები | 38 |
| 2.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თავისებურებები ტექნოლოგიური განვითარების პროცესში | 38 |
| 2.2. საერთაშორისო სტანდარტები და მათი მნიშვნელობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს..... | 40 |
| 2.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან | 46 |
| 2.4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შიდაორგანიზაციული პრობლემები..... | 47 |
| თავი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის ეფექტურობის კონტროლის მექანიზმები საქართველოში ... | 49 |
| 3.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები | 49 |
| 3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტროლი ელექტრონულ სისტემებში მონაცემთა დამუშავების დროს..... | 51 |
| 3.3. ვიდეოთვალთვალის სისტემის კონტროლი | 53 |

3.4. საქართველოში მონაცემთა გამჟღავნებისა და გასაჯაროების
კონტროლის პრაქტიკის ანალიზი 55

თავი 4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის
მექანიზმები დარგობრივი

დამუშავების პროცესში 57

4.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ღონისძიებები ჯანდაცვის სფეროში
და მათი თავისებურებები COVID-19 პანდემიის პირობებში 57

4.2. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის
ღონისძიებები 61

4.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ღონისძიებები შრომითი
ურთიერთობების პროცესში 64

4.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიზნობრივი და პირდაპირი
მარკეტინგის პროცესში 66

4.5. ბიომეტრული პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებები 67

თავი 5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია

საერთაშორისო ინფორმაციულ სისტემებში მონაცემთა
ბადაცემის პროცესში 70

თავი 6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისტორია

საქართველოში და არსებული პრაქტიკა 82

შესავალი

საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვა და ინდივიდის ინტერესების უზრუნველყოფა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა. ამ ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმები ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე მუდმივ ცვლილებებსა და დახვეწას ითხოვს. განვითარებულ ქვეყნებში „მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგია, ხელოვნური ინტელექტი და სხვა, არა მარტო მოხერხებული და კომფორტულია, არამედ ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე აყენებს საზოგადოებას. რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ინდივიდის შესახებ მონაცემთა არაკონტროლირებადი დამუშავება, რომელიც შემდგომ, პოტენციურად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნეგატიური ან არასასურველი ფორმით, რადგან მათი მოდიფიკაციისა და არასანქცონირებული გამოყენების ალბათობა საკმაოდ დიდია.

აქედან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ადეკვატური მექანიზმების ფორმირება და მათი სრულყოფა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რადგან სწორედ სახელმწიფო უფლებათა დაცვის მთავარი გარანტი. სახელმწიფო ვალდებულია აკონტროლოს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების პროცესი მონაცემებთან დაშვების წესებისა და პირობების განსაზღვრით.

ნაშრომის იდეა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მმართველობითი მოდელის სტრუქტურებაა, რომელიც დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური მექანიზმებისა და ახალი ტექნოლოგიების ერთობლიობით ქმნის გარკვეულ ბალანსს პერსონალურ მონაცემთა, როგორც უფლებათა დაცვის კატეგორიისა და ეკონომიკურ კატეგორიის შორის.

პერსონალურ მონაცემთა მართვის მოდელის დახვეწის მიზნით, შემოთავაზებულია მონაცემთა დამუშავების ორგანიზების, შეგროვილი

ინფორმაციის ანალიზის, მონაცემთა დაცვის სამართლებრივი და ტექნიკური მექანიზმების ელემენტები.

ამ მექანიზმების ფორმირების მიზნით, შესწავლილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები. გაანალიზებულია საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელების პროცესში გაწეული საქმიანობა და სასამართლო პრაქტიკა მონაცემთა დამუშავების ორგანიზების სფეროში. იდენტიფიცირებულია შემდეგი პრობლემები: მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაუცველობა, კონკრეტული და მკაფიო მიზნის არარსებობა ან დამუშავება მიზნის არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით; მონაცემთა შენახვის ვადების დაუცველობა; პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავება; ვიდეთვალთვალის წესების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა; მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა; პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის წესების დარღვევით მონაცემთა გამოყენება და სხვ. შემუშავებულია მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატურობისა და პროპორციული მოცულობის კრიტერიუმები.

მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა გაანალიზებულია არა სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ დინამიკაში, რაც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების კვალდაკვალ კანონმდებლობის მუდმივ განახლებას.

მოცემულია „მონაცემთა დიდი მასივების“ (Big data) ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების აუცილებლობა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ციფრული აქტივების დაცვის მექანიზმების სრულყოფა საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონსტიტუციური რეგლამენტაციის საფუძველზე.

ტექნიკური მექანიზმების აქტიური და პასიური მხარეები და კრიპტოგრაფიის თანამედროვე სტანდარტები განხილულია „საქართველოში

ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფი ორგანოების ფუნქციებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 დეკემბრის №10 დადგენილებასთან მიმართებაში. ამ მექანიზმის პარალელურად დასაბუთებულია დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობა. როგორცაა უსაფრთხოების ალიანსში გაერთიანება (Cloud Security Alliance) და შემდეგ მიმართულებებზე ორიენტირება: ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, მონაცემთა მართვა, რეაგირების პროცედურები.

შესწავლილია „ჯკვიანი“ კამერებისა და უკონტაქტო პატრულირების საშუალებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მონაცემთა დამუშავების მდგომარეობა; გაანალიზებულია სამართალდამცავი ორგანოების მფლობელობაში არსებულ მონაცემთა ბაზებში ფიზიკურ პირთა სენსიტიური პერსონალური ინფორმაციის დამუშავების პროცესები და გამოვლენილია უწყების მიერ მონაცემთა დაცვისათვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების არასაკმარისობა, მონაცემთა ბაზებზე წვდომის საჭიროების დაუსაბუთებლობა.

სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტების ინფორმაციის კონფიდენციალურობის პარალელურად გაანალიზებულია მონაცემთა დაცვის თავისებურებები COVID-19 ინფექციის პირობებში. დასაბუთებულია „მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგიის გარკვეული უპირატესობები პანდემიასთან ბრძოლის სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად; გამოკვეთილია „მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგიის საფრთხეები და რისკები. ამიტომ, ამ ტექნოლოგიის დაწესებულების ეფექტურობის მისაღწევად შემოთავაზებულია დამოუკიდებელი რეგულაციის პრინციპი. ამ მიმართულებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის წერტილოვანი მოდიფიცირება ეფექტური არ იქნება, რადგან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ციფრული აქტივების დაცვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონსტიტუციური რეგლამენტაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. მონაცემთა

დიდი მასივების დამუშავების პროექტის რეალიზების ეფექტურობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაზე, რაც, თავის მხრივ, პროექტის ვადებსა და დაცვის სისტემის რეალიზაციის ხარჯებს ზრდის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სისტემური პრევენციისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი-ტექნიკური მექანიზმების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტის მოდელი, რომელიც შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება: ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება; მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა – ინტეგრაცია, კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია; მონაცემებთან დაშვების პოლიტიკა; მონაცემების მართვა; მონაცემთა ბაზის გასაღების მართვა; დაცვის მექანიზმების სისრულე და რეაგირების პროცედურები. ბაზებთან მავნე ქმედების გამოვლენის ანალიტიკა, საფრთხეების გამოვლენა და რეაგირება, ანალიტიკის შედეგების უსაფრთხოება;

ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების ეფექტურობას და სახელმწიფო პოლიტიკას ამ სფეროში.

თავი 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების თეორიული საფუძვლები

1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსი და მნიშვნელობა ავტომატიზირებული დამუშავების პროცესში

პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს სხვადასხვა ქმედებების განხორციელებას ადამიანების პირად ინფორმაციასთან დაკავშირებით (კერძოდ, შეგროვებას, შენახვას, სისტემატიზაციას, გამოყენებას, განახლებას, ცვლილებების შეტანას, სხვა პირებზე მათ გადაცემას, ბლოკირებას, განადგურებას და ა. შ.), რომელსაც ასრულებენ კერძო და საჯარო იურიდიული პირები.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ორგანიზება გულისხმობს:

მონაცემთა ბაზებიდან ყველა იმ ინფორმაციის გამორიცხვას, რომლის დამუშავებაც აკრძალულია კანონმდებლობით;

პირველადი ინფორმაციის სრული ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ მისი დამუშავების შემდეგ, ე. ი. მონაცემთა იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომლის მიხედვით მოსახერხებელია შედარება, ინტერპრეტირება, განზოგადება.

შეგროვებული ინფორმაციის მომზადება ანალიზისათვის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

დოკუმენტების სიზუსტეს, სისრულის ხარისხს და ადეკვატურობას. მაგალითად, ანკეტაში მოცემულ კითხვაზე: გქონიათ თუ არა ინფექციური დაავადება ბოლო 12 თვის განმავლობაში, პასუხი არის: „კი“, ან „არა“. თუ „კი“, მაშინ დაასახელეთ რომელი. პასუხი თუ არაა მითითებული ნიშნავს იმას, რომ მონაცემი ზუსტი არაა. მონაცემთა სისრულე გულისხმობს ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია თუ არა. მაგალითად, თუ კითხვების 20%-ზე პასუხი გაცემული არაა, მაშინ ასეთი ანკეტა დამუშავებას არ ექვემდებარება. ხარისხი გულისხმობს ღია კითხვებზე გაურკვეველ ხელწერას, საკონტროლო კითხვების

წინააღმდეგობას ძირითად კითხვებთან და სხვა. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება არ ხდება.

მეორე ეტაპი გამოტოვებული მონაცემების შევსება;

მესამე ეტაპი – ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების პროგრამის შემოწმება. ანალიზის დაწყებამდე აუცილებელია დამუშავების მეთოდების, კოეფიციენტების, მაჩვენებლების კორექტირება და აგრეთვე აუცილებელია კონკრეტული დავალებების შემუშავება მონაცემთა დამუშავებისთვის;

მეოთხე ეტაპი ითვალისწინებს მონაცემთა კოდირებას წინასწარ შემუშავებული პროგრამისა და ინსტრუქციის მიხედვით. კოდირება, ანუ ინფორმაციისთვის ციფრობრივი ერთეულის მინიჭება, რომელიც კომპიუტერული დამუშავების აუცილებელი პირობაა. კოდირების ხერხები სხვადასხვაა. მაგალითად, თანმიმდევრული ნუმერაცია (001, 002 და აშ); პოზიციური კოდირება (04, სადაც „04“ კითხვის რიგითი ნომერი, ხოლო „1“ პასუხის ვარიანტი). სირთულეს წარმოადგენს ღია კითხვების კოდირება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კომპიუტერული სისტემები მონაცემთა კოდირების იოლ პროცედურებს შეიცავენ, მაგრამ გამოთვლითი მათემატიკისა და კომპუტენტური ოპერატორების მოზიდვა ამ შემთხვევაში მაინც აუცილებელია;


მეხუთე ეტაპი პირველადი ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე გადატანაა. ამ ეტაპის მართვის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს შეყვანის ხარისხისა და დაშვებული შეცდომების კონტროლზე;

მექვსე ეტაპი მსგავსი სიდიდეების სისტემატიზაცია, პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა, დაჯგუფება, რანჟირება და სხვა პროცედურებია, რომლებიც ინფორმაციის დამუშავების საშუალებას იძლევა;

მეშვიდე ეტაპი მონაცემთა გაფორმებაა ცხრილების, გრაფიკებისა და დიაგრამების მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ჩვენს მიერ მოყვანილი ეტაპები პირობითი ხასიათისაა. შესაძლებელია

დამუშავების პროცესის მმართველმა სხვა ვარიაციაც შეიმუშაოს. აქ ჩვენთვის მთავარია მონაცემთა დამუშავების პროცესის მართვის მექანიზმის აუცილებლობას გავუსვათ ხაზი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მმართველმა განსაზღვროს მონაცემთა დამუშავების სიმარტივე, ეკონომიურობა. ეს კი მათემატიკურ მოდელირებას უკავშირდება.



შეგროვებული მონაცემების მომზადება ანალიზისათვის

აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ მეცნიერებებში მიღებულია ონტოლოგიური ტექნოლოგიის გამოყენება ინფორმაციულ სისტემებში.

ონტოლოგია არის საგნობრივი სფეროს სისტემური ანალიზის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ცნებათა ერთობლიობას. ონტოლოგია გამოიყენება საძიებო სისტემების ახალ თაობებში, მულტიაგენტურ სისტემებში, ჰეტეროგენული წყაროებიდან მიღებული

მონაცემების ინტეგრაციისთვის. ონტოლოგიის საფუძველზე ხდება სემანტურად ორიენტირებული დაშვება გლობალური ქსელის საინფორმაციო წყაროებთან. თუმცა, აქ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საჭირო ინფორმაციის ძიების ორგანიზება მეცნიერულად დამუშავებული არაა. არსებობს ვარაუდი, რომ ამ სირთულის დაძლევა ონტოლოგიური მეთოდით უნდა განხორციელდეს ინფორმაციული რესურსების ანოტირებისა და სტრუქტურირების გზით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ეს თეორია უნდა დაედოს საფუძვლად მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების კონკრეტულ მოდელს. საქართველოს მაგალითზე ორგანიზაციულ-მართვითი თვალსაზრისით, დასამუშავებელია ისეთი აქტები, როგორცაა: პერსონალურ მონაცემთა ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაციის შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაწყების ინფორმირების შესახებ და სხვა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ყველა წინააღმდეგობის მოხსნა სამართლებრივი მექანიზმებით შეუძლებელია. ამიტომ შემდეგ პარაგრაფში დაცვის ორგანიზაციულ მექანიზმებზე გვექნება მსჯელობა.

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზაციული მექანიზმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზაციული მექანიზმები გულისხმობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელშიც მთლიანად იქნება გააზრებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, შენახვისა და გავრცელების პროცესი, როგორც კონსტიტუციური უფლების დაცვის გარანტი.

ორგანიზაციული მექანიზმები გულისხმობს: შიდაორგანიზაციული მართვის სტრუქტურას, პროცესზე კონტროლის საშუალებებს, სახელმწიფო ზედამხედველო-ბის სტრუქტურასა და პროცედურებს. განვიხილოთ ეს მექანიზმები ცალ-ცალკე.

შიდაორგანიზაციული დაცვის მექანიზმი ეფექტურია თუ იურიდიული

პირები უზრუნველყოფენ შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას:

1. ხელმძღვანელის მიერ აქტის გამოცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანიზების თაობაზე. ამ აქტს ძირითადად უწოდებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. ეს დოკუმენტი სულ მცირე 5 პუნქტს უნდა შეიცავდეს: პასუხისმგებელი პირის დანიშვნა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, ლოკალური დოკუმენტაციების მითითება დაცვის პროცესის უზრუნველსაყოფად; კომისიის შექმნა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გავრცელების, შენახვისა და განადგურების საკითხებზე;

2. ორგანიზაციის მიერ ინფორმაციული სისტემის მუდმივი კვლევა დაცულობის ხარისხის შესამოწმებლად. ამ კვლევის მთავარი მიზანია, გადაწყვეტილების მომზადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენს თუ არა მონაცემთა დამუშავების ოპერატორს. თუ მიიღება გადაწყვეტილება, რომ ორგანიზაცია იქნება მონაცემთა დამუშავების ოპერატორი, მაშინ ტარდება ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის კლასის განსაზღვრა. ამ სიტუაციაში აუცილებელია შემდეგი სახის დოკუმენტების წარმოება:

- ინფორმაციული სისტემის გამოკვლევის ანგარიში;
- კომისიის შექმნის ბრძანება ინფორმაციული სისტემების კლასიფიკაციისთვის;
- აქტი ტიპური ინფორმაციული სისტემის კლასიფიკაციის თაობაზე;
- დანართის სახით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის დებულება, რომელშიც მოცემული იქნება მონაცემთა უსაფრთხოების მოდელი.


3. შეტყობინების გაგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ცენტრალურ ოფისში, ასეთი დოკუმენტის შესადგენად უნდა არსებობდეს სპეციალური ბლანკი.

4. დოკუმენტის მიღება და დამტკიცება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის შესახებ.

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვა. ეს მექანიზმი თავის თავში მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: იმ პირთა ჩამონათვალის დამტკიცება, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან პერსონალურ მონაცემებთან. აქ აუცილებელია აღნიშნულ პირთა გაფრთხილების პროცედურა, რომ ისინი დაშვებულნი არიან პერსონალურ მონაცემებთან, რაც გულისხმობს მათი მხრიდან პასუხისმგებლობას დაცვის რეჟიმის განხორციელების პროცესში; იმ პერსონალური ჩამონათვალის დამტკიცება, რომელთა დამუშავებაც ხდება ორგანიზაციაში; თანამშრომელთათვის აღნიშნული აქტის გაცნობა და კონფიდენციალურობის აქტზე ხელმოწერა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი მოცემულ ინფორმაციულ სისტემაში დამუშავების მიზნით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინსტრუქციებს:

- მოსარგებლის მიერ ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დაცვა;
- ადმინისტრატორის ინსტრუქცია ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების თაობაზე;
- სარეზერვო ასლირებისა მონაცემთა აღდგენის შესახებ;
- დასამუშავებელ პერსონალურ მონაცემებთან დაშვების უფლებათა გამიჯვნა.



შიდორგანიზაციული დაცვის მექანიზმები

ასე, რომ შიდაორგანიზაციული მართვის მოცემული სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს.

1.3. პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

ვიდრე საქართველოს პარლამენტი მიიღებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს, ამ სფეროს იმ ნაწილს, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულებებს რეგულირდებოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არსებული დებულებებით.

ასევე იყო გარკვეული დებულებები სხვადასხვა კანონმდებლობაში, რომლებიც ახლაც მოქმედებენ, მაგალითად:

- საქართველოს ორგანული კანონი „კომერციული ბანკების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლების შესახებ“;
- კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და სხვა.

ვინაიდან ისინი შეზღუდულ არეალში მოქმედებენ, მათი ეფექტურობა ნაკლებია და, შესაბამისად, არსებულ მდგომარეობაზე, მასშტაბურ ჭრილში, გავლენას ვერ ახდენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგა აუცილებლობა მომხდარიყო ისეთი ნორმების მიღება საკანონმდებლო დონეზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა კერძო სექტორში არსებული დიდი მოცულობის პერსონალური მონაცემების დაცვა, რაც ხელს შეუწყობდა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას“. ასევე საჯარო დაწესებულებებში განთავსებული პერსონალური მონაცემების სათანადოდ დამუშავებასა და შემდგომში მათ დაცვას.

თავად ცნება, თუ რა არის პერსონალური მონაცემები, ადრეც არსებობდა საქართველოს კანონმდებლობაში და იგი განიმარტებოდა, როგორც ინფორმაცია, რომელიც იძლეოდა საშუალებას მომხდარიყო

პირის იდენტიფიკაცია. ეს ცნება გააფართოვა საქართველოს კანონმა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ (შემდგომში – კანონი) და ნებისმიერ ინფორმაციას, თავის მხრივ, უკავშირებს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ნახაზი, სქემა, ფოტოსურათი, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, გეგმა, მაკეტი – ეს და სხვა ფორმით არსებული მონაცემები წარმოადგენენ უკვე ნახსენებ „ნებისმიერ ინფორმაციას“.

პირის იდენტიფიკაცია პირდაპირ და არაპირდაპირ შესაძლებელია, მისი პირადი ნომრის ან გონებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და ფიზიკურ ფაქტორებზე მითითებით, სწორედ ეს იგულისხმება „იდენტიფიცირებულში“. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სხვა ინდივიდებისგან მისი გარჩევა ადვილი უნდა იყოს. სახელისა და გვარის ცოდნა სრულიად საკმარისია პირის პირდაპირი იდენტიფიკაციისათვის, არაპირდაპირის დროს კი საჭიროა ისეთი მონაცემები როგორცაა მაგალითად: მობილური ტელეფონისა და ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრები.

ამავდროულად ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა საერთოდ არ იყოს საკმარისი სახელისა და გვარის ცოდნა, რათა მოხდეს პირის იდენტიფიკაცია და დადგეს საჭიროება დამატებითი ინფორმაციის, მისამართის, დაბადების თარიღის და ა. შ.

ქართულ რეალობაში ბევრია გავრცელებული სახელიც და გვარიც. ეს გარემოება, ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც იძლევა პირის იდენტიფიკაციას ისე, რომ საერთოდ არ გვაქვს ისეთი ინფორმაცია როგორცაა მისი სახელი და გვარი.

პირი ითვლება იდენტიფიცირებადად, თუ არსებული მონაცემები არ არის საკმარისი და არ იძლევა საშუალებას მისი იდენტიფიცირების, მაგრამ მცირედი ინფორმაციის მოპოვებით ეს სრულიად შესაძლებელი იქნებოდა.



განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ცნება

დღეს მოქმედი კანონი გთავაზობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ცნებას, რომელიც უკავშირდება პირის:

- პოლიტიკურ შეხედულებებს;
- რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას;
- პროფესიული ორგანიზაციის წევრობას;
- რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს;
- ჯანმრთელობის მდგომარეობას;
- სქესობრივ ცხოვრებას ან ნასამართლობას, ასევე ბიომეტრიულ მონაცემს, რომლითაც პირის იდენტიფიცირება შესაძლებელია ზემოაღნიშნული ნიშნებით.

სიახლეს წარმოადგენს ბიომეტრულ მონაცემთა ცნებაც, რომელიც უნიკალური და მუდმივია ფიზიკური პირებისათვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. მასში წარმოდგენილია ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევითი ისეთი მახასიათებლები როგორცაა, მაგალითად: თითის ანაბეჭდი, თვალის ფერი, დნმ-ის კოდი და ა. შ.

მონაცემთა ასეთ კატეგორიებად დაყოფა უკავშირდება მისი დამუშავების რეჟიმს. ვინაიდან, განსაკუთრებული და ბიომეტრული მონაცემები ეხება მგრძობიარე სფეროს, საჭიროა მისი დამუშავება მოხდეს დიდი სიფრთხილით.

დაწესებულებამ შესაძლოა დაამუშაოს, ასევე გასცეს პირის რელიგიურ და პოლიტიკურ მრწამსთან ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად

ართულებს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას და ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც ამ სფეროში არსებობს. შედარებით საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან, საჯარო დაწესებულებას ეკრძალება არამართო გასცეს ინფორმაცია სხვა პირზე, არამედ ეკრძალება სენსიტიური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვაც კი.

„მონაცემთა დამუშავების“ ცნება კანონში განსაზღვრულია და იგი მოიცავს: **მონაცემთა გავრცელებას და გადაცემას.**

ამ ტიპის მოქმედებებს უნდა გააჩნდეს უფრო მყარი გარანტიები და არ უნდა სარგებლობდეს დაცვის თანაბარი მექანიზმებით დამუშავების სხვა სახეების მსგავსად, ისეთების როგორცაა: ჩანაწერის გაკეთება, შეგროვება, შენახვა, ორგანიზება, გამოყენება, შეცვლა, კომბინაცია, დაჯგუფება, ბლოკირება და განადგურება.

ასევე საყურადღებოა და ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ კანონი არ მიჯნავს კერძო და საჯარო პირების მონაცემების დაცვის რეჟიმებს. მაგალითად, ინფორმაცია ხელფასის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საჯარო მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილების შესრულებასთან. გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტები, რომელიც არსებობს დემოკრატიულ ქვეყნებში, იძლევა იმის საშუალებას, რომ მითითებული მონაცემი იყოს საჯარო მოქალაქისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფიდენციალურობის რეჟიმი ამ კატეგორიის მონაცემებზე არ უნდა გავრცელდეს.

როგორც უკვე ითქვა, ამ კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი ასევე ვრცელდება კერძო სექტორზე. თუმცა იგი არ მოიცავს ყველას და ყველაფერს. კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როგორებიცაა:

- ფიზიკური პირის მიერ მონაცემების პირადი მიზნებისთვის დამუშავება, როცა აღნიშნული არ ეხება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას. მაგალითად, პირი ამუშავებს

მეგობრების დაბადების დღეების მონაცემებს და აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს, თუნდაც ელექტრონული ფორმით და ათავსებს სოციალურ ქსელში ან, როცა ახლობლების მისამართებს ვამუშავებთ ასევე ელექტრონული ფორმით და ა. შ.

- ნაწილობრივ დარეგულირებული სფეროები, მათი სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევებში საჭიროა განსხვავებული მიდგომები, ვინაიდან საკითხი ეხება ისეთ საქმიანობას, როგორცაა მონაცემთა დამუშავება ლიტერატურული ან ჟურნალისტური მიზნებისათვის.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რა მიზნით ხდება ინფორმაციის დამუშავება. მაგალითად, თუ ინფორმაცია მუშავდება სასამართლოში საქმის წარმოებისთვის სახელმწიფო საიდუმლოების საკითხებზე ან საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით, მაშინ ეს კანონი არ ვრცელდება ამ სახის ინფორმაციის დამუშავებაზე.

კანონი აყალიბებს ძირითად პრინციპებს, რომლითაც მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე უნდა იხელმძღვანელოს მონაცემთა დამუშავებელმა. კერძოდ, დაცული უნდა იქნას მონაცემთა დამუშავების შემდეგი პრინციპები:

ა) მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად, სამართლიანად და კანონიერად უნდა დამუშავდეს მონაცემები;

ბ) მკაფიოდ განისაზღვროს ის კანონიერი მიზანი, რისთვისაც ხდება მონაცემების დამუშავება;

გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კანონიერი მიზნის მისაღწევად. მიზნის ადეკვატურად და პროპორციულად.

დ) ზუსტი და ნამდვილი უნდა იყოს მონაცემები. თუ ისინი მცდარია ან არაზუსტია უნდა გასწორდეს დაუყოვნებლივ. დაბლოკვას, წაშლასა და განადგურებას ექვემდებარება ყველა ის მონაცემი, რომელიც

კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული ან დამუშავების მიზნის შეუსაბამოა.

ამ დებულებით ხდება იმ შემთხვევების შეზღუდვა, როცა შესაძლოა მონაცემები დამუშავდეს გაუზრებლად ან არააუცილებლობით. შესაბამისად, თითოეული დაწესებულება, რომელიც აგროვებს ან ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, ვალდებულია განსაზღვროს, თუ რა მიზნით იყენებს მის ხელთ არსებულ მონაცემებს. მიზანი უნდა იყოს კანონიერი, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი არსებობა არაა საკმარისი, დამუშავებელს უნდა ჰქონდეს კანონიერი უფლება მიაღწიოს ამ მიზანს.


მონაცემების შენახვის ვადა დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე. მიზნის მიღწევის შემდეგ კი მონაცემები, უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახულ იქნას პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

ეს დებულება გვეუბნება, რომ სანამ არ იქნება მიღწეული მიზანი, რის გამოც ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, მანამდე ეს მონაცემები პირის იდენტიფიკაციის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ამ დროს უმნიშვნელოვანესია მოხდეს მიზნის სწორი გააზრება. არის შემთხვევები, როცა მონაცემის შეგროვება ხდება არა ერთი კონკრეტული, არამედ რამდენიმე მიზნის მისაღწევად, რომლის გარკვეული ნაწილი შესაძლოა მიღწეულ იქნას მონაცემთა შეგროვებისთანავე, ან რამდენიმე წელიწადში. შესაძლოა არსებული მიზნიდან გამომდინარე, საჭირო გახდეს მონაცემის 100-წლიანი ვადით შენახვაც. მაგალითად, როცა სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ახდენს პირის მისამართზე რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის გაცემისას მონაცემთა დამუშავებას.

ამ დროს მონაცემთა შეგროვება და შემდგომ მისი დამუშავება ხორციელდება რამდენიმე მიზნით:

- პირის დასარეგისტრირებლად და პირადობის მოწმობის გასაცემად;

- პირადობის მოწმობის მონაცემთა გადასაცემად ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, რომელიც ამ მონაცემებს გამოიყენებს საარჩევნო სიის ფორმირებისათვის;
- მაიდენტიფიცირებელი მონაცემების – პირადი ნომრის, გვარისა და სახელის სხვა საჯარო დაწესებულებისათვის გადასაცემად, რომლებსაც ეს მონაცემები მათზე დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად უნდა გამოიყენონ.



მონაცემთა შეგროვების მიზნები

არსებული ჩამონათვალიდან პირველი მიზნის მიღწევა შესაძლებელია მონაცემთა დამუშავებიდან 10 დღეში; მეორე მიზანი – 5 წელიწადში მიიღწევა; ხოლო მესამე მიზანი იარსებებს პირის გარდაცვალებამდე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული ნაწილი არსებული მონაცემებიდან შესაძლოა შენახული იქნას უვადოთ. ასე, მაგალითად, პირადი ნომერი, რომლის შენახვაც უბრუნველყოფს სისტემის უსაფრთხოებასა და მის მოწესრიგებულ მუშაობას.

კანონში ასევე მკაფიოდ არის გაწერილი დამმუშავებლის ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მან უნდა მიიღოს ტექნიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ზომები, რითაც დაცული

იქნება მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან. ასევე შეიზღუდება მისი გამჟღავნების და რაც მთავარია უკანონო დამუშავების ფაქტები.

დამუშავების ამ ვიწრო გეგმის არსებობით არ შემოიფარგლება დამმუშავებლის პასუხისმგებლობა. მის მიერ მიღებული ზომები უნდა იყოს იმ რისკების ადეკვატური, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან. დამმუშავებლის მიერ უნდა იქნეს ისეთი პირობები უზრუნველყოფილი, რომ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა არ განხორციელდეს სხვა პირთა მხრიდან ან სულაც შემთხვევით.

კანონის მე-5 მუხლი აცალიბებს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, კერძოდ, ზოგად და კონკრეტულ წესებს. ზოგიერთი დებულება ცალსახად ანიჭებს ამა თუ იმ პირს ან დაწესებულებას დისკრეციის უფლებას, რაც შესაძლოა გამოეყნებულ იქნას სულ სხვა მიზნებისათვის. მიუხედავად ამისა აღნიშნული საფუძვლები გაგებული უნდა იყოს ძირითადი პრინციპების ჭრილში, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს დამმუშავებელმა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე.

ასე, მაგალითად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონის მიხედვით შესაძლებელია, თუ „მონაცემთა დამუშავება ხდება კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად“. თავად ტერმინი „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნები“ შეუსაბამოდ ფართო მნიშვნელობისა და შესაბამისად კანონში უნდა მოხდეს ლეგიტიმური მიზნის ზუსტი ასახვა, რომლის მიხედვითაც შემდგომში მოხდება მონაცემების დამუშავება.


კანონის მიხედვით, თუ სუბიექტის თანხმობა არსებობს მისი მონაცემების დამუშავება შესაძლებელია. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, თანხმობა შესაძლოა იყოს ზეპირი ფორმითაც მოპოვებული.

იმდროს, როცა დამუშავებასაჯარო დაწესებულებაში ხორციელდება მისი რეგულაცია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით

ხდება. კერძოდ, პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოხელეს.

ასევე ეს კანონი ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოსათვის მონაცემთა გადაცემის სამ საფუძველს:

- თანხმობა, რომელიც გაიცემა მონაცემთა სუბიექტის მიერ;
- პერსონალური მონაცემების გადაცემა დასაშვებია თუ დაცულია მისი დამუშავების წესები კანონმდებლობით როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე სხვა სახელმწიფოში;
- მესამე ქვეყანას პერსონალური მონაცემები გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულება და ასევე ორმხრივი შეთანხმება.
- ასევე მონაცემთა გადაცემა უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიზანსა და შინაარსს.



სახელმწიფოსათვის მონაცემთა გადაცემის საფუძველები

მოქმედი კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

- ა) გვაქვს თანხმობა მონაცემთა სუბიექტისაგან;
 - ბ) კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებას;
 - გ) იმისათვის, რომ დამმუშავებელმა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება შეძლოს, საჭიროა მონაცემთა დამუშავება;
 - დ) მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად საჭიროა მონაცემთა დამუშავება;
 - ე) მონაცემთა დამმუშავებლისა ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად აუცილებელია მონაცემთა დამუშავება;
 - ვ) მონაცემთა სუბიექტმა კანონის თანახმად მონაცემები ხელმისაწვდომი გახადა ან ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია;
 - ზ) არსებობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი, რის დასაცავადაც აუცილებელია კანონის შესაბამისად მონაცემთა დამუშავება;
 - თ) იმისათვის, რომ თავად მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვა მოხდეს აუცილებელია მისი მონაცემების დამუშავება.
- „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია დამუშავების პრინციპები:
- ა) სამართლიანად და კანონიერად, სუბიექტის ღირსების შეუღახავად მონაცემების დამუშავება;
 - ბ) მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება.
 - გ) მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კანონისმიერი მიზნის მისაღწევად. ამასთან აუცილებელია პროპორციულობისა და ადეკვატურობის პრინციპის დაცვა;
 - დ) მონაცემების სიზუსტე და ნამდვილობა. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული მონაცემების წაიშალა, დაბლოკვა ან განადგურება;
 - ე) მონაცემების იმ ვადით შენახვა, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად. შენახვა დასაშვებია თუ მონაცემთა შენახვა

მოხდება პირის იდენტიფიცირების გამომრიცხველი ფორმით.

კანონი ასევე ითვალისწინებს რეესტრის არსებობას, რომელშიც აღრიცხული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებელი. აღნიშნული რეესტრი ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის და მასზე კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. პირადი ცხოვრების უფლებასა და მონაცემთა დამუშავებელ ორგანიზაციებს შორის არსებულ სამართლიანი ინტერესების ბალანსის გარანტიას ქმნის ის გარემოება, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე ერთდროულად უნდა იქნას უზრუნველყოფილი კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და შესაბამისი კანონიერი საფუძვლების დაცვა.

ჩატარებული შემოწმებების შედეგად, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა უამრავი განცხადება ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაუცველობა წარმოადგენს. ორგანიზაციებს არ აქვთ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების მკაფიო მიზნები, შესაბამისად, დამუშავება ხორციელდება არაადეკვატურად და არაპროპორციულად. ასევე, პრობლემებია იმ კუთხითაც, რომ არ ხდება მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრა.

მრავლად დაფიქსირდა ფაქტები როცა საჯარო და კერძო ორგანიზაციები ახდენდნენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებას. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებისას კი ხშირად ორგანიზაციები ვერ წარმოადგენენ მონაცემთა ფლობისა ან სხვაგვარი გამოყენების სამართლებრივ არგუმენტაციას, რაც საკმაოდ დიდი გამოწვევაა ქართული სახელმწიფოსათვის.

ცალსახაა ის გარემოება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ არსებობს


გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზებიც, რომლის აღმოფხვრა საჭიროა შესაბამისი ცვლილებებით კანონმდებლობაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მისია და ღირებულებები კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული.

ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ცნობს და იცავს სახელმწიფო. შესაბამისად, ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ეფექტური და ქმედითი მექანიზმებით დაიცვას თავი. სწორედ, ასეთი მექანიზმია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ამ უფლების დარღვევის პრევენცია. სამსახური საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებითა და ღირებულებებით:

- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს, თანამდებობის პირს და პოლიტიკურ ძალას;
- კანონიერება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონებით;
- ადამიანის თავისუფლებებისა და უფლებების პატივისცემა და დაცვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ცდილობს არსებული მექანიზმების გამოყენებით იზრუნოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე;
- სამსახური ხელმძღვანელობს დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპებით;
- ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების თავისებურებებსა და საჭიროებებს;
- სამართლიანობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. სამსახური ამ პრინციპების საფუძველზე საქმიანობს;
- მსხვერპლისა და განმცხადებლის ჩართულობა. საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე სამსახური უზრუნველყოფს განმცხადებლისა

და მსხვერპლის ჩართულობას და, ასევე, მათი ინტერესების დაცვას.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის საფუძვლები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ამოქმედდა 2022 წლის მაისიდან, იგი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამონაცვლეა, რომელიც, თავის მხრივ, 2013 წლიდან ფუნქციონირებდა. უნდა ითქვას, რომ ინსპექტორის სამსახური ანგარიშვალდებულება მხოლოდ პარლამენტის წინაშე და იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს. ამ სამსახურს საქმიანობის სამი მიმართულება გააჩნია:

- რამდენად კანონიერად ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავება;
- მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ერთიან ბანკში მიმდინარე აქტივობების კონტროლი;
- მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება.

ამ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს გააჩნია სხვადასხვა უფლებამოსილება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ახდენს ინსპექტირებას,

განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს, უწევს შესაბამის კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს და ზრუნავს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებაზე.

საქართველოს კანონმდებლობა ორიენტირებულია შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დამუშავების უზრუნველყოფასა და მონაცემთა დაცვის სპეციალიზებული სტრუქტურის უფლებამოსილებათა რეგლამენტაციაზე. ამასთან, გარკვეულწილად ასეთი მოდელი შეესაბამება წამყვანი ქვეყნების პრაქტიკას ამ სფეროში. მაგრამ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება ითხოვს „მონაცემთა დიდი მასივების“ (Big data) ტერმინოლოგიური და სამართლებრივი რეგულაციების თავისებურებათა გათვალისწინებას.

ტერმინი მონაცემთა დიდი მასივი გაჩნდა კლიფორდ ლინჩის სტატიაში, რომელიც ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნდა 2008 წელს. ეს არის ინფორმაციის დიდი მოცულობა უმეტესად უსისტემოდ შენახული. სტრუქტურირების შემთხვევაში იგი გარკვეულ სახეს იძენს. ამიტომ ამ ტერმინში აგრეთვე იგულისხმება ძიების და დიდი მოცულობის არასტრუქტურირებული ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია. ანუ ინფორმაცია და ტექნოლოგია, როგორც სხვადასხვა წყაროდან მიღებული დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების მეთოდი.

პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში ეს ტექნოლოგია ახალ რისკებს წარმოშობს. პერსონიფიცირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო საუბრებით, პრესაში გამოსვლებით, ინტერნეტით გადაცემული შეტყობინებებით და სხვა. ამ შემთხვევაში იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი უნდა დახასიათდეს, როგორც:

1. მონაცემთა სხვადასხვაობა (Variety);
2. დიდი მოცულობა (Volume);
3. ცვლილებათა მაღალი სიხშირე (Velocity).

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე შემუშავებულია GDPR აქტი, თავისი განსაკუთრებული ბუნებისა და ღირებულების

გამო მონაცემთა დიდი მასივები, ვფიქრობთ, დამოუკიდებელი რეგულირების საგანი უნდა გახდეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის წერტილოვანი მოდიფიცირება ამ სფეროში ეფექტური არ იქნება. ეს არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ციფრული აქტივების დაცვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონსტიტუციური რეგლამენტაციის საფუძველზე. კონსტიტუციურ რეგლამენტაციაში ვგულისხმობთ:

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტს, რომელიც ეხება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს — სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება — უნდა დაემატოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და პერსონალურ მონაცემთამიმოქცევა“. ასეთი წინადადება მომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი სახელმწიფოა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ერაში კი პერსონალური მონაცემების მიმოქცევა მხოლოდ სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს.


თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი ასევე უნდა გახდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიის საგანი.

1.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკური მექანიზმები

პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური მექანიზმებია:

- ფიზიკური – რომელიც ბლუდავს ინფორმაციის მატარებელთან შეღწევის შესაძლებლობას;
- აპარატურა – აქტიური (ელექტრომაგნიტური გენერატორების ხმაური, ვიბროაკუსტიკური დაცვა) და პასიური (ეკრანები და ფილტრები, დამატებითი დამიწების სისტემები);

- პროგრამული უზრუნველყოფა – ანტივირუსული პროგრამები, მონაცემთა დაშიფვრის პროგრამული უზრუნველყოფა (კრიპტოგრაფიული პროგრამა).



მონაცემთა დაცვის მექანიზმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკური მექანიზმები შეიძლება იყოს აქტიური, პასიური და ორგანიზაციული. პასიური მექანიზმები, როგორც წესი, დიდ კაპიტალდაბანდებასა და დამუშავების ცენტრის სერიოზულ გაუმჯობესებას ითხოვს. თუმცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხელმისაწვდომია ისეთი ტექნიკური მექანიზმები, როგორცაა: ელექტრონული ქსელის ფილტრები; გამანაწილებელი ელექტრომიტები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტიური მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საინფორმაციო სისტემის კონტროლირებადი ტერიტორია აღემატება ობიექტის ფართობს ან როდესაც პასიური საშუალებების გამოყენება ეკონომიკურად მიუღებელია ან ტექნიკურად შეუძლებელია. აქტიური მეთოდებს ეკუთვნის: ხმაურის გენერატორები აკუსტიკური ინფორმაციის დასაცავად (ოფისებში, შეხვედრების ოთახებში, ოფისებში, ყურსასმენის გამოყენებისას); პულსის გენერატორები ჩაშენებული მოწყობილობების (შეცდომების) განადგურების მიზნით; ხმის ჩამწერების ელექტრომაგნიტური ან ულტრაბგერითი ჩახშობა და სხვ.

რაც შეეხება პროგრამულ მექანიზმებს, ყველაზე გავრცელებული ფორმაა პერსონალურ მონაცემთა კრიპტოგრაფიული დაცვა. ამ მიმართულებით საკმაოდ საინტერესო დისერტაციებია დაცული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მაგალითისთვის დავასახელებ მალხაზ ჭელიძის სადოქტორო დისერტაციას კრიპტოსისტემისა და ციფრული ხელმოწერის ალგორითმების სინთეზისათვის.

კრიპტოგრაფია ინფორმაციის კონფიდენციალურობის საშუალებაა. იგი მოიცავს თანამედროვე მათემატიკის, ფიზიკის, რადიო ელექტრონიკის, ინჟინერიისა და სხვა დარგების დარგთაშორის კვლევის შედეგად მიღებულ ტექნოლოგიას. მისი დანიშნულებაა გადაცემული ინფორმაციის დაშიფვრა, რათა ინფორმაციის შინაარსი გაუგებარი დარჩეს მესამე პირებისთვის.

თანამედროვე კრიპტოგრაფია არის ცოდნის ის სფერო, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის უსაფრთხოების ისეთი პრობლემების გადაწყვეტასთან, როგორცაა კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ავთენტურობა და სხვ. ინფორმაციის ურთიერთქმედების ამ უსაფრთხოების მოთხოვნების მიღწევა კრიპტოგრაფიის მთავარი მიზანია.

ამ სფეროში საქართველოში მოქმედებს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონისა და ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ კანონით განსაზღვრული სტანდარტები.

მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard — DES), გაუმჯობესებულ (Advanced Encryption Standard — AES) სტანდარტთან ერთად ერთ ბლოკს (3 DES) რომელიც ფართოდ გამოიყენება ქართულ სინამდვილეში. იგი ეფუძნება ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დირექტივას.

გარდა ამისა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 დეკემბრის

№10 დადგენილება საქართველოში ნატო-ს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პასუხისმგებელი ორგანოებისა და მათი საქმიანობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ, მოცემულია როგორც უშუალოდ NATO-ში, ასევე, NATO-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები და სტანდარტები. სისტემის გამართულობა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა მოწმდება NATO-ს უსაფრთხოების ოფისის (NOS) მიერ.

გავაანალიზოთ რისთვისაა საჭირო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკური მექანიზმები. დავუბრუნდეთ პერსონალურ მონაცემთა იდენტიფიცირების კრიტერიუმს. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ჩვენ მიერ დასახელებული მონაცემთა დიდი აქტივების დამუშავების დროს შესაძლებელია სულ სხვა ხელში აღმოჩნდეს და სახელმწიფომ ვერ უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქის შესახებ ინფორმაციის დაცვა.

„პერსონალური მონაცემი“, ევროპელი კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ესაა ინფორმაცია პირის შესახებ, რომლის ვინაობა შეიძლება დადგინდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად. პირი, რომლის შესახებ მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება, წარმოადგენს „მონაცემთა სუბიექტს.“

უნდა ითქვას, რომ პირადი ცხოვრების დაცვის უფლებიდან წარმოიშვა მონაცემთა დაცვის უფლება, ხოლო თავად კონცეფცია პირადი ცხოვრების შესახებ ადამიანებთან არის კავშირში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემთა დაცვის ბენეფიციარებად გვევლინებიან ფიზიკური პირები. ამასთან, მუხლი 29 სამუშაო ჯგუფის მოსაზრების თანახმად, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლით მხოლოდ ცოცხალი ინდივიდი არის დაცული. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, ადამიანის უფლებათა

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, რთულია პირადი და პროფესიული ცხოვრების სრული განცალკევება.

თუ პროფესიული და პირადი ცხოვრების გამიჯვნა რთულია, მაშინ ისმის შეკითხვა — სარგებლობს კი ამ უფლებით მხოლოდ ფიზიკური პირი? კონვენციებში საუბარია არა მხოლოდ ფიზიკურ პირზე, არამედ იურიდიულ პირებზეც მოცემული უფლების ჭრილში, ხოლო ევროპულ სასამართლოში კი არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც განხილულ იქნა იურიდიული პირების განცხადებები კონვენციის მე-8 მუხლის კონტექსტში. ნაცვლად პირადი ცხოვრებისა, სასამართლომ საქმე განიხილა მიმოწერისა და საცხოვრებლის უფლების დაცვის მიმართულებით.

მონაცემთა დაცვის უპირველესი სუბიექტები არიან ფიზიკური პირები, მაგრამ 108-ე კონვენცია არ ზღუდავს სახელმწიფოებს შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები გაავრცელონ იურიდიულ პირებზეც. ევროპული კანონმდებლობა ზოგადად არ ითვალისწინებს იურიდიული პირების დაცვას მონაცემთა დამუშავების მიმართულებით, მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლები არ არიან შეზღუდულები ამ საკითხის რეგულირებისას.

ევროპული სტანდარტით, ინფორმაცია პირის შესახებ მონაცემებს შეიცავს, თუ:

- პირი ამ ინფორმაციაში არის იდენტიფიცირებული; ან
- პირი არ არის იდენტიფიცირებული, მაგრამ აღწერილია ამ ინფორმაციაში იმგვარად, რომ არსებობს მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დადგენის საშუალება, შემდგომი ძიების შედეგად.



უნდა ითქვას, რომ ევროპული სამართლით ორივე ინფორმაციის სახეობა ერთნაირად არის დაცული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, პერსონალური მონაცემის ცნება მსგავსია 108-ე კონვენციით მოცემული ანალოგის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეხება იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი პირების საკითხს.

პერსონალური მონაცემის სამართლებრივი განმარტებები აღარ აკონკრეტებს თუ როდის არის პირი იდენტიფიცირებული. ამჟამად იდენტიფიკაცია მოითხოვს იმ ელემენტებს, რომლითაც შესაძლებელია პიროვნების აღწერა იმგვარად, რომ იგი იყოს გამორჩევადი სხვა დანარჩენი პირებისგან და ამოცნობადი, როგორც ინდივიდი. ამგვარი აღწერის უპირველეს მაგალითად შესაძლოა განვიხილოთ პიროვნების სახელი. საჯარო პირების შემთხვევაში კი საკმარისია მხოლოდ მათი თანამდებობის მოხსენიება.

ჩვენ ვიცით, რომ სახელი არ არის საკმარისი იდენტიფიკაციისთვის, ვინაიდან იგი არ არის უნიკალური, ამ დროს ჩვენ გვჭირდება დამატებითი მონაცემები. ამ დროს გამოიყენება დაბადების თარიღი/ადგილი, შესაძლოა პერსონიფიცირებული ნომრის მოძიება პირის

დასადგენად, ასევე ბიომეტრული მონაცემი (თითის ანაბეჭდები, ციფრული ფოტოები ან თვალის ბადურის სკანირება).

იმისთვის, რომ ევროპული კანონმდებლობა მოვიდეს მოქმედებაში სრულებით საკმარისია პირის მარტივი იდენტიფიცირება და აუცილებლობას არ წარმოადგენს მისი მონაცემების სრულყოფილი დამუშავების ფაქტის არსებობა. პიროვნება ითვლება იდენტიფიცირებაუნარიანად თუ ინფორმაციის ნაწილი შეიცავს იდენტიფიკაციის ელემენტებს, რის ფარგლებშიც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება, პირდაპირ ან არაპირდაპირ. მონაცემთა დაცვის დირექტივის პრეამბულის 26-ე პუნქტის მიხედვით მთავარია იდენტიფიცირების საშუალებები იყოს ადვილად ხელმისაწვდომი სავარაუდო მომხმარებლისათვის.

იდენტიფიცირების სტანდარტები იგივენაირად არის აღქმული ევროპის საბჭოს კანონმდებლობითაც. მაგალითად, საგადასახადო მონაცემთა შესახებ რეკომენდაციის, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, ადგენს, რომ პიროვნება არ უნდა იქნეს მიჩნეული იდენტიფიცირებაუნარიანად თუ იდენტიფიცირება მოითხოვს არაგონივრულად დიდ დროს, ხარჯებს ან ძალისხმევას.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების ევროპული სტანდარტების შესაბამისი რეგულირებისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რაც მიგვაჩნია პროგრესულ ნაბიჯად ქართული საკანონმდებლო რეალობისთვის. თავად კანონის მოქმედების არეალი ფართოა, ვინაიდან იგი თანაბრად ეხება საჯარო და კერძო სექტორს, რაც მის მნიშვნელობას დამატებით ზრდის.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა უსაფრთხოება საქართველოში მოწმდება NATO-ს სპეციალური სამსახურის მიერ და კანონმდებლობა შეძლებისდაგვარად არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა

კიბერუსაფრთხოების საკითხებს, მონაცემთა გაჟონვის ფაქტები საკმაოდ დიდია.

ამ სფეროში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მონიტორინგისა და დაშვების რეჟიმების დაწესებასთან ერთად აუცილებელია დამატებითი ღონისძიებები. როგორცაა უსაფრთხოების ალიანსში გაერთიანება (Cloud Security Alliance) და ოთხ მიმართულებაზე ორიენტირება: ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, მონაცემთა მართვა, რეაგირების პროცედურები.

თავი 2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ტექნიკური პრობლემები

2.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თავისებურებები ტექნოლოგიური განვითარების პროცესში

2015 წლის მაისში ევროკომისიის მიერ შემუშავებულ იქნა სტრატეგია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის შექმნის შესახებ – Digital Single Market, რომელიც ორ მთავარ მიმართულებას ეფუძნება: მეტი წვდომა ციფრულ პროდუქტებსა და მომსახურებებზე და ინოვაციური სერვისებისთვის გარემოს შექმნა. სტრატეგიაში ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოქმნილი რისკების შესამცირებლად მიღებულია ევროპული რეგულაცია (GDPR). თავისთავად იდეა მომხიბვლელია როგორც ბიზნესისთვის, ასევე კერძო პირებისთვის. მაგრამ ამ სფეროს უსაფრთხოების ზომების გააზრების გარეშე მიღება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. მაგალითად: საქართველოში იუსტიციის სისტემაში არსებულმა საჯარო რეესტრმა 2016 წელს დაიწყო უძრავი ქონების რეგისტრაციის ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საცდელი პროექტი. თუმცა, უნდა ითქვას რომ, ამ პროექტს თავისი უარყოფითი თვისებები გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე. მონაცემები, რომლებიც ბლოკჩეინში მოხვდება სამუდამოდ ინახება იქ. ამიტომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებას აზრი მხოლოდ იმ ამოცანების გადასაწყვეტად აქვს, როცა მონაცემები მოძველებულია და ისინი ვარგისი აღარაა გამოსაყენებლად. არსებობს თაღლითური სქემების მაღალი რისკიც. ბლოკჩეინთან დაკავშირებული ურთიერთობები არ თავსდება კანონმდებლობის რეგულაციაში, ამიტომ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლების დაცვის ამოცანების

გადასაწყვეტად არსებობს მისი დაუცველობის დიდი რისკი. ამიტომ, რომ ეს ტექნოლოგია მსოფლიოში მხოლოდ კრიპტოვალუტის სფეროში გამოიყენება.

საქმე ისაა, რომ დროთა განმავლობაში ტექნოლოგიურ განვითარებას ვერცერთი სფერო ვერ ასცდება, სწორედ ამიტომ, კიდევ უფრო საჭირო ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების მიზნით უნდა შეიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება;
- მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა – ინტეგრაცია, კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, მონაცემებთან დაშვების პოლიტიკა;
- მონაცემების მართვა. მონაცემთა საცავის დაცვა, მონაცემთა ბაზის გასაღების მართვა;
- სისრულე და რეაგირების პროცედურები. ბაზებთან მავნე ქმედების გამოვლენის ანალიტიკა, საფრთხეების გამოვლენა და რეაგირება, ანალიტიკის შედეგების უსაფრთხოება.

ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება

მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა

მონაცემების მართვა

სისრულე და რეაგირების პროცედურები

მონაცემთა დაცვის სტრატეგია

მონაცემთა დიდი მასივების დამუშავება სპეციალიზირებული გადაწყვეტილებების არსებობას საჭიროებს. მართალია, არსებობენ ისეთი კომპანიები, რომლებიც უნივერსალური პლატფორმისა და მონაცემთა დაცვის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობებს სთავაზობენ საზოგადოებას (Apache Software Foundation, Informatica, HPE, Gemalto, Imperva და სხვ.), მაგრამ ამ სფეროში საქმიანობის კომპლექსური ხასიათის გამო, ასეთი შემთავაზებები მხოლოდ ვარიანტულია და კონკრეტულ შემთხვევებში სპეციალურ დამუშავებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ყურადღებაამისაქცევია დიდ მონაცემთა დაცვის პრაქტიკა. კერძოდ, ქსელური და ინფორმაციული უსაფრთხოების ევროპულმა სააგენტომ (European Union Agency for Network and Information Security, ENISA) გამოსცა აქტი (Big Data Threat Landscape and Good Practice) ამ სფეროში საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რომელშიც მოცემულია მოსალოდნელი საფრთხეები და მათი დაძლევის რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ წინააღმდეგობას ამ მიმართულებით წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ექსპერტიზის არარსებობა და პროექტირებული სისტემის მონიტორინგისა და დაცვის ღონისძიებების საოპერაციო ხარჯები. სწორედ ამიტომ, მონაცემთა დიდი მასივების დამუშავების პროექტის რეალიზების ეფექტურობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაზე, რაც, თავის მხრივ პროექტის ვადებსა და დაცვის სისტემის რეალიზაციის ხარჯებს ზრდის.

2.2. საერთაშორისო სტანდარტები და მათი მნიშვნელობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს

პერსონალური მონაცემების დამცავი საერთაშორისო მექანიზმების წარმოშობა პირდაპირ ბმულია ტექნოლოგიურ პროგრესთან, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარისხი

განაპირობა მეოცე საუკუნის ტექნოლოგიურმა მიღწევებმა. ამ მიმართულებით პირველი შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები მიღებულ იქნა შვედეთის, გერმანიისა და საფრანგეთის მიერ. სწორედ, მათ მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები ითვლება პირველი თაობის რეგულაციებად ინდივიდის ინფორმაციის მიმართულებით, შემდგომში მას ასევე მოჰყვა უკვე კოლექტიური აქტი ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია.

1970 წელს ჰესეში (გერმანია) მიღებული აქტი ითვლება პირველ დოკუმენტად, რომელმაც აქცენტი გააკეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. მისი მიზანი იყო ციფრული მასალების დაცვა საჯარო უწყებებში, რათა არ მომხდარიყო მათი უნებართვოდ გამოყენება. მიუხედავად პროგრესულობისა, დოკუმენტში არ იყო ასახული ისეთი პრობლემა როგორცაა პერსონალურ მონაცემთა მოპოვება და შენახვა. ამ კანონის მთავარ მიღწევას კი წარმოადგენდა მოქალაქეთა მონაცემების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის, პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის შემოღება. 1973 წელს მსგავსი რეგულაცია მიიღო შვედეთმა, 1977 წელს გერმანიის ფედერაციამ, ხოლო 1978 წელს საფრანგეთმა.

უნდა დავასახელოთ 1980 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული აქტი პირადი ცხოვრების დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის თაობაზე, რომელთაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ - OECD Guidelines on the Protection of Privacy and Transborder Flows of Personal Data. ამ აქტს იმ პერიოდისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ საერთაშორისო კონსენსუსს, რომლის მიხედვითაც პერსონალურ მონაცემთა გადაადგილება სახელმწიფოებს შორის ხორციელდება დადგენილი წესების დაცვით. მისი მოქნილი მექანიზმები ერგება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს. ასევე დოკუმენტის გამოყენება ხდება შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციურ


მექანიზმებში.

აღნიშნულ რეკომენდაციაში საუბარია რვა პრინციპზე, ესენია:

- სამართლიანობა, კანონიერება, პერსონალურ მონაცემთა მოპოვება სუბიექტის თანხმობით;
- მიზნობრივი დამუშავების პრინციპი;
- პროპორციულობა;
- მიზანთან შეუთავსებელი დამუშავების დაუშვებლობა;
- პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოდ შენახვა;
- ინდივიდის მონაწილეობა პროცესში;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესების შესახებ;
- ანგარიშვალდებულება დამუშავების წესების დაცვის თაობაზე.

1981 წლის 28 იანვარს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საერთაშორისო აქტი მიიღო ევროპის საბჭომ, სადაც საუბარია მონაცემთა დაცვის ზოგად პრინციპებზე. ამ აქტის საფუძველზე იქმნება კონკრეტული რეგულაციები. ეს დოკუმენტი მოიხსენიება, როგორც 108-ე კონვენცია და შეიცავს იმ წესებს, რომელიც უნდა იქნას დაცული საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვისას. მასში მოცემული წესი იცავს ინდივიდს არ მოხდეს მისი მონაცემების უსაფუძვლოდ შეგროვება და შემდგომში მისი გადაცემა. 108-ე კონვენციას უნიკალურს ხდის ის ფაქტი, რომ მისი რატიფიცირება შეუძლია არაევროპულ ქვეყნებს

საც.



OECD-ის რეკომენდაციები

2005 წლის 28 ოქტომბერს მისი რატიფიცირება მოხდა საქართველოს პარლამენტში. საინტერესოა თავად კონვენციის დებულებები, კერძოდ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული ტერმინთა განმარტებები პერსონალური მონაცემის, ავტომატური დამუშავებისა და დამმუშავებლის შესახებ.

მოცემულია მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის სამართლებრივი მექანიზმები წევრი ქვეყნების ფარგლებში. კონვენციის დამატებითი ოქმი ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზღვარგარეთე ორგანოს შექმნის ვალდებულებას ხელმომწერ წევრ ქვეყნებში (ოქმი რატიფიცირებულია 2013 წლის 27 ივლისს).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სადირექტივო სისტემაში ცალკე უნდა დავასახელოთ 1995 წლის 24 ოქტომბერს 95/46/EC დირექტივა, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების

და ამ მონაცემთა თავისუფალი გადინებისას ფიზიკურ პირთა დაცვას. მისი მთავარი ფუნქციაა გააძლიეროს 108-ე კონვენციით დადგენილი პრინციპები. 2001 წელს 108-ე კონვენციის დამატებით, გაჩნდა ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე საზედამხებდველო ორგანოს შექმნისა. აღნიშნული დირექტივა დღემდე მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც ევროპული ეკონომიკის ზონის ქვეყნებზე ვრცელდება (EEA). მასში 108-ე კონვენციისგან განსხვავებით, უფრო დეტალურადაა განმარტებული საკვანძო საკითხები. მაგალითად: უფლებამოსილი პირის, მესამე პირის, აგრეთვე მონაცემთა მიმღებისა და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის განმარტებები. მასში საუბარია ასევე სენსიტიურ და არასენსიტიურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებზე. დირექტივაში მითითებულია ის მონაცემები, რაც უნდა მიეწოდოს იმ პირს ვის შესახებაც მიმდინარეობს პერსონალური ინფორმაციის შეგროვება. შეჯამების სახით კი უნდა ითქვას, რომ დირექტივა გვაძლევს სუბიექტის უფლებათა ჩამონათვალს და მისი რეალიზების ხერხებს. ასევე მასში გაწერილია ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტები, რომლებიც მკაცრად უნდა დაიცვან დოკუმენტის დამუშავებლებმა. დებულებებში გამოირჩევა ისეთი რეგულაციებიც, როგორცაა საზედამხებდველო ორგანოს შექმნის ვალდებულება და ასევე არაწევრ ქვეყნებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემის სტანდარტები. დირექტივით განსაზღვრულია საკონსულტაციო ორგანოს შექმნისა და მისი მოქმედების არეალიც (Article 29 Data Protection Working Party). ამ ორგანოს როლი განუსაზღვრელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული ნორმების დახვეწაში.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ არის ევროდირექტივის საფუძვლზე შექმნილი. სწორედ ამ დირექტივის მიხედვით მოხდა გაწერა არსებული ტერმინოლოგიის, დამუშავების პრინციპების და საფუძვლების, მათ შორის, სენსიტიური და არასანსიტიური მონაცემებისთვის. მართალია,

დირექტივა საქართველოში არ მოქმედებს, მაგრამ მისი სტანდარტები მნიშვნელოვანია ჩვენი კანონმდებლობისთვის.

2018 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაცია - „General Data Protection Regulation“. ამ აქტის მიხედვით ხორციელდება ტექნოლოგიური მიღწევასა და ინდივიდის უფლებებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა. რეგულაცია ამკვიდრებს ისეთ პრინციპებს, როგორცაა მონაცემთა დამამუშავებლის ანგარიშვალდებულება, მონაცემთა პორტირება, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევის შეტყობინების ვალდებულება და სხვ. რეგულაცია არ საჭიროებს ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას, იგულისხმება, რომ ის წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს პირდაპირ. მის მიერ ხდება ერთიანი წესის განსაზღვრა, რაც სავალდებულოა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად და, შესაბამისად, გამორიცხავს სხვადასხვა მიდგომის არსებობას. რეგულაცია ცალსახად უმარტივეს მონაცემთა დამამუშავებელ ორგანიზაციებს ევროკავშირის მასშტაბით საქმიანობას. იგი ვრცელდება იმ ორგანიზაციებზეც, რომლებიც არ არიან ევროკავშირში რეგისტრირებულნი და ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს შემთხვევაშიც იგივე ხდება, ევროკავშირთან ბოლო წლების ურთიერთთანამშრომლობამ ამ რეგულაციის გავლენის ქვეშ მოახვედრა ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაცია. მნიშვნელოვანია ორგანიზაციების სწორი ინფორმირება, ვინაიდან თუ ისინი დაარღვევენ არსებულ მოთხოვნებს სანქციები ამ რეგულაციით სავალდებულოა.

ამრიგად, დასახელებული რეგულაციის გავრცელების საკითხის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისეთი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, როგორცაა ორგანიზაციას ვებგვერდის არსებობა ევროკავშირის რომელიმე ოფიციალურ ენაზე, პროდუქციის/ მომსახურების ფასის დადგენა ევროკავშირში მოქმედ ვალუტაში და სხვ.

2.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, საქართველო ვალდებულია იხელმძღვანელოს მონაცემთა დაცვის ევროპულ კავშირში მოქმედი სტანდარტებით (შეთანხმების I დანართი). ეს სტანდარტი მოცემულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის 95/46/EC დირექტივაში – პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ. აგრეთვე, 2008 წლის 27 ნოემბრის „სისხლის სამართლებრივ საკითხებზე პოლიციასა და სასამართლოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საბჭოს 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილება, 1987 წლის 17 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის NR (87)15 რეკომენდაცია, რომელიც პირდაპირ ეხება სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პერსონალურ მონაცემთა გამოყენების საკითხს.

ქართულ რეალობაში პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით არსებული აქტების ერთიან სივრცეში მოქცევა განხორციელდა 2011 წლის 28 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიღებით. აღნიშნული კანონი ევროპული სტანდარტის შესაბამისად, ითვალისწინებს ე. წ. „ქოლგის“ პრინციპს, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ იგი ვრცელდება ყველა სექტორზე. სწორედ ეს განსხვავებაა ამერიკულ და ევროპულ მოდელებს შორის, ამერიკული სამართალი არ ცნობს ისეთ რეგულაციებს, რომლებიც ერთნაირად არეგულირებენ როგორ საჯარო ასევე კერძო სექტორს.

აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ქართული მოდელი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა შეესაბამება დღევანდელ თანამედროვე სტანდარტებს, რითაც იგი ქმნის კარგ საბაზისო მაჩვენებლებს ამ მექანიზმების განსავითარებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად

ამ წარმატებისა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არ ხდება სათანადო ტემპებით.

2.4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შიდაორგანიზაციული პრობლემები

მოცემულ თავში წარმოდგენილია განვლილი წლების მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით, ასევე საუბარია ძირითად ტენდენციებზე, გამოწვევებზე, ზოგად სტატისტიკურ მონაცემებსა და გამოვლენილ პრობლემებზე. ასევე სტატისტიკასთან ერთად განხილულია ისეთი საკითხები რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

მოქალაქეთა მიმართვიანობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი ტრადიციულად მზარდი იყო წინა წლებთან შედარებით. 422-მა პირმა მიმართა აღნიშნულ სამსახურს, საიდანაც 242 მონაცემთა სუბიექტი იყო, ხოლო 175 დაინტერესებული პირი. მხოლოდ 5 პირმა მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ანონიმურად. 81% ეხებოდა კერძო სექტორში მონაცემთა დამუშავებას, 19% კი საჯარო უწყებებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მოახდინა მეტი ინსპექტირება სხვადასხვა უწყების, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში. 156 ინსპექტირებიდან 29% იყო თავად უწყების ინიციატივით ჩატარებული, ხოლო 71% განხორციელდა განცხადებებისა და შეტყობინების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების მიზნით, ჩატარებული ინსპექტირებები შემდეგნაირად გადანაწილდა: 41%-საჯარო დაწესებულებები, 35%-კერძო ორგანიზაციები, 24%-სამართალდამცავი ორგანოები.

ამ პერიოდში, გამოვლინდა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 135 ფაქტი. აქედან 27 ანუ 20% შემთხვევებისა ეხებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რაც გულისხმობს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობას; 25 ანუ 18% კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე მონაცემთა დამუშავებას ეხებოდა (43-ე მუხლი); 24 ანუ 18% შემთხვევაში, დარღვეული იყო მონაცემთა დამუშავების პრინციპები (44-ე მუხლი); 17 ანუ 12% შემთხვევებისა ეხებოდა ვიდეთვალთვალის წესების დარღვევას; 12-12 (9%) შემთხვევა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების გამოყენების წესების დარღვევასა და მონაცემთა დამუშავებლის მიერ მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდების წესების დარღვევას; ხოლო დანარჩენი შემთხვევები შემდეგნაირად გადანაწილდა: 9 (7%) – მონაცემთა დამუშავება კანონის დარღვევით უფლებამოსილი პირის მხრიდან; 4 (3%) – განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონიერი საფუძვლის გარეშე); 3 (2%) – იმ მოთხოვნათა შეუსრულებლობა, რომელიც გაიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ; 1-1 შემთხვევა კი ეხება შენობაში შესვლა-გამოსვლის თაობაზე მონაცემთა დამუშავების წესების დაუცველობას და მონაცემთა დამუშავებლის მხრიდან სხვა პირისთვის მონაცემთა დამუშავების დავალების წესების დარღვევას. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის შედეგად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ნახევარზე მეტ შემთხვევაში სახდელის სახით გამოიყენა ჯარიმა (52%-ი), ხოლო დანარჩენ 48%-ს მიეცა გაფრთხილება. შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 96 შემთხვევაში კერძო დაწესებულებას, ხოლო დანარჩენ 39 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებას და სამართალდამცავ ორგანოს.

ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხრიდან საკონსულტაციო საქმიანობის მაჩვენებლებმა, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ამ სამსახურის გარდაქმნით, კერძოდ, ფუნქციის დამატებითა და სახელწოდების ცვლილებით.

თავი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის ეფექტურობის კონტროლის მექანიზმები საქართველოში

3.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საფუძვლები

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს უფლებებს მონაცემთა სუბიექტს მოითხოვოს მის მონაცემთა: წაშლა, განადგურება, დაბლოკვა, დამატება, განახლება და გასწორება, ასევე მიიღოს ინფორმაცია მის მონაცემთა დამუშავებაზე, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ გაცემულ თანხმობაზე, რომელიც ეხება მისი მონაცემების დამუშავებას და ა.შ. ამ უფლებათა რეალიზება კი პრაქტიკაში ევალება მონაცემთა დამმუშავებელს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხრიდან შესწავლილ იქნა 21 საქმე, რომელიც ეხებოდა მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. მათგან 10 ეხებოდა საჯარო უწყებებს, ხოლო 11 კერძო კომპანიებს. განხილული შემთხვევებიდან 12 ფაქტზე გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

სულ 21 საქმე



სუბიექტის უფლებები

კანონის თანახმად, დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მონაცემთა სუბიექტისაგან მონაცემთა შეგროვებისას ვალდებულია თავად ამ მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის ან დამმუშავებლის

რეგისტრაციის მისამართი და ვინაობა; მიზანი რა მიზნითაც ხდება მონაცემთა დამუშავება; არის თუ არა მონაცემთა მიწოდება სავალდებულო თუ იგი ნებაყოფლობითია; სავალდებულობის შემთხვევაში უარის თქმა რა სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს; ასევე მიიღოს ინფორმაცია თუ რა სახის მონაცემები მუშავდება მის შესახებ, სურვილის შემთხვევაში მოითხოვოს მათი გასწორება, დამატება, განახლება, წაშლა, დაბლოკვა ან განადგურება. სხვადასხვა მასალის შესწავლამ ნათლად გამოავლინა ის გარემოება, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას არ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი ინფორმირება, ესეთი ფაქტები მრავლად გვხვდება მათ შორის გასაუბრებების დროს, ვიდეო-აუდიო ჩაწერისას. ინფორმაციის სათანადოდ არ მიწოდება ვლინდება ასევე კერძო კომპანიებშიც, კერძოდ, როცა მათი მხრიდან ხორციელდება ონლაინ მომსახურების გაწევა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების თაობაზე დამუშავებლისგან არ ხორციელდება, რაც მის უშუალო ვალდებულებას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაცემთა დამუშავებლის მხრიდან მონაცემთა სუბიექტის სათანადოდ არ ინფორმირება წარმოადგენს დიდ პრობლემას. შესაბამისად, ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მონაცემთა დამუშავებელმა:

- მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს მისი კანონით განსაზღვრული უფლებები მიუხედავად იმისა აღნიშნული მონაცემები გროვდება ონლაინ რეჟიმში თუ არა;
- მონაცემთა სუბიექტის უცილებლად უნდა იქნას გაფრთხილებული ვიდეო-აუდიო ჩაწერის თაობაზე;
- იმ შემთხვევაში თუ რაიმე სახის ინფორმაციას მოითხოვს მონაცემთა სუბიექტი მას დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს იგი მარტივი და გასაგები ენით;
- ხოლო მონაცემთა სუბიექტის უფლებათა შეზღუდვა უნდა

განხორციელდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ სახის შეზღუდვის განსახორციელებლად.

3.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტროლი ელექტრონულ სისტემებში მონაცემთა დამუშავების დროს

მონაცემთა ელექტრონულ სისტემებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შემთხვევები იზრდება ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებსა და კერძო ორგანიზაციებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავების პრობლემა ელექტრონულ სისტემებსა და მონაცემთა ბაზაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მონაცემთა დამუშავებლის მხრიდან მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ზომები მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. მონაცემები შემთხვევითი ან მიზანმიმართული განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი დაკარგვისაგან უნდა დაიცვას მონაცემთა დამუშავებელმა. ამ მიზნით მან უნდა განახორციელოს სპეციალური ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. რა თქმა უნდა, მიღებული ზომები უნდა იყოს რისკის ადეკვატური. როცა ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ ხორციელდება გარკვეული მოქმედებები ისინი დეტალურად უნდა იყოს აღრიცხული. ხოლო ის პირები ვინც მონაწილეობენ მონაცემთა დამუშავებაში ვალდებული არიან იმოქმედონ მხოლოდ იმ უფლებამოსილების არეალში, რაც მათთვის არის კონკრეტულად განსაზღვრული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა 24 შემთხვევა, რომელიც ეხებოდა ელექტრონულ ბაზაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას. აღნიშნული შესწავლის შედეგად, რომელთაგან 12 ჩატარდა საჯარო, ხოლო 12 კერძო სექტორში,

გამოვლინდა 18 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლისას, კერძო დაწესებულებებში გამოვლინდა, რომ ისინი:

- სხვადასხვა ელექტრონული საშუალებით, მათ შორის ვებგვერდის მეშვეობით ინახავენ იმაზე მეტი მოცულობის ინფორმაციას, ვიდრე ესაჭიროებათ შესაბამისი მომსახურების გასაწევად კონკრეტული მომხმარებლებისათვის;
- არ ხორციელდება იმ მოქმედებების აღრიცხვა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დადგინდეს თუ რა ინტენსივობით ან რამდენჯერ ხდება პირის მონაცემებთან წვდომა და გამოყენება;
- ასევე არ არის განსაზღვრული ვადა თუ რა ვადით ხორციელდება პირის მონაცემების შენახვა.

ეს პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევის შემდეგაც, ისე რომ არ გააჩნდეთ თავად მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.

საჯარო უწყებებში კი, სადაც დანერგილია ელექტრონული პროგრამები მონაცემთა დამუშავების პროცესში ვლინდება სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემა, კერძოდ: ფაქტიურად არ ხდება აღრიცხვა მონაცემებზე წვდომისა და დათვალიერების ფაქტების. ამის ნათელი მაგალითია თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, სადაც პროგრამაში ავტორიზებულ თითოეულ მომხმარებელს შეუძლია რეგისტრირებული ნებისმიერი საქმის მასალის მოძიება და დათვალიერება ისე, რომ არ ხდება ამ ფაქტების აღრიცხვა. რაც ქმნის რისკს, რომ არსებული მონაცემების დამუშავება შესაძლოა გასცდეს სამართალწარმოების ფარგლებს და იმ პირებმა, ვისაც აქვთ წვდომა ამ მონაცემებზე, გამოიყენონ იგი პირადი მიზნებისათვის, რაც სასამართლოში დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით სავსებით რეალურია.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციებისათვის

გამოწვევად რჩება კვლავ ისეთი საკითხები (მონაცემთა ბაზებში) როგორცაა:

- ვადის განსაზღვრა, რომლის შემდგომაც უნდა მოხდეს მონაცემთა წაშლა ან იდენტიფიცირების გამომრიცხველი ფორმით შენახვა;
- დასაქმებულ პირთა ცნობიერება.

ამ ეპოქაში რთულია აბსოლუტურად დაცულ იქნას პერსონალური მონაცემები, მაგრამ დამუშავებელმა უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული რისკი მინიმუმადე იქნება დაყვანილი. ამისათვის დაწესებულებებმა უნდა:

- შექმნან დოკუმენტი სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მონაცემთა დამუშავების შიდა ინსტრუქცია და უსაფრთხოების წესები;
- მხოლოდ სამსახურობრივი საჭიროებით უნდა მიანიჭონ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უფლება მათ თანამშრომლებს;
- მონაცემთა ბაზის ფორმირებისას უნდა მოხდეს მონაცემთა მიმართ ქმედებების აღმრიცხველი მექანიზმების დანერგვა;
- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის პასუხისმგებლობა, რაც შესაძლოა დაეკისროს დასაქმებულს მონაცემთა ბაზაზე არასანქცირებული წვდომისას;
- უნდა მოხდეს მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრა და ასევე ისეთი სისტემის დანერგვა რაც მათ ავტომატურად გაანადგურებს.

3.3. ვიდეთვალთვალის სისტემის კონტროლი

ვიდეთვალთვალის სისტემები უფრო ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქალაქეების მხრიდან, ასევე მას თავის საქმიანობის პროცესში იყენებენ სხვადასხვა დაწესებულებებიც. ამ სისტემებიდან მიღებული მასალის გამოყენება კი ხდება განსხვავებული მიზნებისათვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოვლენულ იქნა 48 შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების ვიდეოთვალთვალის სისტემებით დამუშავებასთან. შედეგად გამოვლენილ იქნა 17 სამართალდარღვევის ფაქტი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობა 12 შემთხვევაში დაეკისრა კერძო ორგანიზაციებს, ხოლო დანარჩენი გადანაწილდა საჯარო უწყებებზე.

საერთაშორისო პრაქტიკისა და რეკომენდაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მკაცრად არის შეზღუდული დასაქმების ადგილის მონიტორინგი. მიუხედავად ამ რეგულაციებისა, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მიზნები ვიდეოთვალთვალის საწარმოებლად, კერძო დაწესებულებებში მაინც ხშირია ამ სახის დარღვევები. პირის უსაფრთხოება, საკუთრებისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, აი ეს მიზნები უნდა იყოს კერძო კომპანიების მიერ დასახული ვიდეოთვალთვალისას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს უფლებას ფიზიკურ პირს ქონებისა და პირადი უსაფრთხოების მიზნით აწარმოოს ვიდეოთვალთვალის. თუმცა ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ამ სისტემის მოქმედების გავრცელება, მაგალითად, საკუთრების თანამესაკუთრებსა და, თუნდაც, იმავე ეზოს მაცხოვრებლებზე. შესაბამისად კვლავ გამოწვევად რჩება:

- ფიზიკური პირების მხრიდან კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალის წარმოება;
- აუდიო-ვიდეოთვალთვალის წარმოება დასაქმებულთა მიმართ კერძო დაწესებულებებში.

პირად ცხოვრებაში ჩარევის საკმაოდ ინტენსიურ ფორმას წარმოადგენს ვიდეოთვალთვალის, შესაბამისად, უკიდურესად აუცილებელია მოხდეს ამ მოქმედებების დადგენილი ნორმების შესაბამისად

შესრულება. კერძოდ:

- უნდა მოხდეს მონაცემთა დამუშავების ამ ფორმის გაანალიზება და თუ შესაძლებელია სხვა სახით მიზნის მიღწევა, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას ნაკლებად შემზღუდავი საშუალება;
- მიზნის პროპორციულად და შესაბამისი მოცულობით უნდა განხორციელდეს ვიდეთვალთვალი;
- თუ ვიდეთვალთვალი მიმდინარეობს სამუშაო ადგილას, მაშინ მნიშვნელოვანია ეს განხორციელდეს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და ასევე დასაქმებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

3.4. საქართველოში მონაცემთა გამჟღავნებისა და გასაჯაროების კონტროლის პრაქტიკის ანალიზი

მონაცემთა გასაჯაროებისა და გამჟღავნების შემთხვევები საკმაოდ ხშირად ვლინდება როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოცულობას ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის კუთხით. საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, რომელმაც გასაჯაროება/გამჟღავნების 46 საკითხი შეისწავლა, საიდანაც უმეტესი ნაწილი, კონკრეტულად 28 შემთხვევა, გამოვლინდა კერძო სექტორში. მხოლოდ 23 ფაქტზე გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

მსგავსი დარღვევები ასევე გამოვლინდა კერძო სექტორშიც. ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და საჭიროების გარეშე ხდება მონაცემების დამუშავება ორგანიზაციების მხრიდან. ისინი სხვადასხვა სახის ინფორმაციას იღებენ მომსახურების გაწევის პროცესში. მაგალითად: იყო ფაქტი, როცა ერთ-ერთმა კომპანიამ იმ პირის გასაჯაროების მიზნით, ვინც არაკეთილსინდისიერად ასრულებდა სახელშეკრულებო ურთიერთობით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე განათავსა ამ პირის

მონაცემები. ასევე საინტერესო ფაქტი იყო, როცა ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის დროს საჯაროდ სატელევიზიო ფორმატში გასცა დაზარალებული პირის განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემები.

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ მონაცემთა გასაჯაროების ფაქტის დასაბუთება უმეტეს შემთხვევაში ხდება მაღალი საჯარო ინტერესისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის საჭიროების მოტივით. ამ და სხვა ფაქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა განისაზღვროს:

- არის თუ არა მიზნის მისაღწევად აუცილებელი მონაცემთა გასაჯაროება;
- უნდა დადგინდეს ბალანსი მონაცემთა გასაჯაროებასა და სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლებას შორის;
- არსებობს კი საკმარისი საჯარო ინტერესი ინფორმაციის გასაჯაროებლად.

თავი 4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები დარგობრივი დამუშავების პროცესში

4.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ღონისძიებები ჯანდაცვის სფეროში და მათი თავისებურებები COVID-19 პანდემიის პირობებში

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომლის დამუშავება დასაშვებია, უსაფრთხოების სათანადო დაცვის ზომების, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მსგავსი ინფორმაცია ინახება და გროვდება უამრავ საჯარო თუ კერძო დაწესებულებაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისათვის სახელმწიფო დაწესებულებები ახდენენ ამ მონაცემების შეგროვებას, ხოლო კერძო დაწესებულებები მას იყენებენ მოქალაქეთა სამედიცინო და სადამოღვევო მომსახურების გაწევის პროცესის სამართავად. ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა დამუშავების 9 ფაქტი შეისწავლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, რომლის უმეტესი შემთხვევა დაკავშირებული იყო კერძო დაწესებულებებთან. პაციენტთა ერთიან ბაზაში, „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR)“, თავს იყრის უამრავი დოკუმენტაცია, სადაც ელექტრონულად არის აღრიცხული მოქალაქეთა მონაცემები. სადაც წარმოდგენილია ისეთი მასალები როგორცაა: დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, სისხლის ჯგუფი, ინფორმაცია გადატანილი დაავადებებისა და ქირურგიული ჩარევების, დაავადების ანამნეზის, ორსულობის, ლაბორატორიული გამოკვლევების, ქრონიკული დაავადებებისა და იმუნოზაციის შესახებ. როგორც ირკვევა, ამ სისტემაში დაცულია 310

761 პაციენტის მონაცემები და მასზე წვდომა აქვს დაახლოებით 5000 მეტ ექიმს. სწორედ ამიტომ მონაცემთა დასაცავად გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვა.

გამოვლინდა, რომ დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების მიმართ განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვა არ ხდება სათანადოდ, რაც ქმნის საფრთხეს მოხდეს მონაცემთა უკანონო გამჟღავნება. ასევე ფაქტიურად შეუძლებელია სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირებაც. კანონში კი საკმაოდ მკაცრად არის გაწერილი პაციენტის ინფორმაციის მესამე პირისათვის გამჟღავნების შესაძლებლობა. მასში ასევე გაწერილია ის ვალდებულება, რომელიც ამ კუთხით ეკისრება თავად სამედიცინო მუშაკს, რათა დაცულ იქნას სამედიცინო საიდუმლო. მიუხედავად ამ რეგულაციისა, ხშირია შემთხვევები, როცა პაციენტის პერსონალური მონაცემების გადაცემა ხდება არაუფლებამოსილი პირისათვის, მათ შორის ოჯახის წევრებისათვის. კონფიდენციალურობის პრინციპი მაშინაც უნდა იყოს დაცული თუ ამ მონაცემების მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი.

ამ ფაქტებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად მკაცრი რეგულაციებისა სამედიცინო მუშაკები და დაწესებულებები ნაკლებად აცნობიერებენ მსგავსი მონაცემების დაცვის მნიშვნელობას. ასევე მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციებიც ვერ უზრუნველყოფენ მათ სათანადო დაცვას. შესაბამისად:

- მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა შექმნან შიდა დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება დეტალურად ინფორმაციის მიმღები პირები, უსაფრთხოების წესები და მონიტორინგის მექანიზმები;
- ელექტრონული მონაცემები უნდა აღირიცხოს ზუსტად და სრულად;

- პაციენტთა სამედიცინო მონაცემებზე წვდომა უნდა შეეძლოს მხოლოდ იმ პირს, ვისაც ეს ესაჭიროება მომსახურების გასაწევად;
- უნდა დაინერგოს მონიტორინგის სისტემა.

მსოფლიოში კორონავირუსით გამოწვეული ურთიერთობები ცვლის სამყაროს წესებს. ამიტომ, ჩვენ ამ პარაგრაფში დამატებით გვინდა განვიხილოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის თავისებურებები COVID-19 ინფექციის პირობებში.

ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონვენციის („კონვენცია 108“) კომიტეტის ხელმძღვანელმა ალესანდრ პერუჩიმ და კომისარმა ჟან ფილიპ ვალტერმა 2020 წლის 30 მარტს გააკეთეს განცხადება COVID-19 პანდემიის საწინააღმდეგოდ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებისას შესაძლო გვერდითი შედეგების გამოწვევის შესახებ და მოითხოვეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების პროფილაქტიკისთვის აუცილებელი გარანტიების ამუშავება.

პანდემიის დასაწყისში მთავრობები და დაინტერესებული მხარეები, რომლებიც კორონავირუსთან ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, საფრთხის თავიდან აცილებისთვის მონაცემთა დამუშავებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დიდ შესაძლებლობას ხედავდნენ. ზოგ ქვეყანაში მობილური აპლიკაციები გამოიყენებოდა როგორც დაინფიცირებულთა კონტაქტების ოპერატიული სათვალთვალ საშუალება.

აღნიშნული ღონისძიება გარკვეულწილად პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შემლუღვასთანაა დაკავშირებული, ამიტომ სახელმწიფოთა მიერ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული აუცილებელია მოქმედებაში მოვიდეს უფლებათა დაცვის მკაცრი სამართლებრივი და ტექნიკური გარანტიები. ეს არის აპლიკაციების გარკვეული დროით გამოყენება და აუცილებლად ნებაყოფლობით

საწყისებზე. ამ აპლიკაციებში უნდა არსებობდეს ფუნქციონალი, რომელიც არ დაუშვებს პირის იდენტიფიცირების და მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას.

მაგალითად: შევდეთის საგანგებო სიტუაციათა სამოქალაქო სააგენტოს განზრახვა შეექმნა სპეციალური ციფრული ანკეტა კორონავირუსით დაავადებულ შევციის მოქალაქეების შესახებ და განეთავსებინათ კომპანია Amazon-ს სერვერზე, Sveriges Radio-ს ჟურნალისტებმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დარღვევის მცდელობად მიიჩნიეს. რამდენადაც Amazon არის ამერიკული კომპანია იგი აშშ-ს კანონმდებლობის სივრცეში თავსდება, შესაბამისად აშშ-ს მთავრობას შესაძლებლობა უჩნდება მოითხოვოს ინფორმაცია, მიუხედავად იმისა მსოფლიოს რომელ კუთხეშია ამ კომპანიის სერვერი განთავსებული.

რა შეიძლება გაკეთდეს ასეთი რისკის პირობებში?

ერთის მხრივ სახეზეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მსოფლიო სამედიცინო სამყაროს გაერთიანება, რომელსაც კვლევისთვის სჭირდება დაავადების შესახებ მონაცემები, მეორეს მხრივ, პერსონალური მონაცემების დაცვა რისკის ქვეშ დგება.

ამ შემთხვევაში მონაცემთა დიდი მასივების ტექნოლოგიას აქვს გარკვეული უპირატესობები პანდემიასთან ბრძოლის სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად:

1. უახლოესი პერსპექტივის პროგნოზირება, რაც პრევენციის საშუალებას იძლევა (სოციალური დისტანცირების გამკაცრება ან შემსუბუქება, მაღაზიებში სტუმრობის წესების შეცვლა და სხვა)

2. ჯანდაცვის ობიექტების პაციენტთა მკურნალობისთვის სისტემის მზაობის შეფასება:

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობა, საწოლთა რაოდენობა ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, პერსონალთა ცვლების განაწილება და სხვ.
- მონაცემთა შეგროვება და ინტეგრაცია, რომელიც

ბორციელდება Informatica, Oracle, IBM და სხვა მეთოდებით, Sisense, Tableau, Qlik ინსტრუმენტებთან ერთობლიობაში მსოფლიოს სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში გამოიყენება ამ და სხვა რუტინული ამოცანების ავტომატიზირებული დამუშავებისთვის.

3. ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, კრიზისიდან გამოსვლის შესაძლო სცენარების აგება, რეაგირების მოდელებისა და შესაძლო შედეგების შედარება, სატარიფო პოლიტიკის მოდელირება და სხვა;

4. სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგების უწყვეტობის მხარდაჭერა, რომელსაც ჯანდაცვისა და ფარმაცევტიკის გარდა მიეკუთვნება კვების წარმოება, ენერჯეტიკა, ლოჯისტიკა და სხვა, რომელთა პროგნოზირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია (მოთხოვნას, დაგეგმვას და მიწოდებას შორის წარმოშობილი ცვლილებების შეფასება);

ასეთი შემთხვევებისთვის კანონში უნდა გაკეთდეს სპეციალური დათქმა: პაციენტის თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ნორმის საკარანტინო ვადით არსებობის შესახებ. ვადის გასვლის შემდეგ ეს მონაცემები უნდა განადგურდეს.

4.2. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებები

ტექნოლოგიურმა განვითარებამ არასრულწლოვნებს მისცა შესაძლებლობა ციფრული წიგნიერების, რაც უდავოდ კარგია, მაგრამ ამ მოცემულობას ასევე ახლავს პრობლემებიც, ისეთი როგორცაა: ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაციის მავნე ზეგავლენა, ფსიქოლოგიური თავდასხმები, არასრულწლოვანის დაყოლიება დანაშაულის ჩადენაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვება და დამუშავება.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებით რეგულირებას საჭიროებს ისეთი საკითხი როგორცაა არასრულწლოვანთა პერსონალური

მონაცემების დაცვა. საქართველოში 2011 წელს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს მშობლის ან მეურვის თანხმობას, როცა ხდება მოზარდის ინფორმაციის დამუშავება.

უნდა ითქვას, რომ რომ მიუხედავად თანხმობის როგორც საერთაშორისო სტანდარტის არსებობისა იგი არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად. სამწუხაროდ საქართველოში საკანონმდებლო დონეზე არ არის რაიმე სახის ნორმა, რომელიც მოახდენდა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვას მისი თავისებურებების გათვალისწინებით.


სასწავლო დაწესებულებები, კლინიკები, საქველმოქმედო ორგანიზაციები უამრავ ინფორმაციას ფლობენ არასრულწლოვანთა შესახებ და უმეტეს შემთხვევაში სათანადოდ არ ხდება ამ პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. საკმაოდ მარტივია მათი კოპირება, მოდიფიცირება და გაერთიანება. სწორედ ამიტომ გაიცა სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან რეკომენდაცია, რომ მიუხედავად მშობლის თანხმობისა ორგანიზაცია მაინც არის ვალდებული იმოქმედოს მხოლოდ არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე.

შესაბამისად კანონმდებელმა უნდა იზრუნოს ამ უფლების ფუნდამენტურ დაცვაზე, ვინაიდან მშობლის თანხმობა თავისი პრაქტიკული დანიშნულებით ნაკლებად ეფექტურია.

ევროკავშირში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას, როგორც პრაქტიკაში, ასევე კანონმდებლობაში. არასრულწლოვნები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას, ვინაიდან ისინი ვერ ფლობენ სათანადო ინფორმაციას იმ რისკებზე, რაც დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან. სწორედ ამაზე საუბარი მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციებში (GDPR), რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ზონაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მოახდინა ამ მიმართულებით 13 შემთხვევის განხილვა, საიდანაც 12 დაკავშირებული იყო საჯარო სექტორთან, საიდანაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 9 ფაქტი დადგინდა. მათ შორის 7 შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრა კერძო და საჯარო სკოლებს.

1 სამართალდარღვევის ფაქტი



არასრულწლოვანთა სტატისტიკა

არასრულწლოვანთა შესახებ დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები გროვდება და მუშავდება კერძო და საჯარო სკოლებში, სადაც ვლინდება შემდეგი სახის დარღვევები:

- გარდა კანონით დადგენილი დოკუმენტაციებისა, რომელიც საჭიროა მოსწავლის ჩასარიცხად, ასევე გროვდება ამ პროცესისათვის სრულიად არა გამოსადეგი მონაცემები, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს;
- უმეტეს შემთხვევებში ხორციელდება ისეთი კატეგორიის მონაცემების დამუშავება, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული.

შესაბამისად არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად საჭიროა:

- უნდა მოხდეს მკაფიოდ გაწერა იმ წესების, თუ როგორ მოხდეს არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების, როგორც დამუშავება, ასევე გასაჯაროება;
- მონაცემთა დამუშავება უნდა მოხდეს მიზნის შესაბამისად და პროპორციულად;
- აუცილებლად უნდა გაიმართოს და მოეწყოს სათანადო სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს ამ კატეგორიის მონაცემთა დაცვას უკანონო გამოყენებისა თუ შემთხვევითი გამჟღავნებისაგან;
- კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან გაცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რაც არის კანონმდებლობით განსაზღვრული.

4.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ღონისძიებები შრომითი ურთიერთობების პროცესში

ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაცია ახდენს დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავებას. ცალსახაა, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის დამსაქმებელს ესაჭიროება ყველა სახის ინფორმაცია, რაც მას დაეხმარება არსებული კანდიდატებიდან შეარჩიოს მისთვის მისაღები პირი. შესაბამისად, კანონმდებლობაც აძლევს დამსაქმებელს უფლებას დაამუშაოს ისეთი კატეგორიის მონაცემებიც დასაქმებულ პირზე, როგორცაა ნასამართლობა და ჯანმრთელობის შესახებ ცნობები.

ამ მხრივ საინტერესო ფაქტები გამოვლინდა 2019 წელს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატების განხილვისას. ამ პროცესის მიმართ საკმაოდ დიდი იყო საჯარო ინტერესი, ვინაიდან უვადოდ ხდებოდა მოსამართლეების გამწესება სასამართლო სისტემაში. კვლევისას გამოიკვეთა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების, ასევე მისი ოჯახის წევრების შესახებ აგროვებდა და

ამუშავებდა დიდი ოდენობით სხვადასხვა კატეგორიის მონაცემებს. საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უკავშირდებოდა სხვადასხვა პირს, მაგალითად, კანდიდატის ყოფილ კოლეგებს, სასწავლო დაწესებულებებს, აკადემიურ პერსონალს და ძირეულად ახდენდა არსებული მონაცემების დამუშავებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან დარღვევები გამოვლენილი არ იქნა, მისი განმარტებით, საჯარო ინტერესი, რომელიც მიზნად ისახავდა მაღალი რეპუტაციის მქონე მოსამართლის შერჩევას აღემატებოდა იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომლის ხელყოფაც მოხდა ამ პროცესით.

ზოგადად კი შრომითი ურთიერთობებისას მონაცემთა დამუშავების კუთხით ვლინდება შემდეგი სახის დარღვევები:

- დასაქმებულზე არსებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ხელმისაწვდომი ხდება მისი კოლეგებისათვის;
- ელექტრონულ სისტემებს არ გააჩნიათ მონაცემთა დათვალიერებისა და მასზე ზემოქმედების აღრიცხვის შესაძლებლობა, რაც ართულებს კანონდარღვევისა და ასევე თავად დამრღვევი პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
- დასაქმებულთა მონაცემებზე დაშვების არანაირი დონეები არ არის განსაზღვრული, შესაბამისად მასზე წვდომა ხდება კონკრეტული ფუნქციისა და საჭიროების გარეშე, ნებისმიერი თანამშრომლის მხრიდან.

ამ რეალობის გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად და ასევე დამსაქმებლის მოთხოვნათა დასაცავაყოფილებლად ისე, რომ არაპროპორციულად არ შეიზღუდოს ორივე მხარის კანონიერი ინტერესები, მნიშვნელოვანია შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება:

- პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს კანონიერი ინტერესების დასაცავად საჭირო მოცულობით;

- უნდა გატარდეს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები;
- უნდა მოხდეს იმ წრის განსაზღვრა, რომელსაც ექნება წვდომა დასაქმებულთა მონაცემებზე, საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად;
- თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ვიდეო-აუდიომონიტო-რინგის გზით, მაშინ უნდა მოხდეს დასაბუთება, რომ ამ მიზნის მიღწევა სხვა საშუალებებით შეუძლებელია.

4.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიზნობრივი და პირდაპირი მარკეტინგის პროცესში

ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო (ფოსტის, სატელეფონო ზარების) საშუალებით საქონლის, მომსახურების, დროებითი სამუშაოს ან დასაქმების შეთავაზება ითვლება პირდაპირ მარკეტინგად. აღნიშნული განმარტება წარმოდგენილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. იგი ყოველწლიურად ინდუსტრიული განვითარების კვალდაკვალ უფრო აქტუალური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მარკეტინგის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა უფლებების დარღვევის ფაქტებმა იკლო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი მიმართვიანობა ამ კუთხით კვლავაც მაღალია. მის მიერ შესწავლილ იქნა 27 შემთხვევა, საიდანაც 13 ფაქტზე გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

სახელი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი არის ის ჩამონათალი, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებულია დამუშავდეს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის. რაც მთავარია ამ შემთხვევაში აუცილებელია არსებობდეს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა. ყველაზე დიდ გაურკვევლობას

მონაცემთა სუბიექტებისათვის წარმოადგენს ის ფაქტი თუ როგორ მოიპოვებენ მათ შესახებ ინფორმაციას კომპანიები, რომლებთანაც მათ არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. შესაბამისად, კომპანიამ უნდა შექმნას მექანიზმი, საიდანაც მონაცემთა სუბიექტი შეიტყობს მისი მონაცემების მოპოვების გზებს. ამ პროცესების კვლევამ აჩვენა, რომ:

- კომპანიები მონაცემებს ისე ამუშავებენ, რომ მათ თანხმობა მონაცემთა სუბიექტებისგან მიღებული არ აქვთ;
- ასევე კომპანიები არ ახდენენ პერსონალურ მონაცემთა მოპოვების წყაროს აღრიცხვას, რის შედეგადაც რთულდება ამ ინფორმაციის მიწოდება თავად მონაცემთა სუბიექტისათვის.

შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის მიმართ პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას კერძო დაწესებულებებმა:

- უნდა აღრიცხონ ის წყარო საიდანაც მოიპოვებენ პერსონალურ მონაცემებს;
- უნდა გააჩნდეთ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა;
- თითოეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს გაგზავნილი ტექსტის არსი, ანუ სარეკლამოა იგი თუ საინფორმაციო, ხოლო რეკლამირებისას უნდა მიეთითოს მისი გათიშვის შესაძლებლობა.

4.5. ბიომეტრული პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებები

ბიომეტრული მონაცემი კანონმდებლობაში განმარტებულია, როგორც ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი. თავისი არსით იგი უნიკალურია და მუდმივია ყველა ფიზიკური პირისათვის. ამიტომ იგი იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

ბიომეტრულ მონაცემებს განეკუთვნება: თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერი, თვალის ბადურის გარსი და სხვა.

ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ: საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დასაცავად და თუ სხვა საშუალებით ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა ჩვენს რეალობაში, როცა ერთ-ერთი კომპანია შესვლა და გასვლის აღრიცხვისათვის ამუშავებდა მომხმარებელთა თითის ანაბეჭდებს. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ აღეკვეთათ უცხო პირთა მოხვედრა ამ კომპანიის კუთვნილ დაწესებულებაში, რათა მისი მომსახურებით არ ესარგებლათ უცხო პირებს. ნათელია, რომ კომპანიამ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ ამ მიზანს იგი ვერ მიაღწევდა სხვა საშუალებით და შესაბამისად სახელმწიფო ინსპექტორმა იგი სცნო სამართალდამრღვევად.

როგორც საქართველოში ასევე დანარჩენ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იზრდება ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შემთხვევები. კერძოდ და საჯარო დაწესებულებები, თავის მხრივ, კი ნერგავენ ისეთ სერვისებს, სადაც საჭიროა სწორედ ასეთი კატეგორიის მონაცემების გამოყენება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიომეტრიული მონაცემები წარმოადგენს უნიკალურ მონაცემს და იგი მუდმივია, შესაბამისად, ის დროთა განმავლობაში არ იცვლება.

იმისათვის, რომ მონაცემთა სუბიექტს არ შეექმნას მისი გამჟღავნებით სერიოზული საფრთხე, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

- ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს კანონიერი მიზნის მისაღწევად და სხვა ალტერნატიული საშუალება არ უნდა არსებობდეს;
- უნდა განისაზღვროს ბიომეტრიული მონაცემების შენახვის

ვინაიდან, რომლის გასვლის შემდგომ იგი თავად უნდა
ნადგურდებოდეს;

- უნდა გაიწეროს მკაფიოდ ორგანიზაციულ-ტექნიკური
ზომები, რომლის დანერგვაც შემდგომში პრაქტიკაში
განხორციელდება.

თავი 5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგია საერთაშორისო ინფორმაციულ სისტემებში მონაცემთა გადაცემის პროცესში

2014 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ განხორციელდა 47 ქვეყნის განსაზღვრა საკუთარი ბრძანებით, სადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ იარსებებს კანონიერი საფუძვლები, ამ ტიპის ქვეყნების როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის, მონაცემთა გადაცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანხმობის გარეშეა შესაძლებელი. შეფასება განხორციელდა რამდენიმე სტანდარტის საფუძველზე, ესენია: ის კანონმდებლობა, რომელიც ამ ქვეყნებში მოქმედებს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიები და პერსონალურ მონაცემებზე საზედამხედველო ორგანოს არსებობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა გადაცემას, მაშინაც ხორციელდება მისი გადაცემა სხვა სახელმწიფოებისათვის და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანო არ არის ამ ქვეყნების ჩამონათვალში, მაშინ შესაბამისი დაწესებულებები ვალდებული არიან შესაბამისი ნებართვა მიიღონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისაგან.

14 განაცხადი განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, რომელიც ეხებოდა სწორედ მონაცემთა გადაცემას. 11 შემთხვევაში მიმართვის ადრესატი იყო კერძო ორგანიზაცია. მხოლოდ 4 შემთხვევაში ეთქვა უარი ორგანიზაციებს ამ სახის ნებართვის გაცემაზე.

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, არსებული მოდელის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის

სისტემა შეიცავს მრავალ ხარვეზს როგორც ორგანიზაციული, ასევე სამართლებრივი და ტექნიკური მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით. პრაქტიკის ანალიზმა გვაჩვენა, რომ წერტილოვანი ცვლილებები შედეგს ვერ გამოიღებს. ამიტომ ამ სფეროს გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სისტემური მიდგომა. შესაბამისად, ჩვენი წინადადებაა ინფორმაციულ სისტემებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამთავრობო სტრატეგიის დამტკიცება. ამ ნაშრომის ფორმატში წარმოვადგენთ სტრატეგიის ძირითად პრინციპებს.

სტრატეგიის ასაგებად მიმდინარე სიტუაციის თვალსაჩინოდ შესაფასებლად ავაგოთ SWOT –ანალიზის მატრიცა, რომელიც ასახავს საქართველოში მონაცემთა დაცვის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს:

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|--|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს საკანონმდებლო სისტემის არსებობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რომელიც პასუხობს ევროსტანდარტებს. 2. სახელმწიფო კონტროლის (ზედამხედველობის) ორგანოს შექმნა და ფუნქციონირება სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის სახით და იმ ოპერატორთა აღრიცხვა ვინც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს. 3. საერთაშორისო თანამშრომლობა უფლებამოსილ ორგანოებთან საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით, მათი დანერგვა საქართველოს სინამდვილეში 4. ინსპექტორის ანგარიშების და სასამართლო პრაქტიკის დაგროვება პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ დამუშავებისა და გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაგეგმად. | <ol style="list-style-type: none"> 1. მოქალაქეთა ცნობადობისა და ინფორმირების არასათანადო დონე მათი პერსონალურ მონაცემთა უფლებების შესახებ. 2. ოპერატორთა მიერ კანონმდებლობის დაუცველობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში; 3. სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების, ოპერატორთა დაბალი ურთიერთკავშირის დონე სახელმწიფო ინსპექტორთან პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ლოკალური ნორმატიული აქტების დამუშავების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინფორმაციული სისტემების დანერგვის პროცესში, რომლებიც აღნიშნული აქტების შესასრულებლად იქმნება. |

| შესაძლებლობები | საფრთხეები |
|---|--|
| <p>1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური და ფუნქციონალური პოტენციალის განმტკიცება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში;</p> <p>2. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დაცვის ეფექტური დონის უზრუნველყოფა, მათ შორის სასამართლო დაცვის სისტემის გამოყენებით.</p> <p>3. მოქალაქეებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ინფორმაციული ურთიერთკავშირის ორგანიზაცია</p> | <p>1. ოპერატორების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, რომლებიც მიმართულია პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და გავრცელებისკენ და რომელთა დამუშავება არ პასუხობს პირველადი შეგროვების მიზნებს.</p> <p>2. ისეთი რეგულაციების გაჩენა საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც არ პასუხობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპებს, აქვს სტატიკური შინაარსი და არ არის ორიენტირებული ტექნოლოგიების განვითარებაზე.</p> <p>3. პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების სტატისტიკის ზრდა მგრძნობიარე ინფორმაციასთან დაკავშირებით (ბიომეტრული, არასრულწლოვანთა და სპეციალური პერსონალური მონაცემები).</p> <p>4. პერსონალურ მონაცემთა თავისუფალი გავრცელების მოდელის პროპაგანდა.</p> |

მოცემული მატრიცის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სახელმწიფო სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- სტრატეგიის რეალიზაციის პრინციპები და მიზნები, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მაღალი დონის დაცვისკენ;
- სტრატეგიის რეალიზაციის პრიორიტეტული ამოცანები და მიმართულებები, რომელშიც განსაზღვრული იქნება;
- მოქალაქეთა სამართლებრივი ცოდნის ამაღლება პერსონალურ მონაცემთა უფლებების დაცვის სფეროში;
- კეთილსინდისიერი ქცევებისა და პერსონალურ მონაცემთა

დაცვის სფეროში ორგანიზაციულ-ტექნიკური მექანიზმების დანერგვის სტიმულირება;

- არასრულწლოვანთა მონაცემებთან პასუხისმგებლური დამოკიდებულების პროპაგანდა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საგანმანათლებლო ასპექტის გაზრდა ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა პერსონალურ მონაცემთა გაცვლის პროცესში;
- ტექნოლოგიური განვითარების პროცესში პერსონალურ მონაცემთა სუბიექტთა უფლებათა დაცვის სტაბილური მეთოდური ინსტრუმენტარიებისა და მექანიზმების დახვეწა;
- არაკეთილსინდისიერი ქცევების დესტიმულირება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულირების მექანიზმების დახვეწა, მათ შორის თვითრეგულირების მექანიზმების, ოპერატორთა დატვირთვის ოპტიმიზაცია;
- სტრატეგიის ეფექტური რეალიზაციის ინდიკატორები;
- სტრატეგიის რეალიზაციის გეგმა.

ამასთან, ცალკეული თავების მიხედვით სტრატეგია უნდა პასუხობდეს თემატურ პრობლემებს: ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება; მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა – ინტეგრაცია, კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, მონაცემებთან დაშვების პოლიტიკა; მონაცემების მართვა. მონაცემთა საცავის დაცვა, მონაცემთა ბაზის გასაღების მართვა; სისრულე და რეაგირების პროცედურები. ბაზებთან მავნე ქმედების გამოვლენის ანალიტიკა, საფრთხეების გამოვლენა და რეაგირება, ანალიტიკის შედეგების უსაფრთხოება;

ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის მექანიზმების ეფექტურობას და სახელმწიფოს პოლიტიკას ამ სფეროში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების კვლევა

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პროცესში ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებითაა წარმოებული. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების ფუნქციონირება გათვლილია არა სტატიკურ მდგომარეობაზე, არამედ დინამიკურ ურთიერთობებზე. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს პროგნოზირება და არსებული მექანიზმების ხშირი, სისტემური რედაქტირება. ამას ისიც ემატება, რომ უფლებათა დაცვასა და პერსონალურ მონაცემთა ეკონომიკურ კატეგორიას შორის ბალანსის დაცვა აუცილებელი პირობაა. ამიტომ ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების ფორმირებაში სახელმწიფო პოლიტიკას უფრო მოქნილს ხდის.

სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა ეფუძნება პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლას და დაცვის მექანიზმების სისტემურ ანალიზს. კვლევის პროცესში ინდუქციური შემეცნების მეთოდმა საშუალება მოგვცა კონკრეტული ფაქტების განზოგადების საფუძველზე შეგვესწავლა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. ონტოლოგიის საფუძველზე კი გვეწარმოებინა საგნობრივი სფეროს სისტემური ანალიზი, რაც თავის მხრივ, სემანტურად ორიენტირებული გლობალური ქსელის საინფორმაციო წყაროებთან დაშვების პროცესს უკავშირდება. ამ თეორიისა და მეთოდის საფუძველზე შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების კონკრეტული მოდელი.

მოდელის ასხნა გულისხმობს მონაცემთა დამუშავების ორგანიზების არსის ფორმირებას, ანუ მონაცემთა ბაზებიდან ყველა იმ ინფორმაციის გამორიცხვას, რომლის დამუშავებაც აკრძალულია კანონმდებლობით; პირველადი ინფორმაციის სრული ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ მისი შეკრების შემდეგ, ე. ი. მონაცემთა იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომლის მიხედვით მოსახერხებელია შედარება, ინტერპრეტირება, განზოგადება.

ამ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები სამი მიმართულებითაა დაჯგუფებული: ორგანიზაციული, სამართლებრივი, ტექნიკური.

ორგანიზაციული მექანიზმები გულისხმობს: შიდაორგანიზაციული მართვის სტრუქტურას, პროცესზე კონტროლის საშუალებებს, სახელმწიფო ზედამხედველობის სტრუქტურასა და პროცედურებს.

ორგანიზაციული მექანიზმების ანალიზი ცხადყოფს, რომ გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი მიმართვიანობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის შესწავლით გამოვლენილია შემდეგი პრობლემები: მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაუცველობა; მონაცემთა დამუშავების პროცესში კონკრეტული და მკაფიო მიზნის არარსებობა, რომლის შედეგია ინფორმაციის დამუშავება მიზნის არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით; მონაცემთა შენახვის ვადების დაუცველობა; პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების გაზრდილი რაოდენობა; ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა; მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევა; პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის წესების დარღვევით მონაცემთა გამოყენება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონიერი საფუძვლების გარეშე და სხვა.

მართალია, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი მიმართვის რაოდენობის ზრდა მიუთითებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ამ მექანიზმის მნიშვნელობაზე, მაგრამ გამოვლენილი ხარვეზები პრობლემად რჩება სახელმწიფოსთვის.

ამას ისიც ემატება, რომ სამართალდამცავ ორგანოებში ფიზიკურ პირთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზების დაცვისათვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო

სტანდარტებთან. მაგალითად: ელექტრონული მონაცემების მიმართ შესრულებულ მოქმედებათა აღურიცხაობა; მონაცემთა შენახვის ვადების განუსაზღვრელობა; დანერგილი მონაცემთა ავტომატური წაშლის ან დეპერსონალიზაციის მექანიზმების არ არსებობა; სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების წვდომის შესაძლებლობა დაცვის ობიექტთან. მონაცემთა დამუშავების მიზნისა და საფუძვლების არარსებობა; რადარისა და „ჭკვიანი“ კამერების საშუალებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ფაქტის დაფიქსირება და ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების სხვადასხვა ეტაპზე შეგროვილი მონაცემების ჩაწერა, შენახვისა და გამოყენების პროცესის განსაზღვრა. სამინისტროს მხრიდან ამ მონაცემების დამუშავების პროცესში არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნები, არ აღირიცხება ელექტრონული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება; თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ არსებობს ადვოკატის მიერ სხვისი მონაცემების გასაჯაროების ფაქტები პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ნათელი ხდება რომ ორგანიზაციული ხასიათის მექანიზმები შეესებას ითხოვს უკუკავშირის ელემენტებით.

ასეთივე პრობლემაა ჯანდაცვის სფეროში მონაცემთა დამუშავების ორგანიზების საკითხებზე როგორც კერძო, ასევე საჯარო სფეროში. ჯანდაცვის სფეროში მონაცემების დამუშავების პროცესში არის დოკუმენტების ელექტრონული ასლების არასრული სახით აღრიცხვის შემთხვევები, რაც მონაცემთა გამჟღავნების რისკს წარმოშობს, ამასთან, შეუძლებელია სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება. პაციენტზე ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მკაცრი ნორმატიული რეგულირების მიუხედავად, ჯანდაცვის სფეროს უფლებამოსილი პირები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ შედეგებს, რომლებიც შესაძლოა პერსონალური მონაცემების არაუფლებამოსილი პირისთვის გადაცემას მოჰყვეს.

აქედან გამომდინარე, ორგანიზაციული მექანიზმების სრულყოფის

მიზნით, ჯანდაცვის სტრუქტურებმა უნდა შეიმუშაონ ინსტრუქციული დოკუმენტი, პაციენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემის შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაციის გაცემის პირობები, ადვოკატირება; უსაფრთხოების წესები და ამ რეგულაციის შესრულებაზე მონიტორინგის მექანიზმები; ელექტრონული სისტემების გამოყენებით მონაცემთა დამუშავების შემთხვევები და სხვ.

ხშირია პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში დარღვევები. ესენია: სუბიექტის წერილობითი თანხმობის არარსებობა, სარეკლამო ტექსტებზე არ არის უარის თქმის მექანიზმი ან სხვა ადეკვატური საშუალებები; რაც შეეხება ბიომეტრიულ მონაცემების შეგროვებას, კომპანიები მას იყენებენ ისეთ შემთხვევებში, როცა შესაძლებელია მიზნის მიღწევა უფრო ნაკლები მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავებით.

ორგანიზაციულ მექანიზმებთან მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც გულისხმობს კონსტიტუციურად აღიარებული უფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიათა სისტემას. სამართლებრივ მექანიზმებში „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონების გარდა მოიაზრება სხვა დარგობრივი კანონები. როგორცაა: „კომერციული ბანკების შესახებ“; „პაციენტის უფლების შესახებ“; „ზოგადი განათლების შესახებ“ და სხვა. აგრეთვე ინსტრუქციები და თვითრეგულირების აქტები, რომლებიც კერძო სექტორში არსებული მონაცემების დაცვას ისახავს მიზნად. საქმე ისაა, რომ კანონი ერთმანეთისგან არ მიჯნავს კერძო და საჯარო პირების პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმებს. საჯარო მოხელეების სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოქალაქეებისათვის საჯარო უნდა იყოს დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ კატეგორიის მონაცემებზე კონფიდენციალურობის რეჟიმის ნაცვლად მონაცემთა გავრცელების ლეგიტიმურობის რეჟიმი უნდა დაწესდეს.

გამომდინარეობს, რომ პერსონალური მონაცემების სახელმწიფოს სტრატეგიული ობიექტია, იგი კონსტიტუციურ რეგლამენტაციაში უნდა მოექცეს. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტს, რომელიც ეხება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს: სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; - უნდა დაემატოს სიტყვები „ინფორმაციული ტექნოლოგიები და პერსონალურ მონაცემთა მიმოქცევა“.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკურ მექანიზმებს, მათი როლი წამყვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რომელსაც სპეციალური ცოდნა სჭირდება. ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობა სწორად შერჩეული ტექნიკური საშუალებების ფონზეა შესაძლებელი.

ტექნიკური მექანიზმების მნიშვნელობა განაპირობებს პერსონალურ მონაცემთა სფეროში ორგანიზაციული და სამართლებრივი მექანიზმების ფორმირების დინამიკას. ტექნიკური მექანიზმები განაპირობებენ ტექნოლოგიური განვითარების პროცესში მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების აუცილებლობას.

ამ მიმართულებით დისერტაციაში შესწავლილია „მონაცემთა დიდი მასივების“ (Big data) ტერმინოლოგიური და სამართლებრივი რეგულაციების თავისებურები და საბუთებულია მისი გამოყენების არეალი.

აღსანიშნავია, რომ ამ ტექნოლოგიას გარკვეული უპირატესობები აქვს საქართველოში იუსტიციის სისტემაში საჯარო რეესტრის უძრავი ქონების რეგისტრაციის „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიის პროექტთან მიმართებაში. მონაცემები, რომლებიც ბლოკჩეინში მოხვდება სამუდამოდ რჩება იქ. ამიტომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებას აზრი იმ ამოცანების გადასაწყვეტად აქვს, როცა მონაცემები მოძველდა და ისინი გამოყენებისთვის

უსარგებლოა. ბლოკჩეინთან დაკავშირებული ურთიერთობები არ რეგულირდება არც ერთი კანონმდებლობით, ამიტომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად არსებობს ამ უფლების დაუცველობის დიდი რისკი. შესაბამისად, ეს ტექნოლოგია მსოფლიოში მხოლოდ კრიპტოვალუტის სფეროში გამოიყენება.

„მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგიას ასევე გააჩნია გარკვეული საფრთხეები და რისკები. მისი დანერგვის ეფექტურობა დამოუკიდებელი რეგულაციის პრინციპს უკავშირდება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის წერტილოვანი მოდიფიცირება ამ სფეროში ეფექტური არ იქნება. ეს არის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ციფრული აქტივების დაცვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონსტიტუციური რეგლამენტაციის საფუძველზე. მონაცემთა დიდი მასივების დამუშავების პროექტის რეალიზების ეფექტურობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაზე, რაც, თავის მხრივ, პროექტის ვადებსა და დაცვის სისტემის რეალიზაციის ხარჯებს ზრდის.

ტექნიკურ მექანიზმებს შორის ხაზი უნდა გაესვას კრიპტოგრაფიას, როგორც ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის საშუალებას. იგი შექმნილია თანამედროვე მათემატიკის, ფიზიკის, რადიო ელექტრონიკის, ინჟინერიისა და სხვა დარგების დარგთაშორისი კვლევის შედეგად და, როგორც ტექნოლოგია წარმოადგენს მონაცემთა შიფრაციის სტანდარტისა (Data Encryption Standard — DES) და გაუმჯობესებული (Advanced Encryption Standard — AES) სტანდარტის ერთ ბლოკს (3DES).

ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 დეკემბრის №10 დადგენილება საქართველოში ნატო-ს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პასუხისმგებელი ორგანოებისა და მათი საქმიანობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საკმარისი არაა. აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების

განხორციელება. როგორცაა უსაფრთხოების ალიანსში გაერთიანება (Cloud Security Alliance) და შემდეგ ოთხ მიმართულებაზე ორიენტირება: ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, მონაცემთა მართვა, რეაგირების პროცედურები.

მონაცემთა დიდი მასივების ტექნოლოგია მსოფლიოში დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ინფორმაციამ ღირებული აქტივის სტატუსი შეიძინა, იგი შეიძლება „ახალ ნავთობსაც“ ვი შევადაროთ, რადგან ინფორმაციული საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა, ტრადიციული ნავთობი კი – ინდუსტრიული საზოგადოების მთავარი რესურსი. ამ ტექნოლოგიის უპირატესობები უკვე აპრობირებულია კლიენტთან ურთიერთობის ახალ ბიზნეს-მოდელებში, საჯარო სექტორში გამოიყენება კრიმინოგენული სიტუაციასთან ბრძოლაში; აგრეთვე ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისათვის.

ჯანდაცვის სფეროში COVID-19 ინფექციის პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი კიდევ უფრო მეტი თავისებურებებით ხასიათდება.

ამ მიმართულებით გაწეული ღონისძიებები გარკვეულწილად პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვასთანაა დაკავშირებული, ამიტომ სახელმწიფოთა მიერ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნას მიღებული აუცილებელია მოქმედებაში მოვიდეს უფლებათა დაცვის მკაცრი სამართლებრივი და ტექნიკური გარანტიები. ერთი მხრივ, სახეზეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მსოფლიო სამედიცინო სამყაროს გაერთიანება, რომელსაც კვლევისთვის სჭირდება დაავადების შესახებ მონაცემები, მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების დაცვა რისკის ქვეშ დგება.

ამ შემთხვევაში „მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგიას აქვს გარკვეული უპირატესობები პანდემიასთან ბრძოლის სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად; ეს ის შემთხვევაა, როცა კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს პაციენტის თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ნორმის საკარანტინო ვადით არსებობის

შესახებ. ვადის გასვლის შემდეგ კი ეს მონაცემები უნდა განადგურდეს, ან ისე დამუშავდეს, რომ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების გარეშე შესაძლებელი იყოს მისი სამედიცინო კვლევითი მიზნებისთვის გამოყენება.

„მონაცემთა დიდი მასივების“ ტექნოლოგია რისკის შემცველია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შრომითი ურთიერთობებისას მონაცემთა დამუშავების პროცესში.


პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სისტემური პრევენციისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი-ტექნიკური მექანიზმების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია არსებობდეს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგია, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ამოცანების მიხედვით:

- სტრატეგიის რეალიზაციის პრიორიტეტული ამოცანები და მიმართულებები, ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება;
- მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა – ინტეგრაცია, კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, მონაცემებთან დაშვების პოლიტიკა;
- მონაცემების მართვა. მონაცემთა საცავების დაცვა, მონაცემთა ბაზის გასაღების მართვა;
- მონაცემთა სისრულე და რეაგირების პროცედურები;
- ბაზებთან მავნე ქმედების გამოვლენის ანალიტიკა, საფრთხეების გამოვლენა და რეაგირება, ანალიტიკის შედეგების უსაფრთხოება;
- და, ბოლოს, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ტექნიკური მექანიზმების კონსტრუირება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კარგი საშუალებაა. თუმცა მათი არსებობა სტატიკურ გარემოში შეუძლებელია და ამიტომ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში მექანიზმთა ასეთი კონსტრუირება ითხოვს მათ სისტემურ მოდერნიზებას.

თავი 6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისტორია საქრათველოში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, სადაც იგი დებდა პირობას, რომ დაცავდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. სამი წლის შემდგომ ამ უფლებების ასახვა მოხდა საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაც ხაზგასმით იყო მოხსენიებული.

ხანმოკლე იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა, მან მხოლოდ 3 წელი იარსება, კონსტიტუციამ კი მხოლოდ 4 დღე, მაგრამ ეს პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი და რაც მთავარია პროგრესული გადაწყვეტილებების მისაღებად. 100 წლის




წინ მიღებულ კონსტიტუციაში ნათლად ჩანს ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლებისა და ქართული საზოგადოების შეხედულებანი პირად ცხოვრებისა და პირადი ინფორმაციის, როგორც ადამიანის უფლების დაცვაზე, კერძოდ 1921 წლის კონსტიტუციის 29-ე მუხლი გვეუბნება:

„კერძო მიწერა-მოწერა ხელშეუხებელია: მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით“.


საინტერესოა 1863 წლით დათარიღებული ექვთიმე თაყაიშვილის ნათლობის მოწმობაც. იმ ეპოქაში ნათლობის დოკუმენტი გაიგივებული იყო დაბადების მოწმობასთან, იგი იქმნებოდა და ინახებოდა ეკლესიაში. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია სახელი, დაბადების თარიღი, სარწმუნოება. ასევე ისეთი დეტალებიც როგორცაა თუ ვინ ესწრებოდა ნათლობის ცერემონიას, დედის, მამის და ნათლიების ვინაობა. საეკლესიო სივრცეში ინახებოდა და აღირიცხებოდა ისეთი მოწმობები როგორცაა ჯვრისწერის და გარდაცვალების. აღნიშნული პრაქტიკის შეცვლა სურდათ პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელ პირებს და გამოსავალს ეძებდნენ ევროპულ სტანდარტებში. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება 1920 წელს იმ დროინდელი იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მეტრიკები ანუ დაბადების, ჯვრისწერისა და გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა აწარმოონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა. განმარტებითი ბარათიდან ვკითხულობთ:

„მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების/დაბადება, დაქორწინება, გარდაცვალება/რეგისტრაციას ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რომ ეს საქმე დასაღვლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხანია ჩაბარებული აქვს სახელმწიფოს სამოქალაქო აგენტებს.“



სახელმწიფოს მაშინდელი მედიაც არ ჩამორჩებოდა პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. 1920 წელს, გაზეთ „მხედარში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია ჯარისკაცის შესახებ, რომელსაც პოსტზე ჩაეძინა. ნახატში ჯარისკაცის სახე დაფარულია, მინაწერი კი ამბობს:


**„გვარს არ ვაცხადებთ
(პირველ შემთხვევაში)“.**



პრესა 100 წლის წინ სიფრთხილით ეკიდებოდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გამჟღავნებასაც, როცა ქოლერით დაავადებულთა და გარდაცვლილთა სახელებს და გვარებს განგებ არ ავრცელებდა. ასევე საინტერესო ფაქტია ისიც თუ როგორ იცავდნენ საკუთარ უფლებებს ადამიანები იმ ეპოქაში, კერძოდ 1919 წლით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, რომ ვინმე იორდანე ბერძენიშვილი დამფუძნებელი კრების ცენტრალურ საარჩევნო

კომისიას ატყობინებს, რომ არჩევნების წინ მის ეზოში 2 მოქალაქე მისი და მისი ოჯახის წევრების პოლიტიკური შეხედულების დადგენას და მათზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა:

„მერმეთ უთქვამთ, რომ 5 ნომერს უნდა მისცეთ ხმაო. უსარგებლიათ იმით, რომ კითხვა არ იცოდა ჩვენებმა და დაუტოვებია ბიულეტენი ნომერი 5. გთხოვთ უმორჩილესად, მიაქციოთ ყურადღება ამ საქმეს“.



ჩემს მიერ მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის საკმაოდ საინტერესო ისტორია გაგვანინა და ისიც ნათლად იკვეთება, რომ სწორება იმ ეპოქაშიც იყო ევროპულ სტანდარტებზე.

**არსებული პრაქტიკა და სამართლებრივი ნორმები
გადაწყვეტილება N გ-1/043/2015**

ქ. თბილისი

20/05/2015

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 35-ე მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილების მე-12 მუხლის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 19 მარტის №01/51 და 2015 წლის 20 აპრილის №03/12 ბრძანებების შესაბამისად, 2015 წლის 20 მარტიდან 10 მაისამდე პერიოდში, ჩატარდა შპს „ა“-ს (ს/კ: *****) შემდგომში - „კომპანია“) შემოწმება.

აღწერილობითი ნაწილი

შპს „ა“-ს შემოწმება მოიცავდა კომპანიის მიერ სააფთიაქო ქსელში აუდიო-ვიდეო კონტროლის დროს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმებას. 2015 წლის 27 მარტს, 17 და 30 აპრილს, ინსპექტორის აპარატის შემოწმებაზე უფლებამოსილ პირებსა და შპს „ა“-ს წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრებზე მიღებულ იქნა დეტალური ინფორმაცია შპს „ა“-ს სააფთიაქო ქსელში აუდიო-ვიდეო კონტროლის დროს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის შესახებ.

შპს „ა“-ს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის სააფთიაქო ქსელში, კერძოდ, 173 (ას სამოცდაცამეტი) აფთიაქში, სადაც დასაქმებულია 1,944 (ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) პირი, ხორციელდება აუდიო და ვიდეო მონიტორინგი. სააფთიაქო ქსელში ვიდეოკამერების მეშვეობით ხდება

აფთიაქების შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლი. შპს „ა“-ს კუთვნილი აფთიაქების მომხმარებელთათვის განკუთვნილ შესასვლელ კართან, გარე პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემას და მისი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ვიდეოკამერები დამონტაჟებულია აფთიაქის შიდა პერიმეტრზედა ასევე, ზოგიერთი აფთიაქის საწყობშიც. აფთიაქებში ვიდეოკამერების რაოდენობა განსხვავებულია და დამოკიდებულია აფთიაქის ზომასა და დარბაზში განთავსებულ ღია თაროების რაოდენობაზე. აფთიაქის შიდა პერიმეტრზე განთავსებული კამერების და ფარმაცევტების დახლზე განთავსებული მიკროფონების მეშვეობით კი, ხდება მომხმარებლის და ფარმაცევტის საუბარის ჩაწერა. მიკროფონები მიერთებულია ვიდეოჩამწერ მოწყობილობაზე სამუშაო სივრცის მაკონტროლებელ კამერებთან ერთად, რათა შესაძლებელი იყოს ვიდეოგამოსახულებისა და აუდიოსიგნალის გაერთიანება ერთ ჩანაწერში.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის სააფთიაქო ქსელში აუდიო-ვიდეო მონიტორინგი ხორციელდება კომპანიის საკუთრების დაცვის, უსაფრთხოების და მომსახურების მონიტორინგის მიზნებით. კომპანიის საკუთრების დაცვის და უსაფრთხოების მიზნით, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კომპანიის ქონების უკანონოდ მითვისების ფაქტების პრევენციის და გამოვლენისათვის, ვინაიდან, აფთიაქებში დამონტაჟებული კამერები იძლევა პირის იდენტიფიკაციის და დამნაშავის გამოვლენის შესაძლებლობას. რაც შეეხება მომსახურების მონიტორინგის მიზნით აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გამოყენებას, ყოველი თვის დასაწყისში დგინდება შემოწმების გეგმა, რომლითაც განისაზღვრება კომპანიის სერვისის უზრუნველყოფის სამსახურის თითოეული ოპერატორის მიერ თვის განმავლობაში დასაკვირვებელი აფთიაქები და დაკვირვების პერიოდი (კონკრეტული დღეები და საათები). სერვისის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები უსმენენ შერჩეული აფთიაქების დღის განსაზღვრული მონაკვეთის (1 (ერთი) ან 2 (ორი) საათი) აუდიო-ვიდეო ჩანაწერს. ამის

შემდეგ კი, აფასებენ დასაქმებულთა მიერ მომსახურების გაწევის ხარისხს. კერძოდ, თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის დაცვას, ვიზუალურ მოწესრიგებულობას, კომუნიკაციის შინაარსს, გაყიდვის პროცესის მიმდინარეობას და ა.შ. არასათანადო მომსახურების გაწევის გამო, თანამშრომელს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა – გაფრთხილება ან სამსახურიდან განთავისუფლება.

გარდა სააფთიაქო ქსელში განხორციელებული აუდიო-ვიდეო მონიტორინგისა, მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, კომპანია იყენებს ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერს, სოციალური ქსელის გვერდს, ე.წ. „მისტიური მომხმარებლების“ მომსახურებას და უშუალოდ აფთიაქებში განთავსებულ რეკლამაციის ფორმებს, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები წერილობით აფიქსირებენ მომსახურების შესახებ პრეტენზიებს. მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, მომხმარებელთა პრეტენზიებს განიხილავს კომპანიის სერვისის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით იკვლევენ მომხმარებლის პრეტენზიის საფუძვლიანობას და ახდენენ შესაბამის რეაგირებას. შპს „ა“ არ ფლობს მომხმარებელთა მიერ მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიების ერთიან სტატისტიკას, თუმცა შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ 2015 წლის მარტის თვეში ერთმა მომხმარებელმა წარადგინა წერილობითი პრეტენზია (რეკლამაცია), 2015 წლის აპრილში კი კომპანიის ცხელი ხაზის მეშვეობით დაფიქსირდა 6 (ექვსი) მოქალაქის პრეტენზია.

შპს „ა“ –ს წარმომადგენლების განცხადებით, აუდიო-ვიდეომონიტორინგის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულთა თანხმობა. აღნიშნული თანხმობის გამომხატველი დოკუმენტების თანახმად, დასაქმებულები ინფორმირებულნი არიან აფთიაქის სავაჭრო დარბაზში, საკუთრების დაცვის, უსაფრთხოების და მომსახურების მონიტორინგის მიზნით, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის განხორციელების შესახებ. ასევე,

ფლობენ ინფორმაციას თავიანთი უფლებების (მოითხოვონ ინფორმაცია დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვონ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება) შესახებ. კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა თანხმობის ამსახველი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომპანიას უფლება აქვს, თანამშრომლების მხრიდან მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება მათი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ამ დრომდე კომპანიის არცერთ თანამშრომელს არ განუცხადებია პრეტენზია ან უარი აფთიაქის მხრიდან აუდიო-ვიდეო მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

სააფთიაქო ქსელში აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირება ხდება აფთიაქების შესასვლელ კარზე განთავსებული აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების შესახებ სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით.

შპს „ა“-ს მიერ მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, სააფთიაქო ქსელში დასაქმებულ პირთა და სააფთიაქო ქსელის მომხმარებელთა კომუნიკაციის აუდიოჩაწერის ფაქტზე, შემოწმების ფარგლებში,

2015 წლის 08 მაისს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000015

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევისთვის, რომელიც ხელმოწერით დაადასტურა შპს „ა“-ს წარმომადგენელმა. მიუხედავად ამისა,

2015 წლის 15 მაისს შპს „ა“-ს დირექტორმა №1283/02-01 წერილით წარმოადგინა მოსაზრება, საიდანაც ირკვევა, რომ შპს „ა“ არ ეთანხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს წერილში მითითებული განმარტებების გამო.

სამოტივაციო ნაწილი

1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმჯელა შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის მიზანია კომპანიის საკუთრების დაცვა და უსაფრთხოება. ვიდეომონიტორინგის მეშვეობით ხდება კომპანიის ქონების უკანონოდ მითვისების ფაქტების პრევენცია და ასეთი ფაქტების გამოვლენა როგორც აფთიაქის გარე, ასევე შიდა პერიმეტრზე. საჭიროების შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერები საშუალებას იძლევა მოხდეს პირის გარეგნობის იდენტიფიკაცია და ამ გზით დამნაშავის გამოვლენა.

ამას გარდა, „ტექნიკური რეგლამენტი - აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №575 დადგენილების პირველი მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად, აფთიაქის ძირითად შესასვლელ (მომხმარებელთათვის განკუთვნილ) კართან გარე პერიმეტრზე უნდა გააჩნდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, რომელიც შეესაბამება „აბარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი

გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება- ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. შპს „ა“-ს, მისი კუთვნილი აფთიაქების გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის განთავსების ვადებულება აქვს „ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, სააფთიაქო დაწესებულებათა (I ჯგუფის აფთიაქის, II ჯგუფის აფთიაქისა და სააფთიაქო პუნქტის) მოწყობის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენილებით დამტკიცებული ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო პირობების მიხედვითაც.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ. ვინაიდან, შპს „ა“-ს სააფთიაქო ქსელის შიდა პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, სააფთიაქო ქსელში დასაქმებული პირები სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების შესახებ წერილობითი ფორმით უნდა იყვნენ ინფორმირებულნი. შემოწმების პროცესში, შერჩევითი პრინციპით დასაქმებულთა ინფორმირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების შედეგად, დადასტურდა, რომ შპს „ა“-ს სააფთიაქო ქსელში დასაქმებული პირები წერილობით არიან ინფორმირებულნი

აფთიაქის სავაჭრო დარბაზში, საკუთრების დაცვის, უსაფრთხოების და მომსახურების მონიტორინგის მიზნით, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის განხორციელების შესახებ და ფლობენ ინფორმაციას თავიანთი უფლებების (მოითხოვონ ინფორმაცია დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვონ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება) შესახებ. შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ შპს „ა“-ს სააფთიაქო ქსელში განთავსებულია აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების შესახებ სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელში შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეომონიტორინგის განხორციელება შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლთან.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმჯელა შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელში განხორციელებული აუდიომონიტორინგის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის შესახებ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. შპს „ა“-ს კუთვნილ აფთიაქებში, შიდა პერიმეტრზე განთავსებული კამერების და ფარმაცევტების დახლზე განთავსებული მიკროფონების მეშვეობით, მუდმივ რეჟიმში, მომსახურების მონიტორინგის მიზნით ხორციელდება აუდიო-ვიდეო მონიტორინგი. მონიტორინგის

შედეგად მიღებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერიდან შესაძლებელია აფთიაქში დასაქმებული პირების და მომხმარებლების გამოსახულების იდენტიფიცირება, ასევე მათი საუბრის გარკვევით გაგება. აქედან გამომდინარე, აუდიო-ვიდეომონიტორინგის შედეგად შპს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს როგორც დასაქმებულთა, ასევე აფთიაქის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

„პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის №108 კონვენციის მე-5 მუხლსა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლთან მიმართებით, ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ აფთიაქებში დასაქმებულებს და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის აუდიო-ვიდეო მონიტორინგის პროპორციულობისა და ადეკვატურობის საკითხზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას სამართლიანი ბალანსი უნდა იქნას დაცული მონაცემთა დამუშავებლის კანონიერ ინტერესებს და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას შორის. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზეა კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველი, მხოლოდ ასეთი საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების საკმარისი პირობა. შპს „ა“ არ აწარმოებს მომხმარებელთა პრეტენზიების ერთიან სტატისტიკას, თუმცა შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიაში წარდგენილი პრეტენზიების რაოდენობა არ არის დიდი – 2015 წლის მარტის თვეში ერთმა მომხმარებელმა წარადგინა წერილობითი პრეტენზია (რეკლამაცია), 2015 წლის აპრილში კი კომპანიის ცხელი ხაზის მეშვეობით

დაფიქსირდა 6 (ექვსი) მოქალაქის პრეტენზია. ამგვარი პრეტენზიების საფუძვლიანობის გამოკვლევის მიზნით, შპს „ა“-ს მიერ ხდება 1,944 (ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) დასაქმებული პირის და სააფთიაქო ქსელის ყველა მომხმარებლის ქცევის აუდიო-ვიდეო მონიტორინგი მუდმივ 24 (ოცდაოთხი) საათიან რეჟიმში. მონაცემთა დამუშავებელს - შპს

„ა“-ს აქვს კანონიერი მიზანი - აკონტროლოს სააფთიაქო ქსელში მომსახურების ხარისხი, თუმცა,

კანონიერი მიზნის მისაღწევად მონაცემთა ამგვარად და ამ მოცულობით დამუშავება ვერ ჩაითვლება აუცილებელად, რადგან მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნის მიღწევა შპს „ა“-ში შესაძლებელია სხვა დასაქმებულთა და მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ნაკლები მოცულობით დამუშავების და მათ პირად ცხოვრებაში ნაკლები ჩარევის გზით. შემოწმების ფარგლებში, დადგენილ იქნა, რომ კომპანია მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, ისედაც იყენებს სხვადასხვა საშუალებებს - კომპანიის ცხელი ხაზი; ე.წ. „მისტიური მომხმარებელი“; წერილობითი რეკლამაციის წარდგენის შესაძლებლობა, რაც აუდიოჩაწერისგან განსხვავებით არ იწვევს მიზნის არაპროპორციულად მონაცემების დამუშავებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით და ამავე კანონის მე-5 დამე-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, ამავე კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულია გაცემულ თანხმობაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელში დასაქმებულთა მიმართ აუდიო-ვიდეო მონიტორინგის შედეგად მონაცემთა დამუშავების საფუძვლად წარმოდგენილ იქნა მხოლოდ დასაქმებულთა წერილობითი თანხმობები. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, შემოწმების პერიოდამდე

აფთიაქის არცერთ თანამშრომელს არ განუცხადებია უარი მის სამუშაო ადგილზე აუდიო-ვიდეო მონიტორინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შესახებ. შემოწმებისას დადგინდა, რომ კომპანიის ქსელის თითოეულ აფთიაქში დასაქმებულია არანაკლებ ორი თანამშრომელი, რომელთა მიმართაც ხორციელდება აუდიო-ვიდეო მონიტორინგი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აფთიაქში დასაქმებული რამოდენიმე პირიდან ერთი მაინც ისარგებლებს კანონით მინიჭებული უფლებით და რაიმე სახის განმარტების გარეშე განაცხადებს უარს მის მიერვე გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვს მის მიმართ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურებას, შემოწმების პერიოდისთვის არსებული ტექნიკური საშუალებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია შპს „ა“-ს მიერ აუდიო-ვიდეო მონიტორინგი განხორციელდეს მხოლოდ თანხმობის გაცემი დასაქმებულის მიმართ, იმგვარად, რომ მონიტორინგის ქვეშ არ მოექცეს გაცემულ თანხმობაზე უარის განმცხადებელი დასაქმებული. ამგვარი ფაქტის (თანხმობაზე უარი) დადგომამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მონაცემთა სუბიექტის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციას, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება უარის განმცხადებელი დასაქმებულის სააფთიაქო ქსელში მუშაობა, რის გამოც, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გარდაუვალობამ, შეიძლება გამოიწვიოს მონაცემთა სუბიექტის უფლების კანონიერი საფუძვლების გარეშე შეზღუდვა.

შპს „ა“-ს მიერ სააფთიაქო ქსელში წარმოებული აუდიო-ვიდეო მონიტორინგის დაკვირვების ქვეშ, გარდა დასაქმებული პირებისა, ექცევიან მომხმარებლებიც. შემოწმებისას დადგინდა იქნა, რომ აფთიაქებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის არსებობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, რომლის მიღების შემდგომაც მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას მოქმედებით (აფთიაქში შესვლით) გამოხატოს თანხმობა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სააფთიაქო ქსელის მომხმარებლის მიერ მედიკამენტების შექენისას, შპს „ა“-

ს ეძლევა შესაძლებლობა გარკვეულ შემთხვევებში მოახდინოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას და რისთვისაც ცალსახად აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა. მომხმარებლის მიერ მოქმედებით (აფთიაქში შესვლით) გამოხატული თანხმობა კი არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ აუდიომონიტორინგის შედეგად დამუშავებული მონაცემები ვერ ჩაითვლება კანონიერი მიზნის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებად და შპს „ა“-ს მიერ აუდიომონიტორინგის განხორციელება სააფთიაქო ქსელის შიდა პერიმეტრზე წარმოადგენს არაპროპორციულ ჩარევას მონაცემთა სუბიექტების პირად ცხოვრებაში და ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით დადგენილ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობის პრინციპს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-12, 25-ე, 35-ე, 39-ე, 44-ე და 55-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილების მე-13 მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ: *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის №0000015;

3. შპს „ა“-ს დაევალოს, არაუგვიანეს 2015 წლის 01 ივლისისა უზრუნველყოს სააფთიაქო ქსელში აუდიომონიტორინგის განხორციელების შეწყვეტა, აუდიომონიტორინგის წარმოების შედეგად მოპოვებული მასალის სრულად განადგურება და ამის შესახებ აცნობოს ინსპექტორს არაუგვიანეს 2015 წლის 10 ივლისისა;

4. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/082/2016

ნ.დ., თ.დ. და ბ.დ.-ების განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი 12/04/2016 განმცხადებლები: ნ.დ. (პ/ნ *****), თ.დ. (პ/ნ *****), ბ.დ. (პ/ნ *****).

მოთხოვნა: ვებგვერდის - www.geocourts.ge მეშვეობით განმცხადებლების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და მათი წაშლა.

რილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 05 თებერვალს №01/104 განცხადებით მომართა მოქალაქე ნ.დ.-მ და მიუთითა, რომ ვებგვერდზე – www.geocourt.ge ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია საძიებო სისტემის მეშვეობით მოიძიოს და გაეცნოს 2014 წლის ** ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვის თაობაზე, რომელიც შეიცავს მისი და მისი ოჯახის წევრების პერსონალურ მონაცემებს. განმცხადებელი ითხოვდა ვებგვერდზე – www.geocourt.ge განთავსებული მისი და მისი ოჯახის წევრების პერსონალურ მონაცემებზე მესამე პირების წვდომის შეზღუდვას მათი წაშლის ან/და დაბლოკვის გზით.

ნ.დ.-ს განცხადებას თან ერთვოდა თ.დ. და ბ.დ.-ების განცხადებები, რომელთა საფუძველზეც მათ დას – ნ.დ.-ს მიანიჭეს უფლება, მისი განცხადების საფუძველზე დაიბლოკოს ან/და ინტერნეტ სივრცეში მოქალაქეთათვის მიუწვდომელი გახდეს მათი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 09 თებერვლის №გ-1/028/2016 გადაწყვეტილებით განსახილველად იქნა მიღებული ნ.დ., თ.დ და ბ.დ.-ების განცხადება.

საქმის განხილვის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ გადამოწმდა წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებები და დადგინდა, რომ

საძიებო სისტემა „Google“-ში განმცხადებლების სახელის და გვარის მითითებისას იძებნება

ვებგვერდის მისამართი http://www.geocourts.ge/files/*****
სადაც ე.წ. „PDF“ ფაილის სახით ხელმისაწვდომია თბილისის

საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ. აღნიშნული განჩინება შეიცავს ნ.დ., თ.დ. და ბ.დ.-ების და მათი მშობლების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს (სახელი, გვარი), ასევე ინფორმაციას განმცხადებელთა ერთ-ერთი მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შემზღუდვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tcc.gov.ge) არსებულ ფანჯარაში სახელწოდებით „საჯარო შეტყობინებები“ განთავსებულია ვებგვერდის - www.geocourts.ge ბმული, რომელიც წარმოადგენს საჯარო შეტყობინებების გავრცელებისთვის შექმნილ ერთიან პლატფორმას. ამასთან, ვებგვერდის - www.geocourts.ge საძიებო სისტემაში განმცხადებლების - თ.დ. და ბ.დ.-ების საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი და გვარი) ან/და სასამართლო განჩინების თარიღის და ნომრის მითითებისას, ხელმისაწვდომი ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინება.

საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 12 თებერვლის №230/01 წერილით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან და სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტისგან“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია - წერილის გაგზავნის მომენტისათვის ვებგვერდზე (www.geocourts.ge) რომელი სამართლებრივი საფუძვლით და რა მიზნით იყო განთავსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინება (საქმე №*/*****_**).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ 2016 წლის 17 თებერვლის №702 წერილით (რეგისტრირებული: 17.02.2016; №01/158) განმარტა, რომ ვებგვერდზე - www.geocourts.ge საკუთარი მომხმარებლის სახელის და პაროლის მეშვეობით დაშვება აქვს ყველა სასამართლოს

ინდივიდუალურად. შესაბამისად, სასამართლოები თავად უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინებების ვებგვერდზე განთავსებას. ამავე წერილის თანახმად, მოთხოვნილ ინფორმაციაზე დაზუსტებული პასუხის მოწოდების მიზნით, სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 12 თებერვლის №230/01 წერილი გადააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ 2016 წლის 22 თებერვლის №805 წერილით (რეგისტრირებული: 22.02.2016; №01/158) წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის №167 წერილი და განმარტა, რომ სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტში“ დაწყებული იყო მუშაობა ვებგვერდზე – www.geocourts.ge საჯარო შეტყობინებების განთავსების რეგულაციებზე. ხოლო, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობის შედეგების თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს ინფორმაცია დამატებით, წერილობითი ფორმით მიეწოდებოდა.

სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ მიერ წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის №167 წერილში განმარტებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2014 წლის ** ივლისის დარეგისტრირდა №*/*****-** საქმე. მოსარჩლეებს წარმოადგენდნენ თ.დ. და ბ.დ.-ები (წარმომადგენელი ნ.დ.) ხოლო მოპასუხეს – ო.დ. დავის საგანი იყო მშობლის წამომადგენლობითი უფლების შეზღუდვა. საქმეზე 2014 წლის ** ოქტომბრის №*/*****-** განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხე ო.დ.-ს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა მის მიმართ სასარჩელო წარმოების არსებობის შესახებ, რაც ამავე განჩინებით დადგენილი წესით, 2014 წლის ** ოქტომბერს განთავსდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა კოლეგიის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სასამართლოს ვებგვერდზე – www.tcc.gov.ge (საჯარო შეტყობინება). ამასთან, წერილში მითითებულია, რომ 2014 წლის ** ოქტომბრის №*/****-** განჩინების ინტერნეტ გვერდიდან ამოშლის ტექნიკური შესაძლებლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს არ გააჩნია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 თებერვლის №01/11 წერილით (რეგისტრირებული: 18.02.2016; №01/150) განმარტებულ იქნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე, ვებგვერდზე – www.geocourts.ge ფუნქციონირებს სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ ბედამხედველობის ქვეშ არსებული საჯარო მონაცემთა ბაზა. აღნიშნულ ვებგვერდზე საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების გამოქვეყნება არის კანონიერი წინაპირობა იმისა, რომ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს განჩინება ჩაითვალოს მხარისათვის ჩაბარებულად და სასამართლოს მიეცეს საშუალება გააგრძელოს უფლებამოსილების განხორციელება. ამასთან, საპროცესო მხარეს აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანიდან 05 წლის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს და სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არ მიწვევის საფუძველით დააყენოს გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილობის საკითხი. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, ვებგვერდზე – www.geocourts.ge გამოქვეყნებული ინფორმაცია საპროცესო მხარეს აძლევს შესაძლებლობას გადაამოწმოს, მიწვეული იყო თუ არა სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით. ამავე წერილში მითითებულია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მუშავდება დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემის და საჯაროდ განთავსებული გადაწყვეტილებების (მათ შორის განჩინებების) განადგურების საკითხებს.

სამოტივაციო ნაწილი

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე, ინსპექტორმა იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, ნ.დ.–ს, თ.დ.–ს და ბ.დ.–ს პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე გასაჯაროების კანონიერების თაობაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ. ამავე მუხლის

„დ“ და „ი“ პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავებად განიხილება ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. მონაცემთა დამუშავებული კი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილი ვარაუდებია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ვებგვერდის – www.tcc.gov.ge ფანჯარაზე სახელწოდებით „საჯარო შეტყობინებები“ განთავსებულ ბმულზე – http://www.geocourts.ge/files/***** საჯარო შეტყობინების შესახებ 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინების საჯაროდ განთავსებით განხორციელდა ნ.დ., თ.დ. და ბ.დ.–ების პერსონალური მონაცემების დამუშავება,

ვინაიდან ხსენებული განჩინება შეიცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებს. განჩინებაში მითითებული მონაცემებით შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიკაცია და მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოპოვება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს, სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წერილების თანახმად, ვებგვერდზე www.geocourts.ge 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინების ატივრთვა განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, თუმცა ვებგვერდზე - www.geocourts.ge განთავსებული საჯარო მონაცემთა ბაზის ზედამხედველობას და ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამასთან, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

ამავე კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან

დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაბეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაბეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე და 78-ე მუხლების თანახმად, საჯარო შეტყობინების გამოქვეყნება/ვებგვერდზე განთავსება არის მხარის ინფორმირებულობისთვის განსაზღვრული უკიდურესი ღონისძიება და მისი გამოყენება ხდება მაშინ როდესაც, სასამართლომ ამოწურა საპროცესო მხარისათვის სარჩელის ან/და სასამართლო უწყების ჩაბარების ყველა შესაძლო რესურსი. აღნიშნული მექანიზმი ერთის მხრივ უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებას, რომ დაცული იქნეს მისი კანონიერი ინტერესი - მის მიერ შეტანილი სასარჩელო განაცხადი განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ხოლო მეორეს მხრივ ადგენს სასამართლოს მიერ მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენების ვალდებულებას, რათა მოპასუხე ინფორმირებული იყოს მის წინააღმდეგ გამართულ სამართალწარმოების თაობაზე და შეძლოს საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების/ვებგვერდზე განთავსების სამართლებრივი შედეგი - საპროცესო მხარისათვის საჯარო შეტყობინების ჩაბარება - დგება საჯარო შეტყობინების განთავსებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინებიდან დგინდება, რომ საპროცესო მხარეს რამოდენიმეჯერ

გაეგზავნა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები როგორც ფაქტობრივ, ასევე რეგისტრირებულ მისამართზე, თუმცა საფოსტო ბარათებით გამოვლინდა, რომ მოპასუხე მითითებულ მისამართებზე არ ცხოვრობდა. ამის შემდგომ, მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება – მათი პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო შეტყობინების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის ** ოქტომბრის განჩინების ვებგვერდზე განთავსება, განხორციელდა საპროცესო მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების მიზნით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის

** ოქტომბრის განჩინების ვებგვერდზე გასაჯაროებაზე არ ვრცელდება „პერსონალურ

მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან განმცხადებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდა სამართალწარმოების მიზნებისათვის – საპროცესო მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების მიზნით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროდან დადგენილი გამონაკლისი სახეზეა მანამ, სანამ არსებობს სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების საჭიროება და პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. აღნიშნული

მიზნის მიღწევის შემდგომ, სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, მათ შორის განმცხადებლების პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს განჩინების ვებგვერდზე გასაჯაროებაზე, სრულად ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

საპროცესო კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს თუ რა ვადაში უნდა წაიშალოს ან/და დაიბლოკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საჯარო შეტყობინებები, თუმცა განსაზღვრულია, რომ სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული კანონიერი მიზანი – მხარისათვის შეტყობინების ჩაბარება მიღწეულად ითვლება, რაც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით გააგრძელოს მართლმსაჯულების განხორციელება. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული 7 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ არ იკვეთება საჯარო შეტყობინების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების (მათში მითითებული პერსონალური მონაცემების) ვებგვერდზე არსებობის კანონიერი საფუძველი და მიზანი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს მონაცემთა დამუშავების პრინციპები. ამავე მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. მონაცემები

შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. ამავე კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, კი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 05 წლის გასვლის შემდეგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 თებერვლის №01/11 წერილით განმარტებულია, რომ ვებგვერდზე - www.geocourts.ge გამოქვეყნებული ინფორმაცია საპროცესო მხარეს აძლევს შესაძლებლობას გადაამოწმოს მიწვეული იყო თუ არა სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზანი არის შეტყობინების ჩაბარება და არ მოიცავს საპროცესო მხარისთვის სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი პროცედურების გადამოწმების შესაძლებლობის მინიჭებას. ამასთან, საპროცესო მხარე უფლებამოსილია სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვოს სასამართლოსგან და აღნიშნული გზით მოიპოვოს ინფორმაცია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა, სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა“ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პერსონალურ მონაცემთა

დაცვის ინსპექტორისადმი მომართულ საპასუხო წერილებში განმარტეს, რომ მუშავდება დოკუმენტის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოებში გადაწყვეტილებების გაცემის წესს, მათ შორის საჯაროდ განთავსებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, განჩინებების) განადგურების საკითხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები და ისე განსაზღვროს, თუ რა მოცულობით და რა ვადით არის საჭირო პირთა პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო შეტყობინებების ვებგვერდზე განთავსება შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ამასთან, მონაცემთა დამუშავებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდის გასაჯაროებული მონაცემების წაშლას, განადგურებას ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით დამუშავებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, 27-ე, 34-ე და 39-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ნ.დ, თ.დ. და ბ.დ.-ების 2016 წლის 05 თებერვლის №01/104 განცხადებასთან დაკავშირებული განხილვა;
2. დაევალოს თბილისის საქალაქო სასამართლოს შეაფასოს და განსაზღვროს თუ რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო პერსონალური

მონაცემების შემცველი საჯარო შეტყობინებების ვებგვერდზე საჯაროდ განთავსება შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ასევე, უზრუნველყოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდის გასაჯაროებული მონაცემების წაშლას, განადგურებას ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით დამუშავებას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წინამდებარე გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 01 (ერთი) თვის ვადაში;

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიეცეს რეკომენდაცია, საბოლოო

გადაწყვეტილების მიღებამდე დაბლოკოს ვებგვერდის ბმულზე – http://www.geocourts.ge/files/***** განთავსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს

2014 წლის ** ოქტომბრის განჩინება;

4. განმცხადებლებს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში

(ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/096/2016

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი 22/04/2016

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 12 დეკემბრის №03/67, 2016 წლის

01 თებერვლის №03/11 და 2016 წლის 30 მარტის №03/19 ბრძანებების შესაბამისად, 2015 წლის

01 დეკემბრიდან 2016 წლის 09 აპრილამდე პერიოდში განხორციელდა შპს „ა“-ს (ს/კ *****) შემდგომში „კომპანია“) შემოწმება. შემოწმება მოიცავდა კომპანიაში დასაქმების მსურველი პირების და კომპანიაში დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების და კომპანიის მიერ სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას. ამას გარდა, შემოწმდა კომპანიაში მონაცემთა უსაფრთხოებისთვის არსებული მექანიზმები.

შპს „ა“-ს შემოწმების შედეგად გამოვლენილი გარემოებები:

დასაქმების მსურველ პირთა/კანდიდატთა პერსონალური მონაცემების დამუშავება

- ზოგადად კომპანიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმება ხდება კონკურსის წესით. კომპანია ვაკანსიის თაობაზე განცხადებას ათავსებს კომპანიის კუთვნილ ვებგვერდზე www.***.ge ან www.jobs.ge. აღნიშნულ ვებგვერდებზე კომპანია ასევე უთითებს ელექტრონული ფოსტის

მისამართს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია, შესაბამისი დოკუმენტების ელექტრონულად - ვებგვერდ(ებ)ზე მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან მატერიალური ფორმით კომპანიის იურიდიულ მისამართზე წარდგენის გზით.

- კონკურსის მიზნებისათვის კომპანიას არ აქვს შემუშავებული დასაქმების მსურველის/კანდიდატის მიერ შესავსები ანკეტისა და განაცხადის ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა, მხოლოდ დასაქმების მსურველის რეზიუმეს (ე.წ. „CV“) წარდგენა. ამასთან, დასაქმების მსურველს არ ეკრძალება თავისი სურვილის შემთხვევაში წარადგინოს სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც მისი აზრით წარმოაჩინოს მის დადებით მხარეებს.

- კომპანიაში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმების მიზნით, რეზიუმეების გადარჩევის შემდგომ, დამატებით ხორციელდება დასაქმების მსურველთან/კანდიდატთან გასაუბრება, სადაც მოწმდება მისი ხმის ტემბრი და მეტყველების უნარი. აღნიშნული ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ ინიშნება ტესტირება, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც ხდება პირის დასაქმება.

- კომპანიის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული იმ დასაქმების მსურველთა რეზიუმეები, რომელთა დასაქმებაც არ მოხდა, არ ინახება და იშლება ელექტრონული საფოსტო ყუთიდან, რეზიუმეების მიღების ბოლო ვადიდან ორი კვირის განმავლობაში. მატერიალური ფორმით წარდგენილი რეზიუმეები კი, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა დასაქმების მსურველის/კანდიდატის კომპანიაში დასაქმება, ინახება კომპანიის ოფისის ერთ-ერთ ოთახში - არქივში. არქივის ოთახს აქვს რკინის კარები და მისი გასაღები ინახება კომპანიის დირექტორთან. არქივის ოთახში შეღწევა და იქ დაცული დოკუმენტების ნახვა კომპანიის დირექტორის ნებართვით შეუძლიათ მხოლოდ კომპანიის მთავარ ბუღალტერს (ბუღალტრული საქმიანობის განხორციელების მიზნით) და ოფის-მენეჯერს (მატერიალური ფორმით წარმოდგენილი რეზიუმეების არქივში დამატების მიზნით).

- კომპანიაში არ არის დადგენილი დასაქმების მსურველის/კანდიდატის

მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილი რეზიუმეების შენახვის ვადა, რის გამოც ისინი (მხოლოდ მატერიალური ფორმით) ინახება განუსაზღვრელი ვადით. რეზიუმეების განუსაზღვრელი ვადით შენახვის მიზანს წარმოადგენს დასაქმების მსურველის კანდიდატურის ახალ ვაკანსიაზე განხილვა.

- კომპანია არ აგროვებს დასაქმების მსურველების/კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ნასამართლობის შესახებ ცნობებს.

კომპანიაში დასაქმებული პირების მონაცემთა დამუშავება

- „ORACLE“-ის მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით კომპანია თანამშრომლების შესახებ ელექტრონული ფორმით ინახავს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, სქესი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა, ფაქტობრივი მისამართი, რეგისტრაციის ადგილი, სამსახურის დაწყების თარიღი, განათლება, ენების ცოდნა, მობილური და ფიქსირებული ტელეფონის ნომერი და სამუშაო გამოცდილება.

- კომპანიაში დასაქმებულ პირთა ფაქტობრივი მისამართის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მათთან კომუნიკაციის მიზნით, ხოლო რეგისტრაციის ადგილის აღრიცხვა ხორციელდება – როგორც ზემოაღნიშნული მიზნით, ასევე საბუღალტრო (ანგარიშსწორების) და სავადასახადო მიზნებისთვის.

- ზემოაღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფაში შესაბამისი გრაფების შექმნისას თავდაპირველად დაემატა ასევე ეროვნების აღნიშნული გრაფა. კომპანიაში დაგეგმილი იყო სხვადასხვა ეროვნების პირთა დასაქმება, რათა მომსახურების გაწევა მომხდარიყო სხვადასხვა ენაზე და აღნიშნული მიზნით მოხდა ეროვნების შესახებ გრაფის დამატება. თუმცა, კომპანიაში მომსახურების გაწევა სხვადასხვა ენაზე არ ხორციელდება. აღნიშნულის მიუხედავად, კომპანია კვლავ ახორციელებს დასაქმებულ პირთა ეროვნების შესახებ მონაცემების შეგროვებასა და შენახვას.

- ზემოხსენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში შესაბამისი გრაფების

შექმნისას დაემატა ასევე სქესის და ოჯახური მდგომარეობის აღმნიშვნელი გრაფა, ვინაიდან კომპანიას ჰქონდა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ერთ-ერთი სადაზღვევო ორგანიზაციისათვის, რომელთანაც დღეს აღარ გააჩნია სამართლებრივი ურთიერთობა. ამჟამად კომპანიაში დასაქმებულ პირთა დაზღვევას ახორციელებს სხვა სადაზღვევო კომპანია, რომელიც არ ითხოვს ინფორმაციას კომპანიის თანამშრომელთა სქესისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. თუმცა, კომპანია კვლავ აგროვებს და ინახავს თანამშრომელთა სქესის და ოჯახური მდგომარეობის შესახებ მონაცემებს.

- კომპანიაში დასაქმებულ პირთა კორპორატიული დაზღვევის ფარგლებში, თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ დააბღვიონ ოჯახის წევრებიც (შვილი ან/და მეუღლე), რისთვისაც საჭიროა ოჯახის წევრის შესახებ კომპანიისათვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდება: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი. აღნიშნულ მონაცემებს კომპანია უგზავნის სადაზღვევო ორგანიზაციას, ხოლო გადაგზავნის შემდეგ კი შეგროვილ მონაცემებს ანადგურებს. დასაქმებული პირების და მათი ოჯახის წევრებისათვის გაწეული კონკრეტული სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია კომპანიას არ მიეწოდება. კომპანიისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ინფორმაცია, თუ რა ღირებულების სადაზღვევო პაკეტით სარგებლობენ კომპანიის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, ვინაიდან ხელფასიდან ყოველთვიურად ხდება ფიქსირებული თანხის ჩამოჭრა.

- კომპანიაში დასაქმებულ პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მის შესახებ კომპანიაში არსებული მონაცემებიდან ინახება მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და კომპანიის დირექტორის ის ბრძანებები, რომლის საფუძველზეც მოხდა პირის კომპანიაში დანიშვნა, სამსახურებრივი გადაადგილება და გათავისუფლება. ამ პირის შესახებ პერსონალური მონაცემების შემცველი სხვა ელექტრონული და მატერიალური სახის დოკუმენტები ნადგურდება. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი საგადასახადო

მიზნებისთვის ინახება 04 (ოთხი) წლის ვადით, ხოლო პირის სამსახურში დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილებისა და გათავისუფლების შესახებ გამოცემული კომპანიის დირექტორის ბრძანებების შენახვის ვადა და წესი კომპანიას არ აქვს დადგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის დირექტორის ზემოხსენებული ბრძანებები 2012 წლის შემდგომ არ განადგურებულა და ინახება განუსაზღვრელი ვადით.

- 2016 წლის 11 მარტს, კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის მონაცემთა ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ მოცემულ ბაზაზე სრული წვდომის (რედაქტირების, წაშლის, განახლების, შექმნის) უფლება ჰქონდათ: კომპანიის დამფუძნებელს და კომპანიის დირექტორს (კომპანიის ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების მიზნით), მთავარ ბუღალტერს (დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების მიზნით), ქსელებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს (მონაცემთა ბაზის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით), ოფის-მენეჯერს (კომპანიაში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში პირველადი ასახვის და შემდგომი რედაქტირების მიზნით) და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს. როგორც გამოირკვა, ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისათვის ზემოაღნიშნულ მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლების მინიჭება წარმოადგენდა ხარვეზს და საჭიროება არ არსებობდა. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2016 წლის 16 მარტს კომპანიამ ჩამოართვა მას ეს უფლება.

სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურება

- კომპანია ახორციელებს სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებას 24 (ოცდაოთხი) საათიან რეჟიმში და მომხმარებლებს (როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს) სატელეფონო კავშირის მეშვეობით აწვდის სხვადასხვა ინფორმაციას: ფიქსირებული სატელეფონო ნომრების აბონენტების, ორგანიზაციების, ტრანსპორტის, კოდების, ქუჩების ინფორმაციისა და ღირსშესანიშნაობების, ვალუტის კურსის, მანძილისა

და ზუსტი დროის, გართობის, ფასდაკლებების, ამინდის პროგნოზის, კალენდრის, სპორტის და სხვადასხვა სფეროს შესახებ.

- კომპანიის მონაცემთა ბაზაში განთავსებულია ინფორმაცია 488 347 (ოთხას ოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდაშვიდი) ფიზიკური პირის და 107 000 (ასშვიდი ათასი) იურიდიული პირის შესახებ.

- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანიის მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესში

იმ ფიზიკურ პირთა შესახებ, რომლებიც წარმომადგენდენფიქსირებული სატელეფონო ნომრების აბონენტებს (შემდგომში „აბონენტები“), მონაცემების შეგროვების მიზნით კომპანია იყენებდა სხვადასხვა წყაროს. კერძოდ, საცნობარო წიგნებს (ე.წ. „სატელეფონო წიგნი“), რომლებშიც ასახული იყო ინფორმაცია ფიქსირებული სატელეფონო აბონენტების შესახებ და სხვადასხვა ვებგვერდს (მათ შორის, www.phone.ge, www.directory.ge, www.smartivi.ge). სულ მცირე ბოლო ერთი წლის მანძილზე მონაცემთა ბაზის ფორმირების მიზნით ზემოაღნიშნული წყაროებიდან აბონენტების შესახებ მონაცემების შეგროვება/მოპოვება აღარ ხორციელდება.

- იმ შემთხვევაში თუ კომპანიას დაუკავშირდება მომხმარებელი ფიქსირებული ტელეფონის ნომრიდან, რომელიც არ არის რეგისტრირებული მონაცემთა ბაზაში, ოპერატორი ინიშნავს ამ ნომერს და დღის განმავლობაში უკავშირდება აღნიშნულ მომხმარებელს. მასთან დაკავშირების მიზანია კომპანიის საქმიანობის გაცნობა და დაზუსტება სურს თუ არა აბონენტს მისი პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, მისამართი და ფიქსირებული ტელეფონის ნომერი) განთავსება კომპანიის მონაცემთა ბაზაში, ხოლო თანხმობის მიღების შემთხვევაში ამ მონაცემების დადგენა და აღრიცხვა.

- მონაცემთა ბაზაში არსებული საცნობარო ინფორმაციის განახლების დამატებით წყაროს, აგრეთვე წარმომადგენს კომპანიის ოპერატორების მიერ ყოველდღიური სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით აბონენტებისაგან მიღებული მონაცემები.

- ფიზიკური პირის შესახებ კომპანია ამუშავებს შემდეგ მონაცემებს:

სახელი, გვარი,

საცხოვრებელი მისამართი და ფიქსირებული ტელეფონის ნომერი.

- იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი კომპანიაში სატელეფონო ზარის განხორციელებისას დაასახელებს ფიზიკური პირის (აბონენტის) სახელსა და გვარს ან მისამართს ან ტელეფონის ნომერს, ოპერატორი მას აწვდის ინფორმაციას კომპანიის მონაცემთა ბაზაში არსებული სხვა მონაცემის შესახებ. კერძოდ, მომხმარებლის მიერ კომპანიაში ზარის განხორციელებისას აბონენტის სახელისა და გვარის დასახელების შემთხვევაში მას მიეწოდება ინფორმაცია აბონენტის საცხოვრებელი მისამართისა და ფიქსირებული ტელეფონის ნომრის შესახებ, მისამართის დასახელების შემთხვევაში გაიცემა ინფორმაცია აბონენტის სახელის, გვარის და ფიქსირებული ტელეფონის ნომრის შესახებ, ხოლო ფიქსირებული ტელეფონის ნომრის დასახელების შემთხვევაში - ინფორმაცია აბონენტის სახელის, გვარის და მისამართის შესახებ.

- 2016 წლის 11 მარტით დათარიღებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი

აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ მომხმარებელი უკავშირდება კომპანიას და თხოვს ინფორმაციას, არსებობს თუ არა კონკრეტული მისამართი. ოპერატორი მომხმარებელს უდასტურებს დასახელებული მისამართის არსებობას და დამატებით, მომხმარებლის მოთხოვნის გარეშე, აწვდის მას ინფორმაციას მითითებულ მისამართზე რეგისტრირებული ყველა ფიზიკური პირის გვარის შესახებ.

- კომპანიის მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, კომპანიის ოპერატორები პერიოდულად უკავშირდებიან მონაცემთა ბაზაში არსებულ აბონენტებს (ფიზიკურ პირებს) და აახლებენ შემდეგ ინფორმაციას: აბონენტის სახელს, გვარს, საცხოვრებელ მისამართს, ფიქსირებულ ტელეფონის ნომერს. კომპანიას არ აქვს დადგენილი ამ ინფორმაციის განახლების წესი და პერიოდულობა.

- კომპანიის მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების (ფიქსირებული სატელეფონო

ნომერი, ნომრის მფლობელის სახელი, გვარი და მისამართი) შენახვასა

და გაცემაზე მონაცემთა სუბიექტების მხოლოდ ნაწილისაგან აქვს კომპანიას მიღებული თანხმობა (კომპანიის მიერ ვერ იქნა დასახელებული ასეთი პირების ზუსტი რაოდენობა). ამასთან, რამდენადაც თანხმობის მიღება აღნიშნული პირებისაგან ხორციელდებოდა სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, არსებობს თანხმობის მიმცემი ფიზიკური პირების არაზუსტი იდენტიფიცირების რისკი.

– მონაცემთა სუბიექტებისაგან თანხმობის მიღებასთან დაკავშირებით კომპანიამ წარმოადგინა აბონენტთან განხორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი. აღნიშნული აუდიოჩანაწერის მიხედვით, კომპანიის ოპერატორი დაუკავშირდა ფიზიკურ პირს (ფიქსირებული სატელეფონო ნომრის აბონენტს) მის შესახებ არსებული მონაცემების შეგროვების/განახლების მიზნით. ოპერატორმა განუმარტა პირს, რომ უკავშირდებოდა საინფორმაციო საცნობარო სამსახურიდან და მისგან ინფორმაციის (სახელი, გვარი, მისამართი, ფიქსირებული ტელეფონის ნომერი) მიღების შემდეგ იღებს თანხმობას, მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემის თაობაზე.

– რამდენადაც მონაცემთა ბაზაში არსებული ფიქსირებული ტელეფონის ნომრების ნაწილი მოპოვებულია სხვადასხვა ვებგვერდებიდან და საცნობარო წიგნებიდან, მონაცემთა ბაზაში შესაძლოა იყოს ისეთი მონაცემები, რომელთა დამუშავების ნებართვა (თანხმობა) მონაცემთა სუბიექტისგან არ აქვს მიღებული კომპანიას. ამასთან, აღნიშნული მონაცემების გარკვეული ნაწილი შესაძლოა იყოს არაზუსტი, ვინაიდან თითოეული მათგანის გადამოწმება/განახლება არ მომხდარა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

– მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მომხმარებლის მიერ მობილური ტელეფონიდან ზარის განხორციელებისას კომპანიის ოპერატორი აზუსტებს მის სახელს, რის შემდეგაც მისი სახელი და ტელეფონის ნომერი აისახება კომპანიის შესაბამის მონაცემთა ბაზაში. იმავე ნომრიდან დაკავშირების შემთხვევაში მომხმარებელს კომპანიის ოპერატორები მიმართავენ იმ სახელით, რომელიც დასახელებულ იქნა აღნიშნული ნომრიდან სატელეფონო ზარის განხორციელებისას. კომპანიის მიერ წარმოდგენილი

2016 წლის 29 და 30 მარტით დათარიღებული აუდიოჩანაწერების მიხედვით, კომპანიამ არ უზრუნველყო მომხმარებლის ინფორმირება, რომ მისი სახელი და ტელეფონის ნომერი აისახება კომპანიის მონაცემთა ბაზაში და იმავე ნომრიდან დაკავშირების შემთხვევაში მას მიმართავენ დასახელებული სახელით.

- კომპანია არ გასცემს ინფორმაციას ფიზიკური პირების მფლობელობაში არსებული მობილური ტელეფონების ნომრების შესახებ.

- კომპანიის პროგრამულ უზრუნველყოფაში აღირიცხება ფიქსირებული სატელეფონო

აბონენტების შესახებ არსებული მონაცემების მესამე პირებისათვის გამჟღავნების ფაქტები (კერძოდ: ვის, როდის და რა სახის ინფორმაცია მიეწოდა).

- კომპანია აღრიცხავს ინფორმაციას მომხმარებლისათვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების შესახებ, რომლებიც ინახება უვადოდ.

- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია ახორციელებს ოპერატორისა და მომხმარებლის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერას. აუდიოჩანაწერის თაობაზე მომხმარებლის ინფორმირება ხორციელდება საუბრის დაწყებამდე. აუდიოჩანაწერები ინახება სპეციალურად დაცულ სერვერზე ე.წ. „MP3“ ფაილების სახით, რომელთა დასახელებაც შედგება განხორციელებული ზარის თარიღისა და ჩანაწერების სპეციალური იდენტიფიკატორისგან („Session ID“). „MP3“ ფაილებზე წვდომა აქვთ ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამსახურის პროგრამისტს და კომპანიის მონიტორინგის ჯგუფს. ამასთან, აუდიოჩანაწერები ინახება ე.წ. „File Sharing Server“-ზე და ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რაიმე დაცვის – პაროლის გარეშე.

- კომპანიამ წარმოადგინა ოპერატორისა და მომხმარებლის საუბრის აუდიოჩანაწერის გადაცემის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კომპანიას მხოლოდ ორჯერ (2015 წლის 28 მაისს და 2015 წლის 24 აგვისტოს)

მიმართა ზემოაღნიშნული მოთხოვნით, თუმცა შესაბამისი აუდიოჩანაწერის არქონის გამო, კომპანიას არ გაუცია მოთხოვნილი ინფორმაცია.

- კომპანიის საქმიანობის მანძილზე ორჯერ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც აბონენტმა მოითხოვა მის შესახებ არსებული ინფორმაციის კომპანიის მონაცემთა ბაზიდან წაშლა, რაც კომპანიამ უზრუნველყო.

კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფა

- 2016 წლის 11 მარტს, კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია საქმიანობის პროცესში იყენებს „Oracle“-ისა და „Oris“-ის მონაცემთა ბაზებს. ბულალტერიის განყოფილება მუშაობს „Oris“-ის პროგრამაში, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც დაფუძნებულია „ORACLE“-ის მონაცემთა ბაზაზე. „Oracle“-ისა და „Oris“-ის მონაცემთა ბაზებს შორის ინფორმაციის მიმოცვლა არ ხორციელდება. ბულალტერიის განყოფილება (მთავარი ბულალტერი) საგადასახადო მიზნებისთვის ამუშავებს კომპანიაში დასაქმებულ პირთა სახელებს, გვარებს, პირად ნომრებსა და რეგისტრაციის ადგილებს.

- კომპანიაში ფუნქციონირებს: ქსელებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ფინანსებისა და ბულალტერიის განყოფილება, ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ასევე ხარისხის კონტროლის სამსახური და სამეურნეო სამსახური. ყველა განყოფილებასა და სამსახურს აქვს მხოლოდ თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან წვდომა, შესაბამისად მათ არა აქვთ მინიჭებული სხვა განყოფილების პროგრამულ ნაწილზე წვდომის უფლება. მონაცემთა ბაზებზე წვდომის დონეებს განსაზღვრავს კომპანიის დირექტორი, თანამშრომელთა ფუნქციების შესაბამისად.

- კომპანიის ყველა ოპერატორს მინიჭებული აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი („user“) და პაროლი („password“), რის გარეშეც არ შეუძლიათ პროგრამაში მუშაობა და ინფორმაციის ნახვა. სამსახურის

გარე ქსელიდან პროგრამასთან წვდომა არ არის შესაძლებელი. პროგრამა იძლევა მოქმედებათა აღრიცხვის ე.წ. „ლოგირების“ შესაძლებლობას, რის მიხედვითაც შესაძლებელია გადამოწმება, თუ რომელმა ოპერატორმა ვის შესახებ და რა სახის ინფორმაცია ნახა (დაათვალიერა) პროგრამის გამოყენებით. ასევე ე.წ. „ლოგირების“ ფუნქცია აქვს, როგორც ბუღალტერიის, ასევე კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პროგრამებს.

– კომპანიაში ორგანიზებულია პერსონალურ მონაცემთა შემცველი ორი მონაცემთა ბაზა –

„Oris“ (საბუღალტრო პროგრამა) და შიდაპროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კომპანიის თანამშრომლების ძირითად სამუშაო პროგრამას წარმოადგენს. აღნიშნულ ბაზაში აისახება თანამშრომლების სახელები, გვარები, პირადი ნომრები, ჩარიცხვები და სხვა მონაცემები, რომლებიც არ ივსება.

– პროგრამა განთავსებულია კომპანიის მთავარი ბუღალტერის კომპიუტერზე და დაცულია

ციფრული გასაღებითა და კომპიუტერის პაროლით. მონაცემების ხანდაზმულობის ვადის შესრულების შემდეგ მონაცემების წაშლის პროცესი ორგანიზებული არ არის. ასევე არ არის ე.წ. „ლოგირების“ სისტემა.

– შიდა პროგრამული უზრუნველყოფა განთავსებულია ორგანიზაციის სერვერებზე, მონაცემთა ბაზა არის „Oracle 11“, ხოლო აპლიკაცია გაშვებულია „Tomcat Application“ სერვერზე. აღნიშნულ ბაზაში ინახება ყველა ის მონაცემი, რომლებსაც სატელეფონო–საინფორმაციო–საცნობარო მომსახურების გაწევისას გასცემენ კომპანიის ოპერატორები.

– ოპერატორები პროგრამულ უზრუნველყოფაში ავტორიზაციას ახდენენ მათზე განპიროვნებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით. ოპერატორისთვის მომხმარებლის პირადი ტელეფონის ნომერი და სახელი, მხოლოდ მაშინ არის ხელმისაწვდომი, როცა ეს მომხმარებელი უკავშირდება კომპანიას. ამ დროს იხსნება ფანჯარა, სადაც ჩანს შემომავალი ზარის განმასორციელებელი პირის ტელეფონის ნომერი.

- ადამიანური რესურსების მონაცემთა ბაზაზე წვდომა დაცულია მომხმარებლის სახელით და პაროლით, აგრეთვე სპეციალურად გამოყოფილი როლით, თუ მომხმარებელს შესაბამისი როლი არ გააჩნია მას ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ჭდეზე წვდომა არ აქვს.

- კომპანიის ქსელის გარე პერიმეტრზე დგას მარშრუტიზატორი „Cisco 2800“, ხოლო

სერვისების მიწოდება ინტერნეტში არ ხორციელდება.

- შემოწმების შედეგად, ასევე დადგინდა, რომ შპს „ა“-ს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის არ წარუდგენია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დადგენილი წესით წარმოებული ფაილური სისტემის კატალოგი და ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია.

შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი სამართალდარღვევები

შპს „ა“-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტზე, შემოწმების ფარგლებში, 2016 წლის 07 აპრილს, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები: №0000107, №0000108, №0000109, №0000110, №0000111, №0000112, №0000113, №0000114, №0000115, №0000116, №0000117, №0000118, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ პუნქტების, მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის, მე-17 მუხლის და მე-20 მუხლის დარღვევისთვის, რომლებიც ხელმოწერით დაადასტურა კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ.

1. შპს „ა“-ს მიერ კომპანიაში დასაქმების მსურველ პირთა მონაცემების შენახვის ვადის თაობაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების პრინციპები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მონაცემთა დამუშავებისას. აღნიშნული მუხლის „ე“ პუნქტით დადგენილია, რომ მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, თუკი მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი მონაცემთა შენახვისთვის კონკრეტული ვადა, მონაცემთა დამუშავებელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს იგი. თუმცა, აღნიშნული ვადა აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების შესაბამისი მიზნის მისაღწევად.

შპს „ა“-ს შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას კონკრეტულ ვაკანსიაზე დასაქმების მსურველთა მიერ მიეწოდება მათი პერსონალური მონაცემების შემცველი რეზიუმეები როგორც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე მატერიალური ფორმით მათი კომპანიის იურიდიულ მისამართზე წარდგენის გზით. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარდგენილი რეზიუმეები იშლება მათი მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში და მათი შენახვა აღარ ხდება კომპანიის მიერ, ხოლო მატერიალური ფორმით წარდგენილ რეზიუმეებს, მიუხედავად კანდიდატისათვის დასაქმებაზე უარის თქმისა, კომპანია ინახავს განუსაზღვრელი ვადით. კომპანიის განმარტებით, რეზიუმეების განუსაზღვრელი ვადით შენახვის მიზანს წარმოადგენს ამა თუ იმ პირის კანდიდატურის განხილვა ახალ ვაკანსიაზე.

დასაქმების კანდიდატთა მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვის თაობაზე კომპანიის ზემოაღნიშნული განმარტება ვერ იქნება მიჩნეული საკმარის დასაბუთებად. კომპანიის არგუმენტაცია წინააღმდეგობრივია: ერთის მხრივ, კომპანიის მიერ ნადგურდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარდგენილი რეზიუმეები მათი მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში და მათი შენახვის საჭიროება სამომავლოდ ახალი ვაკანსიის ფარგლებში კანდიდატის განსახილველად აღარ არის საჭირო, მეორეს მხრივ, მატერიალური ფორმით წარდგენილ რეზიუმეები აღნიშნული არგუმენტით ინახება განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, არ არსებობს დასაქმების მსურველთა რეზიუმეების განუსაზღვრელი ვადით შენახვის აუცილებლობა. კომპანია რეზიუმეს გაცნობისას ადგენს თუ რამდენად შეესაბამება მასში მოცემული მონაცემები ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებასთან დაკავშირებით დადგენილ მოთხოვნებს და მათზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ ვაკანსიაზე პირის დასაქმების შესახებ. გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ამა თუ იმ პირის შესახებ რეზიუმეში მოცემული მონაცემები განიცდის მოძველებას ან პირი აღარ იყოს დაინტერესებული კომპანიაში დასაქმებით. შესაბამისად, ახალი ვაკანსიის ფარგლებში კანდიდატის დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად რეზიუმე ვეღარ იქნება გამოყენებული და ამისთვის კომპანიას საჭიროდება პირის შესახებ განახლებული ინფორმაცია. ამდენად, ახალ ვაკანსიაზე პირის დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის არ არის აუცილებელი კანდიდატთა რეზიუმეების განუსაზღვრელი ვადით შენახვა, რის გამოც შპს „ა“-ს მხრიდან ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევას, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ამავე კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად.

2. შპს „ა“-ს მიერ კომპანიაში დასაქმებულ პირთა მონაცემების შეგროვების და შენახვის კანონიერება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ამავდროულად, „ბ“ პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს წარმოადგენს მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილია, რომ მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით, ხოლო „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის

მისაღწევადაც მუშავდება ისინი. ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად კი, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ა“ კომპანიაში დასაქმებულ პირთა შესახებ აგროვებს და ინახავს მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება თავდაპირველად ხორციელდებოდა თანამშრომელთა დაზღვევის მიზნით, კონკრეტული სადაზღვევო კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ფარგლებში. აღნიშნულ სადაზღვევო კომპანიასთან შპს „ა“ აღარ თანამშრომლობს, კომპანიაში დასაქმებული პირები ამჟამად დაზღვეულნი არიან სხვა სადაზღვევო კომპანიაში, რომელიც აღარ ითხოვს ინფორმაციას თანამშრომელთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, შპს „ა“ კვლავ ინახავს დასაქმებულთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. კომპანიას აღარ აქვს დასაქმებულ პირთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ მონაცემების დამუშავების მიზანი, რაც ეწინააღმდეგება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნას – მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. ამავე მუხლის „ე“ პუნქტით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპის თანახმად კი, მას შემდეგ რაც კომპანიას აღარ სჭირდებოდა აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება სადაზღვევო კომპანიისათვის გადასაცემად, ეს ინფორმაცია უნდა წაეშალა, გაენადგურებინა ან შეენახა პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

შემოწმების ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ კომპანია აგროვებს და ინახავს დასაქმებულ პირთა ეთნიკურ კუთვნილებასთან – ეროვნების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე სხვა კატეგორიის პერსონალური მონაცემების მიმართ. ამგვარი მონაცემების დამუშავებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედმიწევნით იქნეს დაცული მონაცემთა დამუშავების პრინციპები და აუცილებელია სახეზე იყოს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა ასეთი მონაცემების დამუშავების შესახებ ან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებიდან ერთ-ერთი მაინც.

შემოწმების ფარგლებში შპს „ა“-მ ვერ დაასახელა შესაბამისი კანონიერი მიზანი და ვერ დაასაბუთა დასაქმებული პირის ეროვნების შესახებ მონაცემის დამუშავების აუცილებლობა. შპს „ა“ განმარტავდა, რომ კომპანიაში დაგეგმილი იყო სხვადასხვა ეროვნების პირთა დასაქმება, რათა კომპანიას მომსახურება გაეწია სხვადასხვა ენაზე. თუმცა, კომპანიას არ განუხორციელებია სხვადასხვა ენაზე მომსახურების გაწევა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია მომავალში მომსახურებას შესთავაზებს სხვადასხვა ენაზე, გაურკვეველია თუ რაში მდგომარეობს დასაქმებულთა ეროვნების შესახებ ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია დასაქმებული პირის ეროვნების შესახებ ინფორმაციის დამუშავების გარეშე, მხოლოდ იმ ინფორმაციის დამუშავებით თუ რომელ უცხო ენას ფლობს პირი. ამდენად, კომპანია შესაბამისი კანონიერი მიზნის გარეშე ამუშავებს დასაქმებულ პირთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით, რაც წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების დარღვევას.

ამასთან, ეროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვასთან დაკავშირებით შპს

„ა“-ს არ წარმოუდგენია დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დასაქმებული პირის ეროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ან/და შენახვის ვალდებულება დამსაქმებელს არ აქვს. კომპანიის განმარტებით, ამ ეტაპზე არ არსებობს ეროვნების შესახებ ინფორმაციის დამუშავების საჭიროება, შესაბამისად არ იკვეთება აღნიშნული ინფორმაციის შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე შეგროვების ან/და შენახვის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, შპს „ა“-ს მხრიდან ადგილი აქვს დასაქმებულ პირთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, რაც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აღნიშნული კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. შპს „ა“-ს მიერ სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის პროცესში მონაცემების დამუშავების კანონიერება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავდროულად, „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან

ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“).

შპს „ა“-სთვის ნუმერაციის რესურსის მინიჭების შესახებ კომისიის 2012 წლის ** აგვისტოს

№***/** გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ა“-ს მიენიჭა ნუმერაციის რესურსი (***) სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების განხორციელების ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე. ამდენად, შპს „ა“-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მომხმარებელთათვის სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევა, რომლის ფარგლებშიც ფლობს საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზას (შემდგომში „მონაცემთა ბაზა“). კომპანია, მომხმარებელს აწვდის სხვადასხვა სახის ინფორმაციას და მომსახურების გაწევის მიზნით უშუალოდ ამუშავებს ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემებს, მათი შეგროვების, შენახვის და გამჟღავნების გზით.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ა“-ს მონაცემთა ბაზაში განთავსებულია ინფორმაცია 488 347 (ოთხასოთხმოცდარვა ათას სამასორმოცდაშვიდი) ფიზიკური პირის და

107 000 (ასშვიდი ათასი) იურიდიული პირის შესახებ. აღნიშნული ბაზის ფორმირების მიზნით, კომპანია იმ ფიზიკურ პირთა მონაცემებს, რომლებიც წარმოადგენენ ფიქსირებული სატელეფონო ნომრების აბონენტებს (შემდგომში „აბონენტი“) აგროვებდა სხვადასხვა წყაროებიდან. კერძოდ, საცნობარო წიგნების (ე.წ. „სატელეფონო წიგნი“, სადაც მოცემული იყო

ინფორმაცია აბონენტების შესახებ) და სხვადასხვა ვებგვერდის (მათ შორის, www.phone.ge, www.directory.ge, www.smartivi.ge) მეშვეობით. აღნიშნული წყაროებიდან უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში აბონენტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება არ ხდება, თუმცა, აწ უკვე შეგროვებულ მონაცემებს კომპანია ამუშავებს მათი შენახვისა და გამუდავების გზით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია ამავე მუხლით ჩამოთვლილი ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას. მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაცვა და ა.შ.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ აბონენტების შესახებ კომპანია ფლობს მისი სახელის, გვარის, საცხოვრებელ მისამართისა და ფიქსირებული ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაციას. ამასთან, თუკი მომხმარებელი სატელეფონო საუბარში დაასახელებს კონკრეტული აბონენტის სახელსა და გვარს ან/და მისამართს ან/და ტელეფონის ნომერს, კომპანიის თანამშრომელი მას აწვდის ინფორმაციას კომპანიის საინფორმაციო-საცნობარო ბაზაში ამ პირთან დაკავშირებით არსებული სხვა მონაცემის შესახებ. კომპანიის მონაცემთა ბაზაში არსებული აბონენტების მონაცემთა (ფიქსირებული სატელეფონო ნომერი, ნომრის მფლობელის სახელი, გვარი და მისამართი) შენახვისა და გაცემასთან დაკავშირებით კომპანიას მონაცემთა სუბიექტების მხოლოდ ნაწილისგან აქვს მიღებული თანხმობა. ასეთი

პირების ზუსტი ოდენობა ვერ დაასახელა კომპანიამ. თანხმობის მიღება ხდებოდა ცალკეულ პირებთან სატელეფონო საუბრისას, თუმცა, თანხმობის გამცემი პირებისა და მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირება ვერ ხდებოდა. ამდენად, კომპანია ნაწილი ფიქსირებული სატელეფონო აბონენტების შესახებ, მონაცემებს შენახვისა და გამჟღავნების გზით ამუშავებს მათი თანხმობის გარეშე. აბონენტთა მონაცემების შენახვასთან და გამჟღავნებასთან დაკავშირებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობა კი განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება. აქედან გამომდინარე, კომპანია აბონენტთა მონაცემებს ამუშავებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი წესის დარღვევით. აღნიშნული კი ამავე კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ასევე, შემოწმების ფარგლებში კომპანიის მიერ წარმოდგენილი, 2016 წლის 11 მარტით დათარიღებული აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ კომპანიას დაუკავშირდა მომხმარებელი, რომელიც ითხოვდა ინფორმაციას მის მიერ დასახელებული კონკრეტული მისამართის არსებობის თაობაზე. კომპანიის წარმომადგენელმა კი გარდა იმისა, რომ დაუდასტურა თანამოსაუბრეს მისამართის არსებობა, დამატებით, მომხმარებლის მოთხოვნის გარეშე, მიაწოდამას მითითებულ მისამართზე რეგისტრირებული ყველა პირის გვარის შესახებ ინფორმაცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომპანიამ ამ კონკრეტულ მისამართზე რეგისტრირებულ პირთა შესახებ მონაცემები დაამუშავა (გამჟღავნა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტისა და მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, ერთის მხრივ გაამჟღავნა მონაცემები არაპროპორციული მოცულობით, ვინაიდან სატელეფონო ზარის განმახორციელებელი პირის მიერ მოთხოვნილი იყო ინფორმაცია მხოლოდ კონკრეტული მისამართის არსებობის თაობაზე, ხოლო კომპანიამ

დამატებით ვაცა ამ მისამართზე მცხოვრები პირების პერსონალური მონაცემები, რისი გაცემის აუცილებლობაც, თუნდაც სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის ფარგლებში, არ იყო სახეზე. მეორეს მხრივ კი, კომპანიას არ გააჩნდა ამ პირთა მონაცემების გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტით დადგენილია, რომ მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს. კომპანიის მონაცემთა ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემების გარკვეული ნაწილის დაზუსტება ხდება სხვადასხვა გზით, თუმცა აღნიშნულ ბაზაში კვლავ რჩება მონაცემთა გარკვეული ნაწილი, რომელთა დაზუსტება და განახლება არ მომხდარა კომპანიის მიერ. სატელეფონო-საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გაწევის პროცესში მნიშვნელოვანია, პირთა შესახებ დამუშავებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და გონივრული პერიოდულობით განახლებადი. ამასთან, კომპანიამ შემოწმების პროცესში დაადასტურა, რომ მონაცემთა სუბიექტების მხოლოდ ნაწილისგან აქვს მიღებული თანხმობა. სხვა პირთა შესახებ მონაცემების დამუშავების საფუძველი კი არ აქვს. ამდენად, კომპანიის მხრიდან ადგილი აქვს

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევას, რაც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის დაკისრებას ამავე კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად.

შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა ის გარემოება, რომ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მომხმარებლის მიერ მობილური ტელეფონიდან ბარის განხორციელებისას კომპანიის წარმომადგენელი აზუსტებს

თანამოსაუბრის სახელს, რის შემდეგაც მისი სახელი და მობილური ტელეფონის ნომერი აისახება კომპანიის შესაბამის მონაცემთა ბაზაში. იმავე სატელეფონო ნომრიდან დაკავშირების შემთხვევაში მომხმარებელს კომპანიის ოპერატორები მიმართავენ აღნიშნული ტელეფონის ნომრიდან ადრე განხორციელებული სატელეფონო ზარის ფარგლებში დასახელებული სახელით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი აუდიოჩანაწერებიდან ირკვევა, რომ კომპანიის მხრიდან არ ხორციელდება მომხმარებლის ინფორმირება, მისი სახელის და ტელეფონის ნომრის კომპანიის მიერ შენახვის და დამუშავების შესახებ. კომპანიის მიერ მომხმარებლისათვის საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების გასაწევად მათი მობილური ტელეფონის ნომრისა და სახელის დამუშავება კი საჭირო და აუცილებელ ღონისძიებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა საფუძველების გარეშე დამუშავება, რა ამავე კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

4. შპს „ა“-ს მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შესრულება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ადგენს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის დადგენილ სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ბაზის შემოწმების შემდგომ

დადგინდა, რომ აღნიშნულ ბაზაზე სრული წვდომის (რედაქტირების, წაშლის, განახლების, შექმნის) უფლება მინიჭებული ჰქონდა კომპანიის სხვადასხვა თანამშრომელს, მათ შორის ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს. კომპანიის განმარტებით, ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისათვის აღნიშნული წვდომის მინიჭება არ იყო საჭირო და ამ უფლებამოსილების მისთვის მინიჭება წარმოადგენდა ხარვეზს. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა კომპანიამ შეძლო 2016 წლის 16 მარტს.

ამას გარდა, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს ოპერატორისა და მომხმარებლის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერას. აუდიოჩანაწერები ინახება ელექტრონულად სპეციალურად დაცულ სერვერზე, ე.წ. „MP3“ ფაილების სახით, რომელთა დასახელებაც შედგება განხორციელებული ზარის თარიღისა და ჩანაწერების სპეციალური იდენტიფიკატორისგან. აუდიოჩანაწერები ინახება საერთო წვდომის მქონე სერვერზე ე.წ. „File Sharing Server“-ზე და ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, შესაბამისი დაცვის – პაროლის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოხდეს აუდიოჩანაწერების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ. ამასთან, კომპანიას აქვს შესაძლებლობა განათავსოს აუდიოჩანაწერები დაცულ ელექტრონულ მატარებელზე და შეამციროს მათი უკანონო გამოყენების რისკი.

აქედან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც ამავე კანონის 46-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

5. შპს „ა“-ს მიერ ფაილური სისტემის კატალოგის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, ფაილური სისტემა არის მონაცემთა სტრუქტურით დაწყობილი წყობა, რომელშიც ისინი დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. ამავე მუხლის

„ო“ პუნქტის შესაბამისად ფაილური სისტემის კატალოგს წარმოადგენს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალური აღწერილობა.

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმირებულობისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების ვალდებულება, ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე შეატყობინოს ინსპექტორს ინფორმაცია: ფაილური სისტემის სახელწოდების, მონაცემთა დამუშავებისა და უფლებამოსილი პირის დასახელებების და მისამართების, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი, მონაცემთა დამუშავების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლების, მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციის ინსპექტორისათვის მიწოდება ხდება ფაილური სისტემის კატალოგის ელექტრონული ფორმით წარდგენის გზით. მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, შპს „ა“-ს არ წარმოუდგენია ფაილური სისტემის კატალოგი ინსპექტორისათვის, რითაც დაარღვია ზემოაღნიშნული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. აღნიშნული კი წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

გასათვალისწინებელია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე თანამდებობის პირი, სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-17, მე-20, 27-ე, 35-ე, 39-ე, 43-ე, 44-ე, 45-ე, 46-ე, 53-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 44-ე, 45-ე, 46-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების №0000107, №0000108, №0000109, №0000110, №0000111, №0000112, №0000113, №0000114, №0000115, №0000116, №0000118;

3. შპს „ა“-ს დაევალოს არაუგვიანეს 2016 წლის 31 სექტემბრისა უზრუნველყოს კომპანიის კუთვნილ საინფორმაციო-საცნობარო ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლის მოპოვება,

ამავე მონაცემების დაზუსტება, საჭიროებისამებრ განახლება, ხოლო კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემების წაშლა. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შესახებ ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს არაუგვიანეს 2016 წლის 10 ოქტომბრისა;

4. შპს „ა“-ს დაევალოს არაუგვიანეს 2016 წლის 31 მაისისა:

4.1. განსაზღვროს გონივრული ვადა კომპანიაში დასაქმების მსურველი პირების/კანდიდატების მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილი რეზიუმეების შენახვისთვის. აღნიშნული ვადა უნდა იყოს აუცილებელი დასაქმების მსურველი პირების/კანდიდატების მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, უზრუნველყოს აღნიშნული რეზიუმეების განადგურება;

4.2. შეწყვიტოს კომპანიაში დასაქმებულ პირთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის (ეროვნების შესახებ ინფორმაციის) დამუშავება და უზრუნველყოს დასაქმებულთა შესახებ არსებული მონაცემების (ეროვნების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის) წაშლა;

4.3. ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომლებითაც უზრუნველყოფს

მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან და შემთხვევით დაკარგვისგან;

4.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წარუდგინოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით წარმოებული ფაილური სისტემის კატალოგი;

4.5. ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის ცნობება არაუგვიანეს 2016 წლის 10 ივნისისა.

5. შპს „ა“-ს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

ეცნობს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

ნ. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო

სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

**ს.კ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული
განხილვის დასრულების შესახებ**

ქ. თბილისი 21/08/2015 განმცხადებელი: ს.კ. (პ/ნ ***)**

მოთხოვნა: განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებთან (მათ შორის სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის, დაბადების წლის და მართვის მოწმობის მონაცემების) უკანონო წვდომის საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

აღწერილობითი ნაწილი

2015 წლის 26 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქე ს.კ.-მ და მიუთითა, რომ 2015 წლის 22 ივნისს კუთვნილი ავტომობილით (სახელმწიფო ნომერი: *** ***) მოძრაობისას ერთ-ერთი ავტომობილის (მოდელი: BMW- X5) მძღოლი შესამჩნევი ფორმით მანევრირებდა მისი ავტომობილის სიახლოვეს. რამდენიმე წუთში, განმცხადებელმა მის მფლობელობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება მისთვის უცნობი ნომრიდან. როგორც შეტყობინებიდან ირკვეოდა, გამომგზავნი იყო BMW- X5 ავტომობილის მძღოლი ჯ.ნ., რომელიც სავარაუდოდ მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, განმცხადებლის სატელეფონო ნომერი და სხვა პერსონალური მონაცემები (მათ შორის განმცხადებლის ფოტოსურათი) მან მოიძია სამინისტროს

შესაბამის მონაცემთა ბაზაში. განმცხადებელმა წარმოადგინა მიღებული მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და მიმოწერის დამადასტურებელი ფოტოსურათები (ე.წ. სქრინშოთი) და მოითხოვა მის პერსონალურ მონაცემებთან (მათ შორის სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის, დაბადების წლის და მართვის მოწმობის მონაცემების) უკანონო წვდომის საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 30 ივნისის №გ-1/078/2015 გადაწყვეტილებით, ს.კ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან 2015 წლის 22 ივნისს განმცხადებლის მონაცემებზე წვდომის ფაქტისა და შესაბამისი საფუძვლის შესახებ.

შინაგანსაქმეთა სამინისტროს 2015 წლის 06 ივლისის №MIA41501471616 წერილის თანახმად, აპარატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა საჭიროებდა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 13 ივლისის

№გ-1/091/2015 გადაწყვეტილების საფუძველზე, ს.კ.-ს 2015 წლის 26 ივნისის განცხადების განხილვა შეჩერებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ინფორმაციის წარმოდგენამდე.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2015 წლის 04 აგვისტოს №623/01 და 14 აგვისტოს № 678/01 წერილებით, სამინისტროსაგან განმეორებით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია და მოთხოვნილ იქნა განმარტება განსაზღვრულ ვადებში ინფორმაციის წარმოდგენლობის მიზეზების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს

MIA41501805900 წერილის თანახმად, სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტში ს.კ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა სამსახურებრივი შემოწმება, რა დროსაც დადგინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ლ.ნ.-ს (ჯ.ნ.-ს და) მიერ ინფორმაციის არასამსახურებრივი მიზნით დამუშავების ფაქტი. აღნიშნულის გამო, მას დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა სასტიკი საყვედური. ინსპექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში ინფორმაციის წარმოდგენლობასთან დაკავშირებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა 2015 წლი

01 აგვისტოს დაწყებული რეორგანიზაცია. სამინისტროს განმარტებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩამოყალიბების პროცესმა გამოიწვია ტექნიკური შეფერხება, რის გამოც შეუძლებელი გახდა მოთხოვნილი ინფორმაციის დროული დამუშავება და მოწოდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 22 ივნისს ს.კ.-ს მონაცემების

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავების ფაქტზე, 2015 წლის 21 აგვისტოს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000039. სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, სამინისტროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს, რადგან მათ თავად მოახდინეს სამართლებრივი რეაგირება თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სახით.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად კი, პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია ამავე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ს.კ.-ს განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ 2015 წლის 22 ივნისს განმცხადებლის შესახებ მონაცემების დამუშავება, კერძოდ, გადამოწმება და გამჟღავნება მოხდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, უკანონოდ, არასამსახურებრივი მიზნით. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 17 აგვისტოს MIA 41501805900 წერილიც.

სამინისტროს წარმომადგენლის პოზიცია, რომ სამინისტროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არ უნდა დაეკისროს, რადგან მათ თავად მოახდინეს სამართლებრივი რეაგირება თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სახით, ვერ იქნება გაზიარებული. მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციის მიერ თანამშრომლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტი, არ არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების გამომრიცხავი გარემოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 22 ივნისს ადგილი ჰქონდა ს.კ.-ს შესახებ მონაცემების გადამოწმებას და გამჟღავნებას

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი საფუძვლების გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 27-ე, 34-ე, 39-ე, 43-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;
3. დასრულდეს მოქალაქე ს.კ.-ს 2015 წლის 26 ივნისს წარმოდგენილი №01/373 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
4. განმცხადებელს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის

ვადაში.

გადაწყვეტილება № გ-1/163/2016

ქ.თბილისი

10/06/2016

განმცხადებელი: ლ.ბ. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: „A“-ს მიერ (შპს „ბ“; ს/კ *****) განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის - 599 1* ** * პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების წესისდარღვევაზე რეაგირება და ასევე, „A“-ს მიერ განმცხადებლის მფლობელობაში არსებული მეორე სატელეფონო ნომრის - 599 2* ** * პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენების აკრძალვა.

აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 25 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №01/364 განცხადებით მომართა ლ.ბ.-მ. განცხადების თანახმად, 2016 წლის 04 იანვარს და ამავე წლის 25 აპრილს მისმფლობელობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე - 599 1* ** * „A“-ს სახელით მიიღო სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებიც არ შეიცავდა ინფორმაციას ამგვარი შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის შესახებ და არც უარის თქმის მექანიზმს. განცხადებაზე მტკიცებულებების სახით დართული ფოტომასალის მიხედვით, 2016 წლის 04 იანვარს მიღებულია შეტყობინება ტექსტით: „შეხვდით შობას ზღაპრულ გარემოში ანსამბლ „თ“-სთან ერთად მოუსმინეთ თ.მ.-ს ჯაზ ბენდს, დააგემოვნეთ გლინტეინი და მიიღეთ მონაწილეობა ქართული კულინარიის მასტერკლასებში, ეს ყველაფერი 7-8-9 იანვარს. ინფო 2 ****“.

2016 წლის 25 აპრილს კი, მიღებულია შეტყობინება შემდეგი ტექსტით: „შეხვედით აღდგომას! ო.ბ.-ს და დ.ვ.-ს კონცერტი ღია ცის ქვეშ. სპეციალური გასართობი პროგრამა ბავშვებისთვის. ტელ: 0322*****.“

ლ.ბ. ზემოთხსენებულ განცხადებაში ასევე ითხოვდა მის მფლობელობაში არსებულ მეორე სატელეფონო ნომერზე (599 2* ** ***) შპს „ბ“-ს მიერ სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის აკრძალვას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 28 აპრილის №გ-1/105/2016 გადაწყვეტილებით ლ.ბ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 04 მაისის №734/01 წერილით, შპს „ბ“-ს ეთხოვა შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა: ახორციელებს თუ არა შპს „ბ“ თვითონ ან სხვა უფლებამოსილი პირის მეშვეობით მოქალაქეთა სატელეფონო ნომერებზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას „A“-ს სახელით; 2016 წლის 04 იანვარს და ამავე წლის 25 აპრილს, განხორციელდა თუ არა სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებ(ებ)ის გაგზავნა სატელეფონო ნომერზე – 599 1* ** *** და შეიცავდა თუ არა აღნიშნული შეტყობინებები ინფორმაციას მიმღების მიერ შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის უფლების და ასეთი მექანიზმის შესახებ.

2016 წლის 25 მაისის ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი №01/457 საპასუხო წერილით შპს

„ბ“-მ დაადასტურა სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის ფაქტი „A“-ს სახელით და ასევე, 2016 წლის 04 იანვარს და 2016 წლის 25 აპრილს სატელეფონო ნომერზე – 599 1* ** *** მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, რომელიც არ შეიცავდა ამგვარი შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციას და არც უარის თქმის მექანიზმს.

ამავე წერილით შპს „ბ“-მ განმარტა, რომ შეტყობინების გამგზავნ თანამშრომელს შპს „ბ“-ს დირექტორის მიერ მიეცა წერილობითი გაფრთხილება და დაეკისრა პასუხისმგებლობა კომპანიაში მოქმედი შრომის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული შემთხვევის პრევენციის მიზნით კი, შპს „ბ“-ს ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები. შპს „ბ“ ასევე მიუთითებდა, რომ სრულად აცნობიერებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას და ითხოვდა, არ გამოყენებულიყო საჯარიმო სანქცია კომპანიის მიერ ჩადენილ ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში, 2016 წლის 06 ივნისს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ჩატარდა ზეპირი განხილვის სხდომა, სადაც კომპანიის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა განმცხადებლისათვის სარეკლამო შეტყობინების გაგზავნის მიზეზები და მიუთითა, რომ სრულად აცნობიერებდა სამართალდარღვევის არსს.

ზეპირ განხილვაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევისთვის, შედგა №0000174 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელმოწერით დაეთანხმა კომპანიის წარმომადგენელი.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით მონაცემთა დამუშავება განიმარტება როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება,

ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯვრეება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ხოლო „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამმუშავებას.

ამავე კანონის მე-2 მუხლის „უ“ პუნქტის მიხედვით, პირდაპირი მარკეტინგი არის ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილი გარემოებაა, რომ შპს „ბ“-მ გამოიყენა ლ.ბ.-ს სატელეფონო ნომერი (599 1* ** ***) პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, კერძოდ, გააგზავნა მასთან სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინება. ამდენად, სახეგა ლ.ბ.-ს პერსონალური მონაცემის (სატელეფონო ნომერი) დამმუშავება მონაცემთა დამმუშავებლის შპს „ბ“-ს მიერ.

პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების წესები დადგენილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით. ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა მოითხოვოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამმუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და ამისათვის განსაზღვროს ხელმისაწვდომი

და ადევკატური საშუალება. ზემოაღნიშნული რეგულაცია პირდაპირ ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს, აცნობოს მონაცემთა სუბიექტს მისი უფლების (მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა) თაობაზე და შექმნას რეალური მექანიზმი ხსენებული უფლების რეალიზებისთვის. სარეკლამო ხასიათის შეტყობინება უნდა შეიცავდეს მკაფიო მითითებას იმის თაობაზე, რომ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა და თუ რა ფორმით შეუძლია ამ უფლების განხორციელება.

წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, კომპანიის ახნა-განმარტებიდან და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №0000174 ოქმიდან დასტურდება, რომ შპს „ბ“-ს მიერ 2016 წლის 04 იანვარს და ამავე წლის 25 აპრილს გაგზავნილ სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში ამგვარი უფლების ან უარის თქმის მექანიზმის შესახებ მითითება არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, 2016 წლის 04 იანვარს და 2016 წლის 25 აპრილს შპს „ბ“-მ ლ.ბ.-ს მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომერი (599 1* ** ***) პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოიყენა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაცის რების საფუძველს.

განცხადების განხილვის ფარგლებში, შპს „ბ“ მიუთითებდა, რომ აღნიშნული ფაქტის გამო, შეტყობინების გამგზავნ თანამშრომელს მიეცა წერილობითი გაფრთხილება და დაეკისრა პასუხისმგებლობა კომპანიაში მოქმედი შრომის შინაგანაწესის შესაბამისად. ამგვარი შემთხვევების პრევენციის მიზნით კი, კომპანიის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები. ამის გათვალისწინებით, კომპანია ითხოვდა, მის მიმართ არგამოყენებულიყო ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით.

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად კი, სამართალდამრღვევის მიერ სამართალდარღვევის აღიარება ან/და თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საქმის წარმოებას. მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა კომპანიის თანამშრომელს, ხოლო მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოპასუხისმგებლობა ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს – შპს „ბ“-ს, როგორც მონაცემთა დამმუშავებზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-8, 27-ე, 34-ე, 39-ე, 47-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა

1. შპს „ბ“ (ს/კ *****; მის.: საქართველო, *****, *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000174;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დაევალოს შპს „ბ“-ს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებისას შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, რომ მას უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის;

4. დაევალოს შპს „ბ“-ს შეწყვეტოს ლ.ბ.-ს მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრების : 599 1* ** ** და 599 2* ** ** გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის;

5. დასრულდეს მოქალაქე ლ.ბ.-ს 2016 წლის 25 აპრილის №01/364 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;

6. განმცხადებელს და შპს „ბ“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

7. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/061/2017

გ. ა.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების
შესახებ

ქ. თბილისი

02/02/2017

განმცხადებელი: გ. ა. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) მიერ განმცხადებლის
პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 14 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორს №PDP 1 16 00002329 განცხადებით მომართა მოქალაქე გ.
ა.-მ. განმცხადებლის განმარტებით, იგი სახელმწიფო ურთიერთობაში
იმყოფება შპს „ა“-სთან (შემდგომში - „კომპანია“), რის საფუძველზეც
კომპანიას უნდა უზრუნველყო მის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი
სატრანსპორტო საშუალების საქართველოში შემოყვანა. 2016 წლის 13
დეკემბერს კომპანიის ცხელ ხაზზე შედეგოდ განხორციელებული რამდენიმე
სატელეფონო ბარის შემდგომ, განმცხადებელმა კომპანიის სოციალურ ქსელ
„Facebook“-ის გვერდზე - „*****“ „G. G.“-ს სახელით განათავსა
უკმაყოფილების გამოხატველი ტექსტი (კომენტარის სახით). საპასუხოდ
კომპანიამ, 2016 წლის 13 დეკემბერს, თავისი სოციალური ქსელის
„Facebook“ გვერდზე - „*****“ (საპასუხო კომენტარების სახით),
ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განათავსა განმცხადებლის სახელი,
გვარი, მისამართი და მის მიერ შექმნილი სატრანსპორტო საშუალების
მოდელი. განცხადებას ერთვოდა ინფორმაციის გამოქვეყნების ამსახველი

ფოტომასალა (ე.წ. სქრინშოთი), რომლის მიხედვითაც მონაცემები გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსით: „გ., გვარი ა.. გ. *****-ს №*. ავტომობილი ****.“ განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა კომპანიის მიერ 2016 წლის 12 დეკემბერს გაცემული №*** ინვოისი და 2016 წლის 13 დეკემბერს გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერი. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ განმცხადებელმა №*** ინვოისის საფუძველზე კომპანიას გადაუხადა მომსახურების ფულადი ღირებულება.

2016 წლის 15 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/392/2016 გადაწყვეტილებით №PDP 1 16 00002329 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და აპარატის 2016 წლის 19 დეკემბრის №PDP 8 16 00002399 წერილით განცხადებაში მითითებულგარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა კომპანიისგან.

2016 წლის 27 დეკემბერს აპარატში წარმოდგენილი №PDP 5 16 00002512 საპასუხო წერილით კომპანიამ განმარტა შემდეგი:

- კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ტვირთების, მათ შორის, ავტომობილების ტრანსპორტირება საზღვარგარეთიდან. კერძოდ, კომპანია იღებს შეკვეთებს საქართველოში ავტომობილის ჩამოყვანის თაობაზე და უზრუნველყოფს ავტომანქანების უსაფრთხო ტრანსპორტირებას იაპონიის პორტებიდან საქართველოში (ფოთის პორტში).
- გადამზადების ხელშეკრულების გაფორმებისას, მხარეთა იდენტიფიცირების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კომპანიას ესაჭიროება მომხმარებლის პერსონალური მონაცემები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე კომპანია ადგენს ინვოისს.
- სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდი – „*****“ ეკუთვნის კომპანიას და მისი მართვის უფლება აქვს კომპანიის დირექტორს, ასევე მისი თანხმობით, კომპანიის სხვა თანამშრომლებს. გვერდი

განკუთვნილია კომპანიის პოპულარიზაციის და კომპანიის არსებულ/პოტენციურ კლიენტებთან კომუნიკაციისთვის.

- 2016 წლის 12 დეკემბერს კომპანიამ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე - „*****“ განათავსა ვიდეორგოლი, სადაც აღწერილი იყო ავტომობილის დაშლა და ჯართად ჩაბარება. აღნიშნული ვიდეორგოლის განთავსება მიზნად ისახავდა უარყოფითი პოზიციის გამოხატვას საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი არსებითად იზრდება, რაც პრაქტიკულად ზრდის ხარჯებს და არსებით საფრთხეს წარმოადგენს კომპანიისთვის, რადგან კომპანიის ძირითადი შემოსავალი იაპონიიდან ტრანსპორტირებულ მეორად ავტომობილებზე მოდის. კომპანიისთვის ასეთ რთულ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლების და საზოგადოების თანადგომას, კომპანიის დადებითი იმიჯის შენარჩუნებას და გაძლიერებას, რასაც ემსახურებოდაზემოაღნიშნული ვიდეორგოლის სოციალურ ქსელში განთავსება.
- ზემოაღნიშნულ ვიდეორგოლზე განმცხადებელმა დატოვა უხამსი კომენტარი, რომელიც ლახავდა კომპანიის პრესტიჟს და კომპანიის თანამშრომლების ღირსებას, ამასთან, კომენტარი იყო კომპანიისთვის საფრთხის შემცველიც, რადგან კომენტარის შინაარსის მიხედვით კომპანიის ცხელი ხაზი (რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლის ეფექტურ დაცვას და არსებობის შემთხვევაში, პრობლემების მოგვარებას) არასათანადოდ მუშაობდა (კომპანია ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებს არ პასუხობდა) და კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის გადაგზავნილი ინვოისი შეცდომით იყო შევსებული, შესაბამისად, კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება არ იყო სათანადო, იგი არასწორად ავსებდა ინვოისებს.
- კომენტარის ავტორი სოციალურ ქსელ „Facebook“-ში რეგისტრირებულია მხოლოდ სახელით - „G. G.“, რის გამოც

კომპანიამ, კომენტარის ავტორის ვინაობის დადგენის და მისი პრობლემის (არსებობის შემთხვევაში) მოგვარების მიზნით, საპასუხო კომენტარით განმცხადებელს შესთავაზა გაემხილა თავისი ვინაობა, ავტომობილის VIN კოდი ან სატელეფონო ნომერი. განმცხადებელმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე. კომპანიამ გადაამოწმა სოციალურ ქსელ „Facebook“-ში მომხმარებელი „G. G.“, თუმცა ვერ დადგინდა მისი ვინაობა ქსელში მისი პასიურობის გამო, რაც მიუთითებდა მომხმარებლის სურვილზე დარჩენილიყო ინკოგნიტოდ და თავიდან აერიდებინა პასუხისმგებლობა მის მიერ უკანონოდ გავრცელებული არასწორი ინფორმაციისთვის. პარალელურად, კომპანიამ გადაამოწმა იმ ავტომობილების მფლობელების მონაცემთა ბაზა, რომელსაც კომპანიის მიერ გავგზავნა ინვოისები დროის მოცემულ (2016 წლის დეკემბრის თვეში) მონაკვეთში. აღნიშნული ბაზის გადაამოწმებისას მომხმარებლის „G. G.“ სახელის (გ.) მიხედვით გამოირკვა, რომ იგი წარმოადგენდა გ. ა.-ს. ვერ დადგინდა მისი სატელეფონო ნომერი.

- კომპანიის დირექტორმა 2016 წლის 13 დეკემბერს სოციალური ქსელის „Facebook“ გვერდზე გაასაჯაროა განმცხადებლის პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე. კომპანია იძულებული გახდა გაესაჯაროებინა მონაცემები, რათა დაეცვა საკუთარი კანონიერი ინტერესი – კომპანიის საქმიანი რეპუტაცია, კომპანიაში დასაქმებული პირების ღირსება (განმცხადებლის იდენტიფიცირებისა და შემდგომში დავის სასამართლოში ან/და სამართალდამცავ ორგანოში გაგრძელების გზით), ასევე კომპანიას სურდა განმცხადებლის საჯაროდ მხილების გზით მოეხდინა მსგავსი ფორმით კომპანიის ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავრცელების პრევენცია.
- განმცხადებელმა შეგნებულად გაავრცელა ორი ცრუ ინფორმაცია (კომპანიის ცხელი ხაზი არ მუშაობს/ზარს არ პასუხობენ და კომპანიის

ინვოისი არასწორია) და უარი თქვა კომპანიასთან თანამშრომლობაზე, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელს თანამშრომლობის და სავარაუდოდ, არსებული პრობლემების მოგვარების სურვილი არ ამოძრავებდა, მისი ქმედება მიმართული იყო კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვისაკენ. შექმნილი სიტუაცია კი სრულ უფლებას აძლევდა კომპანიას გაესაჯაროებინა განმცხადებლის პერსონალური მონაცემები და დაეცვა საკუთარი ინტერესები. ამასთანავე, თუ განმცხადებელს არ სურდა თავისი ვინაობის გასაჯაროება, შეეძლო კომუნიკაციის სხვა არხებით (ე.წ. „ჩატი“ ან/და ცხელი ხაზი) ესარგებლა, რაც დაიცავდა მის მონაცემებს გასაჯაროებისგან.

ზემოაღნიშნულ განმარტებებთან ერთად კომპანიამ წარმოადგინა სოციალურ ქსელში ზემოხსენებული კომენტარების ე.წ. „სქრინშოტი“, სადაც განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი კომენტარები არ არის ასახული. განმცხადებლის და კომპანიის მიერ წარმოდგენილი ე.წ. „სქრინშოტების“ მიხედვით, 2016 წლის 13 დეკემბერს მათ შორის სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე – „*****“ შედგა შემდეგი შინაარსის მიმოწერა (კომენტარები): განმცხადებელმა უწმაწური სიტყვებით მოთხოვა კომპანიას ეპასუხა ცხელ ხაზზე და უკმაყოფილება გამოხატა კომპანიის მიერ გაცემული ინვოისის შინაარსთან დაკავშირებით. საპასუხოდ, კომპანიამ განმცხადებელს სთხოვა გაემხილა თავისი სატრანსპორტო საშუალების VIN კოდი, სახელი და გვარი ან სატელეფონო ნომერი, რაზეც განმცხადებელმა უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ თავად დაუკავშირდებოდა კომპანიას თუ უპასუხებდნენ მის ზარს. შემდგომ, განმცხადებელმა, კომპანიის წარმომადგენელთან შეხვედრის მიზნით, მიუთითა მისამართი – ვ. ***-ს №*. კომპანიამ კი საპასუხოდ გამოაქვეყნა განმცხადებლის სახელი, გვარი, შეძენილი სატრანსპორტო საშუალების მოდელი და განმცხადებლის კომპანიამ დაცული მისამართი (ვ. *****-ს №*).

2017 წლის 11 იანვარს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის

აპარატში გაიმართა განცხადებასთან დაკავშირებული მეპირი განხილვის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა კომპანიის წარმომადგენელი. სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე - „***** *****“ 2016 წლის 12 დეკემბერს განთავსებული ვიდეორგოლი, რომელზეც განმცხადებელმა დატოვა კომენტარი, იყო ახალი, აქტიური და კომპანიის მომხმარებელთა ინტერესის საგანი, შესაბამისად, განმცხადებლის კომენტარს განსაკუთრებული ზიანი შეიძლებოდა მოეტანა კომპანიისთვის. კომპანიამ სხდომაზე დააზუსტა, რომ განმცხადებლის მონაცემების 2016 წლის 13 დეკემბერს გასაჯაროების უმთავრესი მიზანი იყო მისი იდენტიფიცირება, შემდგომში მის წინააღმდეგ დავის წამოწყების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანი იყო მტკიცებულების შექმნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ უხამსი კომენტარი ნამდვილად განმცხადებელს ეკუთვნოდა. აღნიშნული ასევე მსახურებოდა განმცხადებლის საჯაროდ მხილების გზით, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან კომპანიის საქმიანი რეპუტაციის, კომპანიის თანამშრომელთა ღირსების დაცვასა და მსგავსი ქმედებების პრევენციას. კომპანია მიიჩნევს, რომ დასახული მიზნები განმცხადებლის მონაცემების მხოლოდ ამ მოცულობით და ამ ფორმით დამუშავებით მიიღწეოდა, შესაბამისად, განმცხადებელთან სხვა დახურული არხებით კომუნიკაციას აზრი არ ჰქონდა. კომპანიამ იმავე დღეს, 2016 წლის 13 დეკემბერს, განმცხადებლის იდენტიფიცირების შემდეგ წაშალა მისი მონაცემები. კომპანია ასევე მიუთითებს, რომ უკვე მიმართა სამართალდამცავ ორგანოს და აპირებს სასამართლოში დავის წამოწყებასაც.

2017 წლის 11 იანვარს კომპანიამ №PDP 6 17 00000091 წერილით დამატებით წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 2017 წლის ** იანვრის წერილი, რომლის თანახმადაც, განმცხადებელი გაფრთხილებულ იქნა, რომ არ მიაყენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა კომპანიის წარმომადგენელს. 2017 წლის 17 იანვარს №PDP 5 17 00000180 წერილით კი კომპანიამ აპარატს აცნობა, რომ 2017 წლის 17 იანვარს

მიმართა სასამართლოს (კომპანიამ დანართის სახით წარმოადგინა სარჩელის რეგისტრაციის ბარათი) განმცხადებლის წინააღმდეგ კომპანიის არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. კომპანიის ცნობადობის და საქმიანი რეპუტაციის დასადასტურებლად, აღნიშნულ წერილს კომპანიამ დაურთო კომპანიის სოციალური ქსელ

„Facebook“-ის გვერდის - „*****“ (ასახულია გვერდის ე.წ. გამომწერთა (Follows) და მოწონებების (Likes) რაოდენობა), ვებგვერდის - www.*****.ge (ასახულია კომპანიის საქმიანობის ისტორია), საძიებო სისტემა „Google.ge“-ის“ (ასახულია სისტემაში „*****“ -ის სახელით ძებნის რეზულტატი) და ვებგვერდის - www.*****.ge (ასახულია ვებგვერდზე განთავსებული კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია) ე.წ. სქრინშოტები.

2017 წლის 18 იანვარს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000301 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა და ახსნა- განმარტების სახით მიუთითა, რომ არ ეთანხმება სამართალდარღვევის ოქმს, რადგან კომპანიას არ დაურღვევია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, როგორც კომპანიისთვის შემდგომ გახდა ცნობილი, განმცხადებლის მისამართი არასწორად იქნა გამოქვეყნებული, კერძოდ გ. *****-ს №* და არა გ. *****-ს №*ა.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში, კომპანიის მიერ 2016 წლის 27 დეკემბერს აპარატში წარმოდგენილი №PDP 5 16 00002512 წერილის, 2017 წლის 11 იანვარს ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენლის ასხნა-განმარტებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 13 დეკემბრის სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე – „*****“ გამოქვეყნებული კომენტარის ე.წ. სქრინშოტის საფუძველზე დგინდება, რომ კომპანიამ 2016 წლის 13 დეკემბერს განმცხადებლის მონაცემები, კერძოდ სახელი, გვარი, მისამართი (განმცხადებლის კომპანიაში დაცული მისამართი) და განმცხადებლის მიერ შექმნილი სატრანსპორტო საშუალების მოდელი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე –

„*****“, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „დ“ და „ი“ პუნქტების შესაბამისად, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის, განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გზით დამუშავება, მონაცემთა დამუშავებლის შპს „ა“-ს მიერ.

ყველა მონაცემთა დამუშავებელი, მათ შორის, კომპანია ვალდებულია მონაცემთა დამუშავების პროცესი შეუსაბამოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. კანონის მოთხოვნაა, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავდეს მხოლოდ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას და პრინციპების დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში, კომპანია მონაცემთა ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე – „*****“ გამოქვეყნების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტს. აღნიშნული პუნქტის თანახმად კომპანია დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი. ამდენად, კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავებისას აუცილებელია სახეზე იყოს ყველა შემდეგი პირობა:

- დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესი;
- დამმუშავება აუცილებელია დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად;
- დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესი აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს.

განცხადების განხილვის ფარგლებში, კომპანიის მიერ 2016 წლის 27 დეკემბერს აპარატში წარმოდგენილი №PDP51600002512 წერილისა და 2017 წლის 11 იანვარს ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენლის ახსნა-განმარტების მიხედვით, კომპანია თავის კანონიერ ინტერესებად მიუთითებს: კომპანიის საქმიანი რეპუტაციის და კომპანიის თანამშრომლების ღირსების დაცვას (განმცხადებლის იდენტიფიცირებისა და შემდგომში დავის სასამართლოში ან/და სამართალდამცავ ორგანოში გადატანის გზით), მტკიცებულების შექმნას (იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ კომენტარის ავტორი ნამდვილად იყო განმცხადებელი) და განმცხადებლის საჯაროდ მხილების გზით კომპანიის ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავრცელების, საქმიანი რეპუტაციისა და თანამშრომელთა ღირსების დაცვის პრევენცია.

განცხადების განხილვის ფარგლებში 2016 წლის 27 დეკემბერს, 2017 წლის 11 და 17 იანვარს

აპარატში წარმოდგენილი კომპანიის №PDP 5 16 00002512, №PDP 6 17 00000091 და №PDP 5 17 00000180 წერილებით, ასევე დანართის სახით წარმოდგენილი 2016 წლის 13 დეკემბრის სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე - „*****“ განთავსებული კომენტარის ე.წ. სქრინშოტის საფუძველზე დგინდება, რომ განმცხადებლის მიერ კომპანიის სოციალურ ქსელ

„Facebook“-ის გვერდზე 2016 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნებული

კომენტარი შეეხებოდა კომპანიის საქმიანობას. კერძოდ, განმცხადებელის კომენტარის შინაარსის შესაბამისად, კომპანია არ პასუხობს ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრებს, განმცხადებელი ასევე არ იწონებდა კომპანიის მიერ გაცემულ ინვოისს, რაც კომპანიის ამრით, ლახავს მის საქმიან რეპუტაციას. პირის საქმიანი რეპუტაცია დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. კერძოდ, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამდენად, კომპანიის საქმიანობის ნეგატიური საჯარო შეფასებისას კომპანიის სურვილი, დაეცვა (მათ შორის, სასამართლო წესით) თავისი საქმიანი რეპუტაცია, ლეგიტიმური ინტერესია (აღსანიშნავია, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა/არშელახვის საკითხის შეფასება არ წარმოადგენს ინსპექტორის კომპეტენციას), თუმცა კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნაა, რომ დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად და ეს ინტერესი უნდა აღემატებოდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, კომპანია ვერ ასაბუთებს განმცხადებლის მონაცემების გასაჯაროებით როგორ მიიღწეოდა საქმიანი რეპუტაციის და თანამშრომლების ღირსების დაცვის მიზანი. კერძოდ, 2017 წლის 11 იანვარს აპარატში გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა დააბუსტა, რომ კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დაცვისთვის აუცილებელი იყო კომენტარის ავტორის იდენტიფიცირება, შემდგომ მის წინააღმდეგ დავის წამოწყების მიზნით. ამავდროულად, 2016 წლის 27 დეკემბერს აპარატში წარმოდგენილ №PDP

5 16 00002512 წერილში კომპანია მიუთითებს, რომ განმცხადებლის იდენტიფიცირების მიზნით გადაამოწმა ავტომობილების მფლობელების მონაცემთა ბაზა და გაარკვია, რომ მომხმარებელი „G. G.“ წარმოდგენდა გ. ა.-ს. გაუგებარია, კომპანიის მიერ მონაცემების გასაჯაროებით როგორ დაადასტურებდა განმცხადებლის ვინაობას, ამასთან, კომპანია თავადვე მიუთითებს, რომ უკვე იდენტიფიცირებული ჰყავდა კომენტარის ავტორი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ განმცხადებელმა 2016 წლის 13 დეკემბერს სოციალურ ქსელ

„Facebook“-ის გვერდზე – „*****“ კომპანიასთან საჯაროდ კომუნიკაციისას რამდენჯერმე განაცხადა უარი თავისი ვინაობის გამხელაზე და არც მისი მონაცემების გასაჯაროების შემდგომ დაუდასტურებია მისი ვინაობა. ამასთანავე, კომპანიას შეეძლო განმცხადებლის ვინაობის დადასტურების მიზნით მასთან კომუნიკაცია დახურული და ფიქსირებული საშუალებებითაც (მაგ: შეტყობინების გაგზავნა სოციალური ქსელის ე.წ. „ჩათში“; დაკავშირება მისამართზე). 2017 წლის 11 იანვარს აპარატში გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ კომპანიას არ გამოუყენებია განმცხადებელთან კომუნიკაციის სხვა შესაძლო გზები. ამდენად, კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დაცვა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების გარეშე იყო შესაძლებელი, განმცხადებელთან კომუნიკაცია კი შეიძლებოდა დახურული საშუალებებითაც. არარელევანტურია კომპანიის მითითება განმცხადებლის მონაცემების გასაჯაროების გზით კომპანიის თანამშრომლების ღირსების დაცვაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული სიკეთის დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობა და ინტერესი აქვს თავად მის მფლობელს – კომპანიის თანამშრომელს, ამასთან, განმცხადებლის და კომპანიის მიერ წარმოდგენილი ე.წ.

„სქრინშოტების“ მიხედვით, 2016 წლის 13 დეკემბერის განმცხადებლის კომენტარი შეეხებოდა უშუალოდ კომპანიის საქმიანობას და არა მის კონკრეტულ თანამშრომელს. კომპანია ვერ ასაბუთებს, როგორ უნდა

მომხდარიყო განმცხადებლის მონაცემების გასაჯაროებით კომპანიის თანამშრომელთა ღირსების დაცვა.

რაც შეეხება კომპანიის სურვილს, მონაცემთა გასაჯაროებით მოეპოვებინა განმცხადებლის საჯარო დასტური მისი ვინაობის შესახებ, როგორც მტკიცებულება (სასამართლოში იმის დასადასტურებლად, რომ კომენტარის ავტორი ნამდვილად იყო განმცხადებელი), აღნიშნული ასევე ვერ ჩაითვლება კომპანიის კანონიერ ინტერესად. კერძოდ, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა ნებაზე დამყარებული საპროცესო მოქმედებაა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო, კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, როგორც სისხლის სამართლის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი), ასევე სამოქალაქო სამართლის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი) საქმეების განხილვისას, რაც თავის მხრივ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე გამორიცხავს არამართლზომიერი ხერხებით სასამართლოში მტკიცების შესაძლებლობას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-4 მუხლები პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების გზით გამჟღავნებას, როგორც დამუშავების კონკრეტულ ფორმას, დასაშვებად მიიჩნევს, მხოლოდ დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის და კონკრეტული, კანონიერი მიზნის არსებობისას, ამასთან, დამუშავებული მონაცემების მოცულობა დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს. მონაცემთა დამუშავებლის მოქმედება, სავარაუდო მტკიცებულების შექმნის მიზნით გაასაჯაროოს მონაცემები, ყოველგვარი საჭიროებისა და აუცილებლობის გარეშე, ეწინააღმდეგება მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილ წესს,

შესაბამისად, წარმოდგენს მტკიცებულების მოპოვების არამართლომიერ გზას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განმცხადებლის და კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 13 დეკემბერს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე - „*****“ შემდგარი მიმოწერის ე.წ. „სქრინშოტების“ საფუძველზე დგინდება, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სურვილი მისი მონაცემების გასაჯაროების და ითხოვდა პირადად გასაუბრებას, რაც გამოორიცხავდა კომპანიის გონივრული მოლოდინის არსებობას განმცხადებლის მიერ თავის ვინაობის საჯაროდ გამხელა/დადასტურების შესახებ. ამდენად, კომპანიის ინტერესი განმცხადებლის მონაცემების გასაჯაროებით შეექმნა კონკრეტული მტკიცებულება, ვერ მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის უფლებებზე აღმატებულ კანონიერ ინტერესად.

კანონიერ ინტერესად ასევე ვერ ჩაითვლება კომპანიის სურვილი - განმცხადებლის საჯაროდ მხილების გზით თავიდან აეცილებინა კომპანიის საქმიანი რეპუტაციისა და მისი თანამშრომლების ღირსების შემლახველი ქმედებები, ვინაიდან, მოლოდინის შექმნა, რომ კომპანიას შეუძლია მოიძიოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, არ არის კომპანიის საქმიანი რეპუტაციისა და მისი თანამშრომლების ღირსების შელახვის, კომპანიისთვის საფრთხის შემცველი სხვა ქმედებების პრევენციის ლეგიტიმური გზა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მიერ მითითებული ინტერესები ვერ მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესის აღმატებულ კანონიერ ინტერესებად. ამდენად, კომპანიის მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების გზით გამჟღავნების კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი სახეზე არ არის და არ იკვეთება მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობაც.

შესაბამისად, კომპანიის მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევას, კერძოდ, განმცხადებლის მონაცემები კომპანიამ 2016 წლის 13 დეკემბერს გასაჯაროების გზით გაამჟღავნა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 34-ე და 39-ე მუხლების, 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 55-ე მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000301;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დასრულდეს გ. ა.-ს 2016 წლის 14 დეკემბრის №PDP 1 16 00002329 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;

4. განმცხადებელს და შპს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ

თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/103/2017

მ. დ.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი
28/02/2017

განმცხადებელი: მ. დ. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული მ. დ.-ს პერსონალური მონაცემების წაშლა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2016 წლის 26 დეკემბერს №PDP 3 16 00002484 განცხადებით მომართა მ. დ.-მ და მიუთითა, რომ საძიებო სისტემაში – „Google“ მისი სახელის და გვარის მითითებისას ხელმისაწვდომი ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე – www.tcc.gov.ge განთავსებული მის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეეხება 02 წლის წინ გამართულ სასამართლო სხდომას. კერძოდ, სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი მონაცემები: სასამართლო სხდომის გამართვის დრო, განმცხადებლის სტატუსი (ბრალდებული), ბრალდების მუხლი (სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი), საქმის განმხილველი მოსამართლე და სასამართლო დარბაზი, რომელშიც მიმდინარეობდა განხილვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ გადამოწმდა განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები და დადგინდა, რომ საძიებო სისტემა „Google“-ში განმცხადებლის სახელის და გვარის მითითებისას

ხელმისაწვდომი ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე - www.tcc.gov.ge განთავსებული განმცხადებლის პერსონალური მონაცემები (ბმული:[http://www.tcc.gov.ge/*****](http://www.tcc.gov.ge/)). ვებგვერდზე მითითებული ინფორმაცია მოიცავს განმცხადებლის სახელს და გვარს, სტატუსს – „ბრალდებული“, ბრალდების მუხლს – სისხლისსამართლის კოდექსის 180-ე მუხლი, სასამართლო სხდომის გამართვის თარიღს და დროს –

..*.2015; *.*:00, სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერს – №* და საქმის განმხილველ მოსამართლეს – ნ. ბ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდის შესწავლისას ასევე დადგინდა, რომ სასამართლოს ვებგვერდზე გამოყოფილია გვერდი „მიმდინარე საქმეები“, რომელიც თავის მხრივ იყოფა სამ კატეგორიად: სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული და სამოქალაქო. აღნიშნულ გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია მოიცავს სასამართლო სხდომების თარიღს და დროს, საქმის განმხილველი მოსამართლის სახელს და გვარს, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეების საიდენტიფიკაციო მონაცემებს (ფიზიკური პირის შემთხვევაში მის სახელს და გვარს, იურიდიული პირის შემთხვევაში მის დასახელებას). სისხლის სამართლის საქმეებისთვის განკუთვნილ გვერდზე მითითებულია მხარის საპროცესო სტატუსი (ბრალდებული) და უმეტეს შემთხვევაში ასევე ასახულია სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული რომელი ნორმის საფუძველზე მიმდინარეობს ბრალდების საქმე. სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია 2008 წლიდან მოცემული პერიოდის ჩათვლით გამართული სასამართლო პროცესების განრიგის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 30 დეკემბრის №გ-1/430/2016 გადაწყვეტილებით მ. დ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. ამავდროულად, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების მიზნით ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 04 იანვრის №PDP 4 17 0000017 და 24 იანვრის №PDP 9 17 00000265 წერილებით თბილისის

საქალაქო სასამართლოსგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მ. დ.-ს პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე – www.tcc.gov.ge განთავსების მიზნის და სამართლებრივი საფუძვლის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 27 იანვარს წარმოდგენილი

№PDP 0 17 00000329 წერილით განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომების შესახებ ინფორმაცია სასამართლოს ვებგვერდზე (www.tcc.gov.ge), როგორც წესი, თავსდება ყოველი კვირის პარასკევს. ინფორმაციის განთავსების მიზანი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო პროცესის ღიაობის პრინციპიდან და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ნორმებიდან, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ, რომ სასამართლო პროცესი ღიაა. სასამართლო პროცესის ღიაობას უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის სათანადო ინფორმაციის დროული მიწოდება, რა მიზნითაც სასამართლო გარკვეული სახის პერსონალური მონაცემებს ამუშავებს

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მ. დ.-ს ბრალდების საქმეზე ჩასატარებელი პროცესის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზანი მოცემული მომენტისთვის აღარ არსებობს, თუმცა სასამართლოს ვებგვერდზე მ. დ.-ს პერსონალური მონაცემების არსებობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია

პერიოდულად არ იშლება შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლო უახლოეს მომავალში შეიმუშავებს წესს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, თუ რა ფორმით და რა პერიოდულობით უნდა განთავსდეს და წაიშალოს ვებგვერდიდან სასამართლო სხდომების გამართვის შესახებ ინფორმაცია.

2017 წლის 21 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს უფლებამოსილი წარმომადგენელი. სასამართლოს წარმომადგენელმა ზეპირი განხილვის სხდომაზე დაადასტურა, რომ ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 04 იანვრის № PDP 4 17 00000017 წერილში მითითებულ ბმულზე [http://www.tcc.gov.ge/*****](http://www.tcc.gov.ge/) ზეპირი განხილვის მომენტისთვისაც ხელმისაწვდომი იყო მ. დ.-ს პერსონალური მონაცემები. მისივე განმარტებით, მიმდინარე სხდომების შესახებ ინფორმაციის განთავსება განპირობებული იყო მართლმსაჯულების საქვეყნობის და ღიაობის პრინციპით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაციის განთავსება ემსახურება სწორედ აღნიშნული პრინციპით განმტკიცებული უფლების რეალიზებას. სხდომების განრიგის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირები არ იქნებიან ინფორმირებულნი სასამართლო სხდომ(ებ)ის თარიღ(ებ)ის შესახებ. რაც შეეხება მონაცემთა გასაჯაროების ვადას, სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლოს დადგენილი არ აქვს მიმდინარე სხდომების შესახებ ინფორმაციის განთავსების და წაშლის წესები, ადმინისტრაცია ყოველი კვირის პარასკევს განათავსებს ინფორმაციას მომდევნო კვირას გასამართი სხდომების შესახებ, თუმცამათი წაშლა არ ხდება შესაბამისი რეგულაციების არ არსებობის გამო.

2017 წლის 21 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მ. დ.-ს პერსონალური მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, შესაბამისი კანონიერი მიზნის გარეშე საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით

განთავსების ფაქტზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000317 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელმოწერით დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ. ამავე მუხლის

„დ“ და „ი“ პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავებად განიხილება ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება. მონაცემთა დამუშავებელი კი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.

განცხადების განხილვის ფარგლებში, 2017 წლის 27 იანვარს წარმოდგენილი №PDP O 17 00000329 წერილით, 2017 წლის 21 თებერვალს გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებით და 2017 წლის 21 თებერვლის №0000317 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დაახლოებით 2015 წლის ** ****-ს ვებგვერდზე - www.tcc.gov.ge, მიმდინარე საქმეებისთვის/სასამართლოს სხდომებისთვის განკუთვნილ გვერდზე სახელის, გვარის, სტატუსის (ბრალდებული) და ბრალდების მუხლის (სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი)

საჯაროდ გამოქვეყნების გზით დაამუშავა განმცხადებლის პერსონალური მონაცემები. კერძოდ, საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2015წლის ** * ** * ** * * -ს **:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს №* დარბაზში უნდა შემდგარიყო სასამართლო პროცესი მ. დ.-ს ბრალდების საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით) და საქმის განმხილველ მოსამართლეს წარმოადგენდა ნ. ბ. აღნიშნული ინფორმაცია მოცემული პერიოდისთვისაც ხელმისაწვდომია სასამართლოს ვებგვერდზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის

„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე, აგრეთვე საქვეყნობის, მოსამართლეთა შეუცვლელობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით. სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპი ასევე განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 და 182-ე მუხლების 1-ლი ნაწილებით, რომლის მიხედვითაც სასამართლო სხდომა, როგორც წესი ტარდება საჯაროდ და ზეპირად.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმები ცხადყოფს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად ადგენს სასამართლო სხდომების საჯაროობისა

და ღიაობის პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი რეგულაცია ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომის საჯაროობა კონსტიტუციური სიკეთეა, რომელიც ემსახურება სასამართლო საქმიანობის გამჭვირვალობას და მართლმსაჯულების ხარისხის დაცვას. საბოლოოდ, სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპის განსაზღვრა და შესრულება კი ემსახურება სასამართლოში სამართალწარმოების და მართლმსაჯულების განხორციელების მაღალი სტანდარტის დადგენას. სასამართლოსხდომების გამართვის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიუწოდებლობის/გასაჯაროების გარეშე საქმეზე დაინტერესებულ პირებს არ ექნებათ შესაძლებლობა მოიპოვონ ინფორმაცია სასამართლო სხდომის გამართვის დროის და ადგილის შესახებ. შესაბამისად, ვერ იქნება მიღწეული სასამართლო სხდომების საჯაროობის მიზანი.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაზიარებული უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ მ. დ.-ს პერსონალური მონაცემები სასამართლოს ვებგვერდზე განთავსდა სამართალწარმოების მიზნით. მონაცემების აღნიშნული მიზნით დამუშავება ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ გამონაკლისში და მასზე არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროდან დადგენილი გამონაკლისი სახეგა მანამ, სანამ არსებობს სამართალწარმოების მიზნით მონაცემთა დამუშავების საჭიროება და პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. აღნიშნული მიზნის მიღწევის შემდგომ სასამართლოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე სრულად ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპის მიღწევის/შესრულების კონკრეტულ გზებს. არ არსებობს შესაბამისი რეგულაციები, რომელიც მოაწესრიგებდა სასამართლო სხდომების განრიგის შესახებ ინფორმაციის განთავსების წესს, ინფორმაციის გამოქვეყნების ვადას და მოცულობას. ამავდროულად, სასამართლო სხდომის საჯაროობის მიზნიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეების პერსონალური მონაცემების დამუშავების, მათ შესახებ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების აუცილებლობა სახეზეა მანამ, სანამ არსებობს სასამართლო სხდომის ღიაობის უზრუნველყოფის და შესაბამისად, სასამართლო სხდომის თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზანი. აღნიშნულიდან გამომდინარე ბუნებრივია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი წესი ვერ გავრცელდება მონაცემების დამუშავებაზე მას შემდეგ, რაც სამართალწარმოების მიზანი სახეზე აღარ არის და მონაცემების წაშლა/განადგურება საფრთხეს აღარ უქმნის მართლმსაჯულების ინტერესებს.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია შეეხებოდა 2015 წლის ** * * * * * -ს მ. დ. -ს ბრალდების საქმეზე ჩასატარებელ სასამართლო სხდომას და აღნიშნული ინფორმაცია ვებგვერდზე ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებულია მოცემული მომენტისთვისაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარს წარმოდგენილი №PDP O 17 00000329 წერილის, 2017 წლის 21 თებერვალს გამართულ ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა და №0000317 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სასამართლოს მოცემული მომენტისათვის არ გააჩნია განმცხადებლის მონაცემების აღნიშნული ვადით საჯაროდ განთავსების რაიმე მიზანი და საჭიროება. ამდენად, კონკრეტული კანონიერი მიზნის მიღწევის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლო კვლავ განაგრძობს განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების გზით დამუშავებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განმტკიცებული პრინციპების დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი საფუძვლით და ფორმით მონაცემთა დამუშავებისას. აღნიშნული მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. იგივე პრინციპია განმტკიცებული „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის №2010 – III დადგენილებით) მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლო მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე მოცემული პერიოდის ჩათვლით გასაჯაროებით დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განმტკიცებული პრინციპები, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაცის რების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციული

სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4, 27-ე, 34-ე, 39-ე, 44-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლო ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000317;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაევალოს:

2.1. ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე - www.tcc.gov.ge, „მიმდინარე საქმეების“ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის განკუთვნილი გვერდიდან მ. დ.-ს პერსონალური მონაცემების წაშლა, დაბლოკვა, განადგურება ან მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა;

2.2. ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 02 (ორი) თვის ვადაში შეაფასოს და განსაზღვროს, რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეების პერსონალური მონაცემების ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ განთავსება შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;

2.3. უზრუნველყოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელს გახდის გასაჯაროებული მონაცემების წაშლას, განადგურებას ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით დამუშავებას;

2.4. მიღებული გადაწყვეტილების/გატარებული ზომების შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს არაუგვიანეს 2017 წლის 10 მაისისა;

3. დასრულდეს მოქალაქე მ. დ.-ს 2016 წლის 26 დეკემბრის №PDP 3 16

00002484 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;

4. განმცხადებელს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/165/2017

ლ. ა.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

28/03/2017

განმცხადებელი: ლ. ა. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

2017 წლის 06 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №PDP 7 17 00000461 განცხადებით მომართა მოქალაქე ლ. ა.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ შპს „ა“-სთან (შემდგომში – „კომპანია“) გაფორმებული აქვს სესხის ხელშეკრულება. 2016 წლის 29 დეკემბერს კომპანია სატელეფონო ნომრიდან – 595 04* *** ნომერზე – 032 2 4* *** დაუკავშირდა მისი სამსახურის ადმინისტრაციას, ესაუბრა სამსახურის მენეჯერს – გ. ნ.-ს და გაუმჟღავნა ინფორმაცია მისი საკრედიტო

დავალიანების თაობაზე, იმავე დღეს სატელეფონო ნომრიდან - 595 0**
*** მსგავსი შინაარსის სატელეფონო ზარი განხორციელდა განმცხადებლის
დედასთანაც

- ს. გ.-სთან სატელეფონო ნომერზე - 032 2 9** ***. განმცხადებლის
მითითებით, კომპანია უკავშირდებოდა (მათ შორის, 2017 წლის
28 და 30 იანვარს) სოციალურ ქსელ „Facebook“-ის (შემდგომში -
„სოციალური ქსელი“) ქსელში რეგისტრირებულ მის ნაცნობებსაც.
ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, შეტყობინებები იგზავნებოდა სოციალური
ქსელის მომხმარებელი - „I. B.“-სგან. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ
ზემოაღნიშნული პირები არ განუსაზღვრავს კომპანიისთვის საკონტაქტო
პირებად, ამასთან, 2016 წლის 26 დეკემბერს და 2017 წლის 06 იანვარს
კომპანიას ელექტრონული ფოსტის მისამართზე - contact@****.ge
გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც მითითებული იყო, რომ განმცხადებელი
აღიარებდა ვალდებულებას, ვერ ახერხებდა სესხის გადახდას და კომპანია
დაკავშირდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის გადაწყვეტის მიზნით
მიმართავდა სასამართლოს. განმცხადებლის თქმით, მან იგივე პოზიცია
დააფიქსირა 2017 წლის 22 იანვარს კომპანიის წარმომადგენელთან
(სოციალურ ქსელში რეგისტრირებული, როგორც „S. M.“) სოციალურ
ქსელში მიმოწერისას.

განცხადებას ერთვოდა 2017 წლის 28 და 30 იანვარს სოციალურ ქსელში
„I. B.“-ს მიერ გაგზავნილი შეტყობინებების და ელექტრონული ფოსტის
მისამართიდან - *****@mail.ru მისამართზე - contact@****.ge
2016 წლის 26 დეკემბერს გაგზავნილი შეტყობინების ე.წ. სქრინშოტები.
აღნიშნული სქრინშოტების საფუძველზე ირკვევა, რომ 2016 წლის 26
დეკემბერს, ელექტრონული ფოსტის მისამართიდან - *****@mail.ru
მისამართზე - contact@****.ge გაგზავნილია შემდეგი შინაარსის
შეტყობინება: „შპს „ა“-ს მომხმარებელი ვარ დაახლოებით 2 წელია,
ამ პერიოდის განმავლობაში არ მქონია არანაირი ვადაგადაცილება ან
დავალიანება, ვიხდით დაკისრებულ დროს. ამ ეტაპზე მაქვს 150 ლარი
ვადაგადაცილებული, რომლის გადახდას შექმნილი მდგომარეობის გამო

ვერ ვახერხებ. ველოდები სასამართლოს. გთხოვთ, დამეკონტაქტოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მომივა მოწვევა სასამართლოდან, რომელიც დამაკისრებს და გადამინაწილებს ამ თანხას. სხვა შემთხვევაში სამწუხაროდ ვერ ვფარავ თანხას. ***** პირადი ნომერი“. 2017 წლის 28 და 30 იანვარს სოციალური ქსელის მომხმარებლის „I. B.“ –ს მიერ სოციალურ ქსელში 2017 წლის 28 (11:01 საათზე) და 30 (10:09 საათზე) იანვარს განმცხადებლის სოციალური ქსელის მეგობრებთან გაგზავნილი შეტყობინებები შემდეგი შინაარსით: „ლ. ა.–ს თაობაზე გიკავშირდებით „A“ –ს იურიდიული დეპარტამენტიდან. თუ შეძლებთ 596 1** ***, 032 2* * * * * საკონტაქტო ნომერი გადაეცით, სასწრაფოდ დაგვიკავშირდეს. მადლობა“ (შემდგომში – „სტანდარტული შეტყობინება“).

2017 წლის 08 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/064/2017 გადაწყვეტილებით 2017 წლის 06 თებერვლის №PDP 7 17 00000461 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და აპარატის 2017 წლის 09 და 10 თებერვლის №PDP 7 17 00000506 და №PDP 7 17 00000524 წერილებით განმცხადებელს და კომპანიას მოეთხოვათ განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა.

განმცხადებელმა 2017 წლის 09 და 10 თებერვალს აპარატს დამატებით წარმოუდგინა 2017 წლის 22 იანვარს სოციალურ ქსელში კომპანიის წარმომადგენელთან (სოციალურ ქსელში რეგისტრირებული, როგორც „S. M.“) მიმოწერის ამსახველი ფოტომასალა, ასევე 2017 წლის 06 იანვარს ელექტრონული ფოსტის მისამართიდან – *****@mail.ru მისამართზე – contact@*****.ge გაგზავნილი შეტყობინების ე.წ. სქრინშოტი, სოციალურ ქსელში 2017 წლის 28 იანვარს ქსელის მომხმარებელ – „I. B.“ –ს მიერ გაგზავნილი სტანდარტული შეტყობინების ამსახველი ე.წ. სქრინშოტი და ამონაწერი კომპანიის ვებგვერდიდან – www.*****.ge, სადაც ასახულია განმცხადებლის სესხის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ირკვევა შემდეგი:

- განმცხადებელზე ვადაგადაცილებული სესხი გაცემულია 2016 წლის 18 ნოემბერს და სესხის დაფარვის ვადად მითითებულია 2016 წლის 17 დეკემბერი.
- 2017 წლის 22 იანვარს განმცხადებელსა და კომპანიის წარმომადგენელს, სოციალური ქსელის მომხმარებელ – „S. M.“ – ს შორის შედგა სოციალურ ქსელში მიმოწერა, სადაც განმცხადებელი მიუთითებს, რომ გადაეცეს მისი სესხი სასამართლოს. ამასთან, აღნიშნავს, რომ თუ კვლავ მოხდება დაკავშირება მისი სამსახურის მენეჯერთან და მის სესხზე ინფორმაციის გამჟღავნება, თავად მიმართავს სასამართლოს, რაზეც კომპანიის წარმომადგენელი პასუხობს, რომ არ ხდება მის სესხზე ინფორმაციის გამჟღავნება, უკავშირდება მის სამსახურს მხოლოდ იმიტომ, რომ განმცხადებელს გადასცენ ინფორმაცია თავად დაუკავშირდეს კომპანიას.
- კომპანიამ სტანდარტული შეტყობინება სოციალურ ქსელში მიწერა განმცხადებლის სულ ცოტა 06 (ექვსი) მეგობარს, ყველა მათგანზე განმცხადებელი ე.წ. სქრინშოტებს არ ფლობს (განმცხადებელმა წარმოადგინა 03 (სამი) შეტყობინების სქრინშოტი).
- 2017 წლის 06 იანვარს ელექტრონული ფოსტის მისამართიდან – *****@mail.ru მისამართზე – contact@*****.ge განმცხადებელმა კომპანიას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის შეტყობინება: „მოვესალმებით, თქვენი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ მაქვს დავალიანება 150 ლარი (*****) (პლუს ჯარიმები) ამ ეტაპზე ვერც გადახდას და ვერც გადავადებას ვერ ვახერხებ. შეგიძლიათ საქმე გადასცეთ პრობლემურს და შემდეგ სასამართლოს ჩემთან ყოველდღე რეკვის გარეშე. ასევე, დაუნიებით მოვითხოვ გადმომიგზავნოთ ის პუნქტი ხელშეკრულებაში სადაც გაქვთ უფლება მესამე პირს მოუყვეთ რომ მაქვს სესხი, რამდენი უნდა გადავიხადო და რომ პრობლემურში გადადის სესხი (5958***** რეკავს და ოფის-მენეჯერს აყენებს საქმის კურსში. ამოიღეთ ჩანაწერი და მოისმინეთ) თქვენ გაქვთ მხოლოდ

იმის უფლება რომ მესამე პირს დაუბაროთ რა ორგანიზაციიდან რეკავთ და დატოვოთ ნომერი დასაკავშირებლად. მსგავსი ფაქტი ხდება მეორედ. კიდევ ერთხელ ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი და თქვენ აღმოჩნდებით სასამართლოში კონფიდენციალური ინფორმაციის დარღვევისთვის. კიდევ ერთხელ ვადასტურებ რომ ვარ თანახმა საქმე გადასცეთ სასამართლოს!“

2017 წლის 16 თებერვალს აპარატში წარმოდგენილი №PDP 5 17 00000630 წერილით კომპანიამ აპარატისთვის სრულყოფილი წერილობითი განმარტებების წარმოდგენის მიზნით, მოითხოვა განცხადების განხილვასთან დაკავშირებული საქმის მასალები და დამატებითი ვადა 2017 წლის 10 თებერვლის №PDP 7 17 00000524 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის

წარმოსადგენად. აპარატის 2017 წლის 16 თებერვლის №PDP 4 17 00000639 წერილით კომპანიას მიეწოდა განცხადების განხილვასთან დაკავშირებული საქმის მასალები (მათ შორის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ე.წ. სქრინშოტები) და განესაზღვრა დამატებითი ვადა ინფორმაციის წარმოსადგენად.

კომპანიამ 2017 წლის 23 თებერვალს აპარატში წარმოდგენილი №PDP 2 17 00000727 საპასუხო წერილით განმარტა შემდეგი:

- განმცხადებელი არის კომპანიის მომხმარებელი, მან გაიარა რეგისტრაცია კომპანიის ვებგვერდზე www.***.ge და სესხის აღების მიზნებისათვის დაეთანხმა კომპანიის ვებგვერდზე განთავსებულ სესხის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლითაც რეგულირდება მხარეებს შორის ურთიერთობა, მათ შორის, პერსონალურ მონაცემების დამუშავების საკითხები. კომპანია ამუშავებს განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების, ასევე, მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადის შევსებისას გამოხატული თანხმობით/რელევანტური

ინფორმაციის გამსესხებლის ვებგვერდზე მითითებით. ამ ეტაპზე განმცხადებელი სარგებლობს 2016 წლის 18 ნოემბერს გაცემული სესხით, რომელიც ამჟამად არის ვადაგადაცილებული.

- სატელეფონო ნომერი - 032 4*** *** წარმოადგენს მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას, შესაბამისად, აღნიშნულ ნომერს კომპანია დაუკავშირდა 2016 წლის 29 დეკემბერს, სესხის ვადაგადაცილების შემდგომ, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ვერც მსესხებელთან და ვერც მის საკონტაქტო პირთან (ბ. დ.) დაკავშირება. კომპანიას მსესხებელთან და მის საკონტაქტო პირთან დაკავშირების მცდელობა ჰქონდა 2016 წლის 18 დეკემბერს (მსესხებელი ტელეფონს არ პასუხობდა, საკონტაქტო პირის ნომერი კი გამორთული იყო).
- 2016 წლის 29 დეკემბერს სამსახურის სატელეფონო ნომერზე - 032 4*** *** დაკავშირებისას განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას ადგილი არ ჰქონია. კომპანიის წარმომადგენელმა მოითხოვა განმცხადებლისთვის კომპანიის მიერ მასთან გასაუბრების სურვილის შესახებ ინფორმაციის გადაცემა. აღნიშნული ზარის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ განმცხადებელთან დაკავშირება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება.
- იმავე მიზნით, კომპანიამ 2016 წლის 29 დეკემბერს (სამსახურთან დაკავშირების შემდგომ) დაკავშირება სცადა განმცხადებელთან მის ფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე - 032 2 9*** ***. აღნიშნულ ნომერზე დაკავშირებისას მოსაუბრე პირმა (სავარაუდოდ განმცხადებლის დედამ) განაცხადა, რომ არ იყო ლ. ა. და გადასცემდა მას, რომ დაკავშირებოდა კომპანიას.
- 2017 წლის 26 იანვრისთვის განმცხადებელთან დაკავშირება კვლავ ვერ ხერხდებოდა, დაკავშირება მოხერხდა მხოლოდ 2017 წლის 22 იანვარს სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მსესხებელი ითხოვდა, რომ კომპანია დაკავშირებოდა მხოლოდ მის წინააღმდეგ სასამართლოში დავის დაწყების შემთხვევაში.

- 2017 წლის 28 იანვარს სოციალური ქსელის მეშვეობით გაიგზავნა ზოგადი ხასიათის შეტყობინებები განმცხადებელთან დაკავშირებულ პირებთან (კომპანია ადასტურებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეტყობინებების (ე.წ. სქრინშოტების სახით) გაგზავნის ფაქტს), კომპანიამ წარმოადგინა 04 (ოთხი) პირთან სოციალურ ქსელში 2017 წლის 28 იანვარს გაგზავნილი შეტყობინებების ე.წ. სქრინშოტები და მიუთითა, რომ გაგზავნილი შეტყობინებების კომპანიის მიერ აპარატში წარმოდგენილი რაოდენობა შესაძლოა არ იყოს სრული, რადგან გარკვეული მიზეზების (მაგ.: სოციალურ ქსელში კომპანიის წარმომადგენლის დაბლოკვა) გამო გაგზავნილი შეტყობინებები არ არის ხელმისაწვდომი კომპანიისთვის და ამასთან, არ ხდება გაგზავნილი შეტყობინებების ცალკე აღრიცხვა.
- სოციალურ ქსელში შეტყობინებების ადრესატები კომპანიის თანამშრომელმა შეარჩია იმ ვარაუდით, რომ აღნიშნულ პირებს ჰქონდათ კომუნიკაცია მსესხებელთან, სოციალურ ქსელში მათი აქტივობიდან გამომდინარე. შეტყობინებების გაგზავნის მიზანი კი იყო განმცხადებელთან კომუნიკაციის აღდგენა მასთან მოლაპარაკების წარმოებისთვის.
- აქტიური სატელეფონო კომუნიკაცია წარმოადგენს კომპანიაში დამკვიდრებულ პრაქტიკას (სასესხო ურთიერთობის ყველა ეტაპზე), რაც კარგად არის ცნობილი მომხმარებლისთვის, მითუმეტეს კომპანიის სერვისებით ხშირად მოსარგებლე კლიენტისთვის, როგორცაა ლ. ა.. ბუნებრივია, კომპანიას გააჩნია ინტერესი სასესხო ურთიერთობის განმავლობაში ჰქონდეს კომუნიკაცია მსესხებელთან, მიუხედავად სესხის სტატუსისა. განმცხადებელი სესხის აღებისას შეზღუდვების გარეშე პასუხობდა კომპანიის ბარებს, თუმცა, როგორც კი სესხის დაბრუნების ვადა დადგა, მსესხებელი/საკონტაქტო პირი მიუწვდომელი გახდა, რაც წარმოადგენს არა მარტო არაკეთილსინდისიერ ქმედებას, არამედ ხელშეკრულების პირობების დარღვევასაც, როგორცაა სწორი და რელევანტური

საკონტაქტო ინფორმაციის მითითება/ინფორმაციის განახლება მისი ცვლილებების შემთხვევაში, კომუნიკაციის ვალდებულება და სხვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების და ასევე მსესხებელთან კომუნიკაციის საშუალებას (სესხის ხელშეკრულების 9.1. და 12.5. პუნქტების საფუძველზე) ირჩევს კომპანია.

- სოციალური ქსელის მომხმარებლები „I. B.“ და „S. M.*“ წარმოადგენენ კომპანიის თანამშრომლებს.

ზემოაღნიშნულ განმარტებებთან ერთად კომპანიამ წარმოადგინა განმცხადებელთან 2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული №**** სესხის ხელშეკრულება და კომპანიის მიერ 2017 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელში განმცხადებლის მეგობრებთან გაგზავნილი სტანდარტული შეტყობინებების ე.წ. სქრინშოტები, რომლის მიხედვითაც კომპანიამ 2017 წლის 28 იანვარს 04 (ოთხი) პირს გაუგზავნა სტანდარტული შეტყობინებები (სამი შეტყობინება გაგზავნილია 11:01 საათზე, მეოთხე კი 11:02 საათზე).

2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული №**** სესხის ხელშეკრულების მიხედვით ირკვევა შემდეგი:

- ხელშეკრულების 9.1. პუნქტის თანახმად, გამსესხებელი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აღსრულების მეთოდი (საშუალება) და გამოიყენოს ის მეთოდი (საშუალება), რასაც მიზანშეწონილად მიიჩნევს თავისი მოთხოვნის ყველაზე უკეთ და სწრაფად დაკმაყოფილებისათვის.
- ხელშეკრულების 11.1. პუნქტის შესაბამისად, გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშაოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია.
- ხელშეკრულების 11.3. პუნქტის თანახმად, გადასაცემი

ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს:

მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე

სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საკომისიოს (პროცენტს), მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

- 12.1., 12.2., 12.3. და 12.4. პუნქტების თანახმად, მსესხებელს შეტყობინება, მათ შორის სარეკლამო ხასიათის, შესაძლოა გაეგზავნოს: ა) მის მიერ მითითებულ მისამართზე; ბ) ელექტრონული ფოსტის მისამართზე; გ) მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით; მსესხებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების ჩაბარება შესაძლებელია ყოველდღე, 09:00 საათიდან 20:00 საათამდე. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ დროს შესაბამის მისამართზე არ იმყოფება არცერთი პირი ან პირი უარს აცხადებს შეტყობინების ჩაბარებაზე; შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად. მსესხებელი ყოველდღე, 09:00 საათიდან 24:00 საათამდე უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით შეტყობინების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ დროის განმავლობაში გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის მომენტიდან.
- ხელშეკრულების 12.5. პუნქტის თანახმად, პუნქტით გათვალისწინებულ საშუალებებს შორის არჩევის უფლება აქვს გამსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების გაგზავნისთვის გამოიყენოს ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საშუალება. ამასთან, ერთ-ერთი საშუალების გამოყენებით შეტყობინების ჩაბარება

საკმარისია შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის და მსესხებელი არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა ჩაბარების მცდელობა არ განახორციელა რამდენჯერმე ან რამდენიმე თუ ყველა საშუალებით.

- ხელშეკრულების 14.2. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

2017 წლის 09 მარტს აპარატში გაიმართა განაცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ კომპანიის წარმომადგენლები. კომპანიამ სხდომაზე დამატებით აღნიშნა, რომ სესხის განაცხადში სამსახურის ნომრის მითითების მიზანი არის აღნიშნული ნომრის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელთან კომუნიკაცია. ვინაიდან, ვერ ხერხდებოდა ვერც განმცხადებელთან და ვერც მის საკონტაქტო პირთან დაკავშირება (კომპანიის განმარტებით, აღნიშნულ პირებთან დაკავშირების მცდელობა სატელეფონო ნომრის ამონაწერში არ ფიქსირდება, ვინაიდან, ზარი ვერ განხორციელდა სხვადასხვა მიზეზით (აბონენტები მიუწვდომელი იყვნენ ან არ პასუხობდნენ)), კომპანია 2016 წლის 29 დეკემბერს დაუკავშირდა განმცხადებლის მიერ სესხის განაცხადში მითითებულ სამსახურის სატელეფონო ნომერს - 032 4** **. კომპანია ადასტურებს, რომ განმცხადებლის შეტყობინებები ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიიღო 2016 წლის 26 დეკემბერს, 2017 წლის 06 იანვარს და სოციალური ქსელის მეშვეობით 2017 წლის 22 იანვარს, თუმცა განმცხადებლის შეტყობინებები არ ავალდებულებდა კომპანიას შეეწყვიტა მასთან დაკავშირება. კომპანიის ინტერესი იყო განმცხადებელთან მოლაპარაკების წარმოება, მისთვის შეღავათების შეთავაზება. ამასთან, ელექტრონული ფოსტა/საცხოვრებელი მისამართი კომპანიას არ მიაჩნია კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებად და მისთვის პრიორიტეტია მსესხებელთან სატელეფონო კომუნიკაცია. კომპანია განმცხადებელთან კომუნიკაციისთვის ასევე არ იყენებს ფაქტობრივ მისამართზე კომუნიკაციას, აღნიშნულის სესხის განაცხადში მითითების

მიზანია მისი გამოყენება სასამართლოში სამართალწარმოებისას. იმის მიუხედავად, რომ განმცხადებელი უარს აცხადებდა კომპანიასთან კომუნიკაციაზე, მასთან დაკავშირების მიზნით კომპანია ახორციელებდა მესამე პირებთან სატელეფონო ზარებისა და შეტყობინებების გაგზავნას, რადგან სასამართლოში დავა დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, შესაბამისად, კომპანია იყენებს ყველა გზას, რომ აღნიშნული აირიდოს და მოლაპარაკება აწარმოოს მსესხებლებთან. კომპანია ასევე განმარტავს, რომ სამსახურის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია შედგა 2016 წლის 29 დეკემბერს, იმავე დღეს იგი დაუკავშირდა განმცხადებლის ფიქსირებულ სატელეფონო ნომერს და ესაუბრა მის ოჯახის წევრს. ერთსა და იმავე დღეს და დროს კომპანია რამდენიმე პირს უკავშირდებოდა (მათ შორის, სოციალურ ქსელში) ეფექტური კომუნიკაციის მიზნით. კომპანიას სპეციალური წესი და პროცედურა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მესამე პირთა რაოდენობა ან მათთან დაკავშირების დროის ინტერვალი და პასუხისთვის გონივრული მოლოდინის დრო, არ აქვს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომპანიის თანამშრომელი წყვეტს რამდენჯერ და რამდენ პირს დაუკავშირდეს. კომპანიამ სხდომაზე დააბუსტა, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით უშუალოდ განმცხადებელს დაუკავშირდა მხოლოდ ერთხელ, 2017 წლის 22 იანვარს (იგულისხმება „S. M.“-სთან მიმოწერა). კომპანიამ მიუთითა ისიც, რომ მსესხებლების, მათ შორის განმცხადებლის, წინასწარი ინფორმირება, რომ შესაძლებელია სოციალურ ქსელში მათი მეგობრების მოძიებისა და შეტყობინებების გაგზავნის გზით მოხდეს მათთან კომუნიკაცია, არ ხდება. კომპანიის განმარტებით, იმ პირთა წრე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინებები სოციალურ ქსელში შეირჩა ვარაუდზე დაყრდნობით, რომ აღნიშნულ პირებს აქტიური კონტაქტი უნდა ჰქონოდათ განმცხადებელთან, ვარაუდი კი ყვარდნობოდა მესამე პირების აქტიურობას განმცხადებლის სოციალური ქსელის გვერდზე.

2017 წლის 07 მარტს განმცხადებლის სამსახურის მენეჯერმა გ. ნ.-მ აპარატს სატელეფონო საუბრისას განუმარტა, რომ ზოგადად, ის პასუხობს

სამსახურის ნომერზე – 032 2 4** *** შემოსულ ზარებს, 2016 წლის 29 დეკემბერს ესაუბრა კომპანიის თანამშრომელს, რომელმაც აცნობა, რომ ლ. ა.-ს აქვს საკრედიტო დავალიანება და უნდა შემოიტანოს მინიმუმ 15 (თხუთმეტი) ლარი დღის ბოლომდე.

2017 წლის 10 მარტს კომპანიამ აპარატს დამატებით წარმოუდგინა განმცხადებლის სესხის განაცხადი, კომპანიის სატელეფონო ნომრების (პერიოდი: 01/11/2016–01/02/2017; 01/12/2016–15/02/2017) ამონაწერები, კომპანიის 2017 წლის 22 თებერვლის №0**** წერილი და შპს „მაგთიკომის“ 2017 წლის 24 თებერვლის საპასუხო წერილი.

კომპანიის ვებგვერდზე – www.****.ge რეგისტრირებული განმცხადებლის სესხის განაცხადის მიხედვით ირკვევა, რომ განმცხადებელმა კომპანიას მიაწოდა თავისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესის შესახებ ინფორმაცია, დაბადების თარიღი, საბანკო ანგარიშის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი (593 5** ***), საკონტაქტო ნომერი (555 9** ***) და საკონტაქტო პირის ვინაობა (ბ. დ.), თავისი რეგისტრირებული და ფაქტობრივი მისამართი (ემთხვევა ერთმანეთს) და სამსახურის ნომერი (032 2 4** ***). კომპანიის სატელეფონო ნომრების ამონაწერით კი, ირკვევა შემდეგი:

- კომპანია 2016 წლის 18 დეკემბერს 2-ჯერ დაუკავშირდა განმცხადებლის საკონტაქტო პირს ნომერზე – 555 9** ***;
- კომპანია 2016 წლის 29 დეკემბერს (დაკავშირების დრო – 16:13 საათი, საუბრის დასრულების დრო – 16:28 საათი) დაუკავშირდა განმცხადებლის სამსახურის ადმინისტრაციას ნომერზე – 032 2 4** ***,
- კომპანია 2016 წლის 29 დეკემბერს (დაკავშირების დრო – 16:40 საათი) დაუკავშირდა განმცხადებლის ფიქსირებულ სატელეფონო

ნომერს – 032 2 9** ***,

- კომპანია 2017 წლის 03 იანვარს 3-ჯერ დაუკავშირდა განმცხადებელს მის მობილურ სატელეფონო ნომერზე – 593 5** ***,
- კომპანია 2017 წლის 03 იანვარს 2-ჯერ დაუკავშირდა განმცხადებლის სამსახურის ადმინისტრაციას ნომერზე – 032 2 4** ***,
- კომპანია 2017 წლის 03 იანვარს დაუკავშირდა განმცხადებლის ფიქსირებულ სატელეფონო ნომერს – 032 2 9** ***.

კომპანიის მიერ შპს „მაგთიკომისთვის“ 2017 წლის 22 თებერვალს გაგზავნილი №0**** წერილისა და შპს „მაგთიკომის“ 2017 წლის 24 თებერვლის საპასუხო წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ შპს „მაგთიკომის“ განმარტებით, ზარები, რომლებზეც არ მოხდა პასუხი, ზარი რომელიც გავიდა და გაითიშა და ზარი, რომელიც არ გავიდა (მიუწვდომელია), არ ფიქსირდება სატელეფონო ნომრის დეტალურ ამონაწერში. დეტალურ ამონაწერში ფიქსირდება მხოლოდ შემდგარი ზარები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები კრებსითი სახით.

2017 წლის 20 მარტს №PDP 8 17 00001065 წერილით მოქალაქე ს. გ.-მ აპარატს განუმარტა, რომ

2017 წლის 29 დეკემბერს სატელეფონო ნომერზე – 032 2 9** *** დაუკავშირდა პირი, რომელმაც იკითხა ლ. ა., მან განუმარტა, რომ იყო განმცხადებლის დედა და ლ. ა. არ იმყოფებოდა სახლში. მოსაუბრემ ს. გ.-ს აცნობა, რომ რეკავდა შპს „ა“-დან და განმცხადებელს დღის ბოლომდე უნდა გადაეხადა 15 (თხუთმეტი) ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეექმნებოდა პრობლემები.

2017 წლის 28 და 30 იანვარს კომპანიის მიერ სოციალურ ქსელში განმცხადებლის შეგობრების მოძიებისა და მათთან დაკავშირების გზით განმცხადებლის პერსონალური მონაცემების

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით დამუშავებისათვის, 2017 წლის 22 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000357 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა და მიუთითა, რომ არ ეთანხმება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი

1. შპს „ა“-ს მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის, კერძოდ მოქალაქე გ. ნ.-სა და ს. გ.-სთვის გამჟღავნების კანონიერება.

განცხადების განხილვის ფარგლებში, კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 23 თებერვალის №PDP 2 17 00000727 წერილის და კომპანიის სატელეფონო ნომრების ამონაწერთდგინდება, რომ კომპანია 2016 წლის 29 დეკემბერს დაუკავშირდა განმცხადებლის თანამშრომელს და განმცხადებლის ოჯახის წევრს (კომპანიის განმარტებით ზუსტად არ აქვს ინფორმაცია, სავარაუდოდ ესაუბრა დედას). კომპანია ადასტურებს დაკავშირების ფაქტს, თუმცა უარყოფს განმცხადებლის საკრედიტო დავალიანების არსებობისა და ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. 2017 წლის 07 მარტს მოქალაქე გ. ნ.-ს მიერ აპარატთან სატელეფონო საუბრისას წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა და მოქალაქე ს. გ.-ს 2017 წლის 20 მარტის №PDP 8 17 00001065 წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ კომპანიამ 2016 წლის 29 დეკემბერს განმცხადებლის სამსახურის მენეჯერს, მოქალაქე გ. ნ.-ს და განმცხადებლის დედას, მოქალაქე ს. გ.-ს სატელეფონო საუბრისას გაუმჟღავნა განმცხადებლის საკრედიტო დავალიანების არსებობის და გადასახდელი თანხის შესახებ ინფორმაცია.

განმცხადებელსა და კომპანიას შორის 2016 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული №**** სესხის ხელშეკრულების 11.1. პუნქტის შესაბამისად,

გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშაოს მსესხებლის მონაცემები (შევროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), ასევე გადასცეს მესამე პირს და მიიღოს მისგან მსესხებელზე ინფორმაცია. ხელშეკრულების

11.3. პუნქტის თანახმად კი, გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საკომისიოს (პროცენტს), მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტების ფორმულირება არის ზოგადი, ფართო, ცალკეულ შემთხვევებში განმცხადებელს არ აძლევს მკაფიო წარმოდგენას მისი მონაცემების გამოყენების, მესამე პირებისათვის გადაცემისა და მოპოვების შესაძლო კონკრეტული მიზნების შესახებ. მათ შორის, განმცხადებელს არ ჰქონდა ინფორმაცია კონკრეტულად რა მიზნით შეიძლებოდა მისი საკრედიტო დავალიანების არსებობის და ოდენობის შესახებ ინფორმაცია გადასცემოდა მესამე პირებს, კერძოდ, მისი სამსახურის მენეჯერს და ოჯახის წევრს. ამასთან, 2016 წლის 18 ნოემბრის №**** სესხის ხელშეკრულებისა და კომპანიის ვებგვერდზე – www.***.ge რეგისტრირებული განმცხადებლის სესხის განაცხადის საფუძველზე დგინდება, რომ ხსენებული პირები (მოქალაქე გ. ნ. და ს. გ.) განმცხადებელს მასთან საკონტაქტო პირებად არ განუსაზღვრავს. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სახელშეკრულებო პირობების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც

შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. ამდენად, მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის ტექსტში/ხელშეკრულებაში მკაფიოდ და კონკრეტულად აისახოს ინფორმაცია (კონკრეტული კანონიერი მიზანი, დამუშავების სავარაუდო ფორმები და დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა) მონაცემების დამუშავების შესახებ. შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გარეშე მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოვლენილი ნება ვერ მიიჩნევა მონაცემების დამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემულ თანხმობად. ამდენად, კომპანიის მიერ 2016 წლის 29 დეკემბერს მოქალაქე ს. გ.-სთვის და გ. ნ.-სთვის განმცხადებლის საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე განმცხადებელს თანხმობა არ განუცხადებია და არ იკვეთება სხენებული ინფორმაციის გამჟღავნების კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძველიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანია არ დალოდებია განმცხადებლის სამსახურის მენეჯერის მიერ კომპანიის თხოვნაზე (გადაეცა განმცხადებლისთვის დაკავშირებოდა კომპანიას) რეაგირებას და 12 (თორმეტი) წუთში, იმავე თხოვნით დაუკავშირდა განმცხადებლის ოჯახის წევრსაც. მონაცემთა ამ სიზმირით, მოცულობითა და ფორმით დამუშავება კომპანიის მიერ დასახული მიზნის არაპროპორციულია.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიამ 2016 წლის 29 დეკემბერს განმცხადებლის დედას და სამსახურის მენეჯერს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაუმჟღავნა განმცხადებლის საკრედიტო დავალიანების შესახებ ინფორმაცია, რაც წარმოადგენს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუმცა ინსპექტორი კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, დარღვევის ხანდამზღუდობიდან გამომდინარე,

კომპანიას ვერ დააკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

2. შპს „ა“-ს მიერ განმცხადებელთან კომუნიკაციის მიზნით მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, სოციალურ ქსელ „Facebook“-ში განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

განცხადების განხილვის ფარგლებში, კომპანიის მიერ 2017 წლის 23 თებერვალს აპარატში წარმოდგენილი №PDP 2 17 00000727 წერილის, 2016 წლის 18 ნოემბრის №**** სესხის ხელშეკრულებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი კომპანიის ვებგვერდის - www.***.ge ამონაწერით, დგინდება, რომ განმცხადებელი კომპანიასთან იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში და კომპანიის მიმართ გააჩნდა ვალდებულება. ამდენად, კომპანიის ინტერესი - საკრედიტო დავალიანების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით განმცხადებელთან ეწარმოებინა მოლაპარაკება და, შესაბამისად, ამ მიზნით დაემყარებინა მასთან კომუნიკაცია, წარმოდგენს კომპანიის ლეგიტიმურ ინტერესს რომლის დაკმაყოფილების მიზნით მონაცემთა დამუშავება დასაშვებია. თუმცა მონაცემთა უკანონო ან/და შემთხვევითი გამჟღავნების თავიდან აცილებისა და მონაცემთა დამუშავების კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, კომპანიამ მხოლოდ კონკრეტული კანონიერი მიზნით დაამუშაოს მონაცემები და დასახულ მიზანს შეუსაბამოს მონაცემთა დამუშავების ადეკვატური ფორმა და დასამუშავებელ მონაცემთა მოცულობა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის

„ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი.

მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მიერ 2017 წლის 23 თებერვალს აპარატში წარმოდგენილი

№PDP 2 17 00000727 წერილის და კომპანიის სატელეფონო ნომრების ამონაწერების საფუძველზე დგინდება, რომ კომპანია განმცხადებელთან კომუნიკაციას ცდილობდა, განმცხადებლის სამსახურის და ფიქსირებულ სატელეფონო ნომრებზე, განმცხადებლის და მისი საკონტაქტო პირის მობილურ სატელეფონო ნომრებზე დაკავშირებითა და სოციალურ ქსელში განმცხადებელთან და მის მეგობრებთან შეტყობინებების გაგზავნის გზით. კომპანიის განმარტებით, ყველა ზემოაღნიშნული ფორმით დაკავშირების მიზანი იყო უშუალოდ განმცხადებელთან კომუნიკაცია, საკრედიტო დავალიანების თაობაზე მასთან მოლაპარაკებისწარმოებისთვის.

განმცხადებელთან კომუნიკაციის მიზნით მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, 2017 წლის 28 და 30 იანვარს კომპანიის მიერ სოციალურ ქსელში განმცხადებლის მეგობრების მოძიებისა და მათთან დაკავშირების კანონიერების შესაფასებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- განმცხადებელსა და კომპანიას შორის გაფორმებული №**** სესხის ხელშეკრულების 12.1., 12.2., 12.3. და 12.4. პუნქტების შესაბამისად მხარეები შეთანხმდნენ კომუნიკაციის კონკრეტულ საშუალებებზე და წესზე, განსაზღვრეს „წარუმატებელი“ კომუნიკაციის შესაძლო სამართლებრივი შედეგებიც, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას. ამავე ხელშეკრულების 14.2. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა უნდა გადაწყვეტილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. №**** სესხის ხელშეკრულება და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა (მაგ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი) კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების (მაგ.: საკრედიტო დავალიანების გადახდის უზრუნველყოფა) დაცვის

სხვადასხვა საშუალებებს ითვალისწინებს.

- 2016 წლის 26 დეკემბრის, 2017 წლის 06 იანვრის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან – *****@mail.ru მისამართზე – contact@*****.ge გაგზავნილი შეტყობინებებისა და 2017 წლის 22 იანვარს სოციალურ ქსელში განმცხადებელსა და კომპანიის წარმომადგენლის („S. M.“) მიმორჩერის ამსახველი ე.წ. სქრინშოტების საფუძველზე დგინდება, რომ განმცხადებელმა არაერთხელ აცნობა კომპანიას, რომ მასთან კომუნიკაციას აზრი არ ჰქონდა, ვერ იხილდა დავალიანებას და მოსთხოვა საერთოდ არ დაკავშირებოდა სასამართლოში დავის დაწყებამდე. მიუხედავად ამისა, კომპანიის მითითებით, 2017 წლის 28 და 30 იანვარს მესამე პირებთან შეტყობინებები გაიგზავნა განმცხადებელთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით.
- განმცხადებელსა და კომპანიას შორის გაფორმებული №***** სესხის ხელშეკრულების 12.1., 12.2., 12.3. და 12.4. პუნქტების შესაბამისად, კომპანიას განსაზღვრული აქვს სესხის ხელშეკრულების მიზნებისათვის განმცხადებელთან კომუნიკაციის საშუალებები, კერძოდ, შეტყობინების გაგზავნა: მითითებულ მისამართზე; ელექტრონული ფოსტის მისამართზე; მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით. ამასთან, განსაზღვრულია თითოეული საშუალებით შეტყობინების გაგზავნის სავარაუდოდროის მონაკვეთები (09:00 – 20:00; 09:00 – 24:00), ჩაბარების ფორმები და ჩაუბარებლობის სამართლებრივი შედეგები. მიუხედავად ამისა, ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების საფუძველზე დგინდება, რომ კომპანიას ხელშეკრულებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებები სრულად არ გამოუყენებია, მეტიც, მიმართა კომუნიკაციის ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ გზას.
- 2017 წლის 23 თებერვალს აპარატში წარმოდგენილი №PDP 2 17 00000727 წერილის და 2017 წლის 09 მარტს ზეპირი განხილვის სხდომაზე კომპანიის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით

დგინდება, რომ კომპანიამ დაათვალიერა განმცხადებლის სოციალური ქსელის პირადი გვერდი, მოახდინა მისი მეგობრების იდენტიფიცირება და ერთდროულად გაუგზავნა მათ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი სტანდარტული შეტყობინებები, თითოეული მათგანისგან პასუხის მიღების გონივრული მოლოდინის გარეშე. კომპანიამ ვერ დაასაბუთა ამ სიხშირით და მოცულობით მესამე პირებთან კომუნიკაციის კონკრეტული საჭიროება და მიზანი, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ უშუალოდ განმცხადებელთან კომუნიკაციის ხელშეკრულებით შეთანხმებული ან/და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებები სრულად არ იყო ამოწურული.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის სურვილი მოლაპარაკების მიზნით დაკავშირებოდა პირს, რომელმაც არაერთხელ და მკაფიოდ განაცხადა უარი თანამშრომლობაზე და დავის გადაწყვეტის ერთადერთ შესაძლო გზად განიხილავდა სასამართლოს, ვერ იქნება მიჩნეული კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ და კანონიერ მიზნად, რომელიც გაამართლებს განმცხადებელთან სისტემატურად, სხვადასხვა ფორმითა და გზით დაკავშირების მცდელობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განმცხადებელთან კომუნიკაციის მიზნით შეტყობინებების მესამე პირებთან გაგზავნა განხორციელდა იმ პირობებში, როდესაც განმცხადებელმა აცნობა კომპანიას, რომ ვერ ახერხებდა დავალიანების გადახდას და მასთან დაკავშირებას აზრი არ ჰქონდა. ამასთან განმცხადებელთან დაკავშირების აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, კომპანიას არც კი უცდია განმცხადებელთან უშუალოდ კომუნიკაციის სხვა ხელმისაწვდომი საშუალებების (მაგ.: ელ. ფოსტის მეშვეობით ან სოციალურ ქსელში უშუალოდ განმცხადებლისთვის შეტყობინების გაგზავნა) გამოყენება. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის მონაცემების ამ ფორმით გამოყენება კომპანიის კონკრეტულ კანონიერ მიზანს არ ემსახურებოდა და არც კომპანიის მიერ მითითებული მიზნის (განმცხადებელთან დაკავშირება მასთან მოლაპარაკების წარმოებისთვის) მისაღწევად იყო საჭირო და

აუცილებელი.

ამდენად, კომპანიამ განმცხადებლის პერსონალური მონაცემები 2017 წლის 28 და 30 იანვარს სოციალურ ქსელში განმცხადებლის მეგობრების მოძიებისა და მათთან დაკავშირების გზით დაამუშავა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპების დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე ითვალისწინებს ჩადენილი დარღვევის ხასიათს (დამუშავებული მონაცემების მოცულობას), დამრღვევის პიროვნებას (საქმიანობას) და მიზანშეწონილად მიიჩნევს ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, 27-ე, 34-ე, 39-ე, 44-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000357;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დაევალოს შპს „ა“-ს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 01 (ერთი) თვის ვადაში:

3.1. პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელ სახელმეკრულებო პირობებში მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოაყალიბოს მონაცემთა დამუშავების მიზნები და რეალური საჭიროების მიხედვით განსაზღვროს დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა;

3.2. მსესხებელთან კომუნიკაციის მიზნით მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის შესახებ მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კონკრეტული კანონიერი მიზნით, რეალური საჭიროებისა და აუცილებლობისას;

3.3. გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

4. დასრულდეს ლ. ა.-ს 2017 წლის 06 თებერვლის №PDP 7 17 00000461 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;

5. განმცხადებელს და შპს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

6. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/210/2017

მ. ა.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების
შესახებ

ქ. თბილისი
21/04/2017

განმცხადებელი: მ. ა. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2017 წლის 02 მარტს №PDP 4 17 00000828 განცხადებით მომართა მ. ა.-მ და მოითხოვა შპს „ა“-ს (შემდგომში: „კომპანია“) მიერ მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შესწავლა. განმცხადებლის მითითებით, სს „ბ“-ს (ს/კ *****) შემდგომში: „ბანკი“) მიმართ არსებულ დავალიანებასთან დაკავშირებით, მის მფლობელობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე - 595 0* * * დაუკავშირდა შპს „ა“-ს წარმომადგენელი და სთხოვა ოფისში მისვლა. 2017 წლის 22 თებერვალს კი კომპანიის წარმომადგენელი სატელეფონო ნომრიდან - 598 5* * * ასევე დაუკავშირდა მის მამას - ბ. ა.-ს სატელეფონო ნომერზე - 599 2* * * და მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებლის დავალიანების (სს „ბ“-ს საკრედიტო ბარათზე შესატანი თანხის) შესახებ. განმცხადებლის მითითებით, მისი დავალიანების თაობაზე უკავშირდებოდა შპს „ა“-ს წარმომადგენელი - ნ. ბ..

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 07 მარტის №გ-1/131/2017 გადაწყვეტილებით მ. ა.-ს განცხადება მიღებულ იქნა

განსახილველად და აპარატის 2017 წლის 10 მარტის №PDP 4 17 00000954, №PDP 2 17 00000952 და №PDP 3 17 00000953 წერილებით, საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით, სს „ბ“-ს, შპს „ა“-ს და ბ. ა.-ს მოეთხოვათ განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა.

განმცხადებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში 2017 წლის 16 მარტს წარმოდგენილი №PDP 3 17 00001024 წერილით მოითხოვა მის მიერ 2017 წლის 02

მარტს წარმოდგენილი №PDP 4 17 00000828 განცხადების საფუძველზე დაწყებული განხილვის შეწყვეტა.

ბანკმა 2017 წლის 21 მარტს წარმოდგენილი №PDP 1 17 00001077 საპასუხო წერილით განმარტა შემდეგი:

- განმცხადებელსა და ბანკს შორის 2013 წლის 30 ივლისს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №*****;
- განმცხადებელმა სესხის განაცხადში საკონტაქტო პირის სახით მიუთითა მისი მამის – ბ. ა.-ს სატელეფონო ნომერი – 599 2* * * * *;
- შპს „ა“ წარმოადგენს ბანკის რწმუნებულ პირს და მოქმედებს მხარეთა შორის 2013 წლის 01 იანვარს გაფორმებული დავალების ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე (№*****) ხელმოწერით განმცხადებელმა დაადასტურა, რომ დეტალურად იცნობს სს „ბ“-ს ინტერნეტ-გვერდზე www.***.com.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მას;
- განმცხადებელთან დადებული ხელშეკრულების 16.26.4 მუხლის თანახმად, ბანკს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის მიერ მისაღები/მიღებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული

გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტის მიერ საკრედიტო განაცხადში დაფიქსირებულ პირებს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს და ა.შ) და ასევე იმ პირებს, რომელთაც რაიმე სახის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კავშირი აქვთ კლიენტთან, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ გასცემს თანხმობას;

- ზემოაღნიშნული მუხლი ეხება როგორც ბანკის, ასევე ბანკის რწმუნებულის უფლებას, რათა დავალების ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რწმუნებულმა პირმა უზრუნველყოს მარწმუნებლის ინტერესების სრულყოფილი დაცვა.

ბანკმა ზემოაღნიშნულ განმარტებასთან ერთად წარმოადგინა განმცხადებლის მიერ 2013 წლის 24 ივლისს ხელმოწერილი სესხის განაცხადი, განმცხადებელთან 2013 წლის 30 ივლისს დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №***** და შპს „ა“-სთან 2013 წლის 01 იანვარს დადებული დავალების ხელშეკრულება. აღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება შემდეგი ფაქტობრივობები:

- მსესხებლის მიერ 2013 წლის 24 ივლისს შევსებულ განაცხადში ოჯახის წევრად მითითებულია განმცხადებლის მამა – ბ. ა. და მისი სატელეფონო ნომერი;
- 2013 წლის 30 ივლისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე (№*****) ხელმოწერით განმცხადებელი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.***.com.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას;
- 2013 წლის 01 იანვარს დადებული დავალების ხელშეკრულების 1.1.1. მუხლის თანახმად, შპს „ა“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მასზე გადაცემული

პრობლემური აქტივების პორტფელის მართვა, რაც გულისხმობს ბანკის ვადაგადაცილებაში არსებული კლიენტების მოძიებას, მათთან სისტემატური კავშირის დამყარებას, მათ საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, საარბიტრაჟო შეთანხმების დადებას, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად მათ გაფრთხილებას დავალიანების გადაუხდელობის სამართლებრივი შედეგების შესახებ და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ზომების მიღებას.

კომპანიამ 2017 წლის 28 მარტს წარმოდგენილი №PDP 1 17 00001167 საპასუხო წერილით განმარტა შემდეგი:

- კომპანია 2013 წლის 01 იანვრის დავალების ხელშეკრულებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ბანკის წარმომადგენლობას;
- კომპანიის ბანკისგან სამართავად გადაეცა მ. ა.-ს სესხი, რაც გულისხმობს მინდობილი პირისთვის სესხთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის (მათ შორის, სესხის განაცხადის და ხელშეკრულების) მიწოდებას;
- 2013 წლის 24 ივლისის სესხის განაცხადში საკონტაქტო პირის სახით მითითებული ამსესხებლის მამის – ბ. ა.-ს სატელეფონო ნომერი, რაც კომპანიასთან საუბრის დროს დაადასტურა განმცხადებელმაც;
- მას შემდეგ რაც მსესხებელი არ პასუხობდა კომპანიის სატელეფონო ზარებს, შპს „ა“-ს წარმომადგენელი დაუკავშირდა განმცხადებლის მამას და სთხოვა დახმარებოდა მ. ა.-სთან დაკავშირებაში. ბ. ა.-ს განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო მ. ა.-ს დავალიანების შესახებ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავადაც იხდიდა თანხას, თუმცა, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, მისმა ოჯახმა ვერ შეძლო ამ დავალიანების დაფარვა. კომპანიის წარმომადგენელმა განმცხადებლის მამას მიუთითა მისი საკონტაქტო ინფორმაცია და

სთხოვა მ. ა.-სთვის გადაეცა, რომ დაკავშირებოდა;

- ბ. ა.-სთან შემდგარი სატელეფონო საუბარი კომპანიას არ ჩაუწერია.

აპარატის 2017 წლის 10 მარტის №PDP 3 17 00000953 წერილის საპასუხოდ ბ. ა.-მ 2017 წლის 24 მარტს აპარატის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოდგენილი ინფორმაციით განმარტა, რომ 2017 წლის თებერვლის თვეში დაუკავშირდა შპს „ა“-ს წარმომადგენელი და სთხოვა მ. ა.-სთან დაკავშირება. მისივე განმარტებით, სატელეფონო საუბრის დროს კომპანიის წარმომადგენელს განუმარტა, რომ მ. ა.-ს მამა იყო და დაინტერესდა რის თაობაზე უკავშირდებოდნენ. აღნიშნულის საპასუხოდ კი კომპანიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მ. ა.-ს სს „ბ“-ს მიმართ გააჩნდა დავალიანება. ბ. ა.-ს განმარტებით, კომპანიის წარმომადგენელმა ასევე მიაწოდა ინფორმაცია მ. ა.-ს სესხის თანხის ოდენობის შესახებ.

2017 წლის 07 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გაიმართა

№PDP 4 17 00000828 განცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვა, რომელსაც წარმოადგენენ კომპანიის და ბანკის წარმომადგენლები. ზეპირი განხილვის ფარგლებში ბანკის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპანიას, როგორც ბანკის რწმუნებულს, 2013 წლის 01 იანვრის დავალების ხელშეკრულებისა და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 13 თებერვალს გადაეცა განმცხადებლის სესხი. მისივე განმარტებით, როცა მსესხებელთან ვერ ხდება კომუნიკაცია, ხელშეკრულების 16.26.4 მუხლის საფუძველზე, ბანკი უფლებამოსილია 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, მსესხებლის მოძიებისა და ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით, დაუკავშირდეს სესხის განაცხადში მითითებულ პირებს. მისივე მითითებით, მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებისა და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ა“ უფლებამოსილია დაუკავშირდეს როგორც განმცხადებელს, ასევე მის მიერ სესხის განაცხადში მითითებულ პირებს და მიაწოდოს ინფორმაცია მსესხებლის დავალიანების თაობაზე. კომპანიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ნ. ბ. არის შპს „ა“-ს თანამშრომელი. მისივე განმარტებით,

განმცხადებლის მამასთან შემდგარი სატელეფონო საუბრის ზუსტი შინაარსის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა, ბანკისა და კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, სატელეფონო საუბრის ფარგლებში მესამე პირებს განემარტებათ საიდან და რის თაობაზე უკავშირდებიან. წარმომადგენლების განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში მსესხებლებს გაფრთხილების წერილი არ ბარდებათ, შესაბამისად, ეფექტური კომუნიკაციის მიზნით თავდაპირველად ხდება მათთან დაკავშირება. ბანკის და კომპანიის მითითებით, შპს „ა“-ს განმცხადებლისთვის უნდა ჩაებარებინა გაფრთხილების წერილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებდა ვალდებულებას, დაიწყებოდა სასამართლო საქმისწარმოება. შესაბამისად, შპს „ა“ განმცხადებლის მონაცემებს ამუშავებდა სამართალწარმოების მიზნებისთვის, რაზეც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ბანკის და კომპანიის მითითებით, განმცხადებლის მამისთვის ცნობილი იყო მ. ა.-ს სესხის შესახებ და გარკვეული პერიოდი თავადაც იხდიდა სესხის თანხას, თუმცა ბ. ა.-ს მიერ განმცხადებლის სესხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. ზეპირი განხილვის სხდომაზე შპს

„ა“-ს დაევალა წარმოედგინა კომპანიის თანამშრომლის – ნ. ბ.-ს განმარტება განმცხადებლის მამასთან შემდგარი სატელეფონო საუბრის შინაარსის შესახებ.

შპს „ა“-მ 2017 წლის 13 აპრილის №PDP 1 17 00001383 წერილით წარმოადგინა ნ. ბ.-ს ახსნა- განმარტება, რომლის საფუძველზეც ირკვევა შემდეგი:

- 2017 წლის 20 თებერვალს ნ. ბ. დაუკავშირდა განმცხადებელს სესხის განაცხადში მითითებულ სატელეფონო ნომერზე – 595 0* ** ** და შეთანხმდნენ 2017 წლის 22 თებერვალს კომპანიაში ვიზიტზე. სატელეფონო საუბრის ფარგლებში კომპანიის

თანამშრომელმა განმცხადებელს ასევე სთხოვა საინფორმაციო ანკეტის შევსება, რის საპასუხოდაც განმცხადებელმა მიაწოდა ფიქსირებული სატელეფონო ნომერი - 2 7* ** ** და სესხის განაცხადში მითითებული საკონტაქტო პირის - ბ. ა.-ს სატელეფონო ნომერი - 599 2* ** **;

- ვინაიდან 2017 წლის 22 თებერვალს ვერ მოხდა განმცხადებელთან დაკავშირება, ნ. ბ. მის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრიდან - 598 5* ** ** დაუკავშირდა განმცხადებლის მამას, განუმარტა, რომ უკავშირდებოდა შპს „ა“-დან და უნდოდა მ. ა.-ს თან დაკავშირება. მას შემდეგ კი, რაც ბ. ა. დაინტერესდა საკითხთან დაკავშირებით, კომპანიის თანამშრომელმა განუმარტა, რომ შეხვედრაზე იყვნენ შეთანხმებულები სს „ბ“- ს პრობლემური სესხის თაობაზე;
- სატელეფონო საუბრის ფარგლებში ბ. ა.-მ მიუთითა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული სესხის შესახებ, თანხასაც თავად იხდიდა, თუმცა გარკვეული პრობლემების გამო ვეღარ გააგრძელა გადახდები;
- კომპანიის თანამშრომელი მსესხებელს დაუკავშირდა 2017 წლის 23, 25 და 27 თებერვალს.

2017 წლის 19 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში განმეორებითგაიმართა განცხადებასთან დაკავშირებული ზეპირი განხილვა, რომელსაც ესწრებოდა ბანკის წარმომადგენელი. განხილვის ფარგლებში ბანკმა დაადასტურა, რომ მისი დავალების შესაბამისად, შპს „ა“ უფლებამოსილი იყო განმცხადებლის მიერ მითითებული საკონტაქტო პირისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მ. ა.-ს სესხის თაობაზე. მისივე განმარტებით, ზოგადად, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების გარეშე სესხის განაცხადში მითითებული პირები არ დაინტერესდებიან საკითხთან დაკავშირებით და მსესხებელს არ მიაწვდიან ინფორმაციას კომპანიასთან დაკავშირების თაობაზე. შესაბამისად, როგორც ბანკი, ასევე შპს „ა“, უფლებამოსილები არიან სესხის განაცხადში მითითებულ პირებს მიაწოდონ ინფორმაცია მსესხებლის დავალიანების თაობაზე, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა განმცხადებელმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით

თანხმობა განაცხადა აღნიშნულზე. ბანკის განმარტებით, ბ. ა.-სთვის განმცხადებლის დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით შპს „ა“ 2013 წლის 01 იანვრის დავალების ხელშეკრულების ფარგლებს არ გასცდენია და მოქმედებდა ბანკის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2017 წლის 19 აპრილს სს „ბ“-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის დარღვევის გამო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000368, რომელსაც ხელმოწერით დაეთანხმა ბანკის წარმომადგენელი.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. განმცხადებლის მომართვა მის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე არ იწვევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტას და ვინაიდან განმცხადებელმა 2017 წლის 02 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შეატყობინა სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტის თაობაზე, ინსპექტორმა შეისწავლა და იმსჯელა სს „ბ“-ს მიერ მ. ა.-ს პერსონალურ მონაცემების ბ. ა.-სთვის გამჟღავნების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი მ. ა.-ს 2013 წლის 24 ივლისის სესხის განაცხადის, 2013 წლის 30 ივლისის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების №*****, სს „ბ“-სა და შპს „ა“-ს შორის 2013 წლის 01 იანვარს დადებული დავალების ხელშეკრულების, ბანკის 2017 წლის 21 მარტის №PDP 1 17 00001077 წერილისა და კომპანიის 2017 წლის 28 მარტის

№PDP 1 17 00001167 წერილის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ სს „ბ“ განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა უფლებამოსილი პირის – შპს „ა“-ს მეშვეობით. ამდენად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „დ“, „ი“, „კ“ პუნქტებისა და მე-16 მუხლის საფუძველზე სახეზეა განმცხადებლის – მ. ა.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის – სს „ბ“-ს მიერ უფლებამოსილი პირის – შპს „ა“-ს მეშვეობით.

მოცემულ შემთხვევაში, ბანკის მიერ 2017 წლის 21 მარტს წარმოდგენილი №PDP 1 17 00001077 წერილის, კომპანიის მიერ 2017 წლის 28 მარტს წარმოდგენილი

№PDP 1 17 00001167 წერილისა და ბანკსა და განმცხადებელს შორის 2013 წლის 30 ივლისს დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების №***** საფუძველზე დგინდება, რომ განმცხადებელი ბანკთან იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში და ბანკის მიმართ გააჩნია ვალდებულება. განმცხადებელსა და ბანკს შორის 2013 წლის 30 ივლისს დადებული ხელშეკრულების 16.26.4 მუხლის თანახმად კი, ბანკს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის მიერ მისაღები/მიღებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკმა აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტის მიერ საკრედიტო განაცხადში დაფიქსირებულ პირებს (ოჯახის წევრებს, რეკომენდატორებს და ა.შ) და ასევე იმ პირებს, რომელთაც რაიმე სახის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კავშირი აქვთ კლიენტთან, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ გასცემს თანხმობას.

განცხადების განხილვის ფარგლებში, შპს „ა“-ს თანამშრომლის – ნ. ბ.-ს და განმცხადებლის მამის – ბ. ა.-ს მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ კომპანიის წარმომადგენელი 2017 წლის 22 თებერვალს დაუკავშირდა განმცხადებლის მიერ სესხის განაცხადში

მითითებულ საკონტაქტო პირს – მამას და მიაწოდა ინფორმაცია სს „ბ“-ს მიმართ მ. ა.-ს ფინანსური დავალიანების (პრობლემური სესხის) შესახებ. ბანკის და კომპანიის განმარტებით, ბ. ა. ინფორმირებული იყო განმცხადებლის სესხის თაობაზე და გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავადაც იხდიდა სესხის თანხას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილების (საქმეზე №ბ-1732-14(ა-12) თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი არ გამოიციხავს მხარის ვალდებულებას დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. განცხადების განხილვის ფარგლებში ბანკს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

კომპანიის და ბანკის პოზიცია, რომ შპს „ა“ განმცხადებლის მონაცემებს ამუშავებდა სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისთვის და აღნიშნულზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება, ვერ იქნება გაზიარებული. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მოცემულ შემთხვევაში კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო დავა არ მიმდინარეობდა და ინფორმაციის გამჟღავნებას ადგილი ჰქონდა სასამართლოში სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ.

განცხადების განხილვის ფარგლებში, ბანკმა დაადასტურა, რომ 2013 წლის 01 იანვრის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ა“ უფლებამოსილი იყო განმცხადებლის მოძიების და ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით დაკავშირებოდა ბ. ა.-ს და მიეწოდებინა ინფორმაცია მ. ა.-ს სესხის თაობაზე. ბანკის მითითებით, შპს „ა“ მისი დავალების ფარგლებს არ გასცდენია და მოქმედებდა ბანკის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, ბანკის ინტერესი – მის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით უფლებამოსილი პირის მეშვეობით განმცხადებელთან ეწარმოებინა მოლაპარაკება და ამ მიზნით დაემყარებინა მასთან კომუნიკაცია, წარმოადგენს ბანკის ლეგიტიმურ ინტერესს, რომლის დაკმაყოფილების მიზნით მონაცემთა დამუშავება დასაშვებია. თუმცა მონაცემთა უკანონო ან/და შემთხვევითი გამჟღავნების თავიდან აცილებისა და მონაცემთა დამუშავების კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ბანკმა დასახულ მიზანს შეუსაბამოს მონაცემთადამუშავების ადეკვატური ფორმა და დასამუშავებელ მონაცემთა მოცულობა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. განმცხადებლის განხილვის ფარგლებში შესწავლილი გარემოებებიდან არ დგინდება განმცხადებლის პერსონალური მონაცემების (სს „ბ“-ს პრობლემური სესხის შესახებ ინფორმაციის) მისი მამისთვის გამჟღავნების კანონიერი მიზანი და მონაცემთა სუბიექტის სესხის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბანკის და უფლებამოსილი პირის განმარტებებით, განმცხადებლის მამასთან დაკავშირება განხორციელდა მხოლოდ მსესხებლის მოძიების მიზნით, ხოლო ბანკს უფლებამოსილი პირის მეშვეობით ამ მიზნის მიღწევა შეეძლო ნაკლები მოცულობით მონაცემთა დამუშავებით ისე, რომ მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო ინფორმაცია განმცხადებლის ფინანსური დავალიანების შესახებ.

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან დაიცვან სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამუშავებლის კანონიერ ინტერესებს და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური

მონაცემების დაცვის უფლებას შორის, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება განახორციელონ მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ამავე კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. პერსონალური მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნება კი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მონაცემთა დამუშავებლის ლეგიტიმური ინტერესის დაცვასთან და უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის აუცილებელ ზომას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 22 თებერვალს სს „ბ“-მ უფლებამოსილი პირის მეშვეობით განმცხადებლის პერსონალური მონაცემები მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი გახადა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპის დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

მოცემულ შემთხვევაში საგულისხმოა სს „ბ“-სა და შპს „ა“-ს შორის 2013 წლის 01 იანვარს დადებული დავალების ხელშეკრულებაც, რომელიც ერთობლივად არეგულირებს რამდენიმე მომსახურების გაწევის საკითხს და შინაარსობრივად მოიცავს განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალებასაც, თუმცა არ შეიცავს ნათელ და მკაფიო მითითებებს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სპეციალურ წესებზე და აკრძალვებზე (მაგ. ხელშეკრულების 2.1.7. მუხლი – რწმუნებული (შპს „ა“) იღებს ვალდებულებას საიდუმლოდ შეინახოს დავალების შესრულებისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა). პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების დროს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ

მონაცემთა დამუშავების სპეციალური წესები. ამავე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად კი, მონაცემთა დამმუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ უფლებამოსილი პირი მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. იგი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას. ამასთანავე, უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის ზომების მიღების ვალდებულება. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულება კანონის მე-17 მუხლით დადგენილი ვალდებულებაა, რომლის მიზანია მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან დაცვა. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას, შესაბამის ხელშეკრულებაში ასახოს კანონით გათვალისწინებული წესები, აკრძალვები და მონაცემთა უსაფრთხოებისთვის უფლებამოსილი პირის მიერ ზომების მიღების ვალდებულება, რათა მინიმუმამდე შეამციროს მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისა თუ სხვაგვარად დამუშავების რისკები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვისსათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილ პირთან დადებული ხელშეკრულება მკაფიოდ და ნათლად ადგენდეს უფლებამოსილი პირის, მათ შორის შპს „ა“-ს ვალდებულებებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-16, მე-17, 27-ე, 34-ე, 39-ე, 44-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. სს „ბ“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ ანგარიშის ნომერი 302003242, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000368;

3. სს „ბ“-ს დაევალოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, უფლებამოსილ პირ(ებ)თან დადებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ და ნათლად დაადგინოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ვალდებულებები და მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით;

4. დასრულდეს მ. ა.-ს 2017 წლის 02 მარტის №PDP 4 17 0000828 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;

5. განმცხადებელს, სს „ბ“-ს და შპს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

6. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/243/2018

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

27/04/2018

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 12 თებერვლის №03/12 ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 12 თებერვლიდან 2018 წლის 12 აპრილის ჩათვლით პერიოდში განისაზღვრა შპს „ა“-ს (ს/კ *****) (შემდგომში – ცენტრი) შემოწმება. შემოწმება მოიცავდა ცენტრის №* განყოფილებაში ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესის ვიდეთვალთვალის კანონიერების და მკურნალობის მიმდები პირების პერსონალური მონაცემების დასაცავად მიღებული უსაფრთხოების ზომების შესაბამისობის შესწავლას.

შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები:

- ცენტრი მონაწილეობას იღებს „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის

№ნ38 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის – „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ განხორციელებაში და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – სახელმწიფო პროგრამა) ფარგლებში, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრინციპის გათვალისწინებით, ლოკალური განყოფილებების (მათ შორის ცენტრის №* განყოფილების) მეშვეობით დღემდე ემსახურება პაციენტებს საქართველოს მასშტაბით.

- ცენტრის განმარტებით, ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, თერაპიაში ჩართული პაციენტების (იგივე მკურნალობის მიმღები პირები, ბენეფიციარები) პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილება, ამასთან, ცენტრი საქმიანობის პროცესში ასევე ხელმძღვანელობს „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-41/ნ ბრძანებით, (რომლის №1 დანართით დამტკიცებულია „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდიკა“) და ყველა სხვა შესაბამისი ბრძანებით და ნორმატიული აქტით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ.

- მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისა და მკურნალობის მიღების მიზნით, პაციენტსა და ცენტრს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პაციენტის ვალდებულებას სრულად მიაწოდოს დაწესებულების პერსონალს „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის

3 ივლისის №01-41/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდიკით“ გათვალისწინებული ინფორმაცია/ დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მეთოდიკის მე-5 მუხლი განსაზღვრავს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტთა ჩართვის საფუძველსა და კრიტერიუმებს, ხოლო მე-6 მუხლით დადგენილია პაციენტთა

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის წესი, რომელიც, მათ შორის, ითვალისწინებს პაციენტის მხრიდან განცხადების წარმოდგენას, რომელსაც თან უნდა ახლდეს პაციენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა), ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში — შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შემოწმების ფარგლებში ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, პრაქტიკაში, პაციენტ(ებ)ის მხრიდან ხდება მხოლოდ განცხადების წარმოდგენა, რომლის ფორმა გათვალისწინებულია „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის ფარგლებში გამოსაყენებელი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-42/ნ ბრძანების დანართი №3-ით. ამავე ბრძანების დანართი

№1.10-ით გათვალისწინებულია ნარკომანიის ჩანაცვლებით სპეციალურ პროგრამაში პაციენტის ჩართვის შესახებ სამედიცინო საკონსულტაციო კომისიის (შემდგომში - სსკ) გადაწყვეტილების ფორმა (№IV-230 -10/ა).

- ცენტრის განმარტებით, პაციენტის განცხადება, ასევე ინფორმაცია ჩანაცვლებით პროგრამაში მისი ჩართვის შესახებ და „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის ფარგლებში გამოსაყენებელი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია (ფორმა №IV-230 -1/ა, რომელიც ითვალისწინებს პაციენტის პირველადი გასინჯვის მონაცემებს, ფორმა №IV-230 -2/ა - პაციენტის ნარკოლოგიური ანამნეზი, ფორმა №IV-230 -3/ა-ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის დანიშვნის ფურცელი, ფორმა №IV-230 -4/ა - პაციენტის ნევროლოგიური და ფსიქიკური სტატუსი, ფორმა №IV-230 -5/ა -

ერთი თვის განმავლობაში პაციენტზე გაცემული ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის სააღრიცხვო ფორმა, ფორმა №IV-230 -6/ა - ურინოტესტირება და სხვა) თავსდება და ინახება ამავე ბრძანებით დამტკიცებულ პაციენტის სამედიცინო ბარათთან (ფორმა №IV-230/ა) ერთად (სამედიცინო პერსონალისმიერ ხშირად მოიხსენიება როგორც პაციენტის სამედიცინო ისტორია).

- სამედიცინო ბარათი (ფორმა №IV-230/ა) თითოეულ პაციენტზე იხსნება ინდივიდუალურად და მათ შორის, შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პაციენტის დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი), სქესი, მისამართი, (მუდმივი და ფაქტობრივი მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამატებითი საკონტაქტო პირი (ნათესაური კავშირი), საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონი), პროფესია, სამუშაო ადგილი, ინფორმაცია პირველადი, კლინიკური და დასკვნითი დიაგნოზის შესახებ და სხვა.
- ცენტრის განმარტებით, ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა დოკუმენტაციის შენახვის ვადა ინდივიდუალურია, პროგრამის დენადი ხასიათის გათვალისწინებით. ამდენად, ფუნქციონალურად აქტიური ინფორმაციის შემცველი სამედიცინო ბარათები ინახება ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ განყოფილებაში (საორდინატოროში), წინასწარ განსაზღვრულ ისეთ ადგილებში, სადაც წვდომა მაქსიმალურად არის შეზღუდული გარეშე პირთათვის, ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც კარგავს ფუნქციონალურ დანიშნულებას (მაგალითად, პაციენტის გარდაცვალების მიზეზით) ინახება ცენტრის ცენტრალიზებულ არქივში სამედიცინო ამბულატორიული დოკუმენტაციის შენახვის ვადით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002

წლის 17 ივლისის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის“ 9.3 მუხლის თანახმად, „ამბულატორიულ დაწესებულებათა სამედიცინო ბარათები სამედიცინო არქივში ინახება 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. ვადის ათვლა ხდება სამედიცინო არქივში ბარათის მოთავსების დღიდან).

ურინოტესტირების პროცესში მონაცემთა დამუშავება

- ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დასადგენად, ცენტრის №* განყოფილებაში ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით ხორციელდება ბიოლოგიური მასალის ჩაბარება (ურინოტესტირება) იმ პაციენტების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის ბენეფიციარებს და ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმღებ პირებს.
- „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 03 ივლისის №01-41/ნ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების კონტროლის მიზნით, „პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, პერიოდულად (არანაკლებ თვეში ერთხელ) ტარდება თითოეული პაციენტის ბიოლოგიური მასალის მოულოდნელი გადამოწმება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე“.
- ურინოტესტირებისას ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის გაყალბების პრევენციისმიზნით, ცენტრი ახორციელებს ბიოლოგიური

მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგს. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროცედურა მიმართულია პაციენტის ჯანმრთელობის დაცვისკენ, ვინაიდან, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება, ჩანაცვლებითი თერაპიის ძირითადი ნივთიერების – მეთადონის ჰიდროქლორიდის ხსნართან ერთად, წარმოშობს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანების მაღალ რისკს და ლეტალური შედეგის დადგომის საფრთხეებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ვიდეოთვალთვალის მიზანს წარმოადგენს პირის უსაფრთხოების დაცვა.

- აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეოთვალთვალის წესი არ არის რეგულირებული ნორმატიულ დონეზე, თუმცა პაციენტსა და ცენტრს შორის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ** პუნქტიითვალისწინებს პაციენტის ვალდებულებას – „სამედიცინო პერსონალის ყოველი მოთხოვნისას ჩააბაროს შარდი ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ“. ამავე ხელშეკრულების *** პუნქტის მიხედვით, „პაციენტის მიერ ბიოლოგიური მასალის აღება ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად, აგრეთვე ჩამანაცვლებელი მედიკამენტის დანიშნული ულუფის მიღება იწერება ვიდეოთვალთვით (წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა განიხილება პაციენტის ინფორმირებულ თანხმობად)“. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში პირდაპირ არ არის მითითებული ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეოთვალთვალის მიზანი, თუმცა, ხელშეკრულების **** პუნქტის მიხედვით, „დაწესებულებას უფლება აქვს დააყენოს პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს პაციენტის მიერ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის გაყალბების მცდელობას“.

- ცენტრის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესის კონკრეტული მარეგულირებელი შიდა წესი არ არის შემუშავებული, ცენტრი ანალოგიის პრინციპით ხელმძღვანელობს და ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესზე ავრცელებს (აქტში მითითების არარსებობის მიუხედავად, პრაქტიკულად) ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის ** სექტემბრის ბრძანებით (ვრცელდება, საჯარო სამსახურში წარდგენის მიზნით ნარკოლოგიური საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ ცნობის და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემის შემთხვევებზე), დადგენილ წესს, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს „სახელმწიფო მოსამსახურეებისა და საჯარო მოსამსახურეების ნარკოლოგიური შემოწმებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მოთხოვნებიდან. კერძოდ, ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის ** სექტემბრის ბრძანების 27-ე მუხლის (რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანების მე-11 მუხლის იდენტურია) თანახმად, „გამოსაკვლევი პირისგან ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღება ხდება მის მიერ შერჩეულ პირობებში - ვიდეოთვალის მეთვალყურეობით ან გამოკვლევაზე უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირის თანდასწრებით“. განსახილველ შემთხვევაში, ცენტრი ახორციელებს ურინოტესტირების პროცესის მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობას ალტერნატივის გარეშე, რადგან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომეთვალყურეობა მიმართულია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგის უტყუარობისა და კვლევის გაცალბების თავიდან აცილებისკენ და წარმოადგენს პროცესის

მეთვალყურეობის შეუცვლელმეთოდს.

პერსონალური მონაცემების დასაცავად მიღებული უსაფრთხოების ზომები

- მკურნალობის მიმღებ, ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართულ პირთა სამედიცინო დოკუმენტაცია ინახება განყოფილების საორდინატორო ოთახში არსებულ კარადებში. ოთახში შესასვლელ კარზე განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი წარწერით: „უცხო პირთა შესვლა მედ. პერსონალის თანხმობის გარეშე აკრძალულია“. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, შესაბამისი სამედიცინო პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, საორდინატორო იკეტება.
- ცენტრის განმარტების თანახმად, მკურნალობის მიმღები პირების შესახებ ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ №* განყოფილებაში დაცულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე, შესაბამისად, პაციენტების პერსონალურ მონაცემებზე (არ იკულისხმება ურინოტესტირების კაბინის ვიდეოჩანაწერები) წვდომა აქვთ:

განყოფილების უფროსს – ადმინისტრაციული ფუნქციების ჯეროვნად წარმართვის უზრუნველსაყოფად, განყოფილებაში მიმდინარე პროცესების აღრიცხვისა და მეთვალყურეობის, ასევე, განყოფილების უფროსის – როგორც მედიკამენტის ლეგალურ ბრუნვაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებათა შესრულების მიზნით. შემოწმების ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობათა აღწერილობის თანახმად, განყოფილების უფროსის ფუნქციები მოიცავს სსკ-ს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პაციენტების პროგრამაში ჩართვის უზრუნველყოფას და ხელშეკრულების გაფორმებას, პროგრამის პაციენტების გაწერის, ჩამანაცვლებელი პრეპარატის ულუფის ხელზე გაცემის და სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების ოპერირებას და სხვა. შემოწმების ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლის მიერ ასევე მოწოდებულ იქნა ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის **

ინვისის ბრძანება, რომლის 27-ე პუნქტის საფუძველზე განისაზღვრა, რომ „ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ განყოფილებებში, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის დამუშავებაზე, დაცვასა და აღრიცხვაზე, გამჟღავნებისგან დაცვაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილების უფროსებს“.

განყოფილების უფროს ექთანს – ჩამანაცვლებელი პრეპარატის დღიური და თვის განმავლობაში ხარჯვის, პაციენტზე თვის განმავლობაში გაცემული მედიკამენტების ჯამური ოდენობის გამოთვლის მიზნით. შემოწმების ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების უფროსი ექთნის უფლება-მოვალეობათა აღწერილობის მიხედვით, განყოფილების უფროსი ექთნის ფუნქციები ითვალისწინებს სამკურნალო საშუალების დანიშნული დოზის გაცემის დამისი მიღების პერიოდული მეთვალყურეობის განხორციელებას, განყოფილებაში ჩამანაცვლებელი ნარკოტიკული პრეპარატის მიღების, რეგისტრაციის, შენახვის და გაცემის უზრუნველყოფას და კონტროლს, განყოფილებაში და საპროცედუროში არსებული სპეციალური დოკუმენტაციის წარმოებას და მათ შევსებაზე კონტროლის განხორციელებას, განყოფილების სამედიცინო საქმიანობის წარმოებაში მონაწილეობის მიღებას, მიღებული და გაწერილი პაციენტების აღრიცხვის კონტროლს, მედიკამენტების ბინაზე, სტაციონარში და ხელზე გაცემის პროცედურის უზრუნველყოფას, პაციენტების რანდომიზირებული ურინოტესტირების უზრუნველყოფას და სხვა.

განყოფილების ექიმ-ნარკოლოგს – საექიმო საქმიანობის განხორციელების მიზნით. შემოწმების ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების ექიმ-ნარკოლოგის უფლება-მოვალეობათა აღწერილობის, თანახმად, განყოფილების ექიმ-ნარკოლოგის ფუნქციები მოიცავს სსკ-ს გადაწყვეტილებათა შესაბამისად პროგრამაში ჩართული პაციენტების სათანადოსამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, პაციენტებთან სისტემატურ მუშაობას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ვაკონტროლებას, პაციენტებისათვის ჩასატარებელი

რანდომიზირებული ურინოტესტირების განსაზღვრას და სხვა.

განყოფილების ფსიქოლოგს – საექიმო საქმიანობის განხორციელების მიზნით. შემოწმების ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობათა აღწერილობის მიხედვით, განყოფილების ფსიქოლოგის ფუნქციები ითვალისწინებს პაციენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას, მათი პიროვნული მახასიათებლების შესწავლას, პროგრამაში ჩართული პაციენტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვას, ფსიქოლოგიურ კონსულტირებას, ფსიქოთერაპიას, პაციენტის მდგომარეობის მონიტორინგს, პაციენტის პროგრამაში ჩართვის პროცედურაში მონაწილეობის მიღებას და სხვა.

განყოფილების სოციალურ მუშაკს – ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში პაციენტის მკურნალობის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. შემოწმების ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ იქნა ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობათა აღწერილობა, რომელიც მათ შორის ითვალისწინებს ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვის პროცედურის და დოკუმენტაციის გაფორმების უზრუნველყოფას, მიღებული და გაწერილი პაციენტების მონაცემების ერთიანი ბაზის წარმოებას და სათანადო დოკუმენტაციის შევსებას, ფსიქოლოგთან ერთად პაციენტის სოციუმში ადაპტაციის გზების დაგეგმვას და სხვა.

განყოფილების ოპერატორს – განყოფილების მასშტაბით სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და აღრიცხვის მიზნით. შემოწმების ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების ოპერატორის უფლება-მოვალეობათა აღწერილობის თანახმად, ოპერატორის ფუნქციები მოიცავს პაციენტის ყოველთვიური დანიშნულების ბარათების ბეჭდვას, განყოფილებაში შესული თანხების

აღრიცხვის უზრუნველყოფასა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას და სხვა.

- პაციენტების პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მქონე ზემოხსენებულ პირთა სამუშაო აღწერილობა, რომელიც წარმოადგენს მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ითვალისწინებს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას.

- ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ განყოფილებებში დღისა და თვის განმავლობაში ჩართული და გაწერილი პაციენტების აღრიცხვას აწარმოებს ცენტრის პროგრამათა მართვის სამსახური, რომელსაც ამ მიზნით წვდომა აქვს პაციენტების შესახებ შემდეგ მონაცემებზე: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამედიცინო ბარათის ნომერი, პროგრამაში ჩართვის და პროგრამიდან გასვლის თარიღები, ასევე პროგრამიდან გასვლის საფუძველი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცენტრის განმარტებით, ზემოაღნიშნული მონაცემების დამუშავების მიზანია შიდა ბაზის ფორმირება და „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №138 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის – „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ ფარგლებში სტატისტიკური აღრიცხვის წარმოება და ინფორმაციის, საანგარიშო თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს სახით, ყოველთვიურად,

ყოველი თვის მომდევნო საანგარიშო თვის 10 (ათი) რიცხვამდე მიწოდება სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის.

- ცენტრის განმარტებით, ცენტრის პროგრამათა მართვის სამსახურში დასაქმებულია ** პირი და თითოეულ მათგანთან გაფორმებული სტანდარტული შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. კერძოდ, შემოწმების ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ერთ-ერთი ხელშეკრულების დანართის თანახმად, „დასაქმებული ვალდებულია არ დაუშვას მესამე პირისთვის დამსაქმებლის პროფესიული ან კომერციული საიდუმლო ინფორმაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით გამჟღავნება. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია პაციენტის შესახებ. ინფორმაცია, კომერციული ფასეულობის მქონე გეგმების, ფორმულის, პროცესის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება დამსაქმებლის მიერ ჯეროვანი სამედიცინო მომსახურების გასაწევად ან რომელიც წარმომადგენს სიახლეს ან სხვა მნიშვნელოვან შედეგს და მისმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს დამსაქმებლის კონკურენტუნარიანობას, ან დაირღვეს პაციენტის უფლებები.“

- ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ცენტრის ერთი განყოფილებიდან მეორე განყოფილებაში პაციენტის გადასვლის შემთხვევაში (ე.წ. შიდა მიგრაცია), პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის გადაცემა ხორციელდება ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილების უფროსებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის №* განყოფილებაში გათვალისწინებულია დაცვის სისტემა (სიგნალიზაცია), ამასთან განყოფილებას, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე იცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდეგში – დაცვის პოლიცია). დაცვის პოლიციის თანამშრომელთა მიერ კონტროლდება განყოფილების შიდაპერიმეტრი და ზოგადად უსაფრთხოება, ამასთან, ზეპირსიტყვიერი მითითების საფუძველზე, მათი მხრიდან მიმდინარეობს განსაკუთრებული კონტროლი პერსონალური ონაწილების განთავსების ადგილებზე გარეშე პირთა წვდომის შეზღუდვის მიზნით. 2018 წლის 21

თებერვალს ადგილზე ჩატარებული შემოწმების დროს დადგინდა, რომ სამედიცინო პერსონალის სამუშაო ოთახებში შესასვლელ კარებზე განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები წარწერით: „უცხო პირთა შესვლა მედ. პერსონალის თანხმობის გარეშე აკრძალულია“.

- ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, №* განყოფილებაში პრეპარატების მისაღებად მისული პაციენტები, სპეციალურ საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალში - (შემდგომში - ჟურნალი) ხელმოწერით ადასტურებენ მედიკამენტის მიღებას. ჟურნალის ფორმა დამტკიცებულია „ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საქესპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებით და მათ შორის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სამკურნალო საშუალების გაცემის თარიღი და დრო, ავადმყოფის გვარი და სახელი, სამედიცინო ბარათის ნომერი, ექიმის მიერ დანიშნული დოზა მილიგრამებში, გაცემული სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა და საზომი ერთეული, გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, პაციენტის ხელმოწერა სამკურნალო საშუალების მიღებაზე და პაციენტის ავადმყოფობის ან სტაციონარში მოთავსების დამადასტურებელი საბუთის ნომერი და გაცემის თარიღი.
- ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ჟურნალში მიეთითება ქრონოლოგიურად, მკურნალობის მიმდები პირების ვიზიტების და ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების მიღების დროის შესაბამისად. ამდენად, მედიკამენტის მიღების

საკუთარი ხელმოწერით დადასტურების დროს, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი ხდება ჟურნალის ამავე გვერდზე სხვა პაციენტების შესახებ მითითებული ინფორმაცია (მათ შორის, ავადმყოფის გვარი და სახელი, სამედიცინო ბარათის ნომერი, ექიმის მიერ დანიშნული დოზა მილიგრამებში, გაცემული სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა და საზომი ერთეული). ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ჟურნალის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით და რომელიმე გრაფის გამოტოვება ან/და ჟურნალის ერთი გვერდზე მხოლოდ ერთ პაციენტზე არსებული ინფორმაციის თავმოყრა შეუძლებელია. მისივე განმარტებით, პაციენტის მიერ ჟურნალში მედიკამენტის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებისას, საპროცედუროს თანამშრომლების მიერ ხდება ჟურნალის ამავე გვერდზე სხვა პაციენტების შესახებ ინფორმაციის შემცველი წინა ველების დაფარვა ფურცლის მეშვეობით (არ არსებობს აღნიშნული ვალდებულების მარეგულირებელი შიდა წესი), თუმცა, აღნიშნული რიგ შემთხვევებში შეუძლებელია მკურნალობის მიმღებ პირთა დიდი რაოდენობის და მათთვის მომსახურების სწრაფად გაწევის საჭიროების პირობებში.

- პაციენტსა და ცენტრს შორის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ** პუნქტი ითვალისწინებს შესაძლებლობას, პაციენტმა თავად, ხელშეკრულების შესაბამის გრაფებში, მიუთითოს იმ პირების ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მისი მონაწილეობის შესახებ.

უსაფრთხოების ზომები ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტექსტირების) პროცესის ვიდეთვალთვალის განხორციელებისას 2018 წლის 21 თებერვალს, ცენტრის №* განყოფილების ადგილზე შემოწმების ფარგლებში, დადგინდა,

რომ ბიოლოგიური მასალის ჩაბარება ხდება სპეციალურად გამოყოფილ, იზოლირებულწინასწარმოწყობილ კაბინაში (შემდგომში – ურინოტესტირების კაბინა). კაბინაში განთავსებულია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი და 1 (ერთი) ანალოგიური ტიპის „****“ ფირმის ვიდეოსათვალთვალ კამერა, რომელსაც გააჩნია 1.3 მეგაპიქსელის გარჩევადობა. კამერა აღჭურვილია დამის ხედვის ფუნქციით, ამასთან მას არ გააჩნია ავტომატური მანევრირებისა და დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „zoom“) ფუნქციები.

- ზემოხსენებული ვიდეოსათვალთვალ კამერა დაკავშირებულია „****“-ის ფირმის ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან (DVR), რომელიც განთავსებულია განყოფილების უფროსის, საკეტიტ დაცულ სამუშაო ოთახში, განსაკუთრებული იზოლირების გარეშე, ღიად. ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობაზე წვდომა ხორციელდება უშუალოდ ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობაზე (DVR) მიერთებული მონიტორის მეშვეობით, ლოკალურად. ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან (DVR)-თან ასევე შეერთებულია ცენტრის №* განყოფილების სხვა სივრცეებში განთავსებული ვიდეოსათვალთვალ კამერები, რომელთა ხედვის არეალი მოიცავს განყოფილების შიდა პერიმეტრს, კერძოდ, დერეფნებს, შესასვლელებს, საპროცედუროს, სადაც ხდება ჩამანაცვლებელი მედიკამენტის დანიშნული ულუფის მიღება. ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობის (DVR) მეშვეობით შესაძლებელია ყველა აღნიშნულ სივრცეში მიმდინარე ვიდეოგამოსახულებაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერება და ამოღება (ე.წ. ექსპორტი). ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობა (DVR) დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით.
- ცენტრის განმარტების თანახმად, ვიდეოსათვალთვალ კამერის მეშვეობით, ურინოტესტირების კაბინის (ურინოტესტირების

პროცესის) ვიდეთვალთვალვი ხორციელდება პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში, რომელზეც წვდომა აქვთ ცენტრის იმავე სქესის პირებს, კერძოდ მამაკაც ბენეფიციართა შემთხვევაში ცენტრის №* განყოფილების უფროსს და ქალ ბენეფიციართა შემთხვევაში იმავე განყოფილების უფროს ექთანს. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესის კონკრეტული მარეგულირებელი შიდა წესი არ არის შემუშავებული, ცენტრი, ანალოგიის პრინციპით ხელმძღვანელობს და ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესის ვიდეთვალთვალზე (იმავე სქესის მეთვალყურის აუცილებლობის ნაწილში) ავრცელებს ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის ** სექტემბრის ბრძანებით დადგენილ წესს (ვრცელდება, საჯარო სამსახურში წარდგენის მიზნით ნარკოლოგიური საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ ცნობის და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემის შემთხვევებზე), კერძოდ, აღნიშნული ბრძანების 27-ე მუხლის თანახმად, „გამოსაკვლევი პირისგან ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღება ხდება მის მიერ შერჩეულ პირობებში – ვიდეთვალის მეთვალყურეობით ან გამოკვლევაზე უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირის თანდასწრებით“.

- ცენტრის განმარტებით, განყოფილების უფროსს და განყოფილების უფროსს ექთანს არ აქვთ საშუალება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ადმინისტრირების სამსახურის უფლებამოსილი პირების მონაწილეობის გარეშე მოახდინონ ვიდეთვალის აღრიცხვის ამოღება ე.წ. „ექსპორტი“. ცენტრის განმარტებით, ურინოტესტირების კაბინის ვიდეთვალის აღრიცხვის ამოღების საჭიროება არასდროს დამდგარა და მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა.
- ადგილზე შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ვიდეთვალის აღრიცხვის შემნახველ მოწყობილობასთან (DVR) დაკავშირებული მონიტორი, (რომლის მეშვეობით გადაიცემა

განყოფილების ტერიტორიაზე (მათ შორის ურინოტესტირების კაბინაში) დამონტაჟებული კამერებიდან მიღებული ვიდეოგამოსახულება), განთავსებულია განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში, მისი სამუშაო მაგიდის უკან, გვერდულად, სპეციალური იზოლირების გარეშე, ღიად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიდეოგამოსახულება შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს ოთახში მოხვედრილი სხვა პირებისათვის, თუმცა, ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ურინოტესტირების პროცესის დროს (რაც წინასწარ არის ცნობილი განყოფილების უფროსისათვის) განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახი შიგნიდან იკეტება, რაც გამორიცხავს გარეშე პირთა მხრიდან წვდომის შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში, როდესაც ურინოტესტირება არ მიმდინარეობს, მონიტორზე ხდება ცარიელი კაბინის ვიდეოტრანსლაცია (აღნიშნული არ არის რეგულირებული რაიმე შიდა წესით).

- ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, განყოფილებაში (მათ შორის ურინოტესტირების კაბინაში) მიმდინარე ვიდეოთვალთვალის შედეგად დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ განყოფილების უფროსს, უფროს ექთანს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის 2 (ორი) თანამშრომელს.
- 2018 წლის 21 თებერვალს, ცენტრის №* განყოფილების ადგილზე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალ სისტემაში შექმნილია მხოლოდ 2 (ორი) მომხმარებელი სახელწოდებით „N1“ და „N2“.

o მომხმარებელს სახელწოდებით „N1“ გააჩნია ადმინისტრატორის უფლებები, რაც გულისხმობს შემდეგს: ვიდეოსათვალთვალ სისტემაში მომხმარებლის პროფილების შექმნა, მათი წვდომებისა და უფლებების განსაზღვრა, ვიდეოჩანაწერზე პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალთვალისა და ამოღების (ე.წ. ექსპორტის) უფლება. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მომხმარებლის სახელით

სარგებლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის 2 (ორი) თანამშრომელი ვიდეოსათვალთვალო სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკაში ურინოტესტირების კაბინაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით მიღებული ჩანაწერის დამუშავების (მათ შორის, შემდგომში დათვალიერების) საჭიროება არასდროს დამდგარა. მისივე განმარტებით, ზემოხსენებული ორი თანამშრომელი წარმოადგენს მამრობითი სქესის პირს, თუმცა, ქალი ბენეფიციარის შემთხვევაში, ურინოტესტირების კაბინაში განხორციელებული და მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერის დამუშავების საჭიროების წარმოქმნის პირობებში (რასაც, ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ადგილი არასდროს ჰქონია), უზრუნველყოფილი იქნება ვიდეოთვალთვალის სისტემაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მდებრობითი სქესის თანამშრომლისათვის შესაბამისი უფლებამოსილების დელეგირება, როგორც ეს პრაქტიკაში ხდება განყოფილების უფროსისა და განყოფილების უფროსი ექთანის შემთხვევაში.

o მომხმარებელს სახელწოდებით „N2“ გააჩნია მხოლოდ პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში ჩანაწერებზე წვდომის და ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერების შესაძლებლობა. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მომხმარებლის სახელით სარგებლობს განყოფილების უფროსი, როგორც ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ განყოფილებაში, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი. რეალურ დროში ვიდეოთვალთვალის მონაცემებზე ასევე დაიშვება განყოფილების უფროსი ექთანი - ქალ ბენეფიციართა ურინოტესტირების პროცესის მეთვალყურეობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან, ბიოლოგიური მასალის ჩაბარების ვიდეომონიტორინგის განხორციელება საჭიროა მხოლოდ რეალურ დროში, პრაქტიკაში ამ დრომდე, ურინოტესტირების კაბინაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით მიღებული ჩანაწერის შემდგომი დათვალიერების აუცილებლობა არასდროს

ყოფილა. მისივე განმარტებით, ცენტრს ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული რაიმე სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების საკითხები, მათ შორის, წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირების მივლინების ან შვებულების პერიოდში, რადგან მსგავს შემთხვევებში, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მოხდება სხვა პირ(ებ)ის დანიშვნა მოვალეობის შემსრულებლ(ებ)ად და მათთვის შესაბამისი პოზიციისთვის გათვალისწინებული უფლებამოსილების დელეგირება.

- ვიდეოსათვალთვალ კამერას არ გააჩნია აუდიოჩანჩერის ფუნქცია, ამდენად, ურინოტესტირების კაბინაში ვიდეოთვალთვალის სისტემის მიერ დამატებით აუდიოჩანჩერა არ ხორციელდება.
- ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. ლოგირება), სადაც აღრიცხება მომხმარებლების მიერ სისტემაში შესვლა და ვიდეოჩანჩერების მიმართ შესრულებული მოქმედებები.
- ცენტრის განმარტებით, განყოფილებაში შემოსული და გასული კორესპონდენცია ექვემდებარება ცენტრის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია/აღრიცხვას. ცენტრის განმარტებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩამანაცვლებელი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი განყოფილებების ქიმიო-ტოქსიკოლოგიური (ურინოსტესტირების) კაბინის ვიდეოჩანჩერები გამოთხოვილი არ ყოფილა.

ვიდეოჩანჩერების შენახვა

- ვიდეოჩანჩერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ვიდეოთვალთვალის სისტემის მეხსიერების მყარი დისკის მოცულობაზე, რომელიც შეადგენს *** GB-ს და ვიდეოჩანჩერები საშუალოდ ინახება 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ახალი ჩანაჩერი ავტომატურად ანაცვლებს ძველს. შემოწმების

დროს მოძიებული, პროგრამულ უზრუნველყოფაში დაცული ყველაზე ძველი ვიდეოჩანაწერი თარიღდებოდა 2018 წლის 28 იანვრით ხოლო ვიდეოჩანაწერის მიმართ შესრულებული ყველაზე ძველი ჩანაწერი (ე.წ. „ლოგი“) აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში თარიღდებოდა 2016 წლის 29 მარტით.

- ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან, ურინოტესტირების კაბინაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერა წარმოადგენს განყოფილების საერთო ვიდეოსათვალთვალის სისტემის ნაწილს, აღნიშნული კამერის მეშვეობით მოპოვებული ჩანაწერები ინახება იმავე ვადით, რა ვადითაც ხდება სხვა ვიდეოჩანაწერები. ცენტრის წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა მითითებული ურინოტესტირების კაბინაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერების საშუალოდ 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადით შენახვის საჭიროება, თუმცა ცენტრი ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობს ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის ** სექტემბრის ბრძანებით, რომლის 28-ე და 30-ე მუხლების თანახმად, „ბიოლოგიური მასალის (შარდის) ლაბორატორიული (ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური) კვლევის შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ბიოლოგიური მასალა (შარდი) ილუქება და ინახება სათანადო წესების დაცვით 10 (ათი) დღის განმავლობაში. დალუქულ ბიოლოგიურ მასალაზე უნდა იყოს გამოსაკვლევი პირის და გამოკვლევაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერები; კვლევის შედეგის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში გამოსაკვლევი პირი უფლებამოსილია გადაამოწმოს იგივე ბიოლოგიური მასალა, მათ შორის, უფრო ზუსტი ინსტრუმენტული მეთოდით საკუთარი ხარჯებით. ასეთ შემთხვევაში, გამოსაკვლევი პირის მიმართვისას, შესაბამისი კვლევა ალტერნატიულ საექსპერტო დაწესებულებაში უნდა ჩატარდეს პირველი კვლევიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის განმარტებით, ურინოტესტირების კაბინის ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერის შენახვის საჭიროება 10-15

(ათი-თხუთმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ფაქტიურად არ არსებობს. მისივე განმარტებით, მკურნალობის მიმღებ პირებს ურინოტესტირების კვლევის შედეგები სადავო არასდროს გაუხდიათ.

შემოწმების შედეგად დადგენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებები

- შემოწმების ფარგლებში, პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის გადამოწმების კონტროლის ფორმასთან/მეთოდთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეთხოვა მოსაზრებების წარმოდგენა.
- სამინისტრომ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის გადამოწმების კონტროლის ფორმის/მეთოდის განსაზღვრა ცენტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთან, ანალიზის გაყალბების პრევენციის მიზნით, ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომეთვალყურეობა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, შესაძლოა ნამდვილად წარმოადგენდეს კონტროლის უალტერნატივო მეთოდს.
- სამინისტროს განმარტებით სამომავლოდ, შესაძლებელია მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისათვის (მკურნალობის მიმღები პირებისათვის) დაწესდეს ის რეგულაცია, რაც ამჟამად ვრცელდება სახელმწიფო/საჯარო სამსახურში წარსადგენად, გამოსაკვლევი პირის ნარკოლოგიურ შემოწმების პირობებზე. აღნიშნული პირობები ითვალისწინებს ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის მონიტორინგის ფორმის, უშუალოდ გამოსაკვლევი პირის მიერ არჩევის შესაძლებლობას. კერძოდ, „სახელმწიფო მოსამსახურეებისა და საჯარო მოსამსახურეების ნარკოლოგიური შემოწმებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20სექტემბრის №01-60/ნ ბრძანების მე-

11 მუხლის თანახმად, გამოსაკვლევი პირისგან ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღება ხდება მის მიერ შერჩეულ პირობებში – ვიდუთვალის მეთვალყურეობით ან გამოკვლევაზე უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირისთანდასწრებით.

- სამინისტროს წარმომადგენლებმა აგრეთვე მიუთითეს, რომ კონტროლის ფორმის განურჩევლად, მონაცემთა არამიზნობრივად გამოყენების ინტერესი ცენტრის მხრიდან და, შესაბამისად, აღნიშნულის საფრთხე მინიმალურია, მსგავსი სახის პრეცედენტი არასდროს შექმნილა და აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემურ საკითხს. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ნორმატიულ დონეზე და შესაბამისი ორგანიზაციულ ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულების პრეროგატივას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, 2018 წლის 12 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000582 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა ცენტრის წარმომადგენელმა და ახსნა-განმარტების სახით მიუთითა, რომ ცენტრი მზადაა გაითვალისწინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შენიშვნები და რეკომენდაციები.

სამოტივაციო ნაწილი

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ცენტრი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე („პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016

წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილება, „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-41/ნ ბრძანება, ასევე, სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები) დასხვადასხვა ლეგიტიმურ მიზნით (მათ შორის, პაციენტის უსაფრთხოების დაცვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის და ფუნქციონირებისათვის) ამუშავებს პაციენტების პერსონალურ მონაცემებს. შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებებიც.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ სამართალდარღვევაზე და სხვა ნაკლოვანებებზე.

1. ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესის ვიდეოთვალთვალი;

საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის წესი განსაზღვრულია

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მონიტორინგის განხორციელებისას მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მისშესახებ მონაცემთა დამამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „ნარკომანიის ჩანაცვლებითი

სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის №01-41/ნ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების მეთოდის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების კონტროლის მიზნით, პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, ცენტრში პერიოდულად (არანაკლებ თვეში ერთხელ) ტარდება თითოეული პაციენტის ბიოლოგიური მასალის მოულოდნელი გადამოწმება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის გაყალბების პრევენციის, შესაბამისად, პაციენტის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვის მიზნით ურინოტესტირების კაბინაში მიმდინარეობს ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგი, აღნიშნულის თაობაზე პაციენტი ინფორმირებულია პაციენტსა და ცენტრს შორის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების, ასევე, კაბინაში განთავსებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის მეშვეობით.

ცენტრის განმარტებით, აღნიშნული პროცედურა მიმართულია პაციენტის ჯანმრთელობის დაცვისკენ, ვინაიდან, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება, ჩანაცვლებითი თერაპიის ძირითადი ნივთიერების – მეთადონის ჰიდროქლორიდის ხსნართან ერთად, წარმოშობს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანების მაღალ რისკს და ლეტალური შედეგის დადგომის საფრთხეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიდეოთვალთვალის მიზანს წარმოადგენს პირის უსაფრთხოების დაცვა.

მონიტორინგის საგნის გათვალისწინებით ურინოტესტირების კაბინაში ვიდეომონიტორინგი განსაკუთრებულ ჩარევას წარმოადგენს პაციენტის პირად ცხოვრებაში, ამ ფორმით მონაცემთა დამუშავების იძლევა მონაცემების მარტივად მოპოვების, ქცევის პირდაპირი კონტროლის შესაძლებლობას,

ამასთან, მონაცემები იმართება და ინახება პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ინფორმაციაზე შემდგომი მარტივად წვდომის და განსხვავებული მიზნით გამოყენების შესაძლებლობას წარმოშობს.

საკითხის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პირადი სივრცის დაცულობის გონივრული მოლოდინი. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, გარკვეულ გარემოებებში ადამიანს აქვს მისი პირადი ცხოვრების დაცულობის და პატივისცემის ლეგიტიმური მოლოდინი“ (Von Hannover v. Germany, no. 59320/00). ამასთან, გასათვალისწინებელია შესაძლებელია თუ არა ვიდუოთვალთვალის მიზნის მიღწევა სხვათაანაბრად ეფექტური საშუალებით, რომელიც ნაკლებად შეზღუდავდა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას (Köpke v. Germany).

განსახილველ შემთხვევაში, მონიტორინგს დაქვემდებარებული პროცესის გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავება განსაკუთრებით სენსიტიური, ხოლო მათი უკანონო გამოყენება/გამჟღავნება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მონაცემთა სუბიექტისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს სხვა ალტერნატივა, რათა პაციენტმა თავად აირჩიოს და გადაწყვიტოს მონიტორინგის რომელი მეთოდია მისთვის ნაკლებად შემზღუდველი. შემოწმების ფარგლებში, ურინოტესტირების კაბინაში პაციენტზე მეთვალყურეობის ალტერნატიული საშუალების არსებობა/არარსებობასთან დაკავშირებით მოსაზრებები ეთხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №ნ38 დადგენილების 1-ლი თავის მე-3 მუხლის და მე-2 თავის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩართულია მათ შორის, მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების და კონტროლის პროცესში. სამინისტრომ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის გადამოწმების კონტროლის ფორმის/

მეთოდის განსაზღვრა ცენტრის დისკრეციული უფლებამოსილებაა. პროცესის ვიდეომეთვალყურეობა, არსებული რეალობისგათვალისწინებით, შესაძლოა ნამდვილად წარმოადგენდეს კონტროლის უალტერნატივო მეთოდს, თუმცა, სამომავლოდ, შესაძლებელია მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისათვის (მკურნალობის მიმღები პირებისათვის) დაწესდეს ის რეგულაცია, რაც ამჟამად ვრცელდება სახელმწიფო/საჯარო სამსახურში წარსადგენად, გამოსაკვლევი პირის ნარკოლოგიურ შემოწმების პირობებზე. კერძოდ, გამოსაკვლევი პირისგან ბიოლოგიური მასალის აღება ხდება მის მიერ შერჩეულ პირობებში – ვიდეო მეთვალყურეობით ან გამოკვლევაზე უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირის თანდასწრებით.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი ინფორმირებულია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ და არსებობს ურინოტესტირების კაბინაში პაციენტის მონიტორინგის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებიც, პაციენტს პირადი ცხოვრების დაცვის და მისი უფლებებისადმი პატივისცემის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პაციენტს გააჩნდეს ალტერნატივა უარი თქვას ვიდეოთვალთვალზე და ისარგებლოს მონიტორინგის სხვა საშუალებით (მონიტორინგი უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირის თანდასწრებით), რომელსაც მისთვის შესაძლოა ნაკლებად შემზღვევი ხასიათის ჰქონდეს.

2. ვიდეოსათვალთვალ სისტემის მეშვეობით მოპოვებული ვიდეოჩანაწერების შენახვა;

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ცენტრში არსებული ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ვიდეოსათვალთვალ სისტემის მესხიერების მყარი დისკის მოცულობაზე, რომელიც შეადგენს ***-ს და ვიდეოჩანაწერები საშუალოდ ინახება 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ახალი ჩანაწერი ავტომატურად ანაცვლებს ძველს.

შემოწმების ფარგლებში, ცენტრის მიერ ვერ იქნა მითითებული ურინოტესტირების კაბინაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალ კამერის

ჩანაწერების საშუალოდ 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადით შენახვის საჭიროება, თუმცა ცენტრმა მიუთითა „სახელმწიფო მოსამსახურეებისა და საჯარო მოსამსახურეების ნარკოლოგიური შემოწმებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანებით (არ ვრცელდება ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაზე) განსაზღვრულ საჭიროებაზე, რომელსაც პრაქტიკულად ავრცელებს ბიოლოგიური მასალის (შარდის) ლაბორატორიული (ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური) კვლევის მონიტორინგის შედეგებზეც. კერძოდ, ბიოლოგიური მასალა (შარდი) ილუქება და ინახება სათანადო წესების დაცვით 10 (ათი) დღის განმავლობაში. კვლევის შედეგის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში გამოსაკვლევი პირი უფლებამოსილია გადაამოწმოს იგივე ბიოლოგიური მასალა, მათ შორის, უფრო ზუსტი ინსტრუმენტული მეთოდით საკუთარი ხარჯებით. ასეთ შემთხვევაში, გამოსაკვლევი პირის მიმართვისას, შესაბამისი კვლევა ალტერნატიულ საექსპერტოდაწესებულებაში უნდა ჩატარდეს პირველი კვლევიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრის განმარტებით, ურინოტესტირების კაბინის ვიდეოსათვალთვალ კამერის ჩანაწერის შენახვის საჭიროება 10-15 (ათი-თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში არსებობს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტების შესაბამისად, მონაცემები უნდა დამუშავდეს (მათ შორის, შენახვის გზით) მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ პაციენტების

პერსონალურ მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა განისაზღვროს დამუშავების მიზნ(ებ)ის შესაბამისად და არა სისტემის ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით. ცენტრმა უნდა მოახდინოს ვიდეოჩანაწერების დიფერენცირება, შეაფასოს და განსაზღვროს რა ვადით არის საჭირო და აუცილებელი ამა თუ იმ სივრცეში მიმდინარე ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერების შენახვა ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერი მიზნების მისაღწევად და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წაშალოს ჩანაწერები ან/და შეინახოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

3. ცენტრის მიერ პაციენტების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვისკანონით დადგენილი წესების დარღვევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთიორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამმუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

პირის ნარკომანის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისდამისინარკომანიითდაავადებისფაქტიცალსახადდაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. როგორც აღინიშნა, პაციენტის პირადი უსაფრთხოების და სიცოცხლის დაცვის მიზნით ცენტრში მიმდინარეობს პაციენტების ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდემონიტორინგი. ამდენად, ცენტრის მიერ დამუშავებული მონაცემების სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცული იყოს მონაცემთა უსაფრთხოება, არსებული რისკების ადეკვატურიდა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების გზით.

შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ ცენტრში პაციენტების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას არ არის მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რაც მონაცემთა უკანონო/შემთხვევით დამუშავების რისკებს წარმოშობს. კერძოდ:

- ცენტრის №* განყოფილებაში პრეპარატების მისაღებად მისული პაციენტები, სპეციალურ საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ- რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებენ მედიკამენტის მიღებას. ჟურნალის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებით და მოიცავს პაციენტების დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემების ჟურნალში აღრიცხვის ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ მედიკამენტის მიღების საკუთარი ხელმოწერით დადასტურების დროს, პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი ხდება ჟურნალის ამავე გვერდზე სხვა პაციენტების შესახებ მითითებული ინფორმაცია, მათ შორის, ავადმყოფის გვარი და სახელი, სამედიცინო ბარათის ნომერი, ექიმის მიერ დანიშნული დოზა მილიგრამებში, გაცემული სამკურნალო საშუალების დასახელება,

დღა და საზომი ერთეული.

როგორც აღინიშნა, პირის ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის და მისი ნარკომანიით დაავადების ფაქტი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია, რომელიც მესამე პირისთვის გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის (პაციენტი) თანხმობის გარეშე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში გამოცხადებისას პაციენტები ფიზიკურად ხვდებიან ერთანეთს და შესაძლოა ვარაუდობენ, რომ ესა თუ ის პირი ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში, ჟურნალში ხელმოწერისას მათ მიეწოდებათ დაზუსტებული და ოფიციალური ინფორმაცია კონკრეტული პაციენტის ვინაობის, მის მიერ მიღებული პრეპარატის, მიღებული დოზის და ა. შ. შესახებ, რაც პაციენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ცენტრის არგუმენტი, რომ სპეციალურ საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, მასში მისათითებელი მონაცემების ნუსხა და პაციენტის მიერ მისი შევსების ვალდებულება კანონმდებლობით გაწერილია არათავისუფლებს ცენტრის მიიღოს შესაბამისი ზომები ჟურნალში აღრიცხული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. პაციენტების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის მიზნით აუცილებელია ცენტრმა შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი (მაგალითად, შესაბამისი ბლანკის მეშვეობით სხვა გრაფების დაფარვის გზით), რომელიც ხსენებული ჟურნალის შევსებისას გამორიცხავს სხვა პაციენტის მონაცემების მესამე პირისათვის ხელმისაწვდომობას.

- ცენტრის ადგილზე შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან (DVR) დაკავშირებული მონიტორი, (რომლის მეშვეობით გადაიცემა განყოფილების ტერიტორიაზე (მათ შორის ურინოტესტირების კაბინაში) დამონტაჟებული კამერებიდან მიღებული ვიდეოგამოსახულება), განთავსებულია განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში, განსაკუთრებული იზოლირების გარეშე, ღიად,

მისი სამუშაო მაგიდის უკან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვიდეოგამოსახულება შესაძლებელია აღქმადი იყოს ოთახში მოხვედრილი სხვა პირებისათვის. ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ურინოტესტირების პროცესის დროს, განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახი შიგნიდან იკეტება, შესაბამისად, გარეშე პირთა მხრიდან მონიტორზე წვდომის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრს რაიმე შიდა წესი/რეგულაცია შემუშავებული არ აქვს, რაც მისი შესრულების გარანტიას შექმნიდა.

გასათვალისწინებელია, რომ ცენტრს არ აქვს დიფერენცირებული ურინოტესტირების კაბინაში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის ამსახველი მასალები ცენტრის სხვა სივრცეში (მაგალითად, დერეფნები, შესასვლელი) მიმდინარე მონიტორინგის მასალებისგან, შესაბამისად აღნიშნული მონაცემების დამუშავების რეჟიმი და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები იდენტურია. როგორც აღინიშნა, ურინოტესტირების კაბინაში ვიდეომონიტორინგი განსაკუთრებულ ჩარევას წარმოადგენს პაციენტის პირად ცხოვრებაში, შესაბამისად, ამ დროს უსაფრთხოების დაცვის ზომები, დამუშავების პროცესში ჩართულ პირთა წრე, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დონე მკაცრად და რისკების ადეკვატურად უნდა იყოს განსაზღვრული. განსახილველ შემთხვევაში, მონიტორი განთავსებულია განყოფილების უფროსის ჩვეულებრივ სამუშაო ოთახში, სადაც ზოგადად მესამე პირებიც შეიძლება იმყოფებოდნენ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის და პაციენტის პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცენტრმა ურინოტესტირების კაბინაში მიმდინარე მონიტორინგის ამსახველი ვიდეომასალა დაუქვემდებაროს სპეციალური და განსაკუთრებული დაცვის რეჟიმს, გამოიყენოს უსაფრთხოების დაცვის მკაცრი პირობები, რათა აღნიშნულ მონაცემებზე არაუფლებამოსილი პირების წვდომის შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოირიცხოს. მაგალითად, შესაძლებელია ვიდეომასალის განცალკევება, შესაბამისი სპეციალური ოთახის ან განყოფილების უფროსის ოთახში

იზოლირებული სივრცის შექმნა, სადაც განცალკევებით, სპეციალურად მხოლოდ უფლებამოსილი პირისთვის დასაშვები ფორმით იქნება განთავსებული ურინოტესტირების კაბინის მონიტორინგის ამსახველი მონიტორი.

- შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. ლოგირება), სადაც აღირიცხება მომხმარებლების მიერ სისტემაში შესვლა და ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებები. განყოფილებაში (მათ შორის, ურინოტესტირების კაბინაში) მიმდინარე ვიდეოთვალთვალის შედეგად დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა კი, გააჩნიათ განყოფილების უფროსს, უფროს ექთანს და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის 2 (ორი) თანამშრომელს, თუმცა 2018 წლის 21 თებერვალს, ცენტრის №* განყოფილების ადგილზე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემაში შექმნილია მხოლოდ 2 (ორი) მომხმარებელი სახელწოდებით „N1“ და „N2“.

ამდენად, ვიდეოსათვალთვალო სისტემის წვდომის უფლების მქონე პირებს არ გააჩნიათ სისტემაში პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელი და სარგებლობენ საერთო სახელით („N1“/„N2“). ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე წვდომის ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ აღირიცხოს მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი ქმედება, მათ შორის მონაცემების დათვალიერება და ამოღება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს შემდგომ პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, რათა არ მოხდეს ელექტრონული ფორმით შენახული მონაცემების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ.

- შემოწმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ცენტრს არ აქვს შემუშავებული რაიმე სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე

წვდომის უფლებამოსილების საკითხები, მათ შორის, წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირების მივლინების ან შვებულების პერიოდში უფლებამოსილების დელეგირების საკითხები. ასევე, არ არსებობს სპეციალური რეგულირება ურინოტესტირების კაბინაში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის წესის, ჩართული პირების, შესაბამისი უსაფრთხოების ზომების, მათი შესრულების მონიტორინგის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების, მონაცემების პერიოდული წაშლის ვალდებულების და ა.შ. შესახებ.

შემოწმების ფარგლებში ცენტრი განმარტავდა, რომ ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესზე ავრცელებს ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის ** სექტემბრის ბრძანებას. აღნიშნული ბრძანება ვრცელდება, საჯარო სამსახურში წარდგენის მიზნით ნარკოლოგიური საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ ცნობის და ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემის შემთხვევებზე, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს „სახელმწიფო მოსამსახურეებისა და საჯარო მოსამსახურეების ნარკოლოგიური შემოწმებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანების მოთხოვნებიდან.

ზემოაღნიშნული ბრძანებებით განსაზღვრულია მათი მოქმედების არეალი, რომელიც არ მოიცავს ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესს. ამდენად, აღნიშნული რეგულაციის გამოყენება წარმოადგენს ცენტრის პრაქტიკულ გამოცდილებას (რომელიც ნებისმიერ დროს და შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს) და არ ეყრდნობა მისი სავალდებულოდ შესრულების საკანონმდებლო ან/და ცენტრის შიდა რეგულაციით განსაზღვრულ პრინციპს.

მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების თავიდან აცილების მიზნით და მონაცემებზე

არასანქცირებული წვდომის პრევენციის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ცენტრმა წერილობით შეიმუშავოს ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების საკითხები, განსაზღვროს უფლებამოსილი პირები, უსაფრთხოების წესები, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და სხვა. მონაცემების სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესზე ვიდეომონიტორინგის პროცესის სპეციალური რეგულირებაც, ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით შემუშავებული სტანდარტულ და სპეციალური წესი/რეგულაცია, რომელშიც დეტალურად გაწერილია პროცესის მიმდინარეობა, დაშვებული, შესასრულებელი მოქმედებები და სხვა მისი შესრულების გარანტიას, დარღვევის არსებობის შემთხვევაში კიპასუხისმგებელი პირების გამოვლენის და მათი სანქცირების შესაძლებლობას ქმნის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესების დარღვევას, კერძოდ, კომპანია სათანადოდ არ აღრიცხავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ მოქმედებებს, ასევე არ აქვს მიღებული პაციენტების პერსონალური მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნების პრევენციის უზრუნველსაყოფად ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და დამრღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე, 34-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე ითვალისწინებს, რომ ცენტრი წარსულში არ ყოფილა ცნობილი სამართალდამრღვევად, მზად არის გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლოვანებები და მიზანშეწონილად მიიჩნევს

სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-6, მე-17, 27-ე, 35-ე, 39-ე, 46-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

№0000582;

2. დაევალოს შპს „ა“-ს არაუგვიანეს 2018 წლის 30 ივლისისა:

3.1. შექმნას მეთაღონით ჩანაცვლების თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, პაციენტების მიერ ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის მონიტორინგის ალტერნატიული საშუალება და დანერგოს მისი უშუალოდ გამოსაკვლევი პირის მიერ არჩევის შესაძლებლობა;

3.2. წერილობით შეიმუშავოს და დანერგოს პაციენტების მიერ ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგის სპეციალური წესები/პირობები, სადაც რეალური საჭიროებისა და კანონიერი მიზნების პროპორციულად განისაზღვრება მონაცემების დამუშავებაში ჩართული პირები, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები; ასევე, ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების საკითხები, მათ შორის, წვდომაზე უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სამსახურიდან წასვლის ან/და მივლინების ან/დაშვებულების პერიოდში ვიდეოჩანაწერებზე

წვდომის/ უფლებამოსილების დელეგირების წესი და პირობები;

3.3. შეიმუშავოს და დანერგოს იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების პერსონალური მონაცემების დაცვას შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნებისაგან სპეციალურ საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის წარმოებისას და ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ამსახველი ვიდეომასალის ცენტრის მხრიდან მეთვალყურეობისას (მათ შორის, მონიტორი მეშვეობით);

3.4. უზრუნველყოს იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება;

3.5. განსაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული ჩანაწერების შენახვის კონკრეტული ვადა ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერი მიზნების შესაბამისად;

3.6. გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

4. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/262/2017

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

11/05/2017

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 16 მარტის №03/21 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა შპს „ა“-ს (ს/კ *****) (შემდგომში – კომპანია) შემოწმება, რომელიც მოიცავდა კომპანიის მიერ 2017 წლის 13 მარტს სოციალური ქსელის – „Facebook“-ის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების კანონიერების შემოწმებას.

შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2017 წლის 13 მარტს, სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის კომპანიის გვერდზე (გვერდის სახელწოდება და ბმული: „A“, https://www.facebook.com/****) კომპანიის მიერ განთავსდა პერსონალური მონაცემების შემცველი 03 (სამი) ფოტოსურათი. ფოტოსურათებს ერთვის შემდეგი შინაარსის ტექსტი: „პროფესიული კავშირის აქტივისტი, ვინმე დ. ბ. რომელიც კომპანია „ა“-ს დისკრედიტაციას ეწევა და მოუწოდებს მომხმარებლებს ბოიკოტი გამოუცხადონ „ა“-ს ქსელს, ჩვენი მომხმარებელია“.
- კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის გვერდის – https://www.facebook.com/**** ადმინისტრირება ხორციელდება კომპანიის მარკეტინგის სამსახურის მიერ 2013 წლიდან. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ სამსახურში დასაქმებულია 01 (ერთი) პირი და მის ფუნქციებს წარმოადგენს კომპანიის შესახებ მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა/

- განხორციელება როგორც ტელევიზიის, ისე სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის მეშვეობით.
- შემოწმების ოქმის თანახმად, 2017 წლის 13 მარტს სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის კომპანიის გვერდზე – https://www.facebook.com/***** განთავსებული ფოტოსურათები გადაღებული იყო კომპანიის ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში). მითითებული ფოტოსურათებთან 01 (ერთი) გადაღებულია სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) მეორე სართულიდან, უშუალოდ კომპანიის მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლის მობილური ტელეფონის მეშვეობით, ხოლო 02 (ორი) ფოტოსურათი – კომპანიის უსაფრთხოების თანამშრომლის მობილური ტელეფონით, ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერისთვის ფოტოგადაღების გზით, რომელიც შემდეგ მიწოდებულ იქნა მარკეტინგის სამსახურში დასაქმებული პირისთვის, მათი სოციალურ ქსელში („Facebook“) განთავსების მიზნით. ზემოაღნიშნულ სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში), ვიდეოჩანაწერები ინახება საკეტით დაცულ ოთახში, სადაც კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ ამავე ობიექტში დასაქმებული კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის 13 (ცამეტი) თანამშრომელს.
 - კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სოციალურ ქსელში განთავსებული პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტოსურათები წაშლილია როგორც მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლის, ასევე უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული პირის მობილური ტელეფონებიდან. ამასთან, კომპანიისგან მიღებული ინფორმაციით, სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის კომპანიის გვერდზე 2017 წლის 13 მარტს განთავსებული ფოტოსურათები და ტექსტი წაიშალა 2017 წლის 07 მაისს.
 - კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტოსურათების გამჟღავნების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2017 წლის 08 თებერვლიდან აღნიშნულ ფოტოსურათებში ასახული ფიზიკური პირის მიერ

მიზანმიმართულად ხორციელდებოდა კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ცრუ, ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება. ამავე წერილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული პირი მოუწოდებს კომპანიის მომხმარებლებს ბოიკოტის გამოცხადებისკენ, თავად მუდმივად და აქტიურად სარგებლობს კომპანიის მომსახურებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის საწინააღმდეგოდ გაკეთებული გამოსვლების შესახებ ზედმეტად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, სოციალურ ქსელ -

„Facebook“-ის მეშვეობით გაემჟღავნებინა ზემოხსენებული პირის პერსონალური მონაცემები და განეთავსებინა მისი, როგორც კომპანიის მომხმარებლის, სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში)ვიზიტის დამადასტურებელი ფოტოსურათები. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულის შესახებ მონაცემთა სუბიექტი კომპანიის მიერ ინფორმირებული არ ყოფილა. მითითებული ფოტოსურათების და თანდართული ტექსტის წაშლის მოთხოვნითკომპანიისთვის არავის მიუმართავს.

- კომპანიის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ კომპანიის მიერ 2017 წლის 13 მარტს სოციალურ ქსელ - „Facebook“-ის მეშვეობით პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტოსურათებისა და ტექსტის გამჟღავნება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლების გარეშე.

შემოწმების ფარგლებში 2017 წლის 05 მაისს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000383 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ 2017 წლის 13 მარტს სოციალური ქსელის – „Facebook“-ის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების კანონიერების თაობაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ზემოაღნიშნული მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

შემოწმების ოქმით დადგენილი გარემოებაა, რომ 2017 წლის 13 მარტს კომპანიის მიერ სოციალური ქსელ – „Facebook“-ის გვერდზე (https://www.facebook.com/*****) გამჟღავნდა კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) ერთ-ერთი მომხმარებლის ვიზიტის ამსახველი 03 (სამი)

ფოტოსურათი. ფოტოსურათებს თან ერთვოდა შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„პროფესიული კავშირის აქტივისტი, ვინმე დ. ბ., რომელიც კომპანია „ა“-ს დისკრედიტაციას ეწევა და მოუწოდებს მომხმარებლებს ბოიკოტი გამოუცხადონ „ა“-ს ქსელს, ჩვენი მომხმარებელია“. აღნიშნულიდან გამომდინარე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „დ“ და „ი“ პუნქტების შესაბამისად, სახეზეა კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება, მომხმარებლის ფოტოსურათების (მისი ვინაობის მითითებით) სოციალური ქსელის – „Facebook“-ის მეშვეობით გასაჯაროების გზით.

მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მონაცემები დაამუშაოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება, მათ შორის გამჟღავნება, დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლების არსებობისას. კომპანიამ მიუთითა, რომ ერთ-ერთი მომხმარებლის ვინაობის და მისი ფოტოსურათების სოციალური ქსელის – „Facebook“-ის მეშვეობით გასაჯაროების მიზანს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აღნიშნული პირის მიერ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ცრუ ინფორმაციის გავრცელება, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად იგი მუდმივად სარგებლობდა კომპანიის მომსახურებით.

პირის საქმიანი რეპუტაცია დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. კერძოდ, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამდენად, კომპანიის საქმიანობის ნეგატიური საჯარო შეფასებისას კომპანიის სურვილი – დაეცვა (მათ შორის, სასამართლო წესით) თავისი საქმიანი რეპუტაცია, ლეგიტიმური ინტერესია (აღსანიშნავია, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა/არშელახვის საკითხის შეფასება არ წარმოადგენს ინსპექტორის კომპეტენციას), თუმცა აღნიშნული ინტერესის დაცვა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით და არა მომხმარებლის პერსონალური მონაცემების სოციალური ქსელის (კომპანიის „Facebook“-ის გვერდზე) მეშვეობით გასაჯაროების გზით. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად და ეს ინტერესი უნდა აღემატებოდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში კომპანია ვერ ასახბუთებს მომხმარებლის მონაცემების გასაჯაროებით როგორ მიიღწეოდა საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ მითითებული ინტერესები ვერ მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესის აღმატებულ კანონიერ ინტერესებად. ამდენად, კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების გასაჯაროების გზით გამჟღავნების კანონის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული

საფუძველი სახეზე არ არის და არ იკვეთება მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობაც, რაც შემოწმების ფარგლებში ასევე დაადასტურა კომპანიის წარმომადგენელმაც.

ამდენად, შპს „ა“-ს მიერ 2017 წლის 13 მარტს სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის მეშვეობით პერსონალური მონაცემები გამჟღავნდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლის გარეშე, რაც ამავე კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე ითვალისწინებს დამრღვევის აღიარებას და იმ გარემოებებს, რომ შპს „ა“ აღნიშნული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით სახდელდადებული არ ყოფილა და თავად შეწყვიტა მონაცემთა დამუშავება, მათ შორის უზრუნველყო სოციალური ქსელის – „Facebook“-ის მეშვეობით 2017 წლის 13 მარტს გამჟღავნებული პერსონალური მონაცემების წაშლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება წარმოადგენს ადეკვატურ და საკმარის ღონისძიებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 35-ე, 39-ე, 43-ე და 55-ე მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება;

2. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს შპს „ა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/286/2017

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

25/05/2017

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 10 მარტის №03/17 ბრძანების შესაბამისად, 2017 წლის 13 მარტიდან 2017 წლის 13 მაისამდე პერიოდში ჩატარდა შპს „ა“-ს (ს/კ

*****) (შემდგომში - კომპანია) მიერ სასტუმროს (სავაჭრო ნიშნით - „****“,) მართვის პროცესში ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანი

- სასტუმროში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების ვიდეომონიტორინგის არეალში ექცევა სასტუმროს როგორც გარე,

ასევე შიდა პერიმეტრი, კერძოდ, ცენტრალური შესასვლელი, კიბის უჯრედები, დერეფნები, ლიფტიდან გამოსასვლელი სივრცეები, ცენტრალური მიმღები, სასტუმროში დასაქმებული პირების სამუშაო ადგილები, სამზარეულო, რესტორნის შესასვლელები, საცურო აუზისა და სპას მიმღები, საცურო აუზი, საბავშვო ოთახი და ამავე ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილი 2 (ორი) ადგილი (საპირფარეშო).

- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სასტუმროს როგორც გარე, ასევე შიდა პერიმეტრზე (მათ შორის, საცურო აუზზე, საბავშვო ოთახში და აღნიშნული ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში) ვიდეოთვალთვალი ხორციელდება პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით. მისივე განმარტებით, იყო შემთხვევები, როდესაც საცურო აუზზე სტუმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურისთვის სწორედ ვიდეოთვალთვალის მეშვეობით გახდა ცნობილი და სტუმარს დროულად აღმოუჩინეს სათანადო დახმარება. კომპანიის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სასტუმროს საბავშვო ოთახსა და აღნიშნული ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საბავშვო ოთახი განკუთვნილია 7 (შვიდი) წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, მათ უსაფრთხოებას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

ვიდეოსათვალთვალო კამერების ტექნიკური მახასიათებლები სასტუმროში დამონტაჟებულია 4 (ოთხი) ტიპის 117 (ასჩვიდმეტი) ერთეული ვიდეოსათვალთვალო კამერა, მათ შორის, „DS-1“, „DS-2“, „DS-3“ და „DS-4“ ტიპის ვიდეოსათვალთვალო კამერები:

- „DS-1“ წარმოადგენს ვიდეოსათვალთვალო IP კამერას, რომელსაც გააჩნია 1.3 მეგაპიქსელის მქონე გარჩევადობა, ამასთან, ვიდეოსათვალთვალო კამერა აღჭურვილია დაკვირვების ობიექტის ოპტიკური გადიდების (ე.წ. „Zoom“), ღამის ხედვის, ავტომატური მანევრირებისა და აუდიოჩაწერის განხორციელების ფუნქციებით;

- „DS-2“ წარმოადგენს ანალოგური ტიპის ვიდეოსათვალთვალო კამერას, რომელსაც გააჩნია 480/540 TVL გარჩევადობა, ამასთან, ვიდეოსათვალთვალო კამერა აღჭურვილია ღამის ხედვის ფუნქციით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კამერას არ გააჩნია ავტომატური მანევრირების, დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) და აუდიოჩაწერის განხორციელების ფუნქციები;
- „DS-3“ წარმოადგენს ვიდეოსათვალთვალო IP კამერას, რომელსაც გააჩნია 2 (ორი) მეგაპიქსელის მქონე გარჩევადობა, ამასთან, ვიდეოსათვალთვალო კამერა აღჭურვილია ღამის ხედვისა და აუდიოჩაწერის განხორციელების ფუნქციებით, თუმცა მას არ გააჩნია დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) და ავტომატური მანევრირების ფუნქციები;
- „DS-4“ წარმოადგენს ვიდეოსათვალთვალო IP კამერას, რომელსაც გააჩნია 3 (სამი) მეგაპიქსელის მქონე გარჩევადობა. ამასთან, კამერა აღჭურვილია ღამის ხედვის, დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) და აუდიოჩაწერის განხორციელების ფუნქციებით, თუმცა მას არ აქვს ავტომატური მანევრირების ფუნქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ვიდეოსათვალთვალო კამერას გააჩნია აუდიომონიტორინგის ფუნქცია, სასტუმროში აუდიოჩაწერა არ ხორციელდება.

ვიდეოჩაწერებზე წვდომა და ვიდეოთვალთვალის სისტემის ტექნიკური აღწერილობა

ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერები ინახება სერვერზე, რომელიც განთავსებულია სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის საკეტიტ დაცულ ოთახში, სადაც უცხო პირთა შესვლა აკრძალულია. ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა აქვს სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის 16 (თექვსმეტი) თანამშრომელს, კერძოდ, უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, უსაფრთხოებისა და დაცვის განყოფილების სუპერვაიზერს და უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრებს.

ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაზე -

„H***“ წვდომა ხორციელდება უშუალოდ სასტუმროში განთავსებული, კომპლექსური პაროლით დაცული 3 (სამი) სტაციონარული კომპიუტერიდან. აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფაში ფუნქციონირებს 3 (სამი) ტიპის მომხმარებელი: „dacva“ (სარგებლობის სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის 13 (ცამეტი) ოფიცერი), „uprosi“ და „admin“ (აღნიშნული მომხმარებლის სახელებით სარგებლობენ სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და უსაფრთხოებისა და დაცვის განყოფილების სუპერვაიზერი).

- მომხმარებლისთვის - „dacva“ შესაძლებელია სასტუმროში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ასევე პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში ვიდეოჩანაწერის განხორციელება და ამოღება (ექსპორტი). ზემოაღნიშნული მომხმარებლისთვის შეზღუდულია არაპირდაპირ რეჟიმში განხორციელებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი - „dacva“ დაცულია კომპლექსური პაროლით;
- მომხმარებლისთვის - „uprosi“, განსხვავებით მომხმარებლისგან - „dacva“, ზემოაღნიშნული უფლებები არ არის შეზღუდული და შესაძლებელია სასტუმროში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაში არსებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მომხმარებელი ასევე დაცულია კომპლექსური პაროლით;
- მომხმარებლისთვის - „admin“, განსხვავებით მომხმარებლისგან - „uprosi“, დამატებით შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატება, წაშლა და პაროლის სხვადასხვა მონაცემების ცვლილება.

სასტუმროს ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას - „H***“ გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, სადაც აღირიცხება

მომხმარებლების („dacva“, „uprosi“ და „admin“) მიერ სისტემაში შესვლა და ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ე.წ. „ლოგები“). ელექტრონული ფორმით არსებული აღრიცხვის შურნალი კი წარმოებს 1 (ერთი) თვის ვადით.

ვიდეოჩანაწერების გამჟღავნება

- კომპანიამ განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერის გამჟღავნებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ორჯერ, სამართალდამცავი ორგანოებისთვის. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. ****-ის რაიონული სამმართველოს 2016 წლის 14 ივლისის №**** წერილობითი მიმართვისა და სასამართლოს 2016 წლის 19 დეკემბრის №**-2016 წ. განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოიძებნა.
- კომპანიის მიერ არ ხორციელდება ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოქმედებების აღრიცხვა. კერძოდ, კომპანია ინახავს მხოლოდ შესაბამისი წერილობით მიმართვებს, ხოლო აღნიშნულ მიმართვებზე რეაგირების შესახებ დოკუმენტაციის (მაგ.: საპასუხო წერილი, შიდ აღრიცხვის შურნალი) წარმოდგენა კომპანიის წარმომადგენლის მიერ ვერ მოხდა, ვინაიდან კომპანია არ უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგისტრაციას, თუ რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველი.

ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვა

- შემოწმების ფარგლებში გაირკვა, რომ ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებულია ვიდეოთვალთვალის სისტემის მქსიერების მყარი დისკის მოცულობაზე და ვიდეოჩანაწერები საშუალოდ ინახება 23-28 დღით. 2017 წლის 13 აპრილს შემოწმების დროს მოძიებული, პროგრამულ უზრუნველყოფაში – „H***“ დაცული ყველაზე ძველი

- ვიდეოჩანაწერი თარიღდება 2017 წლის 17 მარტით.
- ვიდეოჩანაწერების ასლები ინახება 2 (ორი) კომპაქტ-დისკზე და 1 (ერთი) მეხსიერების ელექტრონულ მატარებელზე, რომელიც თავის მხრივ ინახება უსაფრთხოების სამსახურის ოთახში განთავსებულ, საკეტით დაცულ სეიფში.
 - მეხსიერების ელექტრონულ მატარებელზე ინახება კომპანიის მიერ სასამართლოს 2016 წლის 19 დეკემბრის №****. განჩინების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემული 2016 წლის 19 დეკემბრის ვიდეოჩანაწერების ასლები. კომპანიის წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა დასახელებული აღნიშნული ვიდეოჩანაწერის შენახვის მიზანი. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 14 ივლისის №**** მიმართვის წერილის საფუძველზე გაცემულ 2016 წლის 30 ივნისის ვიდეოჩანაწერის ასლებს, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერის ასლები არ ინახება სასტუმროში.
 - შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთ კომპაქტ-დისკზე ინახება 2016 წლის 05 იანვრის ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია სასტუმროს თანამშრომლის გარდაცვალების ფაქტი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ვიდეოჩანაწერი თავდაპირველად ინახებოდა იმ მიზნით, რომ გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების მხრიდან კომპანიის მიმართ რაიმე სახის პრეტენზიისას ან გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესასწავლად (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან) კომპანიას ჰქონოდა შემთხვევის ამსახველი შესაბამისი ჩანაწერი. მისივე განმარტებით, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრები კომპანიის მიერ არ არიან ინფორმირებულნი ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერის არსებობის შესახებ და არც სამართალდამცავ ორგანოებს მიუმართავთ კომპანიისთვის მითითებული ჩანაწერის დათვალიერების/გადაცემის მოთხოვნით.
 - მეორე კომპაქტ-დისკზე ინახება 2016 წლის 16 თებერვალს

განხორციელებული ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია სასტუმროში ერთ-ერთი პირის შესვლისა და სასტუმროს ცენტრალურ მიმღებში ყოფნის ფაქტი. კომპანიის წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა დასახელებული აღნიშნული ვიდეოჩანაწერის შენახვის მიზანი.

მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირება

- შემოწმების ოქმის თანახმად, სასტუმროს შიდა და გარე პერიმეტრზე არ არის განთავსებული ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.
- კომპანიის განმარტებით, სასტუმროს თანამშრომლები ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ ზეპირად არიან ინფორმირებულნი სასტუმროში დასაქმებული პერსონალისა და სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისგან, თუმცა, სასტუმროში დასაქმებული პირები კომპანიის მიერ წერილობითი ფორმით არ არიან ინფორმირებულნი ვიდეოთვალთვალის (მათ შორის, სამუშაო ადგილზე) განხორციელების და მათი უფლებების შესახებ.

შემოწმების ფარგლებში დადგენილი სხვა გარემოებები

- შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ კომპანიას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის არ წარუდგენია ვიდეოჩანაწერების შენახვისთვის განკუთვნილი ფაილური სისტემის კატალოგი.

შემოწმების ფარგლებში 2017 წლის 10 მაისს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტით, მე-5 მუხლით, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000384, №0000385,

№0000386, №0000387, №0000388, №0000389, №0000390 და №0000391 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმჯელა შპს „ა“-ს შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ.

1. შპს „ა“-ს მიერ სასტუმროში ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის სპეციალურ წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრის და შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება. მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანია მის საკუთრებაშიან/დამფლობელობაში არსებულ სასტუმროში ახორციელებს ვიდეოთვალთვალს. შემოწმების ფარგლებში სასტუმროში ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერების შესწავლისას დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალი ხორციელდება სასტუმროს შენობის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე ვიდეოსათვალთვალო კამერის

დაკვირვების ობიექტებია ცენტრალური შესასვლელი, კიბის უჯრედები, დერფენები, ლიფტიდან გამოსასვლელი სივრცეები, ცენტრალური მიმღები, სასტუმროში დასაქმებული პირების სამუშაო ადგილები, სამზარეულო, რესტორნის შესასვლელები, საცურაო აუზისა და სპას მიმღები, საცურაო აუზი, საბავშვო ოთახი და ამავე ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილი 2 (ორი) ადგილი (საპირფარეშო). ვიდეთვალთვალის ხორციელდება პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის. კერძოდ, სასტუმროში ვიდეთვალთვალის განხორციელების მიზანს წარმოადგენს სასტუმროს მომხმარებლების და სასტუმროში დასაქმებული პირების უსაფრთხოება, ამასთან, კომპანია სასტუმროში ეწევა კომერციულ საქმიანობას, მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორების გზით, სასტუმროში ინახება ფულადი თანხა. ამდენად, კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევა არ იკვეთება. ამასთან, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ სასტუმროს შიდა და გარე პერიმეტრზე არ არის განთავსებული ვიდეთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. აღნიშნულ შემთხვევაში, სამუშაო ადგილზე ვიდეთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ ვიდეთვალთვალის მიმდინარეობს უშუალოდ კომპანიის მთავარ მიმღებში, სპას მიმღებში და სასტუმროში დასაქმებული პირების სხვა სამუშაო ადგილებზე. სამუშაო ადგილზე ვიდეთვალთვალის განხორციელების

მიზანს წარმოადგენს პირის უსაფრთხოება და საკუთრების დაცვა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალს მხოლოდ საგამონაკლისო აუცილებლობის შემთხვევებში, პირის უსაფრთხოების, საკუთრების და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და ყველადასაქმებულის წერილობითი ინფორმირების შემდგომ მიიჩნევს დასაშვებად. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიაში დასაქმებული პირები არ არიან წერილობითი ფორმით ინფორმირებულნი მათ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის დამათი უფლებების შესახებ.

ამასთან, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ სასტუმროს საბავშვო ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილ 2 (ორი) ადგილში მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. კომპანიის განმარტებით, აღნიშნული ოთახით სარგებლობენ 7 (შვიდი) წლამდე ასაკის ბავშვები და ვიდეოთვალთვალის განხორციელება ემსახურება სწორედ მათი უსაფრთხოების დაცვის მიზანს. აღსანიშნავია, რომ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში. შესაბამისად, კომპანიის განმარტება, რომ სასტუმროს საბავშვო ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის არეალში ექცევიან მხოლოდ 7 (შვიდი) წლამდე ასაკის ბავშვები და აღნიშნულ ადგილებში ვიდეოთვალთვალი ხორციელდება მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არ ამართლებს აღნიშნულ ადგილებში ვიდეოთვალთვალის განხორციელებას, რადგან მონაცემთა სუბიექტებს, მათ შორის მცირეწლოვან პირებს აქვთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე განსაზღვრავს კანონმდებელი ვიდეოთვალთვალის განხორციელების დაუშვებლობას ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

შესაბამისად, კომპანიის მიერ ადგილი აქვს ვიდეოთვალთვალის განხორციელებას

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-12 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესის დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. შპს „ა“ –ს მიერ ვიდეოჩანაწერების შენახვის კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით, მონაცემთა დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მონაცემთა დამუშავების საფუძვლ(ებ)ის არსებობისას და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, აღნიშნული მუხლის

„ბ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის, დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემების შენახვა, როგორც მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედება, წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ფორმას. ამდენად, მონაცემთა შენახვაზე ვრცელდება ამავე კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობას/დასაშვებობას.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანია ინახავს პერსონალური მონაცემების შემცველ ვიდეოჩანაწერებს, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემული ვიდეოჩანაწერების ასლებს.

კომპანია განუსაზღვრელი ვადით ინახავს ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერების ასლებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღარ არსებობს აღნიშნული მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზანი, კერძოდ, სასტუმროში ინახება სამართალდამცავი ორგანოსთვის გადაცემული 2016 წლის 19 დეკემბერს და ასევე, 2016 წლის 16 თებერვალს (სადაც ასახულია სასტუმროში ერთ-ერთი პირის შესვლისა და სასტუმროს ცენტრალურ მიმღებში ყოფნის ფაქტი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ვიდეოჩანაწერის გადაცემა არ მომხდარა სამართალდამცავი ორგანოებისთვის) განხორციელებული ვიდეოჩანაწერების ასლები. საგულისხმოა, რომ კომპანიის მიერ ვერ იქნა დასახელებული ზემოხსენებული ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვის კონკრეტული მიზანი და სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულის გარდა, კომპანიის მიერ ასევე ვერ იქნა განმარტებული სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემული ვიდეოჩანაწერის ასლის უვადოდ შენახვის საჭიროება. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის ვალდებულებას და არა გადაცემული ჩანაწერის უვადოდ შენახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის და მე-5 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

3. შპს „ა“-ს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის

ვიდეოსათვალთვალოს სისტემის ჩანაწერების გადაცემის კანონიერება

შემოწმების ფარგლებში დგინდება, რომ სასტუმრომ 2016 წლის ივლისის თვეში სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის, წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. * * * * -ის რაიონულ სამმართველოს გადასცა სასტუმროში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ჩანაწერი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ დამუშავება გათვალისწინებულია კანონით. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავმა ორგანომ სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის მოითხოვა სასტუმროში დაცული ვიდეოჩანაწერი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილის თანახმად, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). კომპიუტერული მონაცემი კი წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახულ ინფორმაციას, მათ შორის, პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას. მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მიერ გადაცემული ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კერძოდ, ამავე კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი

ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამასთან, 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143² –143¹⁰ მუხლების დებულებები.

მოცემულ შემთხვევაში, კომპანიამ მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე და სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას პროკურორის მოტივირებული დადგენილების გარეშე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს ვიდეოსათვალთვალ სისტემის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კომპანიის მიერ ვიდეოსათვალთვალ სისტემის ჩანაწერების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. *****-ის რაიონული სამმართველოსთვის გადაცემა მოხდა კანონით დადგენილი წესის გვერდის ავლით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ამდენად, დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ კომპანიის მიერ ვიდეოსათვალთვალ სისტემის ჩანაწერების გადაცემას ადგილი ჰქონდა

2016 წლის ივლისის თვეში შესაბამისად, ინსპექტორი, სამართალდარღვევის ჩადენის ხანდამზღვრობიდან გამომდინარე, სასტუმროს ვერ დააკისრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

4. შპს „ა“-ს მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოქმედებების აღრიცხვის კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი დამე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამდენად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვას. შესაბამისად, ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ კომპანია აღრიცხავდეს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას, მათ შორის, რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით, რათა არ მოხდეს ელექტრონული ფორმით შენახული მონაცემების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ. ამასთან, კანონის მე-18 მუხლის თანახმად, მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული,

ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილია, რომ კომპანია პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გადაცემას ახორციელებს სამართალდამცავ ორგანოებზე, თუმცა კომპანია არ აღრიცხავს მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს და არ უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგისტრაციას, თუ რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით, რაც წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევას, ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

5. შპს „ა“-ს მიერ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების წესის დარღვევა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ნ“ პუნქტის თანახმად, ფაილური სისტემა არის მონაცემთა სტრუქტურირებული წყება, რომელშიც ისინი დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ო“ პუნქტის, მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად, ფაილური სისტემის კატალოგი არის ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალური აღწერილობა; საჯარო და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც მათი საქმიანობის პროცესში ქმნიან და იყენებენ პერსონალურ მონაცემთა შემცველ ბაზებს, ევალებათ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება და ფაილური სისტემის შექმნამდე ან მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე შეტყობინების წარდგენა ინსპექტორისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების შედეგად გამოირკვა, კომპანიაში წარმოებს ვიდეოჩანაწერების შესახებ ფაილური სისტემის კატალოგი, თუმცა, იგი კომპანიას არ წარუდგენია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის, რაც წარმოადგენს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის დანაწესს. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე ითვალისწინებს ჩადენილი დარღვევების რაოდენობას და ხასიათს, დამრღვევის საქმიანობას და მიზანშეწონილად მიიჩნევს ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-12, მე-17, მე-18, მე-19, მე-20, 27-ე, 35-ე, 39-ე, 43-ე, 44-ე, 46-ე, 48-ე, 53-ე და 55-ე მუხლების და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი, 44-ე მუხლის პირველი, 46-ე მუხლის პირველი, 48-ე მუხლის პირველი და 53-ე მუხლის პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №0000384, №0000385, №0000386, №0000387, №0000388, №0000389, №0000390 და №0000391;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დაევალოს შპს „ა“-ს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს:

3.1. თვალსაჩინო ადგილას გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსება სასტუმროში ვიდეთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ;

3.2. ვიდეთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ სასტუმროში დასაქმებული ყველა იმ პირის წერილობითი ინფორმირება, რომლის სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობს ვიდეთვალთვალი;

3.3. სასტუმროს ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეთვალთვალის განხორციელების შეწყვეტა და მოპოვებული ჩანაწერების წაშლა/განადგურება;

3.4. ვიდეთვალთვალის გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (კერძოდ, ვისთვის, რა მონაცემები, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული) აღრიცხვის მექანიზმების დანერგვა;

3.5. იმ პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეთვალთვალის ჩანაწერების წაშლა/განადგურება, რომლებიც ინახება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;

3.6. ვიდეთვალთვალის სისტემასთან დაკავშირებული ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება და დადგენილი ფორმით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდება;

3.7. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გადაცემა მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისთვის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით;

3.8. გატარებული ღონისძიებების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის ცნობება.

4. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს შპს „ა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/314/2017

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

16/06/2017

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 12 აპრილის №03/28 ბრძანების შესაბამისად, 2017 წლის 12 აპრილიდან 2017 წლის 17 ივნისამდე პერიოდში განისაზღვრა შპს

„ა“-ს (ს/კ *****) (შემდგომში – კომპანია) მიერ მის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ სავაჭრო ობიექტებში ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანი

- კომპანიას საქართველოს ტერიტორიაზე მფლობელობაში აქვს 8 (რვა) სავაჭრო ობიექტი (მაღაზია) და ყველა მათგანში ყოველ დღე 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში ხორციელდება ვიდეოთვალთვალი. ვიდეომონიტორინგის არეალი მოიცავს კომპანიის სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) შიდა და გარე პერიმეტრებს, მათ შორის, დარბაზებს, საწარმოს, საწყობს, მიმღების ტერიტორიას (სადაც ხდება სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) სხვადასხვა სახის პროდუქტით მომარაგება), დასაქმებულთა სამუშაო ადგილებს, ავტოფარეხს, ავტოსადგომს, დასაქმებულ პირთა ნივთების ჩაბარების/აღრიცხვის ადგილებს (იგულისხმება სავაჭრო ობიექტში შეტანილი თუ გატანილი ნივთების, ასევე ფასეულობების აღრიცხვის ადგილი). აღნიშნულის გარდა, ვიდეოთვალთვალი ხორციელდება სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) მდებარეობითი სქესის თანამშრომელთათვის განკუთვნილ გამოსაცვლელ ოთახებში.
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ვიდეოთვალთვალი ხორციელდება პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზნით. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა არ გამოიყენება კომპანიაში დასაქმებულთა მიმართ კ ო მ პ ა ნ ი ს შინაგანაწესით განსაზღვრული სამემსრულებლო დისციპლინის/ მომსახურების კონტროლის მიზნით.
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, მდებარეობითი სქესის თანამშრომელთათვის განკუთვნილ გამოსაცვლელ ოთახებშიც ვიდეოთვალთვალი ხორციელდება პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, რასაც საფუძვლად უდევს თავად სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული პირების წერილობითი მოთხოვნა, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი კომპანიის მიერ არ იქნა

წარმოდგენილი.

სამუშაო ადგილზე აუდიომონიტორინგის განხორციელება

- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) (მდებარე: ქ. თბილისი, xxx-ის ქუჩა მოლარე-ოპერატორის სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალთან ერთად მიმდინარეობს აუდიომონიტორინგიც. კომპანიის №*** წერილით (რეგ.: №PDP 4 17 00001674) მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიაში აუდიოჩაწერა ხორციელდება ყველა სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) უფროსი მოლარე-ოპერატორების სამუშაო ადგილებზე, რომლებიც აუდიომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ კომპანიის მიერ ინფორმირებულნი არიან ზეპირსიტყვიერად. ამავე წერილის თანახმად, აუდიოჩაწერას განაპირობებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ სამუშაო ადგილებზე მიმდინარეობს როგორც ფულადი ფასეულობების დათვლა, შენახვა, ასევე ინკასაცია და არსებობს კომპანიის ქონების ფარული დაუფლებისა და მისთვის ფინანსური ბარალის მიყენების მაღალი რისკი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აუდიომონიტორინგის სივრცეში უცხო პირები, მათ შორის კომპანიის მომხმარებლები არ ექცევიან, რადგანაც აღნიშნულ ადგილებზე კომპანიის თანამშრომლების გარდა სხვა პირთა შესვლა აკრძალულია.

- კომპანია ზემოაღნიშნულ წერილში მოლარე-ოპერატორების სამუშაო ადგილზე აუდიოჩაწერის განხორციელების საფუძვლად უთითებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციის „Right to Privacy“ (1998) განმარტებას, რომლის თანახმად, „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც, თუმცა, იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია.“ ამასთან, ამავე წერილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სექტორში აუდიოჩაწერის განხორციელების დასაშვებობის შესახებ

გადაწყვეტილების (ას-1155-1101-2014) მიხედვით, აუდიომონიტორინგი კერძოსექტორში დასაშვებია, თუ იგი არ ეხება პირადი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს. ამავე წერილის თანახმად, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია: „საქმე ეხება საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.“

ვიდეოსათვალთვალ კამერების ტექნიკური მახასიათებლები

ქ. თბილისი, ყყ-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) დამონტაჟებულია 68 (სამოცდარვა) ვიდეოსათვალთვალ კამერა. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული ვიდეოსათვალთვალ კამერების მოდელებია: „WP-1“, „AH-2“, „IG-3“, „PG-4“, „GV-54“ და „IV-6“:

- „WP-1“ - 2 (ორი) მეგაპიქსელის გარჩევადობის მქონე ვიდეოსათვალთვალ IP კამერა ალჭურვილია დაკვირვების ობიექტის ოპტიკური გადიდების (ე.წ. „Zoom“) და ღამის ხედვის ფუნქციებით.

ვიდეოსათვალთვალო კამერის მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად. ამასთან, კამერა არ არის ალჭურვილი აუდიომონიტორინგის ფუნქციით.

- „AH -2“ - „1080P“ გარჩევადობის ანალოგური ტიპის ვიდეოსათვალთვალო კამერა ალჭურვილია ღამის ხედვისა და აუდიომონიტორინგის ფუნქციებით, თუმცა მას არ გააჩნიადაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) და ავტომატური მანევრირების ფუნქცია.
- „IG -3“ - 2 (ორი) მეგაპიქსელის მქონე ვიდეოსათვალთვალო IP კამერა ალჭურვილია დაკვირვების ობიექტის ოპტიკური გადიდების (ე.წ. „Zoom“) და ღამის ხედვის ფუნქციებით. კამერის მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად. ვიდეოსათვალთვალო კამერა არ არის ალჭურვილი აუდიომონიტორინგის ფუნქციით.
- „PG- 4“ - 2 (ორი) მეგაპიქსელის მქონე ვიდეოსათვალთვალო IP კამერა ალჭურვილია დაკვირვების ობიექტის ოპტიკური გადიდების (ე.წ. „Zoom“), ღამის ხედვისა და აუდიოჩანსის ფუნქციებით. კამერის მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.
- „GV-54“ - 1.3 მეგაპიქსელის მქონე ვიდეოსათვალთვალო IP კამერა ალჭურვილია ღამის ხედვის ფუნქციით. მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვიდეოსათვალთვალო კამერა არ არის ალჭურვილი დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) და აუდიომონიტორინგის ფუნქციებით.
- „IV-6“ - 1.3 მეგაპიქსელის მქონე ვიდეოსათვალთვალო IP კამერა ალჭურვილია ღამის ხედვისა და დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) ფუნქციებით. ვიდეოსათვალთვალო კამერის მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად, ამასთან, ის არ არის ალჭურვილი აუდიომონიტორინგის ფუნქციით.
- ქ. თბილისში xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მადამიაში) დამონტაჟებულია 69 (სამოცდაცხრა)

ვიდეოსათვალთვალ კამერა. კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ვიდეოსათვალთვალ კამერების ნაწილი აღჭურვილია დაკვირვების ობიექტის ოპტიკური გადიდების (ე.წ. „Zoom“) და მექანიკური მანევრირების ფუნქციებით, თუმცა კამერები არ არის აღჭურვილი ღამის ხედვისა და აუდიომონიტორინგის ფუნქციებით. ზოგიერთ კამერას კი აქვს ღამის ხედვისა და აუდიომონიტორინგის ფუნქცია, თუმცა

- კამერების მანევრირება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

ვიდეოჩანაწერებზე წვდომა და ვიდეოსათვალთვალის სისტემის ტექნიკური აღწერილობა

კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანიის თითოეულ სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოსათვალთვალის სისტემა ფუნქციონირებს ლოკალურად და მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ კონკრეტულ სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებულ უსაფრთხოების თანამშრომლებს და ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, მისი გამოსწორების მიზნით, კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელს. კომპანიის თითოეული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებულია 13 (ცამეტი) თანამშრომელი, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფში კი - 1 (ერთი).

შემოწმების ოქმით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ყყყ-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტში განთავსებულ ვიდეოსათვალთვალის სისტემაზე წვდომა ხორციელდება ამავე სავაჭრო ობიექტში განთავსებული სტაციონარული კომპიუტერებიდან პროგრამული უზრუნველყოფის - „HD* Client“ მეშვეობით, სადაც შექმნილია 4 (ოთხი) მომხმარებელი - „admin“, „fsc“, „manager“ და „head“ (რომელიც არ ფუნქციონირებს):

- მომხმარებლის სახელით - „fsc“ სარგებლობს კომპანიის კონკრეტული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ამასთან,

აღნიშნული მომხმარებლისთვის შესაძლებელია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებულ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. მომხმარებლისთვის - „fsc“ ზემოაღნიშნული უფლებები ლოკალიზებულია, კერძოდ, აღნიშნული მომხმარებლით ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ კონკრეტული სავაჭრო ობიექტიდან (მაღაზიიდან), სადაც განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა. მომხმარებელი - „fsc“ დაცულია პაროლით.

- მომხმარებელი - „manager“ ასევე სარგებლობს ზემოაღნიშნული უფლებებით, თუმცა განსხვავებით მომხმარებლისგან - „fsc“ იგი არ არის აღჭურვილი ვიდეოჩანაწერების ამოღების (ექსპორტის) უფლებით. მომხმარებელი - „manager“ ასევე დაცულია პაროლით.
- მომხმარებლის სახელით - „admin“ სარგებლობს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომხმარებლისთვის - „Admin (განსხვავებით მომხმარებლისგან - „fsc“), შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატება, წაშლა და პაროლის შეცვლა. მომხმარებელი - „admin“ დაცულია კომპლექსური პაროლით.
- მომხმარებლის სახელით - „manager“ ტექნიკურად სარგებლობა შესაძლებელია ქ.თბილისში, yy-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ცნობილია ვიდეოთვალთვალის სისტემის ინტერნეტპროტოკოლის (IP) მისამართი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ობიექტის მენეჯერისთვის არ არის ცნობილი

ვიდეოთვალთვალის სისტემის ინტერნეტპროტოკოლის (IP) მისამართი.

- შემოწმების ოქმით დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა - „HD Client“ არ აღრიცხავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ მოქმედებებს.
- ქ. თბილისში, xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებულ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა ხორციელდება ამავე სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) არსებული სტაციონარული კომპიუტერებიდან პროგრამული უზრუნველყოფების პირობითი სახელწოდებით - „DVR 1“, „DVR 2“, „Network video client“, „View DVR“ და „NETsurveillance WEB“ მეშვეობით.

პროგრამული უზრუნველყოფა - „DVR 1“ და „DVR 2“ იდენტიფიცირებულია და თითოეულში არის 7 (შვიდი) ტიპის მომხმარებელი - „admin“, „frgvs01“, „frgr“, „manager“, „head“, „user5“ და „user6“:

- მომხმარებლის სახელით - „frgr“ სარგებლობს კომპანიის კონკრეტული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) უსაფრთხოების სამსახურის ყველა თანამშრომელი. აღნიშნულ მომხმარებელს გააჩნია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. მომხმარებლისთვის - „frgr“ ზემოაღნიშნული უფლებები ლოკალიზებულია, კერძოდ, აღნიშნული მომხმარებლით ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ სავაჭრო ობიექტიდან (მაღაზიიდან), სადაც განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი - „frgr“ დაცულია პაროლით.
- მომხმარებლის სახელით - „admin“ სარგებლობს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი. მომხმარებლის - „Admin“ მეშვეობით, განსხვავებით მომხმარებლისგან

- „frgr“, შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატება, წაშლა და პაროლის სხვადასხვა მონაცემების ცვლილება. ზემოაღნიშნული მომხმარებელი დაცულია კომპლექსური პაროლით.

- მომხმარებლის სახელით - „manager“ ტექნიკურად სარგებლობა შესაძლებელია ქ. თბილისში, ყყყ-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან. შემოწმებაზე უფლებამოსილი პირების მიერ დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომის განხორციელება მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია ვიდეოთვალთვალის სისტემის IP მისამართი. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ობიექტის მენეჯერისთვის არ არის ცნობილი ვიდეოთვალთვალის სისტემის IP მისამართი. ამასთან, მომხმარებელი „manager“, განსხვავებით მომხმარებლისგან - „frgr“ არ არის ალჭურვილის ვიდეოჩანაწერების ამოღების (ექსპორტის) უფლებით. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი - „manager“ დაცულია პაროლით.
- მომხმარებლის სახელები - „frgvs01“, „head“, „user5“ და „user6“ არ ფუნქციონირებენ. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ზემოაღნიშნული მომხმარებლის სახელები („frgvs01“, „head“, „user5“ და „user6“) შეიქმნა კომპანიის საინფორმაციო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ სატესტო რეჟიმში, თუმცა მათი გამოყენება არ ხდება.
- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფებს - „DVR 1“ და „DVR 2“ არ გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ფუნქცია.

პროგრამულ უზრუნველყოფაში - „Network video client“ არის 1 (ერთი) ტიპის მომხმარებელი -

„admin“:

- მომხმარებლის სახელით - „admin“ სარგებლობს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი და კონკრეტული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) უსაფრთხოების სამსახურის ყველა თანამშრომელი. აღნიშნული მომხმარებლისთვის შესაძლებელია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დთვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. მომხმარებლისთვის - „admin“ ზემოაღნიშნული უფლებები ლოკალიზებულია, კერძოდ, აღნიშნული მომხმარებლით ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ სავაჭრო ობიექტიდან (მაღაზიიდან), სადაც განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა. მომხმარებელი - „admin“ დაცულია პაროლით. ამასთან მომხმარებელი - „admin“ აღჭურვილია პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატების, წაშლისა და პაროლის სხვადასხვა მონაცემების ცვლილების უფლებებით.

ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას - „Network video client“ არ გააჩნია ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ფუნქცია.

პროგრამულ უზრუნველყოფაში - „View DVR“ არის 4 (ოთხი) ტიპის მომხმარებელი - „admin“,

„frgr“, „manager“ და „frgvs01“ (რომელიც არ ფუნქციონირებს):

- მომხმარებლის სახელით - „frgr“ სარგებლობს კომპანიის კონკრეტული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) თითოეული უსაფრთხოების თანამშრომელი. აღნიშნული მომხმარებლისთვის შესაძლებელია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ)

რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. მომხმარებლისთვის - „fsc“ ზემოაღნიშნული უფლებები ლოკალიზებულია, კერძოდ, აღნიშნული მომხმარებლით ვიდეოთვალ-თვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ სავაჭრო ობიექტიდან (მაღაზიიდან), სადაც განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა. მომხმარებელი - „fgr“ დაცულია პაროლით.

- მომხმარებლით სახელით - „admin“ სარგებლობს კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი. ამასთან, მომხმარებლისთვის - „Admin“, განსხვავებით მომხმარებლისგან - „fgr“, შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატების, წაშლისა და პაროლის სხვადასხვა მონაცემების ცვლილების უფლებების განხორციელება. ზემოაღნიშნული მომხმარებელი დაცულია კომპლექსური პაროლით.
- მომხმარებლის სახელით - „manager“ ტექნიკურად სარგებლობა შესაძლებელია ქ. თბილისში, xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან. შემოწმებაზე უფლებამოსილი პირების მიერ დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომის განხორციელება მენეჯერის სამუშაო ადგილზე განთავსებული სტაციონარული კომპიუტერიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია ვიდეოთვალთვალის სისტემის IP მისამართი. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ობიექტის მენეჯერისთვის არ არის ცნობილი ვიდეოთვალთვალის სისტემის IP მისამართი. რაც შეეხება მომხმარებლის - „manager“ უფლებებს, განსხვავებით მომხმარებლისგან - „fgr“, არ არის აღჭურვილი ვიდეოჩანაწერების ამოღების (ექსპორტის) უფლებით. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი

-

„manager“ დაცულია პაროლით.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას - „View DVR“ არ გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ფუნქცია.

პროგრამულ უზრუნველყოფაში - „NETsurveillance WEB“ არის 2 (ორი) ტიპის მომხმარებელი -

„admin“ და „default“ (რომელიც არ ფუნქციონირებს):

- მომხმარებლის სახელით - „admin“ სარგებლობენ კომპანიის საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის ხელმძღვანელი და კონკრეტული სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) თითოეული უსაფრთხოების თანამშრომელი. აღნიშნული მომხმარებლისთვის შესაძლებელია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. მომხმარებლისთვის - „admin“ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ სავაჭრო ობიექტიდან (მაღაზიიდან), სადაც განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა. რაც შეეხება მომხმარებლის - „admin“ უფლებებს, შესაძლებელია სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ (უწყვეტ) რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერებისა და ამოღების (ექსპორტის) უფლება. ამასთან, მომხმარებლისთვის - „admin“ შესაძლებელია ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში მომხმარებლების დამატება, წაშლა და პაროლის სხვადასხვა მონაცემების ცვლილება. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი - „admin“ არ არის დაცული პაროლით.

შემოწმების ოქმით დადგინილი გარემოებაა, რომ ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას - „NETsurveillance WEB“ გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ფუნქცია.

ვიდეოჩანაწერების შენახვა

- შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ 2017 წლის 12 აპრილს, კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში - „HD Client“ დაცული ყველაზე ძველი ვიდეოჩანაწერი თარიღდებოდა 2017 წლის 05 აპრილით.
- შემოწმების ოქმის საფუძველზე ასევე დგინდება, რომ 2017 წლის 20 აპრილს კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფებში - „DVR 1“ და „DVR 2“ დაცული ყველაზე ძველი ვიდეოჩანაწერი თარიღდებოდა 2017 წლის 09 აპრილით, ხოლო პროგრამულ უზრუნველყოფებში - „Network video client“, „View DVR“ და „NETsurveillance WEB“ - 2017 წლის 03 აპრილით, 2017 წლის 03 აპრილით და 2017 წლის 08 აპრილით.
- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ქ. თბილისში, xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) არსებულ სტაციონალურ კომპიუტერში (რომლის მეშვეობით იმართება ვიდეოთვალთვალის სისტემები) ინახება ქურდობის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერები, მათ შორის, 2017 წლის 22 თებერვალს და 12 მარტს განხორციელებული ვიდეოჩანაწერების ასლები.
- კომპანიაში ასევე ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 29 მარტის №**** და 2017 წლის 20 აპრილის №**** წერილობითი მიმართვების საფუძველზე გაცემული 2017 წლის 26 მარტისა და 2017 წლის 20 აპრილის ვიდეოჩანაწერების ასლები. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვის მიზანს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით გაუგებრობის/უზუსტობის თავიდან არიდების მიზნით მათი ხელახალი მოძიება.
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანიის მიერ ვიდეოჩანაწერები ინახება ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით, თუ

რომელი ვიდეოჩანაწერი გადაეცა სამართალდამცავ ორგანო(ებ) ს. მისივე განმარტებით, ვინაიდან ვიდეოთვალთვალის სისტემის მიერ ვიდეოჩანაწერები ინახება მხოლოდ გარკვეული ვადით, მათი ასლების შენახვის დამატებით მიზანს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ვიდეომასალის დაკარგვის შემთხვევაში ვიდეოჩანაწერების ხელახალი მოძიება.

ვიდეოჩანაწერების გამჟღავნება

- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ვიდეოჩანაწერების გამჟღავნება ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოებისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემის გზით, სასამართლოს განჩინების, პროკურორის დადგენილების ან/და სამართალდამცავი ორგანოების წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანია არ აღრიცხავს ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს და არ უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგისტრაციას, თუ რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით, კერძოდ, კომპანიაში არ წარმოებს რაიმე სახის ელექტრონული ან/და მატერიალური დოკუმენტი, სადაც აღირიცხება ზემოაღნიშნული ინფორმაცია. მისივე განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით კომპანიაში ინახება შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისგან ვიდეოჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული მიმართვები და აღნიშნული მიმართვების პასუხად კომპანიის მიერ გაცემული წერილები.
- შემოწმების ფარგლებში, კომპანიის წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **** განყოფილების 2017 წლის 29 მარტის №**** და 2017 წლის 20 აპრილის №**** წერილობითი მიმართვები კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) (მდებარე: ქ. თბილისი, zzz-ს ქ. №**) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემის მიერ განხორციელებული

ვიდეოჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მიმართვებს არ ერთვის სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება, თუმცა, მიუხედავად ამისა, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული მიმართვების საფუძველზე კომპანიის მიერ გაცემულია მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერები. კომპანიის წარმომადგენლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არც ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ გაცემული საპასუხო წერილი და არც ვიდეოჩანაწერის გამჟღავნებისას შესაბამისი ინფორმაციის რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტაცია.

მონაცემთა სუბიექტთა ინფორმირება

- შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ქ. თბილისში, xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) შესასვლელ კარზე განთავსებულია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი.
- შემოწმების ოქმით დგინდება, რომ ქ. თბილისში, yyy-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) შესასვლელ კარზე და აღნიშნული სავაჭრო ობიექტის შიდაპერიმეტრზე (მე-2 სართულზე, სადაც შესვლა დასაშვებია მხოლოდ კომპანიაში დასაქმებული პირებისთვის) განთავსებულია ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები.
- კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპანიის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული პირები სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულნი არიან როგორც სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) განთავსებული ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით, ასევე სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული პირებისგან (კომპანიის კადრების განყოფილება) ზეპირსიტყვიერად, გასაუბრების და შრომითი ხელშეკრულების ვაფორმების დროს. აღსანიშნავია,

რომ კომპანია დასაქმებულ პირთა წერილობით ინფორმირებას მათ სამუშაო ადგილზე ვიდეთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ არ ახორციელებს.

შემოწმების ფარგლებში 2017 წლის 08 ივნისს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტით, მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით, მე-5 მუხლით, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000398, №0000399, №0000400, №0000401, №0000402, №0000403, №0000404 და №0000405 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებსაც ხელი მოაწერა კომპანიის წარმომადგენელმა.

სამოტივაციო ნაწილი

შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ა“-ს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისკანონიერების შესახებ.

1. შპს „ა“-ს მიერ სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ვიდეთვალთვალის განხორციელებისკანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეთვალთვალის სპეციალურ წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანია მის საკუთრებაშიან/დამფლობელობაში არსებულ

სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ახორციელებს ვიდეოთვალთვალს. შემოწმების ფარგლებში, ქ. თბილისში, ყყყ-ს ქუჩაზე და ქ. თბილისში xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერების შესწავლისას დადგინდა, რომ ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კომპანიის სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე, მათ შორის, ვიდეოსათვალთვალო კამერის დაკვირვების ობიექტებია დარბაზები, საწარმოს საწყობები, მიმღების ტერიტორია (სადაც ხდება სავაჭრო ობიექტის (მაღაზიის) სხვადასხვა სახის პროდუქტით მომარაგება), დასაქმებულთა სამუშაო ადგილები, ავტოფარეხი, ავტოსადგომი, დასაქმებულ პირთა ნივთების ჩაბარების/აღრიცხვისადგილები (იგულისხმება სავაჭრო ობიექტში შეტანილი თუ გატანილი ნივთების, ასევე ფასეულობების აღრიცხვის ადგილი). ვიდეოთვალთვალი ხორციელდება პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის. კერძოდ, კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანს წარმოადგენს კომპანიის მომხმარებლების და კომპანიაში დასაქმებული პირების უსაფრთხოება, ამასთან, კომპანია სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) ეწევა კომერციულ საქმიანობას, მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორების გზით, სადაც ასევე ინახება ფულადი თანხა. ამდენად, კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევა არ იკვეთება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. აღნიშნულ შემთხვევაში, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის კერძო ან საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობს უშუალოდ კომპანიის სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) დარბაზში, მიძღვნილი, ავტოფარეხში, ავტოსადგომზე, მოლარე-ოპერატორის სამუშაო ადგილზე და კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული პირების სხვა სამუშაო ადგილებზე. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზანს წარმოადგენს პირის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალს მხოლოდ საგამონაკლისო აუცილებლობის შემთხვევებში, პირის უსაფრთხოების, საკუთრების და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის, ასევე ყველა დასაქმებული პირის წერილობითი ინფორმირების შემდგომ მიიჩნევს დასაშვებად. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიაში დასაქმებული პირები არ არიან წერილობითი ფორმით ინფორმირებულნი მათ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის და მათი უფლებების შესახებ.

გემოლანიშნულის გარდა, შემოწმების ოქმის საფუძველზე დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანიის სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) მდებარეობითი სექსის თანამშრომელთათვის განკუთვნილ გამოსაცვლელ ოთახებში მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელება ემსახურება სწორედ კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზანს. მისივე განმარტებით, კომპანიის სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს თავად სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული პირების წერილობითი მოთხოვნა, რაც შემოწმების ფარგლებში კომპანიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების დაუშვებლობის საკითხს. შესაბამისად, კომპანიის განმარტება, რომ სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) მდებარეობითი

სქესის თანამშრომელთათვის განკუთვნილ გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალი ხორციელდება მათივე წერილობითი მოთხოვნით (რომელიც კომპანიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი), თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, არ წარმოადგენს აღნიშნულ ადგილებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს ვიდეოთვალთვალის განხორციელებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2. შპს „ა“-ს მიერ ვიდეოჩანაწერების შენახვის კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 დამე-5 მუხლების მიხედვით, მონაცემთა დამუშავება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძვლის არსებობისას და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით. კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია ის პრინციპები, რომელთა დაცვაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, აღნიშნული მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემების შენახვა, როგორც მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედება, წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ფორმას. ამდენად, მონაცემთა შენახვისთვის, როგორც მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ფორმისთვის, აუცილებელია

ამავე კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა მაინც, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების შესაძლებლობას/ დასაშვებობას.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანია ინახავს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემულ, პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების ასლებს.

კომპანია განუსაზღვრელი ვადით ინახავს ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერების ასლებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღარ არსებობს აღნიშნული მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზანი, კერძოდ, კომპანიაში ინახება სამართალდამცავ ორგანოსთვის გადაცემული 2017 წლის 26 მარტს და 2017 წლის 20 აპრილს განხორციელებული ვიდეოჩანაწერების ასლები. ამასთან, შემოწმების ოქმით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ ქ. თბილისში, xxx-ზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) არსებულ სტაციონალურ კომპიუტერში (რომლის მეშვეობით იმართება ვიდეოთვალთვალის სისტემები) ინახება ქურდობის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერები. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვიდეოჩანაწერების შენახვის მიზნად დასახელდა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით გაუგებრობის/ უზუსტობის თავიდან არიდების მიზნით, მათი ხელახალი მოძიება, ასევე ინფორმაციის აღრიცხვა, თუ კონკრეტულად რომელი ვიდეოჩანაწერი გადაეცა სამართალდამცავ ორგანო(ებ)ს. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, სამართალდამცავი ორგანო(ებ)ისთვის გამჟღავნებული ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვის დამატებით მიზანს წარმოადგენს ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ვიდეოჩანაწერების შეზღუდული დროით შენახვა, რაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ვიდეომასალის დაკარგვის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ვიდეოჩანაწერების ხელახალი მოძიების შესაძლებლობას ამცირებს. ნიშანდობლივია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის ვიდეოჩანაწერების

გადაცემის ვალდებულებას და არა გადაცემული ჩანაწერის უვადოდ შენახვას. ამასთან, კომპანიის ვალდებულებას არ წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემული ვიდეოჩანაწერების უვადოდ შენახვა, სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოპოვებული ჩანაწერის დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში მათი ხელახალი მოძიების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს პერსონალური მონაცემებისშემცველი ვიდეოჩანაწერების ასლების შენახვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის და მე-5 მუხლის მოთხოვნების დარღვევით, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-2 და 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

შპს „ა“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 11 მაისის №გ-1/262/2017 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „ა“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. ინსპექტორის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. გამომდინარე აქედან, შპს „ა“-ს მიერ პერსონალური მონაცემების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დამუშავებას ერთი წლის განმავლობაში განმეორებით აქვს ადგილი.

3. შპს „ა“-ს მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ვიდეოჩანაწერებისგადაცემის კანონიერება

შემოწმების ფარგლებში დგინდება, რომ კომპანიამ 2017 წლის მარტის და აპრილის თვეებში სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის, წერილობითი მიმართვების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს *** განყოფილებას გადასცა კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) (მდებარე: ქ. თბილისი, zzz-ს ქ. №**) განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემის ჩანაწერები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ დამუშავება გათვალისწინებულია კანონით. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავმა ორგანომ სისხლის სამართლის საქმის მიზნებისათვის მოითხოვა კომპანიაში დაცული ვიდეოჩანაწერები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილის თანახმად, კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). კომპიუტერული მონაცემი კი წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახულ ინფორმაციას, მათ შორის, პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას. მოცემულ შემთხვევაში, კომპანიის მიერ გადაცემული ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კერძოდ, ამავე კოდექსის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამასთან, 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143²–143¹⁰ მუხლების დებულებები. 143³ მუხლის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით; ამავე მუხლის მე-6 ნაწილის

მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს/დაიწყოს მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მიითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/ მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, კომპანიამ მხოლოდ წერილობითი მიმართვების საფუძველზე დასასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას პროკურორის მოტივირებული დადგენილების გარეშე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერები, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კომპანიის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის ჩანაწერების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს, გლდან-ნაძალადევის სამმართველოს, პოლიციის მე-2 განყოფილებისთვის გადაცემა მოხდა კანონით დადგენილი წესის გვერდის ავლით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ამდენად, დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

4. შპს „ა“-ს მიერ ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვისკანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი დამე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი

ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამდენად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვას. შესაბამისად, ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ კომპანია აღრიცხავდეს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას, მათ შორის, რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით, რათა არ მოხდეს ელექტრონული ფორმით შენახული მონაცემების უკანონო მოპოვება, გამჟღავნება, გამოყენება, განადგურება და ა.შ. ამასთან, კანონის მე-18 მუხლის თანახმად, მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

შემოწმების ოქმით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ კომპანია პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გადაცემას ახორციელებს სამართალდამცავ ორგანოებზე, თუმცა კომპანია არ აღრიცხავს მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს და არ უზრუნველყოფს ინფორმაციის რეგისტრაციას, თუ რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული და როდის. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით კომპანია ინახავს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისგან ვიდეოჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებულ დოკუმენტაციას და აღნიშნულის

პასუხად კომპანიის მიერ გაცემულ წერილებს. აღსანიშნავია, რომ შემოწმების ფარგლებში კომპანიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული ვიდეოჩანაწერების გადაცემის დამადასტურებელი საპასუხო წერილი. შესაბამისად, შემოწმების ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ კომპანიაში არ აღირიცხება კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ, კომპანიის მიერ რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით.

ზემოაღნიშნულის გარდა, შემოწმების ოქმით დადგენილი გარემოებაა, რომ კომპანიის ვიდეოთვალთვალის სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფებში – „HD Client“, „DVR 1“, „DVR2“, „Network video client“ და „View DVR“ არ აღირიცხება ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებები. კერძოდ, პროგრამულ უზრუნველყოფას – „HD Client“ გააჩნია ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვისთვის შესაბამისი ფუნქცია, თუმცა ეს უკანასკნელი არ ფუნქციონირებს. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფისგან განსხვავებით, პროგრამულ უზრუნველყოფებს – „DVR 1“, „DVR 2“,

„Network video client“ და „View DVR“ არ გააჩნიათ ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ფუნქცია. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებში არ აღირიცხება მონაცემების მიმართ შესრულებული მოქმედებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ა“-ს მიერ დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესი, რაც ამავდროულად წარმოადგენს, ამავე კანონის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტივითა და აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

5. შპს „ა“-ს მიერ აუდიომონიტორინგის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებად განიხილება

ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

გემოაღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული მოლარე-ოპერატორების სამუშაო ადგილზე აუდიოჩაწერის შემთხვევაში, კომპანიის მხრიდან ადგილი აქვს აღნიშნული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებას და იგი ვალდებულია დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილია მონაცემთა დამუშავების პრინციპები და მათი დაცვა სავალდებულოა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში. კერძოდ, ხსენებული მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური დაპროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

განსახილველ შემთხვევაში, შემოწმების ოქმით დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული მოლარე-ოპერატორების სამუშაო ადგილზე, ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით, 24 საათიან რეჟიმში ახორციელებს აუდიომონიტორინგს, რის მიზანსაც კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით წარმოადგენს კომპანიის საკუთრების დაცვა, რადგან აღნიშნულ სამუშაო ადგილზე მიმდინარეობს როგორც ფულადი ფასეულობების დათვლა, შენახვა, ასევე ინკასაცია და არსებობს კომპანიის ქონების ფარული დაუფლებისა და მისთვის ფინანსური ზარალის მიყენების მაღალი რისკი. მისივე განმარტებით, აღნიშნულ სამუშაო ადგილზე დასაქმებული პირები, აუდიომონიტორინგის შესახებ ზეპირსიტყვიერი ფორმით არიან ინფორმირებულნი, ხოლო

აუდიომონიტორინგის სივრცეში უცხო პირები, მათ შორის კომპანიის მომხმარებლები არ ექცევიან, რადგან აღნიშნულ ადგილებზე კომპანიის თანამშრომლების გარდა სხვა პირთა შესვლა აკრძალულია. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემოწმებაზე უფლებამოსილი პირების მიერ, შემოწმებულ იქნა ქ. თბილისში, xxx-ს ქუჩაზე მდებარე კომპანიის სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) დასაქმებული მოლარე-ოპერატორის სამუშაო ადგილზე აუდიო-ვიდეო კონტროლის შედეგად განხორციელებული ჩანაწერი, რომელშიც მოლარე-ოპერატორის პერსონალური მონაცემების შემცველი აუდიოჩანაწერის გარდა, ასახულია ამავე სავაჭრო ობიექტში (მაღაზიაში) დასაქმებული სხვა პირების აუდიო და ვიდეოჩანაწერებიც. კომპანიამ ვერ დაასახელა მუდმივ რეჟიმში ზემოაღნიშნული მოცულობით მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა, შესაბამისად, კომპანია გარკვეული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას ახორციელებს იმაზე მეტი მოცულობით, ვიდრე საჭიროა კანონიერი მიზნის (კომპანიის საკუთრების, კერძოდ, ფულადი ფასეულობების უკანონო ხელყოფის პრევენცია) მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ ადგილი აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული პრინციპის დარღვევას, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულის,

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, მე-12, მე-17, მე-18, 27-ე, 35-ე, 39-ე, 43-ე, 44-ე, 46-ე, 48-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2, 44-ე მუხლის 1-ლი, 46-ე მუხლის 1-ლი და 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები №0000398, №0000399, №0000400, №0000401, №0000402, №0000403, №0000404 და №0000405;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დაევალოს შპს „ა“-ს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სავაჭრო ობიექტების (მაღაზიების) გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შეწყვეტა და მოპოვებული ჩანაწერების სრულადწაშლა/განადგურება.

4. დაევალოს შპს „ა“-ს ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს:

4.1. იმ პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების წაშლა/ განადგურება, რომლებიც ინახება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;

4.2. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით;

4.3. ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ კომპანიაში დასაქმებული ყველა იმ პირის წერილობითი ინფორმირება, რომლის

სამუშაო ადგილზეც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი;

4.4. იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომლებითაც უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვას;

4.5. ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (კერძოდ, ვისთვის, რა მონაცემები, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული) აღრიცხვის მექანიზმების დანერგვა;

4.6. კომპანიის სავაჭრო ობიექტებში (მაღაზიებში) დასაქმებული მოლარე-ოპერატორების სამუშაო ადგილებზე აუდიომონიტორინგის განხორციელება იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;

4.7. გატარებული ღონისძიებების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის ცნობება.

5. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

6. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს შპს „ა“-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/329/2017

ი. ნ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ
ქ. თბილისი
30/06/2017

განმცხადებელი: ი. ნ. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) (შემდგომში – სამედიცინო ცენტრი) მიერ განმცხადებლის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის

მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნების კანონიერების შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

აღწერილობითი ნაწილი

2017 წლის 24 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №PDP 7 17 00001127 განცხადებით მომართა ი. ნ.-მ და მიუთითა, რომ სამედიცინო ცენტრმა 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლამდე პერიოდში მისი ნებართვის გარეშე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები გასცა მესამე პირზე – ს. ა.-ზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 29 მარტის №გ-1/169/2017 გადაწყვეტილებით ი. ნ.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად. განცხადებაში მითითებული გარემოებების შესასწავლად ინსპექტორის აპარატმა 2017 წლის 03 აპრილის

№PDP 9 17 00001246 წერილით მიმართა სამედიცინო ცენტრს. 2017 წლის 18 აპრილს წარმოდგენილი №PDP6 17 00001405 საპასუხო წერილით სამედიცინო ცენტრმა განმარტა, რომ სამედიცინო კონსულტაციის მიღების მიზნით განმცხადებელი 2016 წლის სექტემბერში იმყოფებოდა სამედიცინო ცენტრის ექიმ ოფთალმოლოგთან, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები კონფიდენციალურობის დაცვითინახებოდა დაწესებულებაში და მესამე პირებზე არ გაცემულა.

ვინაიდან, სამედიცინო ცენტრმა განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირისთვის გადაცემის ფაქტი უარყო, ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 03 მაისის

№PDP 2 17 00001582 წერილით განმცხადებელს ეთხოვა დაემუსტებინა რა გზით გახდა მისთვის ცნობილი, რომ სამედიცინო ცენტრმა მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია გაუმჟღავნა მესამე პირს და არსებობის შემთხვევაში, ეთხოვა წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

განმცხადებელმა 2017 წლის 11 მაისს ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი №PDP 0 17 00001715 წერილით განმარტა, რომ ს. ა. იყო მისი

ყოფილი მეუღლე და მონაცემების გამჟღავნების თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა ს. ა.-სთან მიმდინარე სასამართლო დავის ფარგლებში. კერძოდ, სასამართლო სხდომის დროს შეიტყო, რომ ს. ა.-მ მოიპოვა სამედიცინო ცენტრში დაცული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილ იქნა სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების სახით. განცხადებას თან ერთვოდა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ს. ა.-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი სარჩელის ნაწილის ასლი, სადაც ერთ-ერთ მტკიცებულებად მითითებულია სამედიცინო ცენტრის მიერ გაცემული სამედიცინო ბარათი;
- სამედიცინო ცენტრის ბეჭდით დადასტურებული განმცხადებლის გასინჯვის ფურცლები (02 ცალი ფორმა №IV-200-5/ა), აღნიშნული დოკუმენტების შედგენის თარიღად მითითებულია 2013 წლის 10 ოქტომბერი და 2014 წლის 10 ივლისი;
- სამედიცინო ცენტრის ბეჭდით დადასტურებული განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი №*** რომლის შედგენის თარიღად მითითებულია 2013 წლის 10 ოქტომბერი.

ს. ა.-სთან დაკავშირების და მისი რეკვიზიტების დაზუსტების მიზნით ინსპექტორის აპარატისუფლებამოსილი პირი 2017 წლის 17 მაისს დამატებით დაუკავშირდა განმცხადებელს. შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 23 მაისს

№PDP 5 17 00001855 წერილით ს. ა.-ს ეთხოვა წარმოედგინა განმცხადებლის მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიღების მიზნით მიმართა თუ არა სამედიცინო ცენტრს და ამ უკანასკნელის მიერ გადაეცა თუ არა შესაბამისი დოკუმენტაცია). პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში 2017 წლის 30 მაისს ელექტრონული ფოსტით წარმოდგენილი წერილით ს.

ა.-მ განმარტა, რომ პირადი მიზნების გამო არ შეეძლოდადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოდგენა და მოგვიანებით წარმოადგენდა.

ამავდროულად, ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 23 მაისის №PDP 5 17 00001855 წერილით სამედიცინო ცენტრს გაეგზავნა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტები და ეთხოვა განემარტა – სამედიცინო ცენტრმა გადასცა თუ არა აღნიშნული დოკუმენტები მესამე პირს ან უშუალოდ პაციენტს. ინსპექტორის 2017 წლის 23 მაისის №გ- 1/280/2017 გადაწყვეტილებით განცხადების განხილვა შეჩერდა სამედიცინო ცენტრის და ს. ა.-ს მიერ ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 23 მაისის №PDP 5 17 00001855 და №PDP 5 17 00001856 წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენამდე.

ვინაიდან, სამედიცინო ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ინფორმაცია, ინსპექტორის აპარატის 2017 წლის 05 ივნისის №PDP 3 17 00002050 წერილით განმეორებით ეთხოვა შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა. სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელი ტელეფონის მეშვეობით დაკავშირდა ინსპექტორის აპარატს და განმარტა, რომ შესაბამისი უფლებამოსილი პირის არ ყოფნის გამო, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას დადგენილ ვადაში წარმოედგინათ ინფორმაცია და ითხოვა ინფორმაციის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება. სამედიცინო ცენტრის მიერ წარმოდგენილი განმარტების გათვალისწინებით ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა საპატიოდ ჩაითვალა. ინსპექტორის აპარატში 2017 წლის 13 ივნისს წარმოდგენილი №PDP 0 17 00002138 წერილით სამედიცინო ცენტრმა წარმოდგინა შემდეგი განმარტება:

- 2013–2014 წლებში ი. ნ.-ს შესახებ სამედიცინო ცენტრში ჩატარებული სამედიცინო კვლევებთან დაკავშირებული მონაცემები 2016 წლის 14 სექტემბერს განცხადებით მოითხოვა ს. ა.-მ, რომელიც დაწესებულებას გაეცნო, როგორც ი. ნ.-ს მეუღლე და აღნიშნულის დასტურად წარმოადგინა საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაცემული ჯვრისწერის მოწმობის და საკუთარი პირადობის მოწმობის

ასლები;

- ს. ა.-ს სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე, მისი განცხადების პასუხად სამედიცინო ცენტრის მიერ ოფიციალური პასუხი არ მომზადებულა და განმცხადებელს ხელზე გადაეცა 2013-2014 წლებში ი. ნ.-ს სახელზე ნაწარმოები ამბულატორიული ბარათისა და ჩატარებული კვლევის დასკვნის ასლები დამოწმებული სახით იმ ფორმით, რა ფორმითაც ს. ა.-მ აღნიშნული დოკუმენტაცია წარადგინა სასამართლოში;
- სამედიცინო ცენტრს პაციენტ ი. ნ.-ს პერსონალური მონაცემები მისთვის უცნობ პიროვნებაზე, კერძოდ ოჯახის არა წევრ უცხო ან სხვა მესამე პირზე არ გაუცია.

ი. ნ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შესაბამისი განმარტების მიღების მიზნით, 2017 წლის 13 ივნისს ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილი პირი ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა ს. ა.-ს. ამ უკანასკნელმა კი განმარტა, რომ ოჯახური მდგომარეობისგამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას წარმოედგინა შესაბამისი ინფორმაცია და აღნიშნულ ინფორმაციას წარმოადგენდა მოგვიანებით.

2017 წლის 23 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში გაიმართა ი. ნ.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელი და ს. ა.. ს. ა.-მ განმარტა, რომ განმცხადებელი იყო მისი ყოფილი მეუღლე, რომელთანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა, თუმცა ეკლესიური წესის შესაბამისად დაწერილი ჰქონდა ჯვარი და ფლობდა აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს - ჯვრისწერის მოწმობას. მას შემდეგ, რაც მასსა და განმცხადებელს შორის დაიწყო სასამართლო დავა, სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარდგენის მიზნით დაიწყო სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის შეგროვება. თავად განმცხადებლისგან ფლობდა ინფორმაციას, რომ 2013-2014 წლებში მან გარკვეული სახის სამედიცინო გამოკვლევები ჩაიტარა სამედიცინო ცენტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის სექტემბერში წერილობითი განცხადებით

მიმართა სამედიცინო ცენტრს და მოითხოვა განმცხადებლის მიმართ 2013-2014 წლებში ჩატარებული სამედიცინო კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტები. თავდაპირველად, სამედიცინო ცენტრმა აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი განუცხადა, თუმცა ჯვრისწერის მოწმობის წარდგენის შემდეგ, რამდენიმე დღის ვადაში სრულად გადასცა მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ს. ა. -ს განმარტებით, სამედიცინო ცენტრისადმი წარდგენილი განცხადება შედგენილ იქნა მისი ადვოკატების მიერ, რის გამოც იგი არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას განცხადების ტექსტის შინაარსის თაობაზე, არ ახსოვდა განცხადების ტექსტში იყო თუ არა რაიმე სახის მითითება იმის შესახებ, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია სჭირდებოდა სასამართლოში წარსადგენად და იყო თუ არა განმცხადებელი ინფორმირებული მისი სამედიცინო დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე. ს. ა. -ს განმარტებით სამედიცინო ცენტრის მიერ გადაცემული დოკუმენტაცია სრულად წარედგინა სასამართლოს და აღნიშნული დოკუმენტაცია სხვა მიზნით არ გამოუყენებია.

სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელმა ზეპირ განხილვაზე განმარტა, რომ სამედიცინო ცენტრში შემოსული განცხადებების შენახვა მატერიალური ფორმით არ ხდებოდა და ისინი შესაბამის პროგრამაში ინახებოდა ელექტრონული ფორმით (დასკანერებული სახით). დაახლოებით 2016 წლის ნოემბერში სამედიცინო ცენტრის პროგრამულ უზრუნველყოფაზე განხორციელდა კიბერ-თავდასხმა, რის გამოც სამედიცინო ცენტრის პროგრამაში დაცული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მათ შორის ს. ა. -ს მიერ 2016 წლის 14 სექტემბერს წარდგენილი განცხადება განადგურდა. სამედიცინო ცენტრზე განხორციელებულ კიბერ-თავდასხმასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მოცემული მომენტისთვისაც მიმდინარეობს გამოძიება. სამედიცინო ცენტრში მატერიალურად შემოსული განცხადებები რეგისტრირდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში, სწორედ აღნიშნული სარეგისტრაციო ჟურნალის მეშვეობით სამედიცინო ცენტრმა მოიძია ინფორმაცია, რომ 2016 წლის 14 სექტემბერს ს. ა. -მ მოითხოვა განმცხადებლის სამედიცინო დოკუმენტები და აღნიშნულის თაობაზე წარადგინა ჯვრისწერის მოწმობა, რის

საფუძველზეც გაიცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ვინაიდან, აღნიშნული განცხადება განადგურებულია მოცემული მომენტისთვის, სამედიცინო ცენტრისთვის უცნობია განცხადების კონკრეტული ტექსტი. რაც შეეხებოდა თავდაპირველად ინსპექტორის აპარატისთვის არასწორი ინფორმაციის წარდგენას, სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კიბერ-თავდასხმის შედეგად პროგრამაში დაცული ინფორმაციის განადგურების გამო ვერ მოიძიეს კონკრეტული ინფორმაცია განმცხადებლის მონაცემების მესამე პირებისთვის გაცემის თაობაზე. დამატებითი ინფორმაციის, მათ შორის გამჟღავნების თარიღის და გამჟღავნებული დოკუმენტების ასლების მიწოდების შემდეგ კი, შესაძლებლობა მიეცათ შემოსული განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალებში მოექცნათ განმცხადებლის მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ზოგადად, სამედიცინო ცენტრი არ გასცემს სამედიცინო დოკუმენტაციას მესამე პირებზე, თუმცა ხშირად არის შემთხვევა როდესაც, პაციენტი თავად უთითებს, რომ კონკრეტულ სამედიცინო დოკუმენტს, მაგალითად, სამედიცინო კვლევების შედეგს, მოაკითხავს მისი ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში პაციენტის შესახებ დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ აღნიშნულ (პაციენტის მიერ მითითებულ) პირზე. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც პაციენტის ოჯახის წევრი ითხოვს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ოჯახის წევრის აღნიშნული მოთხოვნა კმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო ცენტრს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტი (მაგალითად, დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა) რომლითაც დადასტურდება განცხადების წარმდგენი პირის ნათესაურკავშირი პაციენტთან.

2017 წლის 28 ივნისს სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ განმცხადებლის შემთხვევაში, ვინაიდან პროგრამულ უზრუნველყოფაში დაცული ინფორმაცია განადგურდა, ინფორმაციის გადაცემის აღრიცხვის დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი არის განცხადების სარეგისტრაციო ჟურნალი სადაც აღნიშნულია, რომ ს. ა.-ს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე (რომელსაც თან ერთვოდა

ჯვრისწერის მოწმობა) გადაეცა 2013-2014 წლებში განმცხადებლის მიერ ჩატარებული სამედიცინო კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია. მოცემული მომენტისთვის, ინფორმაციის გაცემა ფიქსირდება სამედიცინო ცენტრის პროგრამაში და ასევე, კიბერ-თავდასხმის შემდეგ, სამედიცინო ცენტრმა დაიწყო პაციენტის შესახებ ინფორმაციის გაცემის ჟურნალის წარმოება, სადაც ფიქსირდება თუ ვის გადაეცა ინფორმაცია, რა სახის ინფორმაციის გაცემა მოხდა, როდის და რა საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემი წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია, როგორც მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის მონაცემთა გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი არის საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

განცხადების განხილვის ფარგლებში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი განმარტებების და დოკუმენტების შესაბამისად დადგენილი გარემოებაა, რომ ს. ა.-მ 2016 წლის 14 სექტემბერს წერილობით მიმართა სამედიცინო ცენტრს და გამოითხოვა ი. ნ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, 2013-2014 წლებში ი. ნ.-ს მიერ ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებული დოკუმენტები, ხოლო სამედიცინო ცენტრმა განცხადების წარდგენიდან რამდენიმე დღის ვადაში მოახდინა აღნიშნული დოკუმენტაციის გაცემა. ამდენად, სამედიცინო ცენტრის მიერ 2016 წლის სექტემბერში ადგილი ჰქონდა განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას მათი ს. ა.-სთვის გადაცემის გზით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისთვის ადგენს სპეციალურ წესებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით დადგენილ შემთხვევებში. აღნიშნული პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია იმ შემთხვევებში, როცა მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის

„ბ“ და „თ“ პუნქტების თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო მომსახურებას, ხოლო სამედიცინო მომსახურება არის დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული ნებისმიერი მანიპულაცია და პროცედურა. ამდენად, სამედიცინო ცენტრი განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ინახავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახეზეა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის, მათ გამჟღავნებასთან

დაკავშირებული საკითხები ასევე დარეგულირებულია

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. ხსენებული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. ამავე კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. ამავე კანონის 28-ე მუხლი კი განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში არის დასაშვები პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში: ა) მიღებულია პაციენტის თანხმობა; ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; გ) სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია; გ¹) ინფორმაცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახშიძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ეს ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად; დ) ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მისი თანხმობის გარეშე არ მოახდინოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის მიწოდება ან/და გასაჯაროება. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი. განსახილველ შემთხვევაში, საქმის განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტების. ა. -სთვის გადაცემის შესახებ ი. ნ. -ს თანხმობის არსებობის ფაქტი არ დასტურდება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამედიცინო ცენტრის მიერ წარმოდგენილი განმარტების თანახმად, სამედიცინო ცენტრში დამკვიდრებული პრაქტიკით, იმ შემთხვევაში თუ სამედიცინო დოკუმენტაციის გამოთხოვა ხდება პაციენტის ნათესავის მიერ, მას მოეთხოვება პაციენტთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელ დოკუმენტის წარდგენა და დამატებით პაციენტის თანხმობის წარდგენას სამედიცინო ცენტრი არ ითხოვს.

საზგასამელია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ასევე, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების შესრულების უზრუნველყოფად სამედიცინო ცენტრი ვალდებული იყო პაციენტის შესახებ ინფორმაცია გაეცა მხოლოდ ი. ნ. -ს თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, ვინაიდან ჯვრისწერის მოწმობის წარდგენა არ წარმოადგენს პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გაცემის საფუძველს. ამდენად, 2016 წლის სექტემბერში სამედიცინო ცენტრის მიერ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირისთვის გადაცემას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია — არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. განცხადების განხილვის ფარგლებში გამოირკვა, რომ სამედიცინო ცენტრმა პაციენტის მონაცემები გასცა 2016 წლის სექტემბერში შესაბამისად ინსპექტორი, სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, სამედიცინო ცენტრს ვერ დააკისრებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია დამმუშავებლის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთადამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამმუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამასთან, კანონის მე-18 მუხლის თანახმად, მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს

ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად, მათი შენახვის ვადის განმავლობაში. ამდენად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობა მონაცემთა დამამუშავებელს ავალდებულებს, მათ შორის, მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვას, კერძოდ, რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. თავის მხრივ, მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა ემსახურება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას მათი უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნებისაგან.

საზგასასმელია, რომ სამედიცინო ცენტრის განმარტების თანახმად, მოცემული მომენტისთვის სამედიცინო ცენტრის მიერ პაციენტთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა ფიქსირდება ელექტრონულ პროგრამაში და ასევე დამატებით აღირიცხება ე.წ. სარეგისტრაციო ჟურნალების მეშვეობით, კერძოდ, ჟურნალში აღირიცხება თუ რა სახის დოკუმენტაცია გაცა, ვისზე, რა სამართლებრივი საფუძვლით და როდის. ამავდროულად, პაციენტის პერსონალური მონაცემების არაუფლებამოსილი პირისთვის გამჟღავნების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, სამედიცინო ცენტრმა მკაფიოდ და ნათლად განსაზღვროს მესამე პირებისათვის პაციენტის პერსონალური მონაცემების გაცემის (მათ შორის, მესამე პირის უფლებამოსილების გადამოწმების) სტანდარტული წესი/პროცედურა და დანერგოს ამ წესის/პროცედურის შესრულების მონიტორინგის შიდაორგანიზაციული მექანიზმები (მაგალითად, პერიოდული მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურა და სხვა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6, მე-17, მე-18, 26-ე, 39-ე 45-ე და 55-ე მუხლის საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ი. ნ.-ს 2017 წლის 24 მარტის № PDP 7 17 00001127 განცხადების განხილვა;
2. შპს „ა“-ს დაევალოს:
 - 2.1 არაუგვიანეს 2017 წლის 05 სექტემბრისა უზრუნველყოს პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მესამე პირებისთვის გაცემის სტანდარტული წესისა და პროცედურის წერილობით შემუშავება. ასევე დანერგოს მათი შესრულების მონიტორინგის შიდაორგანიზაციული მექანიზმები;
 - 2.2 გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს არაუგვიანეს 2017 წლის 11 სექტემბრისა;
3. ეცნობოს განმცხადებელს და შპს „ა“-ს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/378/2018

შპს „ა“-ს შემოწმების დასრულების შესახებ

ქ. თბილისი
28/06/2018

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 12 მარტის №03/48 ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 12 თებერვლიდან 2018 წლის 20 ივნისის ჩათვლით პერიოდში შემოწმდა შპს „ა“-ს (ს/კ *****) (შემდგომში – კომპანია) მიერ ვებგვერდზე – http://****.ge/ საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე პირების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კომპანია წარმოადგენს არბიტრაჟს და განიხილავს კერძო ხასიათის ქონებრივ დავებს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- ვებგვერდი - www.***.ge ფუნქციონირებს 2013 წლიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს კომპანია. აღნიშნულ ვებგვერდზე 2013 წლის ივლისიდან დღემდე ქვეყნდება საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე პირების პერსონალური მონაცემების შემცველი, საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებები (დადგენილება შეიცავს მხარეთა სახელებს, პირად ნომრებს, დავის საგნის შესახებ ინფორმაციას, კორესპონდენციის უშუალოდ ადრესატისთვის ჩაუბარებლობის მიზეზებს და ა.შ.).
- კომპანიის განმარტებით, დადგენილებები ვებგვერდზე ქვეყნდება მხოლოდ იმ საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც კორესპონდენციის ჩაბარება ვერ მოხერხდა ადრესატ(ებ)ისათვის. კერძოდ, თუ საარბიტრაჟო საქმისგანხილვის ფარგლებში მოპასუხეს მინიმუმ ორი მცდელობიდან არცერთხელ არ ჩაჰბარდა საარბიტრაჟო გზავნილი - საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია იურიდიულ/ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, არბიტრი იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება (სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით) იგზავნება ერთხელ და მისი ჩაუბარებლობის შემთხვევაში ასევე ხდება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელება. ამასთან, კომპანიის დირექტორის განმარტებით, ვებგვერდზე - www.***.ge ქვეყნდება დადგენილების სრული ტექსტი, იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად მიღების საშუალება.

- კომპანიის განმარტებით, არბიტრაჟი, დადგენილებათა ვებგვერდზე გამოქვეყნებისას ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კანონით ანმხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში — მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

- შემოწმების ფარგლებში კომპანიის მიერ მოწოდებულ იქნა რამდენიმე საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებით საქმეში დაცული „შეტყობინების ბარათები გზავნილების ჩაბარების შესახებ“, რომლითაც დასტურდება კომპანიის მხრიდან მხარისათვის საარბიტრაჟო გზავნილის – საარბიტრაჟო სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის სულ მცირე ორჯერ გაგზავნის (უშედეგო) მცდელობები.
- გარდა კანონისმიერი ვალდებულებისა, დადგენილებების ვებგვერდზე საჯაროდ განთავსების საფუძვლად კომპანიამ ასევე მიუთითა საარბიტრაჟო წარმოების მხარეთა თანხმობა და ინსპექტირების ფარგლებში ნიმუშის სახით წარმოადგინა ერთ-ერთი ხელშეკრულება, რომლის ** პუნქტის მიხედვით, „მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარისათვის

შეტყობინების/სარჩელის/კორესპონდენციის ჩაბარება, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდება შპს „ს“-ს ვებგვერდზე www.***.ge. ამავე ხელშეკრულების ** პუნქტის მიხედვით, „მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „ა“-ს დებულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს [...] მხარეები ცაცნობილნი არიან აღნიშნულ დებულებას, ეთანხმებიან მას და მისი ხილვა ნებისმიერ დროს შესაძლებელია ვებგვერდზე www.***.ge. ამავე დებულების ** პუნქტის თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების/სარჩელის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება არბიტრაჟის ვებგვერდის - www.***.ge საშუალებით, აღნიშნულ შემთხვევაში უწყება/სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულიად ჩაითვლება ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან მე-7 დღეს.“

- მიუხედავად იმისა, რომ კორესპონდენცია მხარისათვის ჩაბარებულიად ითვლება ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან მე-7 დღეს (რის შესახებაც ასევე მითითებულია კომპანიის დებულებაში), კომპანიის განმარტებით, დადგენილებების ვებგვერდზე განთავსება/შენახვა (7 დღეზე მეტი ვადით) წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც დაიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას გაუქმებისაგან სამომავლოდ გასაჩივრების შემთხვევაში. მისივე განმარტებით, საჯარო პუბლიკაციების ვებგვერდზე არსებობა ემსახურება როგორც მხარეთა, ასევე უშუალოდ კომპანიის კანონიერ ინტერესებს, რათა კომპანიის/არბიტრის კეთილსინდისიერება/მიუკერძოებლობა არ გახდეს სადავო და არ წარმოშვას მისი პასუხისმგებლობის საკითხი.
- შპს „ა“-ს დებულების *-ე მუხლის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით; ამავე დებულების *-ე მუხლის

მიხედვით, მხარეს/მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძველებით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, „ამ კანონის ფარგლებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ერთადერთი საპროცესო საშუალებაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, რაც უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2–მე-5 პუნქტების შესაბამისად“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „მხარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საჩივარი სასამართლოში შეიძლება წარადგინოს ამ გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში“.

- კომპანიის განმარტებით, პრაქტიკაში, მხარემ საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით მისი ჯეროვნად ინფორმირებულობის საკითხი სადავო შეიძლება გახადოს როგორც ზემოაღნიშნული 90 დღის ვადაში, ისე შემდგომში, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების 10 წლიანი ხანდაზმულობის პერიოდში. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ახორციელებენ საქართველოს სააპელაციო სასამართლოები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სწორედ სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. შესაბამისად, მხარეს აქვს სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოცემიდან 10წლიანი ვადა მისი იძულებით აღსასრულებლად მისაქცევად. აღნიშნულის გათვალისწინებით,

კომპანიის დირექტორის განმარტებით, ვინაიდან, კომპანია საჩივრის შესაძლო შეტანის კონკრეტულ ვადას წინასწარ ვერ განსაზღვრავს (შესაძლებელია კრედიტორმა პირობითად 9 წლის შემდგომ დაიწყოს აღსრულების პროცესი, ხოლო მოვალემ სწორედ აღსრულების პროცესის დაწყების შემდგომ გახადოს სადავო არბიტრაჟის მხრიდან საარბიტრაჟო წარმომებასთან დაკავშირებით მისი ჯეროვნად ინფორმირებულობის საკითხი), კომპანია იძულებულია თითოეული დოკუმენტი შეინახოს იმავე ფორმით და უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა იმავე ელექტრონულ მისამართზე, სადაც ის გამოქვეყნდა, რაზეც საარბიტრაჟო საქმის ყველა მხარეს აქვს (ხელშეკრულებით) თანხმობა გაცხადებული.

- „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44–ე და 45–ე მუხლები არეგულირებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურული გამართულობის შემოწმებასაც. კომპანიის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში დადგენილების ვებგვერდზე გამოქვეყნების საკითხი მომდებარებულია მატერიალური ფორმიით დადგენილი დოკუმენტების დათვალიერებით. კომპანიის დირექტორის განმარტებით, არსებობს რისკი, რომ მხარემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე დაიწყოს მტკიცება, რომ იგი არ იყო ინფორმირებული საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ ყველა საჯარო პუბლიკაცია იყოს ამობეჭდილი და ინახებოდეს საქმეში მატერიალური სახით (რაც ასევე კეთდება კომპანიის მიერ), აღნიშნული ვერ იქნება სრულყოფილი დასტური იმისა, რომ პუბლიკაცია საჯაროდ ნამდვილად გავრცელდა და იმ ფაქტის დადასტურება, რომ დადგენილება ნამდვილად გამოქვეყნდა საჯაროდ, კომპანიას შეუძლია მხოლოდ იმგზით, რომ ვებგვერდზე განთავსებული ჰქონდეს დადგენილებები. კომპანიამ ასევე მიუთითა,

რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისათვის შუამდგომლობის სასამართლოში წარმოდგენის ვადა კომპანიის მიერ დადგენილი არ არის, ამასთან, კომპანიას არ მიეწოდება ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც მიექცა აღსასრულებლად. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიის მოსაზრებით, საჯარო პუბლიკაციების განთავსების ფაქტის სხვადასხვა დროს გადამოწმების საჭიროების წარმოშობის პირობებში, საარბიტრაჟო წარმოების მონაწილეობის პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო პუბლიკაციების კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნების ვადების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

- კომპანიის განმარტებით, კომპანიას აქვს ვებგვერდის სრული ადმინისტრირების, მათ

შორის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის წაშლის შესაძლებლობა. კომპანიის განმარტებით, დღიდან არსებობისა, კომპანიისთვის არავის მიუმართავს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის წაშლის მოთხოვნით. ამასთან, საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება არასდროს გამხდარა სადავო იმ მოტივით, რომ საჯარო პუბლიკაცია არ განხორციელებულა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის მიერ დაცული მექანიზმის ეფექტურობას, რომლის მიხედვითაც ხდება დადგენილების როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით შენახვა.

შემოწმების შედეგად დადგენილი სხვა გარემოებები

- შემოწმების ფარგლებში, საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებების ვებგვერდებზე გამოქვეყნების პრაქტიკასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, სასამართლოს ეთხოვა უფლებამოსილი პირის გამოცხადების უზრუნველყოფა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში.
- 2018 წლის 25 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის

აპარატში გაიმართა შეხვედრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლესთან, რა დროსაც მოსამართლემ მიუთითა, რომ საჯარო პუბლიკაციის ვებგვერდზე განთავსებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით, ამასთან, ვინაიდან, კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ყველანაირი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განთავსებიდან მეშვიდე დღეს, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინფორმაციის განთავსების სხვა მიზანი აღარარსებობს და ინფორმაცია ვებგვერდიდან იშლება. მისივე განმარტებით, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების ფაქტი, როგორც წესი, დამტკიცებადია და აღნიშნული წარმოდგენს ტექნიკურ საკითხს. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო პრაქტიკაში ვერ გაიხსენა შემთხვევა, როდესაც საჯარო პუბლიკაციის განთავსება გამხდარიყო სადავო.

- მოსამართლემ ასევე მიუთითა, რომ სასამართლო პრაქტიკაში, საჯარო პუბლიკაციის შემთხვევაში, საქმეში მონაწილე ყველა პირის პერსონალური მონაცემები მიეთითება სრულად, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა სასამართლოში წარმოების შესახებ (როგორც დავის საგნის, ასევე მონაწილე ყველა პირის შესახებ) მიიღოს სრული ინფორმაცია. ამასთან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა- აღსრულების ეტაპზე, მოპასუხე მხარეს ეძლევა განცხადების/პოზიციის წარმოდგენის საშუალება, რა დროსაც ის უფლებამოსილია სადავო გახადოს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-45 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლები (აღნიშნული მუხლები მათ შორის ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს). ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს შეუძლია სადავო გახადოს არბიტრაჟის მხრიდან საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით მისი ჯეროვნად ინფორმირებულობის (მათ შორის

საჯარო პუბლიკაციის განთავსების გზით) საკითხი, შესაბამისი მტკიცებულებ(ებ)ის წარმოდგენა კი მხარეთა პრეროგატივაა.

- მოსამართლემ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის (და სააღსრულებო ფურცლის გაცემის) შემდეგ მხარეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია სადავო გახადოს უშუალოდ კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს განჩინება, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. მოსამართლემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ასეთ დროს შესაძლებელია მხარემ, მათ შორის, სადავო გახადოს არბიტრაჟის მხრიდან მისი ჯეროვნად ინფორმირებულობის საკითხიც და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთი მას ეკისრება. სასამართლოს პოზიციით, არბიტრაჟი უნდა ინახავდეს საარბიტრაჟო საქმისწარმოების მასალებს (მათ შორის საჯარო პუბლიკაციებს), თუმცა ვებგვერდზე განთავსებიდან 7 დღის შემდეგ აღნიშნული პუბლიკაციების ვებგვერდზე დატოვების/ხელმისაწვდომობის აუცილებლობა ვერ განმარტა.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევა

შემოწმების ფარგლებში, 2018 წლის 20 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000608 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კომპანიის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპების დარღვევის ფაქტზე. კომპანიის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ოქმს, თუმცა ახსნა-განმარტება ოქმში არ დაუფიქსირებია.

სამოტივაციო ნაწილი

შპს „ა“-ს მიერ პერსონალური მონაცემების ვებგვერდზე – www.***.ge გასაჯაროების კანონიერება.

შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კომპანია საკუთარ ვებგვერდზე – www.***.ge 2013 წლის ივლისიდან დღემდე აქვეყნებს საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე პირების პერსონალური მონაცემების შემცველი საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებებს (დადგენილება შეიცავს მხარეთა სახელებს, პირად ნომრებს, დავის საგნის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.). გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „კანონი“) მე-2 მუხლის „ა“, „დ“ და „ვ“ პუნქტების თანახმად, სახეზეა პერსონალური მონაცემთა გასაჯაროების გზით დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის შპს „ა“-ს მიერ.

შემოწმების ფარგლებში კომპანია მიუთითებდა, რომ მონაცემების გამოქვეყნება გულისხმობს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, ხორციელდება მონაცემთა სუბიექტების თანხმობით და ემსახურება საარბიტრაჟო განხილვის მხარეების და თავად არბიტრაჟის კანონიერი ინტერესების დაცვას. კანონის მე-5 მუხლის „ა“, „გ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან/და თუ მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ან/და მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის მიერ დადგენილებათა ვებგვერდზე გამოქვეყნებისას გასათვალისწინებელია კორესპონდენციის ჩაბარების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები. აღნიშნული კანონის 26-ე და 27-ე მუხლების, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 33-ე მუხლის შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საარბიტრაჟო მოპასუხე წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ ამ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მხარეებს ჩაჰბარდებათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამასთან, კომპანიის ვებგვერდზე საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებები ქვეყნდება მხოლოდ იმ საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც კორესპონდენციის ჩაბარება ვერ მოხერხდა უშუალოდ საარბიტრაჟო წარმოების მოპასუხისთვის. როგორც აღინიშნა, დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღება საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია, საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენა კი მხარის მნიშვნელოვანი

კანონიერი ინტერესია, რაც საარბიტრაჟო დავის დაწყების და სარჩელის შესახებ ინფორმაციის მიღების გარეშე ვერ დაკმაყოფილდება. ამასთან, როგორც შემოწმების ფარგლებში გამოირკვა, კომპანიით, როგორც დავის განმხილველი არბიტრით დაინტერესებული პირები აცხადებენ თანხმობას საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების გამოქვეყნებაზე. კერძოდ, ინსპექტირების ფარგლებში ნიმუშის სახით კომპანიამ წარმოადგინა ერთ-ერთი ხელშეკრულება, რომლის *** პუნქტის მიხედვით, „მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შეტყობინების/სარჩელის/კორესპონდენციის ჩაბარება, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდება შპს „ა“-ს ვებგვერდზე www.***.ge. ამავე ხელშეკრულების *** პუნქტის თანახმად, „მხარეები თანხმდებიან, რომ შპს „ა“-ს დებულება წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს [...] მხარეები გაცნობილნი არიან აღნიშნულ დებულებას, ეთანხმებიან მასდა მისი ხილვა ნებისმიერ დროს შესაძლებელია ვებგვერდზე www.***.ge.“ ამავე დებულების ** პუნქტის მიხედვით, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების/სარჩელის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება არბიტრაჟის ვებგვერდის საშუალებით www.***.ge.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებების საკუთარ ვებგვერდზე - www.***.ge გამოქვეყნების მე-5 მუხლის „ა“, „გ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები სახეზეა, თუმცა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების კანონიერებისთვის აუცილებელია

როგორც დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა, ასევე მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვაც. კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, პერსონალური მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან ავტომატიზირებულ დამუშავებას დაცული უნდა იყოს იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები. კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტების თანახმად კი, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუმეგებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი; მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის ვებგვერდზე პერსონალური მონაცემების შემცველი საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებები ქვეყნდება განუსაზღვრელი ვადით. დადგენილება ქვეყნდება შეტყობინების უშუალოდ მოპასუხის მიერ ჩაუბარებლობისას და გამოქვეყნებული რჩება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა გასულია თუ არა ჩაბარების 7 დღიანი ვადა, წარმოადგინა თუ არა საარბიტრაჟო შესაგებელი მხარემ, დასრულდა თუ არა დავა და ა.შ. კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი დადგენილებების ვებგვერდზე – www.***.ge არსებულიწესითა და პირობებით გამოქვეყნება არ შეესაბამება კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს. კერძოდ, როგორც აღინიშნა, კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტების

საფუძველზე, კომპანია ვალდებულია მონაცემები დაამუშავოს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის და მიზნის პროპორციული მოცულობით. აღნიშნული მიზნის მიღწევის შემდეგ კი მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. მოცემულ შემთხვევაში, გარკვეული გარემოებების დადგომისას მონაცემთა გამოქვეყნების კანონიერი მიზანი (მხარის ინფორმირება, გზავნილის ჩაბარება) მიიღწევა, თუმცა მონაცემების გამოქვეყნებისას კომპანია აღნიშნულს არ ითვალისწინებს. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე, კომპანიის დებულების ** პუნქტის შესაბამისად, უწყება/სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულად ჩათვლება ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან მე-7 დღეს. ამდენად, დადგენილების გამოქვეყნების საპროცესო-სამართლებრივი მიზანი მიღწეულია მისი გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. აღნიშნული ვადის გასვლასთან ერთად კომპანიის კანონიერი მიზანი – შეტყობინება მხარისთვის ჩაბარებულად ჩათვალს და დაიწყოს საარბიტრაჟო წარმოება – მიღწეულია.

ვერ იქნება გაზიარებული კომპანიის არგუმენტაცია, რომ დადგენილებების ვებგვერდზე განთავსება 7 (შვიდი) დღეზე მეტი ვადით წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც დაიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას გაუქმებისაგან სამომავლოდ გასაჩივრების შემთხვევაში, ვინაიდან, საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებით მხარემ მისი ჯეროვნად ინფორმირებულობის საკითხი შესაძლოა სადავო გახადოს. საგულისხმოა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება არბიტრაჟის მიერ დადგენილი წესით. ამდენად, კომპანიის საარბიტრაჟო განხილვას ექვემდებარებიან მხარეები, რომლებიც ეცნობიან და ეთანხმებიან კომპანიის დებულებას საარბიტრაჟო განხილვის წესების შესახებ. აღნიშნული დებულება ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით

გამოქვეყნებულია კომპანიის ვებგვერდზე და უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული დებულების მე-^{*} პუნქტში კი ნათლად არის ჩამოყალიბებული დადგენილების საჯაროდ გამოქვეყნების წესი და პირობები. ამდენად, მხარისთვის წინასწარვე ცნობილია შეტყობინების ჩაბარების აღნიშნული წესი, თავის მხრივ, აღნიშნული სახელშეკრულებო რეგულაციაც ადასტურებს კომპანიის მიერ კორესპონდენციის არსებული წესით ჩაბარებას. ამასთან, კომპანია დამატებით ინახავს ყველა საჯარო პუბლიკაციას ამობეჭდილი სახით, რაც ასევე ადასტურებს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების ფაქტს. პუბლიკაციის საჯაროდ გავრცელების ფაქტის დადასტურება არ საჭიროებს მონაცემთა განუსაზღვრელი ვადით გასაჯაროებას. ამასთან, კონკრეტული დადგენილების გამოქვეყნების ფაქტის დადასტურება შესაძლებელია გამოქვეყნებული დადგენილების დეპერსონალიზების შემდგომაც, მხოლოდ საქმის ნომრის მეშვეობითაც. ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს გამოქვეყნების ფაქტის დადასტურების სხვა მექანიზმებიც, მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, ნოტარიუსის ან სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატირების სერვისის გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემოწმების ფარგლებში, საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებების ვებგვერდებზე გამოქვეყნების პრაქტიკასთან დაკავშირებით მოსაზრებები ეთხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოსაც. სასამართლოს პოზიციით, საჯარო პუბლიკაციის ვებგვერდზე განთავსებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით, ამასთან, ვინაიდან კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე ყველანაირი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განთავსებიდან მეშვიდე დღეს, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინფორმაციის განთავსების სხვა მიზანი აღარ არსებობს და ინფორმაცია ვებგვერდიდან იშლება. განსახილველ შემთხვევაშიც, დადგენილების კომპანიის ვებგვერდზე განთავსებიდან

7 დღის შემდეგ აღნიშნული პუბლიკაციების ვებგვერდზე განუსაზღვრელი

ვადით დატოვების/ხელმისაწვდომობის აუცილებლობა არ იკვეთება.

ამდენად, განხილულ შემთხვევებში, „პერსონალური მონაცემების ავტომატურდამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის „ე“ და

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტების გათვალისწინებით, კომპანიის ვებგვერდზე – www.***.ge პერსონალური მონაცემების შემცველი საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებების განუსაზღვრელი ვადით გასაჯაროება არ არის საჭირო და აუცილებელი კომპანიის კანონიერი მიზნის მისაღწევად და არღვევს მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრულ პრინციპებს, რაც წარმოადგენს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და კომპანიისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. პასუხისმგებლობის კონკრეტული ფორმის განსაზღვრისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე და 264-ე მუხლების საფუძველზე ითვალისწინებს ჩადენილი დარღვევის ხასიათს (დამუშავებული მონაცემების მოცულობას) და მიზანშეწონილად მიიჩნევს ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, 27-ე, 35-ე, 39-ე, 44-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმი №0000608;

2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ ანგარიშის ნომერი 302003242;

3. დაევალოს შპს „ა“-ს არაუგვიანეს 2018 წლის 01 აგვისტოსი:

3.1. შეაფასოს და განსაზღვროს თუ რა ვადით და რა მოცულობით არის საჭირო პერსონალური მონაცემების შემცველი საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებების მის კუთვნილ ვებგვერდზე - www.***.ge გამოქვეყნება შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;

3.2. უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ არსებული მდგომარეობით გასაჯაროებული მონაცემების წაშლა ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით დამუშავება;

3.3. გატარებული ღონისძიებების შესახებ წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

4. შპს „ა“-ს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/420/2018

გ. ა.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

20/07/2018

განმცხადებელი: გ. ა. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: შპს „ა“-ს (ს/კ *****) შემდგომში - „კომპანია“ მიერ განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2018 წლის 26 აპრილს №PDP 2 18 00001806 განცხადებით მომართა გ. ა.-მ. განმცხადებლის მითითებით, 2017 წლის 31 აგვისტოს ესთეტიკური მომსახურების მიღების მიზნით იმყოფებოდა შპს „ა“-ს მფლობელობაში არსებულ სალონში. პროცედურის დაწყებისას კომპანიის თანამშრომელმა – ნ. ა.-მ განუმარტა, რომ სოციალურ ქსელ – „Facebook“-ის მეშვეობით განახორციელდა მისი მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოჩანაწერას (ე.წ. „Facebook live“-ს), თუმცა არ შეინახავდა მას. განმცხადებელი დათანხმდა მისი მომსახურების პროცესის ვიდეოჩანაწერას. პროცედურის დასრულების შემდგომ კი კომპანიის თანამშრომელი განმცხადებელს შეჰპირდა, რომ წაშლიდა ვიდეოჩანაწერს. განმცხადებლის მითითებით, მიუხედავად ამისა, კომპანიის

„Facebook“ გვერდზე მიმდინარე რეჟიმში განთავსებულია მისი ესთეტიკური მომსახურების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 21 აპრილს მის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრიდან – 5*** ** ** * სატელეფონო ნომერზე – 5*** ** ** * ესაუბრა კომპანიის თანამშრომელს – მ. ნ.-ს და მოითხოვა მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდიდან მოხსნა, რაზეც ამუკანასკნელმჯარი განუცხადა. განმცხადებელმა კომპანიას 2018 წლის 22 აპრილს იგივე მოთხოვნით მიმართა „Facebook“-ის საშუალებით, თუმცა კვლავ უშედეგოდ. გ. ა.-ს მითითებით, ვიდეოჩანაწერის კომპანიის „Facebook“ გვერდზე გასაჯაროებით ხდებოდა მისი რეპუტაციის შელახვა და მოითხოვა აღნიშნულზე რეაგირება.

განცხადებაზე მტკიცებულების სახით დართული იყო კომპანიის „Facebook“-ის გვერდზე ვიდეოჩანაწერის განთავსების დამადასტურებელი ფოტომასალა, რის საფუძველზეც ირკვევა,

რომ განმცხადებლის მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოჩანაწერა განხორციელდა 2017 წლის ** აგვისტოს და ვიდეოჩანაწერი ზემოაღნიშნულ გვერდზე განთავსებული იყო 2018 წლის 24 აპრილის მდგომარეობითაც. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი „Facebook“-ზე მიმოწერის ამსახველი ფოტომასალით კირკვევა, რომ 2018 წლის 22 აპრილს გ. ა.-სა და კომპანიას შორის განიხილებოდა ესთეტიკური მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიები (განმცხადებელი თხოვდა თანხის დაბრუნებას დამომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითრებს, ასევე მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაუყოვნებლივ აღებას). აღნიშნული საუბრის ფარგლებში გ. ა.-მ ორჯერ დააფიქსირა მოთხოვნა კომპანიის „Facebook“ გვერდიდან მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაუყოვნებლივ აღების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, აპარატის მიერ 2018 წლის 01 და 25 მაისს გადამოწმდა კომპანიის სოციალური ქსელის - „Facebook“ გვერდი, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ აღნიშნულ გვერდზე 2017 წლის ** აგვისტოს განთავსდა და გადამოწმების მომენტისთვისაც განთავსებული იყო განმცხადებლის მიერ მითითებული ვიდეოჩანაწერი. სსენებულ ვიდეოჩანაწერში ასახულია განმცხადებლისთვის ესთეტიკური მომსახურების გაწევის პროცესი, რომლის ფარგლებში ე.წ. „Facebook live“-ის განმახორციელებელი პირი განმცხადებლის თანდასწრებით პასუხობს სოციალური ქსელის მომხმარებლების კითხვებს და ასევე აღნიშნავს, თუ რამდენი მომხმარებელი უყურებს ვიდეოს. ამასთან, „Facebook“-ის მომხმარებლებს მიმართავს და კონკრეტული მომსახურების თაობაზე ინფორმაციას აწვდის თავად მომსახურების გამწევი თანამშრომელიც. ამავე ჩანაწერით ირკვევა, რომ გ. ა. ინფორმირებული იყო მისი მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოჩანაწერასთან დაკავშირებით, რადგან კომპანიის თანამშრომლები მისთვის გასაგებად განიხილავდნენ სოციალური ქსელის მომხმარებლების მიერ დასმულ

კითხვებს. ვიდეოჩანაწერი არის მაღალი გარჩევადობის და განმცხადებლის სახე ფიქსირდება ახლო მანძილიდან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 30 აპრილის №გ-1/255/2018 გადაწყვეტილებით გ. ა.-ს განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და აპარატის 2018 წლის 03 მაისის №PDP 2 18 00001923 წერილით შპს „ა“-ს მოეთხოვა განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაციის წარმოდგენა არაუგვიანეს 2018 წლის 11 მაისისა. აპარატის წერილი კომპანიას ჩაბარდა 2018 წლის 14 მაისს, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიას აპარატისთვის არ წარმოდგენია. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2018 წლის 25 მაისის №PDP 1 18 00002264 წერილით შპს „ა“-ს

ხელმეორედ მოეთხოვა 2018 წლის 03 მაისის №PDP 2 18 00001923 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა, ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენლობის მიზეზების მითითებით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2018 წლის 01 ივნისისა (აპარატის 2018 წლის 25 მაისის წერილი კომპანიას ჩაბარდა 2018 წლის 13 ივნისს). პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 25 მაისის №გ-1/299/2018 გადაწყვეტილებით კი განცხადების განხილვა შეჩერდა მოთხოვნილი ინფორმაციის სრულადწარმოდგენამდე.

2018 წლის 29 მაისს გ. ა.-მ აპარატის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით განმარტა, რომ კომპანიის „Facebook“ გვერდზე განთავსებული მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერი 2017 წლის ** აგვისტოს ლ. მ.-მ (კომპანიის თანამშრომელი, რომელმაც განახორციელა განმცხადებლის რეალურ დროში ვიდეოჩანაწერა) გააზიარა „Facebook“-ში არსებულ სხვა გვერდზე. განმცხადებელმა წარმოადგინა აღნიშნული ფაქტის ამსახველი ფოტომასალაც. აპარატის მიერ 2018 წლის 06 ივნისს მითითებული გვერდის გადამოწმების შედეგად გამოირკვა, რომ მასზე 2017 წლის ** აგვისტოს ლ. მ.-ს პირადი

„Facebook“ გვერდიდან გაზიარებულია განმცხადებლის მომსახურების პროცესის ამსახველი ე.წ. „Facebook live“.

კომპანიამ აპარატში 2018 წლის 18 ივნისს წარმოდგენილი №PDP 9 18 00002578 საპასუხო წერილითა და 2018 წლის 06 ივლისს აპარატში გამართული ზეპირი განხილვის სხდომამზე (რომელსაც ესწრებოდა კომპანიის დირექტორი – ნ. ა. და თანამშრომელი – მ. ნ.) განმარტა შემდეგი:

- განმცხადებელი 2017 წლის ** აგვისტოს ესთეტიკური მომსახურების მიღების მიზნით იმყოფებოდა კომპანიის სალონში. კომპანიის დირექტორმა – ნ. ა.-მ (რომელიც უშუალოდ უწევდა მომსახურებას) პროცედურის დაწყებამდე გ. ა.-ს შესთავაზა მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოგადაღება (ე.წ. „Facebook live“), რაზეც ამ უკანასკნელმა თანხმობა განუცხადა. განმცხადებელს არც პროცედურის დასრულების შემდგომ მოუთხოვია მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის წაშლა და ამდენად, კომპანიის დირექტორსაც არ მიუცია მისთვის ჩანაწერის წაშლის პირობა;
- 2017 წლის ** აგვისტოს განმცხადებლის მომსახურების რეალურ დროში ვიდეოჩანაწერა განხორციელდა მისივე თანხმობის საფუძველზე, რაც დასტურდება თავად ვიდეოჩანაწერთაც. ამასთან, კომპანია ზოგადად მომსახურების რეალურ დროში ვიდეოჩანაწერას ახორციელებს მხოლოდ მომხმარებლების თანხმობის შემთხვევაში და მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ გააჩნია. კომპანიამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმცხადებლის მომსახურების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი;
- მონაცემების გასაჯაროების მიზანს წარმოადგენს სოციალური ქსელის მომხმარებლების ინფორმირება კომპანიის სალონში კონკრეტული პროცედურის (ე.წ. „მიკრობლეიდიზგის“) ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე. მომხმარებლები მიმდინარე რეჟიმში აკვირდებიან მომსახურების გაწევის პროცესს. კომპანია კი პასუხობს მათ შეკითხვებს და ამ გზით ახდენს კონკრეტული პროცედურით დაინტერესებული პირების ინფორმირებას;
- 2017 წლის ** აგვისტოს განმცხადებლის მომსახურების რეალურ დროში ვიდეოჩანაწერა შპს „ა“-ს დავალებითა და კომპანიის

„Facebook“-ის საშუალებით განახორციელა ლ. მ.-მ. აღნიშნული ჩანაწერი განთავსებული იყო მხოლოდ კომპანიის გვერდზე, თუმცა ხელმისაწვდომი იყო სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლებისთვის. კომპანიის ლ. მ.-სთვის არ დაუვალება „Facebook“-ის სხვა გვერდებზე ვიდეოჩანაწერის გაზიარება. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელმა, როგორც სოციალური ქსელის მომხმარებელმა, პირადი „Facebook“ გვერდის მეშვეობით თავად გააზიარა სხვა გვერდზე განმცხადებლის მონაცემების ამსახველი ე.წ. „Facebook live“. ლ. მ. არ არის შპს „ა“-ს თანამშრომელი და კომპანიასთან კავშირი აღარ გააჩნია;

- განმცხადებლის მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერი კომპანიის „Facebook“ გვერდზე განთავსებული იყო 2017 წლის ** აგვისტოდან, თუმცა მას აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ განუცხადებია. 2018 წლის 21 აპრილს კი განმცხადებელი გაურკვეველი პრეტენზიებით ნამდვილად დაუკავშირდა კომპანიის თანამშრომელს - მ. ნ.-ს. ვინაიდან, სატელეფონო საუბრის ფარგლებში განმცხადებელი საუბრობდა აგრესიული ტონით, იყო აღელვებულ მდგომარეობაში და ბუნდოვანი იყო მის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიები, მ. ნ.-მ საკითხის გარკვევის მიზნით მას შესთავაზა სალონში მისვლა. კომპანიაში არ არის დაცული აღნიშნული საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერი, თუმცა განმცხადებელს ამ საუბრის ფარგლებში მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა არ მოუთხოვია;
- 2018 წლის 22 აპრილს განმცხადებელმა „Facebook“-ის მეშვეობით კომპანიას მიმართა სხვადასხვა პრეტენზიებით (მათ შორის, ითხოვდა მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნებას, თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრების მიწოდებას, ასევე „Facebook“-ის გვერდიდან მისი ვიდეოჩანაწერის აღებას). კომპანიამ ნამდვილად მიიღო განმცხადებლის მოთხოვნა მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა შპს „ა“-ს აღნიშნულზე რეაგირება არ მოუხდენია. ვინაიდან, გ. ა.-ს მიერ დაფიქსირებული

პრეტენზია შეეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, კომპანიის დირექტორმა ვერ მოახდინა იდენტიფიცირება, თუ რომელი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვდა განმცხადებელი და არც მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე დაფიქსირებული მოთხოვნა მიიჩნია სერიოზულად. კომპანიამ განმცხადებლის მომსახურების პროცესის ამსახველი ვიდეორჩანაწერი მისი „Facebook“-ის გვერდიდან წაშალა 2018 წლის ** ივნისს;

- ნ. ა. არის კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელმაც მისი ოჯახის წევრის მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ უზრუნველყო აპარატის წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ფაქტის დადასტურების მიზნით წარმოდგენილ იქნა 2018 წლის მარტიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში კომპანიის დირექტორის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ცნობები.

ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილი პირის მიერ დამატებით გადამოწმდა როგორც კომპანიის „Facebook“-ის გვერდი, ასევე „Facebook“-ში არსებული გვერდი, რომელზეც ლ. მ.-მ გააზიარა ვიდეორჩანაწერი. აღნიშნულის საფუძველზე კი დადგინდა, რომ არც ერთ ზემოხსენებულ გვერდზე აღარ არის განთავსებული განმცხადებლის მომსახურების პროცესის ამსახველი ვიდეორჩანაწერი.

კომპანიის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, 2018 წლის 06 ივლისს ინსპექტორის უფლებამოსილი პირის მიერ შედგა №0000620 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომპანიის დირექტორმა. ახსნა-განმარტების სახით კი მიუთითა, რომ კომპანიის მხრიდან მსგავს ფაქტს პირველად ჰქონდა ადგილი და ითხოვა სანქციის გამოყენებისას აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმჯელა კომპანიის მიერ განმცხადებლის მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციითა და მტკიცებულებებით, კომპანიის მიერ 2018 წლის 18 ივნისს წარმოდგენილი №PDP 9 18 00002578 წერილითა და 2018 წლის 06 ივლისს გამართული ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებებით დგინდება, რომ შპს „ა“-მ 2017 წლის ** აგვისტოს კომპანიის

„Facebook“-ის საშუალებით განახორციელა განმცხადებლის მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოჩაწერა. აღნიშნული ვიდეოჩაწერი კომპანიის „Facebook“ გვერდზე ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსებული იყო 2018 წლის ** ივნისამდე. შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის

„ა“, „დ“, „ვ“ და „ი“ პუნქტების შესაბამისად, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის - განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის - შპს „ა“-ს მიერ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია ამავე მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას. ამგვარ საფუძვლებს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; მონაცემთა დამუშავების საჭიროება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი და ა.შ.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კომპანიის მიერ 2018 წლის 18 ივნისს წარმოდგენილი №PDP 9 18 00002578 წერილით, 2018 წლის 06 ივლისს გამართული ზეპირი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებებითა და კომპანიის

„Facebook“-ის გვერდზე განთავსებული განმცხადებლის მონაცემების ამსახველი ვიდეორეგისტრაციის დათვალიერების შედეგად გამოირკვევა, რომ შპს „ა“-მ 2017 წლის ** აგვისტოს განმცხადებლის თანხმობის საფუძველზე განახორციელა მისი მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეორეგისტრაცია. ამდენად, 2017 წლის ** აგვისტოს კომპანიის მიერ განმცხადებლის მონაცემების დამუშავებას ადგილი ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე.

გემოაღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერ ვეიცემულ თანხმობაზე დამოთხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დამტკიცებულებებით, ასევე შპს „ა“-ს მიერ წარმოდგენილი განმარტებებით დგინდება, რომ განმცხადებელმა 2018 წლის 22 აპრილს „Facebook“-ის საშუალებით მიმართა კომპანიას და მოსთხოვა მის შესახებ მონაცემების დამუშავების შეწყვეტა. შპს „ა“-მ დაადასტურა, რომ ნამდვილად მიიღო განმცხადებლის მოთხოვნა მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე, თუმცა აღნიშნულზე რეაგირება არ

მოუხდენია. კომპანიის განმარტებით, გ. ა.-ს მიერ 2018 წლის 22 აპრილს დაფიქსირებული პრეტენზიები შეეხებოდა განსხვავებულ საკითხებს და ვერ მოახდინა იდენტიფიცირება, თუ რომელი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვდა მომხმარებელი. მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნა კი კომპანიამ არ მიიჩნია სერიოზულად. აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან გ. ა.-ს მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით ცალსახად ირკვევა, რომ განმცხადებელმა 2018 წლის 22 აპრილს კომპანიას ორჯერ მოსთხოვა კომპანიის „Facebook“ გვერდიდან მისი მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაუყოვნებლივ აღება. შესაბამისად, შპს „ა“ ვალდებული იყო მონაცემების დამუშავების შეწყვეტის თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა მისი წარდგენიდან 05 დღის ვადაში.

განცხადების განხილვის ფარგლებში შპს „ა“-ს მიერ წარმოდგენილი განმარტებით, ზოგადად მისი მომხმარებლების, მათ შორის განმცხადებლის მონაცემების კომპანიის „Facebook“-ის გვერდზე ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით გასაჯაროების საფუძველია მხოლოდ მომხმარებლების თანხმობა და მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივსაფუძველი კომპანიას არ აქვს. კომპანიამ კი განმცხადებლის მომსახურების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მისი „Facebook“-ის გვერდიდან წაშალა მხოლოდ 2018 წლის ** ივნისს. შპს „ა“ განმცხადებლის მონაცემების ამსახველი ჩანაწერის დამუშავების სამართლებრივ საფუძველად განიხილა ვადა მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, რომელიც 2018 წლის 22 აპრილს გაიხმო განმცხადებელმა. შესაბამისად, კომპანია ვალდებული იყო არაუგვიანეს 2018 წლის 27 აპრილისა შეეწყვიტა განმცხადებლის მონაცემების დამუშავება და „Facebook“ გვერდიდან წაეშალა გ. ა.-ს მონაცემების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. ამის მიუხედავად კი, შპს „ა“ 2018 წლის

** ივნისამდე კვლავ ამუშავებდა განმცხადებლის მონაცემებს, რისთვისაც არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, კომპანიის მიერ განმცხადებლის მონაცემები 2018

წლის ** ივნისამდე მუშავდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის დარღვევით, რაც ამავე კანონის 43-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ვინაიდან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას ინსპექტორი ითვალისწინებს, რომ შპს „ა“ წარსულში არ ყოფილა ცნობილი სამართალდამრღვევად, ასევე თავად უზრუნველყო განმცხადებლების მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერის კომპანიის „Facebook“-ის გვერდიდან წაშლა და მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება წარმოადგენს ადეკვატურ და საკმარის ღონისძიებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 25-ე, 27-ე, 34-ე, 39-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ა“ (ს/კ *****) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე

მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000620;

2. დასრულდეს გ. ა.-ს 2018 წლის 26 აპრილის №PDP 2 18 00001806 განცხადების განხილვა;

3. განმცხადებელს და შპს „ა“-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

4. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/575/2018

ი. ბ.-ს განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი

17/10/2018

განმცხადებელი: ი. ბ. (პ/ნ *****)

მოთხოვნა: განმცხადებლის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების და ადვოკატლ. მ.-ს (პ/ნ *****) მიერ განმცხადებლის ვიდეოგადაღების კანონიერების შესწავლა.

აღწერილობითი ნაწილი

2018 წლის 23 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №PDP 6 18 00000748 განცხადებით მომართა ი. ბ.-მ. განმცხადებლის განმარტებით, ამა წლის 11 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს პროცესზე მისი მოწინააღმდეგე მხარის (ყოფილი მეუღლის) ადვოკატმა

ლ. მ.-მ (სსიპ – ადვოკატთა ასოციაციის მიერ ვებგვერდზე – www.gba.ge გამოქვეყნებული მონაცემებით, ლ. მ. რეგისტრირებულია მოქმედ ადვოკატთა სიაში) იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ სსიპ – შემოსავლების სამსახურიდან გამოეთხოვათ განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. არგუმენტად ადვოკატმა მიუთითა განმცხადებლის შემოსავლების ზრდა, კერძოდ, ადვოკატმა სხდომაზე გაამჟღავნა განმცხადებლის 2016 წლის ივლისიდან 2018 წლის იანვრის ჩათვლით დამსაქმებელი კომპანიებისგან – სს „ა“ (ხელფასი ერიცხებოდა სს „ბ“-ში) და შპს „გ“ (ხელფასი ერიცხებოდა სს

„დ“-ში) მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ადვოკატს აღნიშნული ინფორმაცია თან ჰქონდა ცხრილის სახით. განმცხადებლის მითითებით, გამჟღავნებული ინფორმაცია სრული სიზუსტით ემთხვეოდა შემოსავლების სამსახურში დაცულ მონაცემებს და მისი ვარაუდით სწორედ აღნიშნულმა სამსახურმა გასცა ინფორმაცია. განმცხადებლის მითითებით, აღნიშნული ინფორმაცია მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომი მას არ გაუხდია, შესაბამისად, არც ადვოკატისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი.

განცხადებამაში ასევე მითითებულია, რომ 2017 წლის 04 თებერვალს, როდესაც განმცხადებელი შეხვდა მის არასრულწლოვან შვილს, ადვოკატი ლ. მ. უკანონოდ უთვალთვალებდა მას (მათ შორის, პირადი ტელეფონის მეშვეობით ვიდეოგადაღების გზით) სხვადასხვა ლოკაციიდან და დროს. განცხადებას ერთვოდა ადვოკატის მინდობილობა (მინდობილობის შესაბამისად, ადვოკატი 2016 წლის ნოემბრიდან წარმოადგენს განმცხადებლის ყოფილი მეუღლის ინტერესებს, ამასთან, მინდობილობა ძალაშია 2019 წლის ** ნოემბრის ჩათვლით); 2018 წლის ** იანვრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერი, ადვოკატის 2018 წლის ** იანვრის წერილობითი შუამდგომლობა; 2017 წლის 04 თებერვალს გადაღებული ადვოკატის 3 ფოტოსურათი; სასამართლო სხდომის დარბაზში გადაღებული ადვოკატის ფოტო; განმცხადებლის 2018 წლის ** იანვრის წერილი სსიპ – შემოსავლების სამსახურისადმი და შემოსავლების სამსახურის 2018 წლის **

თებერვლის საპასუხო წერილი. 2018 წლის 01 და 02 მარტს განმცხადებელმა დამატებით წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის 2018 წლის ** იანვრის წერილი სასამართლოსადმი და სააპელაციო საჩივრის პირველი ფურცელი, სადაც მხარეებამ მითითებულნი არიან განმცხადებელი და მისი ყოფილი მეუღლე, რომლის წარმომადგენელია ადვოკატი ლ.მ. აღნიშნული დოკუმენტებით ირკვევა შემდეგი:

- 2018 წლის ** იანვრის სხდომის აუდიოჩანაწერის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო დავაზე (განმცხადებელსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის, მათ შორის ალიმენტის დაკისრების საკითხზე) გაიმართა სხდომა, სადაც განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი იყო ადვოკატი ლ.მ. სხდომაზე ადვოკატმა წერილობით იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოითხოვა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვა, ამასთან, ზეპირსიტყვიერად განუმარტა სასამართლოს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურში ფიქსირდება განმცხადებლის მიერ გადასახადების გადახდისშესახებ მონაცემები, ვერ დაასახელებს ინფორმაციის წყაროს, რადგან ის მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა შეუძლია დაასახელოს განმცხადებლის კონკრეტული შემოსავლები, მაგალითად, სს „ა“-დან ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი. ადვოკატმა დაასახელა რამდენიმე თვის ხელფასის და გადასახადის ბუსტი ოდენობები (2016 წლის ივლისში – 1*** ლარი, გადასახადი – 2*** ლარი; 2016 წლის აგვისტოში – 1*** ლარი; 2016 წლის დეკემბერში – 2*** ლარი), ამასთან განაცხადა, რომ არაოფიციალური ფორმით აქვს ცხრილის სახით ეს ინფორმაცია. აღნიშნული ცხრილი სასამართლომ სხდომაზე არ დაუშვა როგორც მტკიცებულება, ვინაიდან არ იყო ოფიციალური დოკუმენტი და სათანადო ფორმით წარმოდგენილი.
- 2018 წლის ** იანვარს სასამართლომ მიმართა შემოსავლების

სამსახურს და მოითხოვა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. 2018 წლის ** იანვარს შემოსავლების სამსახურმა სასამართლოს წერილობით მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებლის 2016 წლის 01 ივნისიდან 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით შემოსავლების შესახებ, კერძოდ, სს „ა“-დან და შპს „გ“-დან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, სს „ა“-დან 2016 წლის ივლისში განმცხადებელს ხელფასის სახით მიღებული აქვს - 1**** ლარი, გადასახადი - 2** ლარი; 2016 წლის აგვისტოში - 1*** ლარი; 2016 წლის დეკემბერში - 2*** ლარი).

- 2018 წლის ** იანვარს განმცხადებელმა წერილობით მიმართა სსიპ - შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში მესამე პირზე გაიცა თუ არა მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. შემოსავლების სამსახურმა 2018 წლის ** თებერვალს საპასუხო წერილით განუმარტა განმცხადებელს, რომ 2017 წლის იანვრიდან 2018 წლის 24 იანვრის ჩათვლით სამსახურის ელექტრონული დოკუმენტების პროგრამაში მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გაცემა არ იქნებოდა. ამასთან, სამსახურის გადახდების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში არ არსებობს ელექტრონული განცხადება, რომლითაც მესამე პირი მოითხოვს ინფორმაციას სხვა ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ.
- განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფოტოსურათებზე გამოსახული ადვოკატი, ერთ შემთხვევაში მას ხელთ აქვს ტელეფონი იმგვარად, რომ შესაძლოა ახორციელებდეს ფოტო/ვიდეო გადაღებას. რაც შეეხება სასამართლო სხდომის დარბაზში გადაღებული ადვოკატის ფოტოს, მასზე გამოსახულნი არიან მოსამართლეები, მხარეები, მათ შორის ადვოკატი, რომელსაც ხელში უჭირავს ფურცელი, სადაც გამოსახულია ცხრილი, თუმცა კონკრეტულად რა მონაცემები ცხრილში მითითებული არ არის იდენტიფიცირებადი/გარჩევადი.

2018 წლის 28 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №გ-1/116/2018 გადაწყვეტილებით №PDP 6 18 00000748 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და აპარატის 2018 წლის 01 მარტის №PDP 9 18 00000868, №PDP 0 18 00000869, №PDP 8 18 00000876, 15 მარტის №PDP 0 18 00001138, №PDP 1 18 00001139, №PDP 3 18 00001140, №PDP 4 18 00001141,

№PDP 5 18 00001142 წერილებით განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენა მოეთხოვა განმცხადებელს, სსიპ – შემოსავლების სამსახურს, ადვოკატს, სს „ა“-ს, სს „ბ“-ს, შპს „გ“-ს და სს „დ“-ს.

2018 წლის 13, 20 მარტს და 15 მაისს აპარატში წარმოდგენილი №PDP 9 18 00001056, №PDP 3 18

00001348 და №PDP 5 18 00002141 წერილებით შემოსავლების სამსახურმა განმარტა შემდეგი:

- შემოსავლების სამსახური ახორციელებს დამსაქმებლის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი მონაცემების დამუშავებას, რაც იძლევა შესაძლებლობას, პირადი ნომრის ან/და სახელისა და გვარის მიხედვით მოძიებულ იქნას ინფორმაცია ფიზიკური პირის მიერ კონკრეტულ პერიოდში მიღებული შემოსავლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია დაცულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სერვერებზე არსებულ მონაცემთა ბაზებში, კერძოდ, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში (გასს).
- საინფორმაციო სისტემაზე წვდომის უფლება აქვთ სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს. ინფორმაციაზე დაშვება ხორციელდება მხოლოდ განსაზღვრული პროცედურების დაცვით, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დადგენილი წესით.
- სამსახურის მონაცემთა ბაზებში 2016 წლის 01 ივლისიდან 2018

წლის იანვრის ჩათვლით სამსახურის თანამშრომლების მიერ რამდენიმეჯერ განხორციელდა წვდომა განმცხადებლის მონაცემებზე, კერძოდ, იმ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება განმცხადებლის შემოსავლის ოდენობას. კერძოდ, ფიქსირებულია 15 წვდომის ფაქტი, რომელთაგან 09 შემთხვევაში ინფორმაციის მოძიება შემოსავლების სამსახურში განმცხადებლის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში წარმოდგენილი ელექტრონული განცხადებების განხილვასთან არის დაკავშირებული, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა მისი შემოსავლების შესახებ სამსახურში დაცული ინფორმაციის გაცემას (შემოსავლების სამსახურმა წარმოადგინა აღნიშნული განცხადებები: 2017 წლის ** თებერვლის №****; 2017 წლის ** მარტის №**; 2017 წლის ** მაისის №**; 2017 წლის ** სექტემბრის №**; 2017 წლის ** ნოემბრის №****; 2017 წლის ** დეკემბრის №**; 2018 წლის ** იანვრის №** და 2018 წლის ** იანვრის №**). აღნიშნული მონაცემების დამუშავების საფუძველს წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტები.

- 2017 წლის ** თებერვალს განმცხადებლის მონაცემებზე წვდომა განხორციელდა მომსახურების დეპარტამენტის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მთავარმა ოფიცერმა ი ბ.-ს მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის საფუძველზე. ოპერატორმა უპასუხა განმცხადებელს, მისი როგორც ფიზიკური პირის შემოსავლებთან დაკავშირებულ კითხვებზე. აღნიშნული სატელეფონო ზარის ჩანაწერი წარმოდგენილია პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტში მომსახურების დეპარტამენტის მ/წლის ** მარტის №** წერილით.
- 2018 წლის ** და ** იანვარს გადამოწმება განხორციელდა მომსახურების დეპარტამენტის გადამხდელთა მოთხოვნების დამუშავების სამმართველოს ოფიცრის მიერ, სააპელაციო სასამართლოსთვის ინფორმაციის გადაგზავნის მიზნით.

- 2017 წლის ** და ** ნომბერს წვდომის განმახორციელებელი პირია შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი – პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მონიტორ–ოფიცერი (შემოსავლების სამსახურმა წარმოადგინა პროგრამაში განმცხადებლის მონაცემებზე წვდომის ამსახველი ე.წ. ლოგები, ასევე აპარატს დამატებითაცნობა, რომ განმცხადებლის მონაცემებზე წვდომის საფუძვლიანობის დეტალური გამოკვლევის მიზნით, მათ შორის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მონიტორ–ოფიცრის მიერ წვდომის ფაქტებზე, შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტმა დაიწყო საკითხის შესწავლა).
- 2016 წლის 01 ივლისიდან 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით სამსახურში დაცული განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გამხდარა მესამე პირებისათვის, მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიეწოდა 2018 წლის ** იანვრის N** წერილით აღნიშნული ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის ** იანვრის მომართვის საპასუხოდ.
- შემოსავლების სამსახური საგადასახადო საიდუმლოების შემცველი მონაცემების შენახვას ახდენს დაცულ სერვერზე, რომელზე წვდომის უფლების მოპოვებაც ხდება ზემოაღნიშნული სპეციალური წესის დაცვით. ამასთან, უსაფრთხოებისა და მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზნების დადასტურებისათვის ხდება ე.წ. „ლოგირება“ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელმა მომხმარებელმა განახორციელა ამა თუ იმ პირის პირადი ნომრის გამოყენებით მის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოძიება. 2018 წლის 21 და 23 მარტს აპარატში წარმოდგენილი №PDP 2 18 00001239 და №PDP 9 18 00001290 წერილებით სს „ბ“-მ და სს „დ“-მ განმარტეს შემდეგი:
- სს „დ“ მკაცრად იცავს თითოეული კლიენტის კონფიდენციალურ და პერსონალურ ინფორმაციას, „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამდენად, შპს „გ“-ს ანგარიშებზე განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის არაავტორიზებული პირებისათვის გაუთქმელობის პრინციპი დაცული იყო და არის ბანკში. ნებისმიერი ინფორმაციის გენერირება, ასახვა და შენახვა ხორციელდება ელექტრონული სახით, ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამის საბანკო ელექტრონულ პროგრამაში. მხოლოდ ის თანამშრომლები დაიშვებიან ელექტრონულ საბანკო პროგრამასთან, რომელთაც სამსახურებრივად ევალუბათ საბანკო ოპერაციების წარმოება კლიენტის ანგარიშებზე, ამავდროულად არსებობს განსხვავებული წვდომის რეჟიმები.

- სს „დ“-ში განმცხადებლის საბანკო ანგარიშებზე 2017 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 11 იანვრამდე არ განხორციელებულა რაიმე სახის ძიება, რასაც ადასტურებს ე.წ. ლოგები (წარმოდგენილია დანართის სახით), არ მომხდარა განმცხადებლის მონაცემების მესამე პირებზე გამჟღავნება.
- სს „ბ“ მასთან დაცული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დასაქმებულთან გაფორმებული სახელშეკრულებო დათქმების, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის შესახებ დამატებითი შეთანხმების გზით. ასევე, ბანკში განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიური უსაფრთხოების პროცედურები, რომელიც გაწერილია ბანკის პოლიტიკაში.
- სს „ბ“-ს მიერ განმცხადებლის მონაცემების პირდაპირ/ირიბად გამჟღავნებას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, სს „ბ“-ს თანამშრომლების მიერ დაფიქსირდა განმცხადებლის მონაცემებზე წვდომის რამდენიმე შემთხვევა 2016 წელს (მომხმარებლის მოთხოვნით ამონაწერის მომზადების მიზნით, საკრედიტო განაცხადით განსაზღვრული მომსახურების გაწევისას, საკრედიტო განაცხადის განხილვისას, საბარათე ანგარიშის დახურვისას), ასევე 2018 წლის ** იანვარს განმცხადებლის მოთხოვნით ამონაწერის მომზადების მიზნით. სს „ბ“-მ წარმოადგინა აღნიშნული მოქმედებების ამსახველი ე.წ. ლოგები.

2018 წლის 26 მარტს აპარატში წარმოდგენილი №PDP 2 18 00001310 და №PDP 0 18 00001309 წერილებით სს „ა“-მ და შპს „გ“-მ განმარტეს შემდეგი:

- სს „ა“-ში თანამშრომელთა ხელფასების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მასზე წვდომა შეზღუდული (უფლებამოსილია მხოლოდ დირექტორი, ფინანსური დირექტორი და ბუღალტერი). კომპანიაში დაცულ განმცხადებლის შესახებ ინფორმაციაზე 2016 წლის ივლისიდან 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით პერიოდში არ განხორციელებულა წვდომა, არავის დაუმუშავებია ეს ინფორმაცია და არ გაუცია მესამე პირებისათვის.
- შპს „გ“-ში ინფორმაცია ხელფასებისა და სხვა სახის ფინანსური ოპერაციების შესახებ დაცულია (იუზერის პასვორდით Windows-ზე, პასვორდით საბუღალტრო პროგრამაზე, იუზერის პასვორდით rs.ge-ს ვებგვერდზე) და არსებულ კომპიუტერთან და აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა აქვს კომპანიის დირექტორს, მთავარ ბუღალტერს და მთავარ ასისტენტს. 2016 წლის ივლისიდან 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით პერიოდში განმცხადებლის მონაცემებზე წვდომა არ ფიქსირდება.

2018 წლის 28 მარტს აპარატის №PDP 4 18 00001358 წერილით შემოსავლების სამსახურს ეთხოვა განმცხადებლის მონაცემებზე წვდომის ფაქტების შესწავლის დასრულებისთანავე მოეწოდებინა აპარატისთვის დადგენილი გარემოებებისა და საბოლოო შედეგების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებამდე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 29 მარტის №გ-1/182/2018 გადაწყვეტილებით განცხადების განხილვა შეჩერდა.

2018 წლის 17 მაისს აპარატში წარმოდგენილი №PDP 5 18 00002141 წერილით შემოსავლების სამსახურმა აპარატს წარმოუდგინა შემოსავლების

სამსახურის პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სამსახურის თანამშრომლების მიერ განმცხადებლის მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად 2018 წლის** მაისს შედგენილი

№** დასკვნა, რომლის შესაბამისადაც ირკვევა შემდეგი:

- შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის ***-ის სერვისცენტრის თანამშრომლებმა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული მოდულით „ფ/პირების შემოსავლები“ გადაამოწმეს თავად ი. ბ.-ს მიერ დარეგისტრირებული ელექტრონული განაცხადების საფუძველზე. პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ გადასახადების ადმინისტრირების სისტემაში

„ORACLE“ გადამოწმდა ი. ბ.-ს ელექტრონული განაცხადები (** ***/05/2017; ** ***/02/2017; **

/03/2017; ** */09/2017; ** ***/12/2017; ** ***/11/2017; ** ***/01/2018; ** ***/01/2018), რომელთა დარეგისტრირების თარიღები

ემთხვევა ზემოაღნიშნული თანამშრომლების მიერ ი. ბ.-ს შემოსავლების გადამოწმების თარიღებს. ამასთან, აღნიშნულ განაცხადებებზე პასუხის მოსამზადებლად, დავალების შემსრულებელ თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ გაცნობოდნენ ი. ბ.-ს შემოსავლების შესახებ გადასახადების ადმინისტრირების სისტემაში არსებულ მონაცემებს. მომსახურების დეპარტამენტის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრის მთავარ ოფიცერს განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ელექტრონული მოდულით „ფ/პირების შემოსავლები“, მ/წლის ** თებერვალს, გადამოწმებული აქვს ი. ბ.-ს მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის საფუძველზე. აღნიშნული სატელეფონო ზარის ჩანაწერი წარმოდგენილია პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტში მომსახურების დეპარტამენტის მ/წლის ** მარტის №** წერილით (წარმოდგენილია ასლის სახით). მომსახურების დეპარტამენტის გადამხდელთა მოთხოვნების

დამუშავების სამმართველოს ოფიცერს მოქალაქე ი. ბ.-ს შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, ელექტრონული მოდულით „ფ/პირების შემოსავლები“, გადამოწმებული აქვს შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის 2018 წლის ** იანვრის №** წერილის (განჩინების №**) შესრულების მიზნით, სააპელაციოსასამართლოსთვის ინფორმაციის გადაგზავნისთვის.

- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 02 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს „შრომისა და სამემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლს“, ასევე შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის თანახმად, თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც დაუშვებელია პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება აღნიშნული კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე. პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მონიტორ-ოფიცერმა, რომლის სამსახურებრივ ფუნქციამოვალეობებში შედის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მართლზომიერების კონტროლი, თავად ვერ წარმოადგინა მოქალაქე ი. ბ.-ს შემოსავლების გადამოწმების საფუძველი. ის ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ პროგრამული მოდულით „ფ/პირების შემოსავლები“ სარგებლობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულებით დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქციამოვალეობების შესასრულებლად, კერძოდ, შემოსავლების სამსახურის სისტემაში თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენისა და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესასრულებლად. აღნიშნული

საფუძვლით ი. ბ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავება ვერ ჩაითვლება გამართლებულად, ვინაიდან ის არ არის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, ამასთან ჩვენს მიერ ვერ დგინდება მისი კავშირი შემოსავლების სამსახურის რომელიმე თანამშრომელთან. ასევე ამ თანამშრომელმავერ გაიხსენა კონკრეტული სამსახურებრივი დავალება, რომლის შესასრულებლადაც აუცილებელი იყო გაცნობოდა ი. ბ.-ს მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციას. პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მონიტორ-ოფიცერი, 2018 წლის ** აპრილის პირადი განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წლის ** მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

- მოკვლევის ფარგლებში ახსნა-განმარტებები (წარმოდგენილია აღნიშნული ახსნა-განმარტებების ასლები) ჩამოერთვა შემოსავლების სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომელმაც წვდომა განახორციელა განმცხადებლის მონაცემებზე. თანამშრომლებმა განმარტეს, რომ არ იცნობენ განმცხადებელს, არავის უთხოვია ი. ბ.-ს შესახებ ინფორმაციამათთვის და არც მათ გაუქვდავნიებიათ რაიმე ინფორმაცია განმცხადებელზე. ასევე, სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტში იმყოფებოდა განმცხადებელი ი. ბ., რასთან დაკავშირებითაც შედგა მასთან გასაუბრების ოქმი (წარმოდგენილია აღნიშნული ოქმის ასლი). განმცხადებელმა შემოსავლების სამსახურს განუმარტა, რომ არ გააჩნია რაიმე სახის ინფორმაცია მისი ყოფილი მეუღლის და საკუთარ სანაცნობო წრეში ისეთი პირის შესახებ, რომელიც მუშაობს შემოსავლების სამსახურში და შეიძლება წვდომა ჰქონდეს სამსახურში დაცულ ინფორმაციასთან.

აღნიშნული დასკვნით რეკომენდირებულია

- შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულმა ერთეულებმა, გააძლიერონ კონტროლი თანამშრომელთა მხრიდან მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

- შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულმა ერთეულებმა, იმ ავტორიზებულ მომხმარებლებზე, რომელთაც დაშვება აქვთ შემოსავლების სამსახურის ერთიანი საინფორმაციო სისტემის „დასაქმებული პირის საძიებო (მიღებული შემოსავალი)“ მოდულზე და მიუწვდებთ ხელი ფიზიკური პირების შემოსავლებზე, წარმოადგინონ დასაბუთებული არგუმენტები, თუ რა შემთხვევებში ხდება მათ მიერ აღნიშნული მოდულის გამოყენება და რამდენად ესაჭიროებათ მასზე დაშვება.
- შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების ერთიანი საინფორმაციო სისტემაში ან/და ისეთ მოდულებში შესვლისას, რომლებიც შეიცავს საგადასახადო/პირად/კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, აგრეთვე ანგარიშის მომზადებისას, გამოვიდეს ფანჯარა, რომელზეც იქნება გამაფრთხილებელი წარწერა (მაგალითად: სისტემაში დაცულია საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია და მისი გაცემა არაუფლებამოსილ პირზე ისჯება კანონით), რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებას აღნიშნულ საკითხზე.
- სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას „დასაქმებული პირის საძიებო (მიღებული შემოსავალი)“ მოდულის გამოყენებისას, ასევე ანგარიშის მომზადებისას, სავალდებულო გახდეს წერილის, ბრძანების, სამსახურებრივი ბარათის ან/და სხვა დოკუმენტის მითითება, რის საფუძველზეც ხდება აღნიშნული მოდულის გამოყენება.
- იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის მიერ „დასაქმებული პირის საძიებო (მიღებული შემოსავალი)“ მოდულის გამოყენებისას, მექანიკური შეცდომით განხორციელდება სხვა ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს და გონივრულ ვადაში შეადგინოს სამსახურებრივი ბარათი (სადაც დაფიქსირდება განცხადება/ბრძანება ან/და სხვა, რომლის საფუძველზეც ნახულობდა აღნიშნულ ინფორმაციას და ამასთან მიუთითებს შეცდომის გამომწვევ

მიზეზს), რომელიც ასევე გაიგზავნება პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტში.

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მხრიდან სისტემის – „დასაქმებული პირის საძიებო (მიღებული შემოსავალი)“ გაუმართავად მუშაობისას, სატელეფონო ან/და სამსახურებრივი შიდა კომუნიკატორის საშუალებით მიმართვისას, მოახდინოს რეაგირება მხოლოდ ინციდენტის პროგრამულად დაფიქსირების ან/და სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
- შემოსავლების სამსახურის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სამსახურებრივი ფუნქცია- მოვალეობებიდან გამომდინარე, შეხება აქვთ მესამე პირების პერსონალურ მონაცემებთან, ჩაუტარდეთ სწავლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების, ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის სწორად გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

2018 წლის 01 მარტს აპარატის №PDP 8 18 00000876 წერილით ადვოკატს ეთხოვა ინფორმაცია განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, როდიდან ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას როგორც განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარისადვოკატი, განახორციელა თუ არა განმცხადებლის ვიდეოგადაღება 2017 წლის 04 თებერვალს(რა საფუძველით და მიზნით) და ფლობდა თუ არა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, როდის, საიდან მოიპოვა იგი. 2018 წლის 09 მარტს აპარატში წარმოდგენილი

№PDP 0 18 00001020 წერილით ადვოკატმა განმარტა, რომ იგი როგორც ადვოკატი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, მე-7 და 38-ე მუხლების საფუძველზე არ არის ვალდებული გასცეს ინფორმაცია მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს შესრულებული მოქმედებების შესახებ, რომელიც განახორციელა მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად, ასევე დაასახელოს ინფორმაციის წყარო.

2018 წლის 23 მაისს აპარატის №PDP 0 18 00002227 და №PDP 1

18 00002228 წერილებით ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით მოსაზრებები (თუ რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და გამოიწვევს თუ არა ადვოკატის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის/ დოკუმენტაციის მიწოდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას) ეთხოვა სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ასევე ინფორმაციის წარმოდგენა განმეორებით ეთხოვა ადვოკატს და განემარტა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, მათ შორის ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება, წარმოდგენლობის სამართლებრივი შედეგები. ინფორმაციის მოწოდებამდე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 28 მაისის №გ-1/304/2018 გადაწყვეტილებით განცხადების განხილვა შეჩერდა.

2018 წლის 30 მაისს აპარატში წარმოდგენილი №PDP 1 18 00002318 წერილით ადვოკატმა კვლავი განაცხადა ინსპექტორისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე.

2018 წლის 18 ივნისს აპარატში წარმოდგენილი №PDP 8 18 00002568 წერილით სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ განმარტა შემდეგი:

- ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება რეგულირდება

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6 და მე-7 მუხლებით, რაც გულისხმობს რომ ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვა წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია: დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად; კლიენტის თანხმობის გარეშე გავრცელოს

საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთან არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.

- ადვოკატი ვალდებულია განუხრელად დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, ხოლო პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის შეფასების საკითხი მიეკუთვნება ეთიკის კომისიის კომპეტენციის სფეროს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, ეთიკისკომისია საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

ასოციაციისგან მიღებული განმარტებების გათვალისწინებით, 2018 წლის 20 ივნისს აპარატის №PDP 2 18 00002616 წერილით ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით მოსაზრებები ეთხოვა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რომელმაც 2018 წლის 01 ოქტომბერს აპარატში წარმოდგენილი №PDP 6 18 00016642 წერილით განმარტა შემდეგი:

- ასოციაციის ეთიკის კომისიამ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 41-ე-51-ე მუხლების ფარგლებში შეიმუშავა რეკომენდაცია, თუ რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და გამოიწვევს თუ არა ადვოკატის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას.
- ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა.
- პროფესიული ვალდებულების შინაარსი განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში. კერძოდ, მე-7 მუხლის

პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია: დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ: კლიენტის თანხმობით; იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას.

- ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ უნდა გახდეს ცნობილი მესამე პირისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ნორმით მოცემული შემთხვევებისა. ამასთან, ადვოკატის მიერ როგორც არსებული კლიენტის, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმის თაობაზე არსებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.
- არც ადვოკატის პროფესიის და არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მარეგულირებელი ნორმების მიხედვით არ არის დათქმა იმის თაობაზე, რომ ადვოკატს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მოთხოვნისთანავე შეუძლია მასგადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც მან მიიღო პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და უკავშირდება ამჟამინდელი, ყოფილი თუ პოტენციური კლიენტის შესახებ ინფორმაციას და საქმის მასალის გადაცემას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კანონის და პროფესიული ეთიკის კოდექსის

შესაბამისად და არ გამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის არ გადასცეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს დოკუმენტაცია ან ინფორმაცია, რამაც შესაძლოა დააზიანოს თავად ამ პირის ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების კანონიერებაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ** იანვრის სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის და ამავე სხდომის ამსახველი ფოტოს მიხედვით დგინდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო დავაზე გაიმართა სხდომა, სადაც განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ადვოკატმა ზეპირსიტყვიერად განუმარტა სასამართლოს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, შემოსავლების სამსახურში ფიქსირდება განმცხადებლის მიერ გადასახადების გადახდის შესახებ მონაცემები. ამასთან, ადვოკატმა დაასახელა განმცხადებლის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, რამდენიმე თვის ხელფასის და გადასახადის ბუსტი ოდენობები (2016 წლის ივლისში - 1*** ლარი, გადასახადი - 2*** ლარი; 2016 წლის აგვისტოში - 1*** ლარი; 2016 წლის დეკემბერში - 2*** ლარი), შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად კი, ადვოკატის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია ემთხვეოდა შემოსავლების სამსახურში დაცულ მონაცემებს.

განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, თუმცა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს

სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნდა სამართალწარმოების პროცესში, უშუალოდ სასამართლო სხდომაზე სამართალწარმოების მიზნით, ამდენად, ადვოკატის მიერ სხდომაზე მონაცემების გასაჯაროების ფაქტის შესწავლა სცდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციას. თუმცა მონაცემთა დამმუშავებლ(ებ)ის მიერ განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გაცემა და მოპოვება ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებში და შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ამავე კანონის მოთხოვნებთან. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამმუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის (თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, თუ მონაცემთა დამმუშავება გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და ა.შ.) არსებობისას, კონკრეტული კანონიერი მიზნით და მიზნის პროპორციული მოცულობით.

განცხადების განხილვის ფარგლებში, განმცხადებლის მონაცემების გამჟღავნების და ადვოკატის მიერ ამავე მონაცემების მოპოვების კონკრეტული წყაროს იდენტიფიცირების მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შემოსავლების სამსახურისგან, განმცხადებლის დამსაქმებელი კომპანიებისგან, ბანკებისგან (რომელთა მეშვეობითაც განმცხადებელს ერიცხებოდა აღნიშნული თანხმები) და ადვოკატისგან. ადვოკატმა ინსპექტორს არ მიაწოდა ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების წყაროს შესახებ და განმარტა, რომ იგი როგორც ადვოკატი,

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, მე-7 და 38-ე მუხლების საფუძველზე არ არის ვალდებული გასცეს ინფორმაცია მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროსშესრულებული მოქმედებების შესახებ, რომელიც განახორციელდა მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად, ასევე დაასახელოს ინფორმაციის წყარო.

განმცხადებლის დამსაქმებლები კომპანიების, ასევე ბანკების მხრიდან განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მესამე პირებზე გამჟღავნება, მონაცემებზე არასანქცირებული წვდომა არ დაფიქსირდა.

განცხადების განხილვის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციისშესაბამისად დადგინდა, რომ სამსახურის მონაცემთა ბაზებში 2017 წლის ** და ** ნოემბერს განმცხადებლის მონაცემებზე წვდომა განახორციელა პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მონიტორ-ოფიცერმა, რომლის სამსახურებრივ ფუნქციამოვალეობებში შედის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან მესამე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების მართლზომიერების კონტროლი, ამ პირმა კი თავად ვერ წარმოადგინა მოქალაქე ი. ბ.-ს შემოსავლების გადამოწმების საფუძველი. აღნიშნული პირის მიერ, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ი. ბ.-ს პერსონალური მონაცემების დამუშავება არ ჩაითვალა საჭიროდ, ვინაიდან განმცხადებელი არიყო შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი. ასევე შემოსავლების სამსახურის აღნიშნულთანამშრომელმა ვერ გაიხსენა კონკრეტული სამსახურებრივი დავალება, რომლის შესასრულებლადაც აუცილებელი იყო გაცნობოდა ი. ბ.-ს მიერ მიღებული შემოსავლებისშესახებ ინფორმაციას. პროფესიული ეთიკისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი მონიტორ-ოფიცერი 2018 წლის ** აპრილის პირადი განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წლის ** მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური

ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. მონაცემთა დამუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ცალსახად არ დგინდება ის ფაქტი, რომ განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია გასცა შემოსავლების სამსახურმა, თუმცა, დგინდება, რომ ინფორმაცია გამჟღავნდა იმ სახით და სიზუსტით, როგორც ის შემოსავლების სამსახურში უნდა ყოფილიყო დაცული. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, შემოსავლების სამსახურმა შიდა მოკვლევის საფუძველზე თავად დაადგინა მის ბაზაში დაცულ განმცხადებლის მონაცემებზე სამსახურის თანამშრომლის მიერ უსაფუძვლო წვდომის ფაქტი. ამდენად, შემოსავლების სამსახურმა ვერ უზრუნველყო მასთან დაცული განმცხადებლის მონაცემების უსაფრთხოება, აღნიშნული კი წარმოადგენს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუმცა, ინსპექტორი კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დარღვევის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახურს ვერ დააკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ

ფაქტზე შემოსავლების სამსახურმა ჩაატარა სამსახურებრივი მოკვლევა და შემდგომში მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით დაიწყო დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღების პროცესი.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმჯელა ადვოკატის მიერ ინსპექტორის ინფორმირების წესის დარღვევაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა. კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ინსპექტორი ვალდებულია განიხილოს მონაცემთა სუბიექტის განცხადება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით და მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული ზომები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, მონაცემთა დამუშავებელი და უფლებამოსილი პირი ინსპექტორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, გადასცენ მას შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, განმცხადებელი მიუთითებდა მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის ადვოკატის მიერ მოპოვებაზე და ადვოკატის მიერ მის ვიდეოგადაღებაზე. საგულისხმოა, რომ ადვოკატი სასამართლოში წარმოადგენდა განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს და ამავე დავის ფარგლებში საკუთარი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ახორციელებდა განმცხადებლის მონაცემების დამუშავებას. განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ადვოკატმა წარადგინა სასამართლოში იმავე დავის ფარგლებში, შესაბამისად, ინფორმაციის მოპოვება პირდაპირ კავშირში იყო ადვოკატის საადვოკატო/პროფესიულ საქმიანობასთან. განხილვის ფარგლებში, აღნიშნულ ადვოკატს განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით აპარატის 2018 წლის 01 მარტის №PDP 8 18 00000876 წერილით მოეთხოვა ინფორმაცია (საიდან მოიპოვა განმცხადებლის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია, რა მიზნით დარღვეულია სამართლებრივ საფუძველით, განახორციელა თუ არა 2017

წლის 04 თებერვალს განმცხადებლის ვიდეოგადაღება და სხვა). ადვოკატმა 2018 წლის 09 მარტს აპარატში წარმოდგენილი №PDP 0 18 00001020 საპასუხო წერილით განმარტა, რომ იგი როგორც ადვოკატი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-6, მე-7 და 38-ე მუხლების საფუძველზე არ არის ვალდებული გასცეს ინფორმაცია მისი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს შესრულებული მოქმედებების შესახებ, რომელიც განახორციელა მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

აპარატის 2018 წლის 23 მარტის №PDP 0 18 00002227 წერილით ადვოკატს განემარტა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, მათ შორის ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება, წარმოდგენლობის სამართლებრივი შედეგები და განმეორებით მოეთხოვა ინფორმაცია განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით. 2018 წლის 30 მაისს აპარატში წარმოდგენილი

№PDP 1 18 00002318 წერილით ადვოკატმა კვლავ უარი განაცხადა ინსპექტორისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატის პროფესიულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენა ეთხოვა სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიასაც, რომელმაც განმარტა, რომ ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კანონის და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის არ გადასცეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს დოკუმენტაცია ან ინფორმაცია, რამაც შესაძლოა დააზიანოს თავად ამ პირის ინტერესები.

ადვოკატის და სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მოსაზრებები ვერ იქნება გაზიარებული შემდეგ გარემოებათა გამო:

- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის (მაგალითად, ექიმი, მასწავლებელი, ადვოკატი, ნოტარიუსი და ა.შ.) მიერ ამავე საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, თუმცა კანონმდებ-

ლობა (მაგალითად, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი) ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც საიდუმლო ინფორმაცია ცალკეული უწყებებისთვის/თანამდებობის პირთათვის (მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველი, სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი) ხელმისაწვდომია, რაც თავის მხრივ აუცილებელია სამართლებრივ სახელმწიფოში პირთა/უწყებათა საზედამხებელო ფუნქციის ეფექტიანი შესრულებისთვის და უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესების, მოქალაქის უფლებების დაცვას. ამავდროულად, კანონმდებლობა ამ უწყებებს/თანამდებობის პირებს ავალდებულებს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოების, ასევე პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვას.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის საჭიროებაც უკავშირდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული საზედამხებელო უფლებამოსილების და კანონით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულების მიზანს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით განმტკიცებული პირადი ცხოვრების და მისი ერთ-ერთი ასპექტის პერსონალური მონაცემების დაცულობა ადამიანის ძირითადი უფლებაა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, 27-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად, ინსპექტორის საქმიანობა ემსახურება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი კი ინსპექტორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, გადასცენ მას შესაბამისი ინფორმაცია და

დოკუმენტი. ამავდროულად, კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, ინსპექტორი ვალდებულია დაიცვას კომერციული, პროფესიული და სახელმწიფო საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოება და არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ეს ვალდებულება ინსპექტორს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (№1/2/519; 24.10.2012) განმარტავს, პირადი ცხოვრების უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინსპექტორთან თანამშრომლობა, მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი და დროული მიწოდება, რათა ხელი არ შეეშალოს ინსპექტორის კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას.

- ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27³-ე მუხლის შესაბამისად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27²-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

ადმინისტრაციულ ორგანოში კომერციული საიდუმლოების წარდგენისას, პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოც განმარტავს საქმეზე №ბს-33-32(კ-16), (28.02.2017), ადმინისტრაციულ ორგანოში შესაძლოა სხვა პირთა კომერციული საიდუმლოება ინახებოდეს, საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფაზე კი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული.

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები/შემზღვევები, შესაბამისად ინსპექტორის საზედამხედველო უფლებამოსილება, ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მის სამეწარმეო ან პროფესიულ, მათ შორის საადვოკატო, საქმიანობასთან დაკავშირებით მონაცემთა დამუშავებაზე. პროფესიული საქმიანობის პროცესში მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის გასაიდუმლოება კი ადვოკატის, ექიმის, ნოტარიუსის თუ სხვა პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი მონაცემთა დამუშავების მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესრულების მონიტორინგს და შესაძლო დარღვევებზე რეაგირების გზით მონაცემთა სუბიექტების პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფას შეუძლებელს გახდის.
- ადვოკატის, როგორც პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი პირის, ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია იმოქმედოს კანონიერად, მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის

მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად კი, საადვოკატო საქმიანობის უპირველესი პრინციპია კანონიერება. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმეზე №ას-1161-1116-2016 (12.10.2017) ასევე განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა და თავისუფლება შემოფარგულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. როგორც აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს ადვოკატს ინფორმაციის ინსპექტორისათვის მიწოდებას, კერძოდ,

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ინსპექტორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, გადასცენ მას შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი. ინსპექტორის მოთხოვნის შეუსრულებლობა, მათ შორის ინსპექტორისათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიუწოდებლობა კი წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და დამრღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

აღნიშნულ საკითხზე საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც საქმეზე – Michaud v. France (No 12323/11; 06.12.2012), რომელიც შეეხებოდა ადვოკატის მიერ კლიენტის შესახებ

ინფორმაციის გარკვეულ შემთხვევაში გაცემის ვალდებულების შემოღებით ადვოკატის პირადი ცხოვრების უფლების სავარაუდო შელახვის საკითხს. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენდა ჩარევას ადვოკატის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში, რაც პროფესიულ ან ბიზნეს საქმიანობებსაც მოიცავს, თუმცა მართლზომიერი მიზნისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის გამჟღავნების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება იურისტის პროფესიულ პრივილეგიაში არაპროპორციულ ჩარევას არ წარმოადგენდა.

- ერთის მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, ინსპექტორი არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა მიძღვრულ შესაბამისად, მონაცემების ინსპექტორისათვის, როგორც მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველი თანამდებობისპირისთვის, გადაცემა არ გულისხმობს მონაცემთა დამუშავებას და ემსახურება მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების შესწავლას, მეორე მხრივ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ინსპექტორი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის უსაფრთხოება და არ გამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული პრივილეგიის (პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა) დაცვასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატმა დაარღვია ინსპექტორის ინფორმირების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი, კერძოდ, არ წარმოადგინა მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლისთვის აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია (რაც ინსპექტორს ადვოკატის მიერ განმცხადებლის მონაცემების მოპოვების

და შესაძლო ვიდეოგადაღების კანონიერების შეფასების შესაძლებლობას მისცემდა), აღნიშნული წარმოადგენს ამავე კანონის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და დამრღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, თუმცა ინსპექტორი კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დარღვევის ხანდამშულობიდან გამომდინარე, ადვოკატს ვერ დააკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-17, 27-ე, 34-ე, 35-ე, 39-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ი. ბ.-ს 2018 წლის 23 თებერვლის №PDP 6 18 00000748 განცხადების განხილვა;
2. განმცხადებელს, ადვოკატ ლ. მ.-ს და სსიპ – შემოსავლების სამსახურს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

გადაწყვეტილება №გ-1/687/2018

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შემოწმების დასრულების
შესახებ

ქ. თბილისი 19/12/2018

აღწერილობითი ნაწილი

2018 წლის 19 და 22 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს შეტყობინებით (სოციალურ ქსელში – „Facebook“ აპარატის მონიშვნის გზით) მომართა მოქალაქემ, რომლის განმარტებით, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე არსებულ კედლებზე განთავსებული იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები, რომლებიც ამომრჩევლის სახელისა და გვარის გარდა, ასევე შეიცავდნენ მათ პირად ნომრებს. აღნიშნული ფაქტის შესახებ მედიასაშუალებებმა მოამზადეს სიუჟეტი, რომელიც გავრცელდა ვებგვერდზე – www.***.ge.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის 30 ოქტომბრის №03/175 ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განისაზღვრა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (შემდგომში – საარჩევნო ადმინისტრაცია) შემოწმება, რომელიც მოიცავდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 (მის.: ქ. ოზურგეთი, ნინოშვილის ქ. №5) და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5 (მის.: სოფელი სამება), №28 (მის.: სოფელი ქვენობანი) და

№31 (მის.: სოფელი შუა ამაღლება 1-ლი ქუჩა №1) საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლების პირადნომრების კედელზე განთავსების გზით პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების კანონიერებისშესწავლას.

შემოწმების ფარგლებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

- ვებგვერდზე - www.***.ge გავრცელებული სიუჟეტის დათვალეობებით ირკვევა, რომ რიგ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შენობის ოთახებში, კედლებზე გამოკრული იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები, რომლებიც შეიცავდა ამომრჩევლების სახელს, გვარს და პირად ნომრებს. აღნიშნული ვიდეომასალით ვერ დგინდება კონკრეტულად თუ რომელ საარჩევნო უბნებზე იყო განთავსებული შესაბამისი სიები, თუმცა შეტყობინების ავტორის განმარტებით, რომელიც, ამავე ვიდეომასალის თანახმად, პირადად ეცნობოდა საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობას, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები განთავსებული იყო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 (ვიზიტის თარიღი 2018 წლის 22 ოქტომბერი) და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 (ვიზიტის თარიღი 2018 წლის 19 ოქტომბერი) საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შენობაში არსებულ შიდა კედლებზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2018 წლის 01 ნოემბრის №PDP 8 18 00046920 წერილით, საქმის გარემოებების შესწავლის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციას ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის იმის თაობაზე, იყო თუ არა საარჩევნო უბნების - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8, ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 კედლებზე განთავსებული ამომრჩეველთა პირადი ნომრების შემცველი სიები, რა მიზნით და რომელი სამართლებრივი საფუძვლით, ასევე ვინ და როდის განათავსა ამომრჩევლების პირადი ნომრების შემცველი სიები ზემოაღნიშნულ საარჩევნო უბნების კედლებზე;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ 2018 წლის 15 ნოემბრის №PDP 8 18 00047154 საპასუხო წერილით წარმოადგინა №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 05 ნოემბრის წერილი და ამავე ოლქში შემავალი №8 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის ახსნა-განმარტებები, ასევე, №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 04 ნოემბრის წერილი და ამავე ოლქში შემავალი №5, №28 და №31 საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების და დამატებით №28 და №31 საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნებისასხსნა-განმარტებები;

- ქ. ოზურგეთის №60-08 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის ასხსნა-განმარტებების თანახმად, ამომრჩევლების პირადი ნომრების შემცველი სიების საჯაროდ განთავსებას ადგილი არ ჰქონია და განთავსებული იყო მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ (შემდგომში - საქართველოს საარჩევნო კოდექსი) გათვალისწინებული სიები, რომლებიც შეიცავდნენ მხოლოდ ამომრჩევლ(ებ)ის სახელსა და გვარს;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. 2018 წლის 21 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად შეიცვალა კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. განხორციელებული ცვლილების მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში, ამომრჩევლის წერილობით განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო სატელეფონო ზეპირ განცხადებაში როგორც ამომრჩევლის პირადი ნომერი, ასევე სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დრო და შესაბამისი ტელეფონის ნომერი. მითითებულ ცვლილებამდე საარჩევნო კოდექსი განსხვავებულად არეგულირებდა მოცემულ შემთხვევას და არ ითვალისწინებდა ამომრჩევლის წერილობითი და ზეპირი განცხადებით მომართვის შემთხვევაში პირადი ნომრის მითითების

აუცილებლობას. საარჩევნო ადმინისტრაციის განმარტებით, სწორედ აღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ სარეგისტრაციო ჟურნალიდან პირადი ნომრების გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მექანიკური გადატანა, თუმცა შეცდომა დაუყოვნებლივ იქნა აღმოფხვრილი;

- საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღნიშნული სიები გამოკრული იყო არა საჯარო სივრცეში, არამედ საუბნო საარჩევნო კომისიების სამუშაო ოთახებში, ვინაიდან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ამომრჩეველთა მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის ვადები და შესაბამისად, ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნები იმყოფებოდნენ სამუშაო რეჟიმში, რომლის დასრულების შემდგომაც მოხდებოდა საბოლოო სიების გამოკვრა კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ მიუთითა საარჩევნო (ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი №5, №28 და №31) უბნებზე არსებულ შიდა კედლებზე გამოკრული გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში ამომრჩევლების მონაცემების გასაჯაროების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძველი. საარჩევნო ადმინისტრაციამ ასევე ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ როდის განთავსდა საუბნო საარჩევნო კომისიებში (ქ. ჩოხატაური საუბნო საარჩევნო კომისია №62-05, №62-28 და №62-31) საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ პირადი ნომრების შემცველი სიები;
- ქ. ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 04 ნოემბრის წერილის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიებში (№62-05, №62-28 და №62-31) კენჭისყრის შენობის შიდა კედლებზე განთავსებული გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში

შესაყვან ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა პირადი ნომრების მითითება მოხდა შეცდომით. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული პუნქტის მოთხოვნის შესრულებისას, საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნებმა დაუშვეს შეცდომა და ჟურნალიდან კედლის ვერსიაში სახელისა და გვარის გარდა, მექანიკურად გადაიტანეს ამომრჩევლების პირადი ნომრებიც. ამავე წერილის თანახმად, აღნიშნული სიები (სამივე უბანზე) ჩამოიხსნა 2018 წლის 19 ოქტომბერს, შეცდომის დაფიქსირებისთანავე და კედლებზე განთავსდა გასწორებული სიები;

- შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი გარემოებების დაზუსტების მიზნით, 2018 წლის 10 დეკემბერს შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან სატელეფონო საუბრისას ქ. ჩოხატაურის №62-05 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, რომელიც შეიცავდა ამომრჩეველთა სახელებს, გვარებსა და პირად ნომრებს, განთავსებული იყო კენჭისყრის ოთახის მომიჯნავე ოთახში, სადაც არჩევნების მიმდინარეობისას ქვეყნდებოდა საჯარო გაცნობისთვის მიკუთვნებული სიები, თუმცა იგი დაუყოვნებლივ ჩამოიხსნა, მას შემდეგ რაც ჟურნალისტის ვიზიტის დროს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული სია შეიცავდა ამომრჩეველთა პირად ნომრებს;
- 2018 წლის 10 დეკემბერს ქ. ჩოხატაურის №62-28 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში განმარტა, რომ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა (არ ახსოვს რომელმა წევრმა) მას აცნობა სიების განთავსებასთან დაკავშირებული სიახლის შესახებ. მას ეცნობა, რომ საჯარო გაცნობისთვის მიკუთვნებული სიებში,

კერძოდ, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში სხვა მონაცემებთან ერთად მას უნდა მიეთითებინა ამომრჩეველთა პირადი ნომრებიც. მისივე განმარტებით, გადასატანი საარჩევნო ყუთის სია განთავსებული იყო იმავე ოთახში, სადაც ტარდებოდა კენჭისყრა. ამასთან, სიის განთავსების დღესვე საარჩევნო უბანზე მივიდა ჟურნალისტი, რომელმაც დააფიქსირა, რომ სიებში მითითებული იყო ამომრჩევლების პირადი ნომრებიც, რის შემდგომაც, მან ჩამოხსნა გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;

- ქ. ჩოხატაურის №62-31 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან 2018 წლის 10 დეკემბერს შემდგარ სატელეფონო საუბარში განმარტა, რომ ამომრჩეველთა სახელის, გვარისა და პირადი ნომრის შემცველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის კედელზე განთავსება მოხდა მდივნის მიერ. მისი განმარტებით, ზემოაღნიშნული სია განთავსებული იყო საარჩევნო უბანზე რამდენიმე დღის განმავლობაში და მან იგი დაუყოვნებლივ ჩამოხსნა, მას შემდგომ, რაც ჟურნალისტის ვიზიტის დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული სია შეიცავდა ამომრჩევლ(ებ)ის პირად ნომრებს. ქ. ჩოხატაურის №62-31 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ასევე მიუთითა, რომ დაშვებული შეცდომის მიზეზი იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მიმართვის წესთან დაკავშირებით საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილება. მისივე განმარტებით, პირადი ნომრების შემცველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სია განთავსებული იყო საარჩევნო უბანზე.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევა

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისათვის 2018 წლის 17 დეკემბერს შედგა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000721, რომელსაც ხელიმოაწერა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შენობებში განთავსდა საჯარო გაცნობისათვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები, რომელიც შეიცავდა ამომრჩევლების პერსონალურ მონაცემებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამავე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას. ამასთანავე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ს“ პუნქტის თანახმად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია განმარტებულია როგორც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) და მისი აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები

(უსკო) და მათი აპარატები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, ხოლო ამავე მუხლის

„ტ“ პუნქტის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელედ ითვლება საარჩევნო კომისიის წევრი და აპარატის თანამშრომელი. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება ცესკოსა და მისი აპარატისგან, უსკოსა და მისი აპარატისგან, ასევე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. ამდენად,

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „დ“, „ვ“ და

„ი“ პუნქტების საფუძველზე, სახეზეა მონაცემთა სუბიექტების – ამომრჩევლების პერსონალური მონაცემის დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებლის – საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შენობებში ამომრჩეველთა სიების განთავსების გზით.

განსახილველ შემთხვევაში შეტყობინების ავტორი მიუთითებდა, რომ ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის შენობებში განთავსებული გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები ამომრჩეველთა სახელისა და გვარის გარდა, ასევე შეიცავდნენ მათ პირად ნომრებს. შემოწმების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით გამოირკვა, რომ მითითებულ უბნებზე გადასატანი საარჩევნო ყუთის საჯარო გაცნობისათვის განკუთვნილ სიებში ამომრჩეველთა პირადი ნომრების მითითება მოხდა შეცდომით. კერძოდ, ამომრჩეველთა პირადი ნომრების გადატანა მოხდა მექანიკურად, რაც განპირობებული იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით მომართვის წესთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და ქ. ჩოხატაურის №62-05 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ. ჩოხატაურის №62-28 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა და ქ. ჩოხატაურის №62-31 საუბნო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაადასტურეს შესაბამისი საარჩევნო უბნების მხრიდან გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების არასათანადო წესით, კერძოდ, ამომრჩეველთა პირადი ნომრების მითითებით, განთავსების ფაქტები. ამასთანავე, საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ მიუთითა ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და

№31 საარჩევნო უბნებზე არსებულ შიდა კედლებზე გამოკრული გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში ამომრჩეველების პირადი ნომრების გასაჯაროების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. საარჩევნო ადმინისტრაციამ ასევე ვერ მიუთითა ქ. ჩოხატაურის №62-05, №62-28 და №62-31 საარჩევნო უბნებზე პირადი ნომრების შემცველი სიების განთავსების ზუსტი თარიღი, თუმცა ქ. ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან და ქ. ჩოხატაურის №62-05 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან, ქ. ჩოხატაურის №62-28 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნისგან და ქ. ჩოხატაურის №62-31 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან მიღებული განმარტებებით დგინდება, რომ შესაბამისი სიები ჩამოიხსნა 2018 წლის 19 ოქტომბერს, შეცდომის დაფიქსირებისთანავე.

ამასთანავე, საარჩევნო ადმინისტრაცია მიუთითებს, რომ მისი ინფორმაციით, ამომრჩეველების პირადი ნომრების შემცველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები გამოკრული იყო არა საჯარო სივრცეში, არამედ საუბნო საარჩევნო კომისიების სამუშაო ოთახებში, ვინაიდან, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ამომრჩეველთა მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის ვადები. ქ. ჩოხატაურის

№62-05 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, რომელიც შეიცავდა ამომრჩეველთა პირად ნომრებს, განთავსებული იყო კენჭისყრის ოთახის მომიჯნავე ოთახში, სადაც არჩევნების მიმდინარეობისას ქვეყნდებოდა საჯარო გაცნობისთვის მიკუთვნილებული სიები, ხოლო, ქ. ჩოხატაურის №62-28 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის განმარტებით, შესაბამისი სია განთავსებული იყო იმავე

ოთახში, სადაც ტარდებოდა კენჭისყრა. ქ. ჩოხატაურის №62-31 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ პირადი ნომრების შემცველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სია განთავსებული იყო საარჩევნო უბანზე. გარდა ამისა, ამავე პირების განმარტებები და შეტყობინების ავტორის მიერ მოწოდებული ვიდეორგოლი (სიუჟეტი) ცხადყოფს, რომ შესაბამისი სიები საარჩევნო უბნების კენჭისყრის შენობებში განთავსებული იყო იმგვარად, რომ გარეშე პირებს, მათ შორის, შეტყობინების ავტორს ჰქონდათ მათი გაცნობის შესაძლებლობა.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ყველა მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მონაცემთა დამამუშავების წესები და აკრძალვები, მათ შორის მონაცემები დაამუშავოს, მხოლოდ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას. კანონის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამამუშავება გათვალისწინებულია კანონით. ამასთანავე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის, მისი კომპიუტერული დამამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის. ამავე პუნქტის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილი არ შეიცავს ამომრჩეველთა პირად ნომრებს. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიას არაუგვიანეს მისი პირველი შეკრების დღისა საარჩევნო ადმინისტრაცია გადასცემს მის მიერ დამოწმებულ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას, ხოლო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მეორე დღისა — დაზუსტებული სიების - საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ საბოლოო ვერსიებს. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო

საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში, გარდა მისი ფოტოსურათისა, და დამატებით აღინიშნება მისი რიგითი ნომერი ამომრჩეველთა ერთიანი ან სპეციალურ სიაში. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში. კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად კი, საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.

აქვე გასათვალისწინებელია 2018 წლის 27 აგვისტოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №45/2018 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მეორე ნაწილის პირველი თავი, სადაც დამატებით განმარტებულია, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდაგამოიკრას კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (სამაგიდო სიაში) შეიტანება ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიანი სიაში, გარდა მისი ფოტოსურათისა, და დამატებით აღინიშნება მისი რიგითი ნომერი ამომრჩეველთა ერთიანი ან სპეციალურ სიაში. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია, რომელშიც შეიტანება იგივე მონაცემები, რომლებიც გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის სამაგიდო ვერსიაში, გარდაამომრჩევლის პირადი ნომრისა) მისი შედგენისთანავე გამოიკვრება კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (კედლის და სამაგიდო) მოწმდება საუბნო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცემათ ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების როგორც კომისიისთვის განკუთვნილი, ასევე საჯარო გაცნობისთვის განკუთვნილი ვერსიები, რომლის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია შემდგომ ვალდებულია შეადგინოს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები. ვინაიდან ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო გაცნობისთვის განკუთვნილი ვერსია არ შეიცავს პირად ნომერს, შესაბამისად, მისგან ნაწარმოები გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, რომელიც შემდგომ თავსდება კენჭისყრის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით, ასევე არ უნდა შეიცავდეს ამომრჩეველთა პირად ნომრებს. ამასთანავე, შემოწმების ფარგლებში დადგენილი გარემოებაა, რომ ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე გასატანი საარჩევნო ყუთის სიები განთავსებული იყო კენჭისყრის შენობებში მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით. შესაბამისად, ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

№5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა პირადი ნომრების გასაჯაროების

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ იკვეთება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლის 19 ოქტომბრამდე მდგომარეობით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველების პირადი ნომრები განთავსებული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ამასთანავე, განსახილველ შემთხვევაში, შეტყობინების ავტორი

მიუთითებდა, რომ ამომრჩეველთა პირადი ნომრების შემცველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სია ასევე გამოკრული იყო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 საარჩევნო უბანზე, თუმცა, შემოწმების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული №60 ოზურგეთის ოლქში შემავალი №8 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის ახსნა-განმარტებების თანახმად, შესაბამის საარჩევნო უბანზე ამომრჩეველების პირადი ნომრების შემცველი სიების საჯაროდ განთავსებას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე, 264-ე მუხლების შესაბამისად კი, ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია მტკიცებულებების შეფასების შემდგომ, საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას დააფუძნოს მიღებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო არ დგინდება ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ამომრჩეველთა პირადი ნომრების მითითებით განთავსების ფაქტი. შემოწმების ფარგლებში, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია საარჩევნო ადმინისტრაციისა და შეტყობინების ავტორის ურთიერთსაწინააღმდეგო ახსნა-განმარტებები, კერძოდ, ერთის მხრივ, შეტყობინების ავტორი მიუთითებს, რომ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 საარჩევნო უბანზე გამოკრული გადასატანი საარჩევნო ყუთის სია შეიცავდა ამომრჩეველების პირად ნომრებს, ხოლო ქ. ოზურგეთის №60-08 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი უარყოფენ აღნიშნულს. ამასთანავე, შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტალა (სიუჟეტი) არ იძლევა კონკრეტული საარჩევნო

უბნების იდენტიფიცირების საშუალებას, ხოლო სხვა სახის მტკიცებულება შემოწმების ფარგლებში ვერ იქნა მოძიებული. შესაბამისად, წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები და ვიდეომასალა ვერ იქნება მიჩნეული უტყუარ მტკიცებულებად, რომელსაც შესაძლოა დაეფუძნოს განსახილველ საქმეზე ინსპექტორის საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 საარჩევნო უბანზე მონაცემთა დამუშავების კანონიერება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაცისრების შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას ინსპექტორი ითვალისწინებს, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია წარსულში არ ყოფილა ცნობილი სამართალდამრღვევად, ასევე იმ ფაქტს, რომ შეტყობინების ავტორის მხრიდან სამართალდარღვევის დაფიქსირების მომენტიდან (2018 წლის 19 ოქტომბერს) ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის №5, №28 და №31 საარჩევნო უბნების მიერ დაუყოვნებლივ მოხდა კენჭისყრის შენობებში არასათანადო წესით განთავსებული გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების ჩამოსხნა და მიზანშეწონილად მიიჩნევა ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5, 27-ე, 35-ე, 39-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევი ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000721;
2. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტეკოვსკაის 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com